

ახალი ათასწლეული



გამომცემლობა „უნიპრესი“
თბილისი 2007

ვუძღვნი მამაჩემის — ნოდარ ნაჭყებიას ნათელ ხსოვნას

რედაქტორი **ევა მაია ნაჭყებია**

ყდის უკანა მხარე: **რეზო მირიანაშვილის პუანტილისტური გრაფიკა**

საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან თარიღთა
ცხრილის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით
ალექსანდრე ბოშიშვილს

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

აკაკი შანიძე

ქართული ეროვნული ჰიმნი

(„ალიფაშას“ ხმაზე)

აბა, ფხიზლად ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
და ყური ვუგდოთ გურჯი-ბოლახს და ნუ ვაღებთ დარიალსა!

მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ ჩვენი ქვეყნის მთა და ველი,
მზით დამწვარი ჰიჯაზელი, გაყინული ჩრდილოელი,
სპარსი, თურქი, ლეკ-მონღოლი, ბერძენი თუ რომაელი,
და ყველა ჩვენსკენ ისწრაფვოდა, ყველა, მაშრიყ-მალრიბელი.

იყო დრო, რომ მმართველობა, სამართალი გვექონდა სხვისი,
ბაღდადსა და ყარაყორუმს გზები გვედო ათას დღისი.
მტრისგან ბევრჯელ დარბეულა ტფილისი და ქუთაისი,
და იმედს მაინც არ ვჰკარგავდით, — სული გვახლდა შოთაისი.

სად არ დგმულა ჩვენი ფეხი? სისხლი სად არ დაგვიღვრია?
ერანს, თურანს, ავღანისტანს ყველგან ჩვენი ძვლები ჰყრია.
ფიცხელ ომში გახურვებულთ ევფრატ-დიჯლა დაგვიშვრია,
და ჩვენი სისხლით შეღებულნი ვისლა დღესაც არი მღვრია.

ოთხი დიდი სახელმწიფო მოგვიჭამ-გაგვიცვეთია:
სადღა არი ძველი რომი, ან ძლიერი სპარსეთია?
არაბების ძლიერება, ამბობენ, დღეს ზღვის წვეთია.
და ვის ახსოვან მონღოლები? სხვების ბედიც აგეთია!

სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია, როგორც ერსა.
მრავალ შავს დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა,
უსიკვდილოდ არვის ვუთმოვთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა,
და გვიმღერია, კვლავაც ვიმღერო ჩვენს ტკბილს მრავალჟამიერსა.

სანამ იდენს ალაზანი, ჭოროხი და რიონ-მტკვარი,
სანამ თავზე მცველად გვადგას ცივ-გომბორი, ლიხ-მყინვარი,
არ მომკვდარა, არც მოკვდება საქართველო მოცინარი,
და მეტად აღარ შემცირდება მისი სივრცე, მისი მზღვარი.

აბა, ფხიზლად ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
და ყური უგდოთ გურჯი-ბოლახს, ნუ, ნუ ვაღებთ დარიალსა!

იროდიონ ეპროფილის სიტყვა ილიას მკვლევრობის აღზილას


ქართველებო! აი, ამ ადგილს დახუჭა ქართველების დიდებულმა მწერალმა თვალეზი. აქ ამოიკენესა უკანასკნელად მისმა გულმა; ამ ადგილიდამ უკანასკნელად შეჰხედა ილიამ თავის სამშობლოს ცას... როგორი მადლიერიც იქნებოდა ის ამ დროს თავის ერისა — ამაზე მეტია ლაპარაკი... თქვენ, ამ არე-მარის მცხოვრებნო, დღეს ამ კუბოსთან და ამ გზაზე შემხმარ სისხლთან მარტო თქვენ არ შეკრებილხართ, აქა ვართ ქართველები, წარმომადგენლები საქართველოს ყველა კუთხიდან, მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ილია სცხოვრობდა თქვენში, იგი მხოლოდ თქვენ არ გეკუთვნოდათ, ის ეკუთვნოდა მთელს საქართველოს, მთელს ერს, ყველა ქართველს. იმან დაგვდო ამაგი ყველას, მთელს საქართველოს!.. ვერაგმა ხელმა იგი წაგვართვა ყველას, მთელს ქართველობას! მან განგმირა მთელი საქართველოს მამა-მოძღვარი!

წელან ერთმა მოლაპარაკემ სთქვა: იმ ადგილს, სადაც ილია მოჰკლეს, უნდა ავაგოთ ძეგლი იმის სადიდებლად, მის სამახსოვროდაც. ეს ძალიან კარგი იდეაა. იყოს აქ ძეგლი ილიას სადიდებლად, მაგრამ აქავე, იმის გვერდზე ჩვენ ავმართოთ სხვა ბოძიც, ბოძი სამარცხვინო, და ზედ დავაწეროთ: „აქ მოჰკლეს ილია, დიდი მოძღვარი და საქართველოს მგოსანი!“

ძმებო! ყველა თქვენგანს ჰყოლია მამა, რომელიც გაცმევდათ, როცა გციოდათ, გაჭმევდათ, როცა გშიოდათ. ეხლა დაბერდა ის, მაშ მიუშვირეთ თოფი და გაუგმირეთ გული! რომელია თქვენში ამ საქმის ჩამდენი, რომელი აიღებდა თქვენს მამაზე ხელს? არავინ?! მაშ რა ვუნდოთ იმ კაცს, რომელიც ასე მოიქცევა, რომელიც ჩვენ წაგვართმევს ჩვენს სულიერს აღმზრდელს, ჩვენს სულიერს მასაზრდოებელს? დაუძახებთ თქვენ მას იუდას თუ არა? (ხალხის ხმა: იუდაა, იუდა!) იყოს წყეული თუ არა?

(ხალხის ხმა: იყოს წყეული! იყოს წყეული!)...

(ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 161-162, 1907 წელი).



ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი პორტრეტი



რომელი მწერალი ან საზოგადო მოღვაწე, რომელი ადამიანი არ ყოფილა თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის პატრიოტი, მაგრამ ილიას პატრიოტობა სულ სხვაა; მისი მთელი სიცოცხლე მხოლოდ საქართველოზე ფიქრი და ზრუნვა იყო. ილიას ხმა – „მას აქედ, რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“ – ასე ალაღ-მართალი და გულიდან ამოხეთქილი, სამშობლოსადმი დიდი სიყვარულის, დიდი ტკივილის და თავგანწირვის ხმაა, ამიტომ სხვაგვარად არც შეიძლება თავისი სიცოცხლე მშვიდად დაესრულებინა. იგი შეეწირა თავის ქვეყანას, თავის ხალხს და მადლიერმა ხალხმაც თავის უკვდავ მამულიშვილს არ დაუვიწყა დიდი ამაგი, თავგანწირვა და წმინდანად აღიარა იგი ილია მართლის სახელით. ხოლო 2007 წელს მისი დაბადებიდან 170 წლის და გარდაცვალებიდან 100 წლის-თავის იუბილე ფართო საზოგადოებრივ ზეიმად იქცა. ახლა ილიას მთელი სიცოცხლის ოცნება ახდა, ქართველი მკითხველი მალე მიიღებს ამ დიდი პიროვნების სრული შემოქმედების აკადემიურ გამოცემას 20 ტომად.

როცა ვეცნობით ი. ჭავჭავაძის სრულ შემოქმედებას (პოეზიას, პროზას, თარგმანებს, პუბლიცისტიკას, უბის წიგნაკებს და ეპისტოლარულ მემკვიდრეობას), გოცებას იწვევს – როგორ ათავსებდა ერთმანეთს თავის შემოქმედებით მუშაობას საზოგადოებრივ მუშაობასთან, რაც მოითხოვდა მის უდიდეს ენერგიას, ნიჭსა და ძალისხმევას. სათავადაზნაურო ბანკის დაარსება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, ჟურნალ-გაზეთების ხელმძღვანელობა, მოსამართლეობა, მათთვის თავგანწირული და ხმალაძოლებული ბრძოლა, ამავე დროს, ჭიდილი თავის შემოქმედებით ნიჭთან – ყველაფერი ეს მოდიოდა ერთი ადამიანისაგან, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ერქვა.

ილიას თავის შემოქმედებაზე მუშაობა ფართო თემაა, ამიტომ ჟურნალისთვის დავაკმაყოფილებით რამდენიმე მაგალითით, თუ როგორ მუშაობდა იგი.

საკმაოდ ტუნწად მოგვეპოვება ცნობები ილია ჭავჭავაძის შესახებ, როგორც შემოქმედზე და პიროვნებაზე. მეგობარ-ნათესავების მოგონებები და ბიოგრაფიული მასალები ამის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაციას იძლევა, სამაგიეროდ, ამ მხრივ, განსაკუთრებით ყურადსაღებია მწერლის ხელნაწერი-ავტოგრაფები და სიცოცხლისდროინდელი ნაბეჭდი წყაროები. სწორედ მათი შესწავლითა და დაკვირვებით ჩანს, როგორი იყო ილია – შემოქმედი.

ი. ჭავჭავაძე არც თუ ისე ხშირად წერდა თავის მხატვრულ ნაწარმოებებს. მაგრამ, რაც დაწერა, მათი უმრავლესობა შედევრად იქნა აღიარებული. წერდა ძალიან ნელა, ხანგრძლივი შუალედებით. იგი ცხოვრებაშიც და მუშაობის დროსაც ძალიან დინჯი პიროვნება იყო. ეს ნათლად ვლინდება მისი შემოქმედებიდანაც. თავისი ნაწერების გამოქვეყნებას არასდროს არ ჩქარობდა. შეიძლება ერთ წელს დაეწერა ნაწარმოების პირველი ვარიანტი, რამდენიმე თვის, წლის შემდეგ კვლავ მიუბრუნდებოდა მას, განაახლებდა ტექსტზე მუშაობას და შემდეგ გამოაქვეყნებდა. სწორედ ეს იყო მისი, როგორც ტექსტოლოგები უწოდებენ, ბოლო ნება. ხოლო თუ არ დააკმაყოფილებდა თავისი მუშაობა ტექსტზე, მას არასდროს არ დაბეჭდავდა. ამიტომ ნაწარმოებზე მუშაობის დრო ილიას საკმაოდ ხანგრძლივი გამოსდიოდა, რაც შეიძლება ორი ფაქტორითაც აიხსნას: ჯერ ერთი, ილია უაღრესად დატვირთული იყო საზოგადოებრივი საქმიანობით, ამიტომ იშვიათად თუ მოიცლიდა მხატვრული შემოქმედებისთვის; მეორეც, ამ ნელ ტემპში ჩანს მისი თვითკრიტიკისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, და, რაც მთავარია, ის დიდი ნებისყოფა, რაც ილიას სიცოცხლის ბოლომდე შერჩა მუშაობის პროცესში.

დამთავრებდა მუშაობას და ვინ იტყოდა, რომ რამდენიმე დღე კაბინეტიდან გამოუსვლელი და უძილო იყო. იგი კვლავ სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, ჯანსაღი და მხიარული იყო. „გათავებდა წერას, მიატოვებდა კალამს და მთელი კვირით აღარ მიუბრუნდებოდა საქმეს“, – იხსენებს ილიას დიდი ხნის მეგობარი იაკობ მანსვეტაშვილი.

პეტერბურგის პერიოდი, სადაც ილია ოთხი წელი სწავლობდა (1857-1861), უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა შემოქმედების მხრივ. მან იქ შექმნა მთელი რიგი ლექსებისა: „სანთელი“, „სიმღერა“, „გუთნისდე-

და, „მუშა“, „ნანა“, „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზე“, „იანიჩარი“ და ბევრი სხვა. პოემებიდან კი იქ დაწერა „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილის“, „დედა და შვილის“, „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ პირველი ვარიანტები (დაასრულა საქართველოში). ერთადერთი პოემა „განდევილი“, რომელიც საქართველოში დაწერა (1883). გზა-და-გზა ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს, რამაც ილიას სიცოცხლის ბოლომდე სისტემატური ხასიათი მიიღო.

სამშობლოში დაბრუნებული „თერგდალეული“, ახალი პროგრესული იდეებით განმსჭვალული ახალგაზრდა ილია დიდი ენერგიით და ერთგულებით ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ქმნის ისეთ შესანიშნავ ლექსებს, როგორიცაა „* მას აქედ რაკი“, „* ჩემო კალამო“ და სხვა. ეს ლექსები დაიწერა 1861 წელს ზაფხულ-შემოდგომაზე ყვარელში, მაგრამ პირველად გამოქვეყნდა 1863 წელს, ორივე ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“, ორივე „XXX“ ხელმოწერით. ისინი ილიას სიცოცხლეში ბევრჯერ გამოქვეყნდა. იბეჭდებოდა უცვლელად (რაც იშვიათი შემთხვევა იყო), რადგანაც ავტორმა პირველივე პუბლიკაციაში თქვა მთელი თავისი სათქმელი სამშობლოს მიმართ და თავისი აზრისა თუ შეხედულების შეცვლა აღარც დასჭირებია. თუმცა მათ ავტოგრაფებში სხვა სურათი გვხვდება: მათში ჩანს ავტორის სერიოზული მუშაობა ამ ტექსტებზე, რომლებშიც ბევრია გადახაზული და შეცვლილი სიტყვები, სტრიქონები და სტროფებიც კი.

ლექსის („მას აქეთ რაკი...“) ორმა ავტოგრაფმა მოაღწია ჩვენამდე, სადაც იგი უსათაუროა, თუმცა პირველ ნაბეჭდში („საქართველოს მოამბე“) მას სათაურად უწერია ლექსის პირველი სტრიქონი („მას აქედ, რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული“), შემდეგ ავტორმა შეცვალა ეს სათაური ერთი სიტყვით – „მამული“, რომლითაც ლექსი დაიბეჭდა 1904 წელს. 1907 წლის ილიას ლექსთა კრებულებში ლექსი კვლავ დაიბეჭდა სათაურით „მას აქეთ, რაკი“.

როგორც ყოველთვის, პირველი ავტოგრაფი შავად ნაწერია და ძალიან ნასწორები, მეორე ავტოგრაფი კი მისი გადათეთრებული სახეა, თუმცა ისიც ნასწორებია. ლექსი პირველად ილიას ასე დაუწერია:

„მას აქედ რაკი შენდამი ვჰსცან სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა ძილი და შვება,
შენსა კენესასა მე ყურს უგდებ სულგანაბული
და მეც თითონ ვჰკენეს და ეს არის ჩემი ცხოვრება!

ფიქრნი, გრძნობანი მომეწამლნეს იმ საწამლავეთ,
რომლითაც შენა, ჰოი მამულო მოწამლული ხარ,
ფიქრი ფიქრზედა გროვდებიან დაუყოვნებლად,
გრძნობა გრძნობაზედ მოდის, იძვრის და დულს ჩემს გულში“.

ეს ავტოგრაფი მთლიანად გადაუხაზავს ავტორს და კიდევ ბევრი მუშაობის შემდეგ მოგვცა ის შედევრი, რომელიც ასე პოპულარული გახდა ქართველთა შორის:

მას აქედ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება“...

ლექსის III სტროფი ილიას პირველად ასე დაუწერია:

მე ისა მტანჯავს, რომ ბევრი რამ არის ჩემს გულში,
ვით საწამლავე, ისიც მკვლეელი და სამწუხარო,
ამდენ ხალხში კაცი არ არის...

არც ეს სტროფი მოსწონებია ილიას, სათითაოდ გადაუხაზავს სტრიქონები და ახალი სტროფი დაუწერია:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენ მიწაზე ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზიარო.

ლექსზე დიდი მუშაობის შემდეგ ავტორი მაშინ დაკმაყოფილდა, როცა მოეწონა თავისი ნამუშევარი.

საინტერესო მუშაობაა ჩატარებული ლექსზე „* ჩემო კალამო“. ჩვენამდე ამ ლექსის სამი ავტოგრაფია მოღწეული. აქედან ორი ძალიან არის ნასწორები ავტორის ხელით, თუმცა ბოლო, მესამე უკვე დაზვეწილი და გადათეთრებულია.

პირველი ავტოგრაფი წარმოადგენს ილიას მიერ მუშაობის დასაწყისს და შეიძლება ითქვას, მუშაობის ძირითად ეტაპებს გვიჩვენებს ამ ლექსზე. პირველად ეს ლექსი ასე დაუწერია:

„ჩემო კალამო, რად გვინდა ტაში,
რასაც ვმსახურებთ, მას ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა განვადლოთ ხალხში
და შორიდამა სეირს უყუროთ“.

ამის შემდეგ სიტყვები და სტრიქონები გადახაზულია. მომდევნო გვერდზე ავტოგრაფისა ტექსტის პირველი ვარიანტი თითქმის სრულადაა წარმოდგენილი, რომელსაც ბოლოს უწერია „ოკტომბერი“. აქაც ლექსი ასე იწყება „ჩემო კალამო, რად გვინდა ტაში“. მაგრამ ეს სრული ტექსტიც კარგად არის ნასწორები, რომლის შედეგად იღებს იმ ბოლო სახეს, რაც უკვე ჩვენთვისაა ცნობილი:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში,
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთა საკლავად – მათ სულხდომის სეირს უყუროთ“ და ა. შ.

ამის შემდეგ გადის თითქმის 10 წელი და ილიას არც ერთი ლექსი არ დაუწერია.

1871 წელს ილია კვლავ უბრუნდება პოეზიას და ქმნის ისეთ შესანიშნავ ლექსებს, როგორიცაა: „პარიზი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „ბედნიერი ერი“, „გამოცანები“, „პასუხის პასუხი“ და ბევრი სხვა.

ხოლო 1880 წელს „ივერიაში“ ჩნდება ისეთი შედეგები, როგორიცაა „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რომელიც დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას. იგი ძალიან პოპულარულია, ქართველმა ხალხმა გაითავისა ეს ლექსი და რ. ლაღიძის მუსიკის ფონზე თითქმის ეროვნულ ჰიმნად აქცია.

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალი ხომ შენია...
მათ ახალთ აღვიდგინონ შენ დიდების დღენია, –
ჩემო თვალის სინათლე, რაზედ მოგიწყენია?..

ამ ლექსმა დიდი პოპულარობა მოიპოვა მაშინაც, როცა პირველად გამოქვეყნდა. ილიას სიცოცხლეში იგი 12-ჯერ დაიბეჭდა და ააღელვა მკითხველი საზოგადოება. ამ ლექსს გამოეხმაურა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ორბელიანი (1812-1890), რომლის ლექსიც „სამშობლო ქვეყნის პასუხი“ დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ (1883 წ., № 5). იგი ასე იწყება:

„მკითხე, ჩემო პოეტო, რაზედ მომიწყენია?
ნება მომეც, მე გკითხო, შენ კი მოგილხენია?
მეუბნები, მარწმუნებ, „მომავალი ჩვენია“,
მაგვკარი იმედები ჩემს ყურს ბევრჯერ სმენია“...

თვითვე ლექსს თავისი შექმნის ისტორია აქვს, რაც არანაკლებ ინტერესს იწვევს, ზემოხსენებულ ლექსებთან შედარებით.

ილია უფრო ხანგრძლივად წერდა და დაწერის შემდეგ განაგრძობდა მუშაობას პოემებზეც. სულ ხუთი პოემა დაწერა და როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, თითოეული მათგანი ქართული მწერლობის კლასიკურ ნაწარმოებს წარმოადგენს და ქართული მწერლობის შედეგად ჩაითვლება. თითოეულ პოემას ერთი წლიდან რამდენიმე წელს ანდომებდა, თანაც ყველა პოემა, „განდევლის“ გარდა, რომელიც საქართველოში შეიქმნა, დაწყებულია პეტერბურგში სტუდენტობის დროს და დამთავრებულია საქართველოში. მაგალითად, „აჩრდილს“ წერდა 13 წელი (1859-1872), ხოლო მასზე კვლავ მუშაობდა 1892 წლამდე, სანამ არ გამოვიდა ილიას ლექსთა კრებული. „ქართლის დედას“ წერდა 11 წელი (1860-1871), „დიმტრი თავდადებულზე“ მუშაობას კი 17-18 წელი მოანდომა (1860-1877, 1878). ძალიან საინტერესოა ამ პოემებზე პოეტის მუშაობა – როგორ წერდა, როგორ ცვლიდა ტექსტს და როგორ ამუშავებდა მათ. საარქივო მასალებისა და ილიას სიცოცხლისდროინდელი გამოქვეყნებული წყაროების შესწავლამ გვიჩვენა ის დიდი შრომა, რასაც ილია ეწეოდა. ამის დასტურია მათი სხვადასხვა რედაქციები, შეცვლილი ტექსტები, გადახაზული სიტყვები, სტრიქონები, სტროფები და მთელი რიგი ადგილები, რომლითაც დაფარულია პოეტის ხელნაწერები. იგივე მეორედობა გამოქვეყნებულ ტექსტებზედაც დაბეჭდვიდან ხელახლა დაბეჭდვამდე.

ამ მხრივ ურთულესი მუშაობა აქვს ჩატარებული პოემა „აჩრდილზე“. აქ არ შევუდგებით მის რთულ ანალიზს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ფილოსოფიური აზრისა და შინაარსის პოემა სხვა პოემებისაგან განსხვავებით უფრო მეტ შრომას მოითხოვდა.

„აჩრდილს“ ორი რედაქცია და 23 ვარიანტული წყარო აქვს. აქედან I რედაქცია სრულია. აქვს შესავალი და დასასრული. ამ რედაქციით დაიწყო წერა და დამთავრა, როგორც თვითონ აღნიშნავს, „26 იანვარს, 1859-სა წელს“. სათაურის – „აჩრდილი“ – ქვეშ მიწერილი აქვს „ძღვნა“, ხოლო „ძღვნის“, ტექსტის ბოლოს ხელმოწერაა „ილია ჭავჭავაძე“. მასში ჩანს ავტორის დამოკიდებულება პოემისადმი, რომელსაც თავის პირმშოს უწოდებს და მკითხველს სთხოვს, შეიყვაროს იგი, რომელშიც სამშობლოს სევდით გამოწვეული პოეტის დიდი ტკივილია ჩაქსოვილი:

ძღვნა

მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, პირმო ძე ჩემი,
ახლა შობილი, ნუგეშის და იმედო მომცემი!
მთავრდება ასე: მიითვისეთ და შეიყვარეთ ჩემი „აჩრდილი“
ეგ მოგაგონებთ, მეგობრებო, ჩემს გულის წვასა.
(ილია ჭავჭავაძე)

პოემის ეს I რედაქცია თავდება ასე:

ქართველებისადმი

აჰა, გათავდა!.. ქართველნო, მიცნობთ
ამ ლექსში მწუხარს და მტირალს ქართველს!
შორით, რუსეთით ძმა ძმებს მოგიტხოვრებთ
მას, რაც არ უშრობს ნამდვილ შვილსა ცრემლს.

ამ დროს პეტერბურგში მცხოვრები სრულიად ახალგაზრდა პოეტი წარმოუდგენლად განიცდის თავის „ტკბილი მამულის“ ბედს, ღმერთს შესთხოვს შეისმინოს მისი ვედრება და გადაარჩინოს იგი, ელის ამ ბნელ ღამეში „დამხსნელი ვარსკვლავის“ გამობრწყინებას და მომავლის იმედი არ უქრება გულში. მიმართვა ასე მთავრდება:

თუ ჩემს ცრემლს, ეხლა ფურცლებზე შემშრალს,
თქვენი ცრემლიცა მიემატება,
მაშინ ვფიცავ იმ ჩვენს დამხსნელსა ვარსკვლავს,
იგი, რაც გვინდა, ალგვისრულდება.

ეს ადგილები პოეტმა მეორე რედაქციაში აღარ შეიტანა.

ილია „აჩრდილის“ ტექსტში ცვლიდა ყველაფერს, რის შეცვლაც შეეძლო (სტროფებს, სიტყვებს, თავებს), მათი ჩვენება შორს წაგვიყვანდა, რაც მკითხველს დააბნევდა კიდევ. აქ შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ილია მუშაობის პროცესში ძალიან კრიტიკული იყო არა მარტო ტექსტისადმი, არამედ თავისი თავის მიმართაც. იგი თავს უფლებას აძლევდა მიეყვარებინა მისი ბეჭდვის პროცესიც (ბეჭდავდა პოემის ცალკეულ თავებს, ნაწყვეტებს და ადგილებს) და ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევდა მას. „ძმაო, კირილე, – სწერდა იგი კირილე ლოროთქიფანიძეს, – უმიკოვს (პეტრე უმიკაშვილს – რ. კ.) ჩემი „აჩრდილი“ აქვს ახლად გადაკეთებული. იქიდან VII, VIII და IX თავები იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი“. ამ პატარა ამონარიდითაც ჩანს, რომ ილიას გარეშე, მის სიცოცხლეში შეუძლებელი იყო რომელიმე გამომცემლის ან რედაქტორის თვითნებური ჩარევა, გარდა ცენზურისა, რომელსაც ასე ერიდებოდა პოეტი.

პირველ რედაქციას თავისი ვარიანტები აქვს ზელნაწერების სახით. იგი 32 თავისაგან შედგება, II რედაქცია გვიან დაწერა (და ეს იყო ბოლო ნება ავტორისა). იგი 1872 წლისთვის შეიქმნა, რასაკვირველია, თავისი ვარიანტებით და შედგება 27 თავისაგან. ამ ბოლო რედაქციაში (უკვე გამოქვეყნებულში) გამოტოვებულია პოემის 22-ე და 23-ე თავი, რომელიც ავტორმა ვერა და ვერ დაწერა, თუმცა ეს თავები აღნიშნული იყო. ვფიქრობთ, ილია ბოლომდე ვერ მოერია ამ უმძიმეს ტვირთს და პოემას სრული სახე ვერ მისცა. „ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ ვირსავით შევდექ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავდგი. რა გქნა, ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი ასეთის აგებულობის ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს, ვწუხვარ და ვდრტივანავ... – წერს ილია დ. ერისთავს. ალბათ, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პოემაში ბოლო რედაქციის 22-ე და 23-ე თავები ტექსტს არ შეიცავენ.

ასეთივე რთული მუშაობა აქვს ჩატარებული ილიას სხვა პოემებზეც, მაგრამ ვფიქრობთ, ამ ერთი პოემის მაგალითზეც საკმარისია წარმოვიდგინოთ, როგორ წერდა ილია. ილია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა არა მარტო მთელ თავის შემოქმედებას, არამედ უბრალო წერილსაც კი. იგი ყოველგვარ თავის მოვალეობას განსაკუთრებული წესიერებით ასრულებდა. „არ არის არც ერთი თხზულება, რომელიც რამდენჯერმე არ გადაეკეთებინოს და არ შეესწორებინოს. ასე ექცეოდა... სულ უბრალო ბარათებსაც კი“ – იხსენებს ექვთიმე თაყაიშვილი – „რომლებსაც დაწერდა, დახვედა, კიდევ დაწერდა და სანამ არ მოეწონებოდა თავისი ნაწერი, მანამ არ მოეშვებოდა ბარათს. ერთხელ, – განაგრძობს ექვ. თაყაიშვილი – მე ვუთხარი, რა ამბავია მაგ ერთი ბეწო წერილისათვის ამდენი წვალება-მეთქი? მიპასუხა: კაცო, პატარა თუ დიდი, მაინც დოკუმენტია და ზერელედ არ შეიძლებაო. საერთოდ, დიდი ოსტატი კაცი იყო! ტყუილად კი არ ამბობდნენ მისი თანამშრომლები, ილია მეტწილად ღამ-ღამობით წერს და დილისთვის მისი ნაწერების ნახევით რამდენიმე კალათი არის ყოველთვის გავსებულიო... აგრეთვე, მისი საჯარო სიტყვები ყოველთვის წინასწარ არის მოფიქრებული და ზოგჯერ დაწერილიც იყო“ (ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968 წ., გვ. 268).

რაც შეეხება პუბლიცისტიკას, ილია ჭავჭავაძე მასში გვევლინება ღრმად განათლებულ, ყოველმხრივ მცოდნე პიროვნებად. მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც უკვე ახლადმიკვლეული მასალებიანად ათზე მეტ ტომს მოიცავს, ელის მეცნიერ-მკვლევარს, რომელიც საფუძვლიანად გამოიკვლევს მათ.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის სრული ტექსტიც აქ არის მოცემული.

პრეამბულა

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს; და

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უზულებელყოფამ და აბუჩად აგდებას გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს, და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრობენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია როგორც ადამიანთა მაღალი მისწრაფება; და

ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩავრის წინააღმდეგ; და

ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის; და

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში; და

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას; და

ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის,

გენერალური ასამბლეა აცხადებს

ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მიისწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელებას უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით, როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ენთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის,

რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია – დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4

არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობით მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

მუხლი 5

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

მუხლი 6

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებულ იქნეს მისი სამართალ სუბიექტობა.

მუხლი 7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციური თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 9

არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს მის უფლებათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე, აქვს იმის უფლება, რომ მისი საქმე საჯაროდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა დანაშაული ჩადენილი იქნა.

მუხლი 12

არ შეიძლება თვითნებური ჩარევა ვინმეს პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში. თვითნებურად ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივის და რეპუტაციისა, ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დასტოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დევნიდან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16

1. სრულსაკონებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ, ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 17

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.

2. არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად. მოძღვრებაში, ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავის მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაარკველოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.
2. არავისი იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა: ეს ნება უნდა გამოხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში, ფარული კენჭისყრით ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.
4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალების უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შევსებების უფლების ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებულ მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას, ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი. უმაღლესი განათლება კი – ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარიანობამდე.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აარჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი ამ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს იგი წარმოადგენს.

მუხლი 28

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურსა და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვას, როგორიც კანონითაა დადგენილი მართლედ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფებისა თუ ცალკეული პირებისათვის უფლებისა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.



პაციენტის პაციენტი

ნაირი გუსტავ ჰუსაკი

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდიანს
პაციენტულ ბატონ დოქტორ გუსტავ ჰუსაკს

პაციენტულ ბატონო დოქტორო,

ჩვენს ქარხნებსა და დაწესებულებებში მუშაობა დისციპლინებულად მიმდინარეობს, მოქალაქეთა შრომის შესამჩნევი შედეგები ცხოვრების დონის ნელ ზრდაზე აისახება, ხალხი იშენებს სახლებს, ყიდულობს მანქანებს, აჩენს ბავშვებს, ერთობა, ცხოვრობს.

ყოველივე ეს, – როდესაც საქმე თქვენი პოლიტიკის წარმატებასა თუ წარუმატებლობას ეხება, – რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრს არაფერს ნიშნავს; ყოველი საზოგადოებრივი მღელვარების შემდეგ ადამიანები, ბოლოს და ბოლოს, ამას საკუთარი თავისათვის აკეთებენ და არა ამა თუ იმ სახელმწიფო მმართველობისთვის.

ცხადია, ხალხი არა მხოლოდ დადის სამსახურში, ყიდულობს და თავის გემოზე ცხოვრობს, იგი მეტ-საც აკეთებს: იღებს უამრავ შრომით ვალდებულებებს, რომლებსაც ასრულებს და თანაც გადაჭარბებით; ერთიანად მონაწილეობს არჩევნებში და ერთსულოვნად ირჩევს შემოთავაზებულ კანდიდატურას; აქტიურად მუშაობს სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებში; მონაწილეობს იღებს კრებებსა და აღლუმებში; მხარს უჭერს ყველაფერს, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს. იმაში, რასაც მთავრობა აკეთებს, შეუძლებელია უთანხმოების ნიშნების დანახვა.

ეს რეალობა არცთუ ისე ადვილი გადასალახავია; აქ უკვე სერიოზულად უნდა დაისვას კითხვა: ხომ არ ადასტურებს ყოველივე ეს იმას, რომ თქვენ მოახერხეთ წარმატებით შეგესრულებინათ ის პროგრამა, რომელიც თქვენმა ხელმძღვანელობამ დაგისახათ, კერძოდ კი მოსახლეობის მხარადჭერის მოპოვება და ქვეყანაში ურთიერთობათა კონსოლიდაცია?

პასუხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ვიგულისხმებთ კონსოლიდაციაში.

თუკი მოქალაქეთა აქტივობისა და მსგავსი მახასიათებლების საზომის ერთადერთ ერთეულს სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემთა და საუწყებო ან პოლიციის ანგარიშთა ციფრები წარმოადგენს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენში არსებულ კონსოლიდაციაში ეჭვს ძნელად თუ შევიტანთ.

მაგრამ თუ კონსოლიდაციაში უფრო მეტს ვიგულისხმებთ, სახელდობრ, – საზოგადოების ნამდვილ შინაგან მდგომარეობას, – მაშინ? რა მოხდება, თუკი ჩავეძიებით სხვა, შესაძლოა უფრო სათუთ და არა ასე ადვილად აღსარიცხ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს, იმას, თუ პირადი ადამიანური გამოცდილების თვალსაზრისით სინამდვილეში რა იმალება ყველა ამ ციფრს მიღმა? რა პასუხი გაეცემა კითხვას: რა გაკეთდა ქვეყანაში საზოგადოების მორალური და სულიერი განახლებისათვის, ჭეშმარიტად ადამიანური განზომილების განვითარებისათვის, ადამიანის ღირსების უმაღლეს საფეხურამდე ამაღლებისათვის, მისი ჭეშმარიტად თავისუფალი და ავთენტური დანიშნულების გამოსაყენებლად ამქვეყნად? რას აღმოვაჩენთ, თუკი ჩვენს ყურადღებას წმინდა გარეგნული მოვლენების ჯამიდან მისი შინაგანი მიზეზების და შედეგების ჯამზე, მის კავშირებსა და მნიშვნელობაზე გადავიტანთ; მოკლედ, მთელი იმ ფარული სინამდვილის სივრცეზე, რომელზეც ამ მოვლენებს მხოლოდ საერთო-სახალხო მნიშვნელობა უნდა მიეღო? ამის შემდგომ შეგვიძლია ჩვენი საზოგადოება კონსოლიდირებულად ჩავთვალოთ?

გაგებდავ ვამტკიცო, რომ არავითარ შემთხვევაში. ვებდავ ვამტკიცო, რომ მიუხედავად ყველა, გარეგნულად სასიამოვნო ფაქტორისა – ჩვენის საზოგადოება შინაგანად არა მხოლოდ სრულებით არ არის კონსოლიდირებული, არამედ პირიქით, იგი თანდათან სულ უფრო და უფრო ღრმა კრიზისში ეფლობა, კრიზისში, რომელიც ბევრად უფრო საშიშია იმაზე, რომელიც ჩვენს თანამედროვე ისტორიას ახსოვს.

ვეცდები ეს ჩემი მტკიცება დავასაბუთო.

ძირითადი კითხვა, რომელიც აქ უნდა დაისვას, ამგვარად ჟღერს: კერძოდ, რატომ იქცევა ხალხი ისე, როგორც იქცევა; რატომ აკეთებს ყოველივე იმას, რაც მთლიანობაში საზოგადოების აბსოლუტური ერთიანობის იმპოზანტურ შთაბეჭდილებას ქმნის, რომელიც მხარს უჭერს თავის მთავრობას? ვფიქრობ რომ ყოველი მიუკერძოებელი დამკვირვებლისათვის პასუხი ნათელია: მათ შიში აიძულებს.

იმის შიშით, რომ სამსახურს დაკარგავს, მასწავლებელი ისეთ რაღაცეებს ასწავლის, რისიც თავად არ სჯერა, თავის მომავალზე შიშის გამო მოწაფე ამასვე იმეორებს; შიშით, რომ ველარ შეძლებს სწავლის გა-

რძელებას, ახალგაზრდა შედის ახალგაზრდულ კავშირში და ასრულებს ყველაფერს, რასაც მოსთხოვენ; იმის შიშით, რომ ამაზრზენ პოლიტიკურ-ქულობრივი სისტემით ვერ მოიპოვებს ქულების საჭირო რაოდენობას, მაშასადამე სხვადასხვა ვალდებულებებს კისრულობს და როგორც “მოხალისე”, ასრულებს ყველაფერს, რაც მოეთხოვება; შესაძლო შედეგების შიშით ხალხი მონაწილეობას იღებს არჩევნებში, ირჩევს შემოთავაზებულ კანდიდატებს და ისე იქცევა, თითქოს ამ ცერემონიას ჭეშმარიტ არჩევნებად მიიჩნევდეს; არსებობის შესაძლებლობის, მდგომარეობისა და კარიერის დაკარგვის შიშით ხალხი დადის კრებებზე, ხმას აძლევს იმას, რასაც მოსთხოვენ ან ღუმილს ინარჩუნებს; შიშის გამო ხალხი მიმართავს სხვადასხვა დამამცირებელ თვითკრიტიკას და აღსარებას და არაგულწრფელად ავსებს აუარებელ ანკეტებს; შიშით, რომ ვიღაც დააბეზლებს, არავინ არ გამოთქვამს საჯაროდ თავის ნამდვილ აზრს და ხშირად ამის გაკეთებას ვიწრო წრეშიც ერიდება. შესაძლებელი ყოფილი უსამართლობის შიშით და ასევე იმის სურვილით, რომ გაიუმჯობესონ მდგომარეობა და თავი მოაწონონ ზემდგომ ორგანოებს, მშრომელები შრომით ვალდებულებებს იღებენ, ამავე მისწრაფების გამო ხშირად სოციალისტური შრომის ბრიგადებსაც კი აარსებენ, რომლებიც მოწინავეებად ითვლებიან და მათი მთავარი დანიშნულება ისაა, რომ შესაბამის პატაკებში მათ შესახებ ზევით მოხსენდეს. შიშის გამო დადის ხალხი სხვადასხვა ოფიციალურ დღესასწაულებზე, დემონსტრაციებზე და პროცესიებზე. იმის შიშით, რომ ზემდგომში მუშაობის პირობები აღარ ექნება, ბევრი მეცნიერი და ხელოვანი მხარს უჭერს იდეებს, რომლისაც თვითონაც არ სჯერა; წერს ისეთ რაღაცეებს, რასაც არ ფიქრობს, ან იცის, რომ სწორი არ არის; შედის ოფიციალურ ორგანიზაციებში, მონაწილეობას იღებს ისეთ ღონისძიებებში, რომელთა ღირებულებაზეც ძალიან დაბალი აზრისაა, ანდა თვითონ ჩეხავს და ამახინჯებს საკუთარ ნაშრომებს. დაბოლოს, ბევრი საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით სწამებს სხვას იმას, რასაც თვითონ სჩადის სხვების მიმართ.

ის შიში, რომელზეც მოგახსენებთ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც შიში ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ანუ, როგორც გარკვეული კონკრეტული ემოცია. ჩვენს ირგვლივ ფოთლებივით მოცახცაზე ხალხის უმეტესობას კი არ ვხვდებით, არამედ თვითკმაყოფილ და თავდაჯერებულ მოქალაქეებს. აქ საქმე შიშის უფრო ღრმა, მე ვიტყვოდი, ეთიკურ მნიშვნელობაშია, ანუ კოლექტიურ შეგნებაში, მუდამ და ყველგან არსებული საფრთხის მეტად თუ ნაკლებად აღქმის წილზე; საქმე ეხება იმაზე ზრუნვას, რაც უკვე არის ანდა შესაძლებელია მომავალში აღმოჩნდეს საფრთხეში, საქმე ეხება თანდათანობით მიჩვევას ამ საფრთხისადმი, როგორც ბუნებრივი სამყაროს სუბსტანციური ნაწილისადმი; გარეგნული არსებობისადმი შეგუების სხვადასხვა ფორმების თანდათანობით სულ უფრო ტევად, ბუნებრივ და მოხერხებულ ათვისებას, როგორც თავდაცვის ერთადერთ პროდუქტიული საშუალებას.

რა თქმა უნდა, თანამედროვე საზოგადოებრივი სტრუქტურის ერთადერთ საშენ მასალას მხოლოდ შიში არ წამოადგენს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც რჩება ძირითად საშენ მასალად, რომლის გარეშეც ვერასოდეს ვერ იქნებოდა მიღწეული ის ერთსულოვნება, რომელსაც ეყრდნობა ოფიციალური დოკუმენტების მტკიცება ჩვენში კონსოლიდაციის პირობების შესახებ.

რა თქმა უნდა, იბადება კითხვა: კერძოდ რისი ეშინია ხალხს? პროცესების? წამების? ქონების დაკარგვის? დეპორტაციის? სიკვდილით დასჯის? რა თქმა უნდა, სრულებითაც არა: მოქალაქეებზე ზემოქმედების ეს ბრუტალური ფორმები საბედნიეროდ – ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პირობებში – ისტორიას ჩაბარდა. წნეხის დღევანდელი ფორმები უფრო დელიკატური და დახვეწილია, და თუმცა დღესაც არსებობს პოლიტიკური პროცესები /საყოველთაოდაა ცნობილი მათი თვითმპყლობელური მანიპულირებისუნარიანობა/, ისინი დღეს უკვე მხოლოდ უკიდურეს საფრთხეს წარმოადგენენ, მაშინ, როდესაც ძირითადი სიმძიმე ეგზისტენციური წნეხის მეთოდი გარკვეული თვალსაზრისით გაცილებით უნივერსალურიცაა: ვინაიდან ჩვენში არ არსებობს მოქალაქე, რომელიც არ შეიძლება არ დაზარალებს ეგზისტენციულად /ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით/, ყველას გააჩნია ის, რისი დაკარგვაც შეიძლება, მაშასადამე ყველას აქვს იმის მიზეზი, რომ ეშინოდეს. იმის სკალა, თუ რისი დაკარგვა შეუძლია ადამიანს, მდიდარია: მმართველი კლასის სხვადასხვა უპირატესობებიდან და ძალაუფლებიდან გამომდინარე ყველა განსაკუთრებული შესაძლებლობებიდან მოყოლებული, მუშაობის მშვიდი პირობებით დამთავრებული, დაწინაურებიდან და ხელფასიდან დაწყებული, საკუთარი სპეციალობით მუშაობისა და სწავლის საშუალების დაკარგვამდე და იქამდე, რომ მას წაერთვას

უფლება იცხოვროს შეზღუდული იურიდიული უსაფრთხოების იმ საფეხურზე, რომელზეც დანარჩენი მოქალაქეები ცხოვრობენ და არ მოხვდეს იმ განსაკუთრებულ ფენაში, რომლისთვისაც არ არსებობს კანონები, რომლებიც არსებობს სხვებისათვის, ანუ ჩეხო სლოვაკიის პოლიტიკური აპარტეიდის მსხვერპლთა შორის. დიახ, როდესაც დასაქარგი აქვს, სულ უკანასკნელი შავი მუშაკი შეიძლება მოხვდეს უფრო უარეს და დაბალანაზღაურებად სამუშაოზე და მასაც შეიძლება ძვირად დაუჯდეს, თუკი კრებაზე ან ლუდხანაში თავის ნამდვილ აზრს გამოთქვამს.

ეგზისტენციალური წნეხის ეს სისტემა, რომელიც სრულად მოიცავს მთელ საზოგადოებასა და ყოველ მოქალაქეს, ახლა უკვე როგორც ყოველდღიური კონკრეტული მუქარა, ან როგორც საყოველთაო შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, წარმატებით ვერ იმოქმედებდა, რომ არ ჰქონოდა – ზუსტად ისევე, როგორც იმ გადალახულ ბრუტალური წნეხის ფორმებს – თავისი ბუნებრივად გამეფებული საყრდენი იმ ძალაში, რომელიც უზრუნველყოფს მის უნივერსალურობას, კომპლექსურობას და ძლიერებას: ყველგან მსუფთვე და ყოვლისშემძლე სახელმწიფო პოლიცია. ამ შემზარავ ობობას თავისი შეუმჩნეველი აბლაბუდით მთელი საზოგადოება სიგრძე-სიგანეზე აქვს გადაქსოვილი, იგი ის ზღვრული წრფეა, რომელშიც საბოლოოდ შიშის ყველა ხაზი იკვეთება, ყოველი მოქალაქისთვის იგი ის საბოლოო და გაუბათილებელი საბუთია, რომელიც შეუძლებელს ხდის ადამიანმა წინააღმდეგობა გაუწიოს სახელმწიფო ძალაუფლებას, და, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმეტესობა ამ აბლაბუდას თავისი თვალთ ვერ ხედავს და არ ეხება, ყველაზე ტლუ მოქალაქემაც კი იცის მისი არსებობის შესახებ, ყოველ წამს და ყველგან ანგარიშს უწევს მის ჩუმ არსებობას და ამის შესაბამისად იქცევა: ანუ ისე, რომ გადაურჩეს მის მალულ თვალსა და ყურს და კარგად იცის, რატომაც უნდა გადაურჩეს: ეს ობობა მის ცხოვრებაში რომ შეიჭრას, ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი ადამიანი პირდაპირ მის ბრჭყალებში მოექცეს; სულაც არაა სავალდებულო, რომ იგი ან დაკითხონ, ან ბრალი დასდონ, ან დასაჯონ. მისი ზემდგომნიც ამ აბლაბუდით არიან გადაქსოვილი და ყოველი ინსტანცია, რომელიც მის ბედს წყვეტს, ასე თუ ისე, სახელმწიფო პოლიციასთან თანამშრომლობს, ან უნდა თანამშრომლობდეს და ამიტომ თვით ფაქტი, რომ სახელმწიფო პოლიციას შეუძლია ნებისმიერ დროს შეიჭრას ადამიანის ცხოვრებაში, – ასეთი შემოჭრისაგან კი თავის დაცვა შეუძლებელია, – საკმარისია იმისათვის, რომ მისმა სიცოცხლემ დაკარგოს ბუნებრივობისა და აუთენტურობის წილი და მუდმივ თვალთმაქცობად იქცეს.

ვინაიდან ადამიანის თავდაცვითი მისწრაფებების უკან დგას შიში, გადაარჩინოს ის, რაც აქვს, მერე სულ უფრო და უფრო ხშიად შეგვიძლია მივაღწევოთ თვალთ იმას, თუ როგორ იქცევა ეგოიზმი და კარიერიზმი მისი შემტევი მისწრაფებების მთავარ მოტივად, რათა მოიპოვოს ის, რაც აქამდე არ ჰქონდა.

ევონებ, ბოლო ხანებში საზოგადოებრივი სისტემა იშვიათად აძლევდა ასე თავისუფლად და წინააღმდეგობის გარეშე რეალიზაციის საშუალებას იმ ხალხს, რომელნიც თანახმა არიან ნებისმიერი რამის მომხრენი იყვნენ, თუკი ეს მათ სარგებელს მოუტანს; უპრინციპო და უხერხემლო ხალხს, რომელიც თანახმაა ძალაუფლებისა და საკუთარი კეთილდღეობისათვის ჩაიდინოს ყველაფერი; ლაქიური წყობის ხალხს, რომელთათვისაც არა აქვს მნიშვნელობა არანაირ თვითდამცირებას და რომელნიც ყოველთვის მზად არიან გასწირონ თავისი მოყვასი და საკუთარი ღირსება იმისათვის, რათა ამა ქვეყნის ძლიერ მოაწონონ თავი. ამგვარ პირობებში არ არის შემთხვევითი, რომ ამდენი საჯარო და სახელმწიფო თანამდებობები ცნობილ კარიერისტებს, ოპორტუნიისტებს, ავანტიურისტებს და უზნეო ადამიანებს ან უბრალოდ ტიპიურ კოლაბორანტებს უკავიათ, ანუ იმათ, ვისაც აქვს განსაკუთრებული უნარი ნებისმიერ სიტუაციაში დაირწმუნოს თავი, რომ თავისი ბინძური სამუშაოთი ეგრეთწოდებულ რაღაცას გადაარჩენს, ან ყოველ შემთხვევაში, ხელს შეუშლის უარესებს იმაში, რომ მათი ადგილი დაიკავონ. ბოლოს და ბოლოს, ასეთ ვითარებაში არც არის შემთხვევითი, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სწორედ დღეს მიაღწია უმაღლეს მწვერვალს სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეთა კორუპციურობისა, მათმა მზადყოფნამ სრულიად დაუფარავად და ნებისმიერ რამეში აიღონ ქრთამი და თავისი გადაწყვეტილებები ყოველგვარი სირცხვილის გარეშე განახორციელონ, უპირველეს ყოვლისა კი ის მოსაზრებები, რომელსაც მათ კარნახობს მათი მრავალფეროვანი პატივმოყვრული პირადი ინტერესები.

იმ ხალხის რაოდენობა, რომელთაც გულწრფელად სჯერა ყველაფრისა, რასაც ოფიციალური პროპაგანდა ქადაგებს და უანგაროდ უჭერს მხარს სახელმწიფო ხელისუფლებას, დღეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ოდესმე. სამაგიეროდ ფარისევლები მომრავლდნენ – გარკვეულ დონემდე საკუთრივ ყოველი მოქალაქე ვალდებულია პირმოთნე იყოს.

რა თქმა უნდა, ამ არასასიხარულო სიტუაციას თავისი ლოგიკური მიზეზები გააჩნია: უკანასკნელ წლებში იშვიათად თუ დაინტერესებულა რეჟიმი ასე მცირედ გარეგნულად ლოიალური მოქალაქეების ჭეშმარიტი აზროვნებითა და მათი სიტყვების გულწრფელობით – საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ,

მაგალითად, არავის არ აინტერესებს — თვითკრიტიკასა და აღსარებას ხალხი გულწრფელად აკეთებს, თუ პირადი სარგებლობისათვის; იმის თქმაც კი შეიძლება, რომ მეტნაკლებად ავტომატურად ეწევა ანგარიში სწორედ იმ მეორე ალტერნატივას; ხალხი ამაში არაფერ ამორალურს არ ხედავს სწორედ იმ პირადი სარგებლობის გამო, რასაც ეს საქციელი მათ მოუტანს. არავინ ცდილობს, დაარწმუნოს მომნაწიებელი იმაში, რომ იგი ცდებოდა, არამედ უმეტესად მას იმაში არწმუნებენ, რომ თუ თავის გადარჩენა სურს, უნდა მოინანიოს. ამასთანავე ოსტატურად აზვიადებენ შანსს, რომელსაც იგი ამ გზით მოიპოვებს. მაშინ, როდესაც მწარე გემო, რომელიც ამ აღიარების შემდეგ რჩება პირში, გაუფასურებულია, როგორც რაღაც ცრუ ჩვენება; ხოლო მართლაც რომ აღმოჩენილიყო ისეთი შერეკილი, რომელიც ყოველივე ამას მართალი და წრფელი გულით გააკეთებდა და დაამტკიცებდა კიდევ შესაბამისი ჯილდოს აპრიორული უარყოფით, უეჭველია, რომ იგი თვით რეჟიმისათვის იქნებოდა საეჭვო.

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული სახით ჩვენ ყველანი მოსყიდულები ვართ; თუ საწარმოში იკისრება ამა და ამ ვალდებულებას, /ცხადია, არავითარ შემთხვევაში არა როგორც ყველასათვის, არამედ როგორც მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელობისათვის მსახურების საშუალებას/, დაგასაჩუქრებთ ამა და ამ უპირატესობით. თუ შეხვალ ახალგაზრდულ კავშირში, მოიპივებ ამა და ამ გართობის უფლებასა და საშუალებას. თუ, როგორც შემოქმედი მიიღებ მონაწილეობას ამა და ამ საქმეში, დასაჩუქრლები ჭეშმარიტი შემოქმედებითი შესაძლებლობებით. იფიქრე რაც გინდა, თუ გარეგნულად დაგვეთანხმები, თუ ხელს არ შეგვიშლი, თუ დათრგუნავ შენს მიდრეკილებას სიმართლისა და სინდისისადმი — კარები შენთვის ყურთამდე ღია იქნება.

მაშასადამე, თუკი საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების ძირითადი პრინციპი გარეგნული ადაპტაციის პრინციპია, მაშინ როგორი თვისებები უნდა იქნას მობილიზებული ხალხში და რა ხალხი შეიძლება მოექცეს სათავეში?

შიშით მართული სამყაროს წინაშე და სამყაროს შეტევით მოპოვებას შორის, რასაც პირადი კეთილდღეობისაკენ მისწრაფება მართავს, არსებობს სფერო, რომლის მხედველობაში არმიღება შეცდომა იქნებოდა, რადგან ისიც მნიშვნელოვანწილად ქმნის დღევანდელი “ერთიანი საზოგადოების” მორალურ კლიმატს. ეს სფერო არის გულგრილობა და ყოველივე ის, რაც მასთან არის დაკავშირებული.

არც თუ ისე შორეული ისტორიული ძვრებისა და იმის შემდეგ, თუ რა სისტემა იქნა სტაბილიზირებული მსოფლიოში, ხალხმა თითქოს დაკარგა მომავლის რწმენა, სიმართლისა და უფლებებისათვის ბრძოლის მნიშვნელობის აზრი, ის უარს ამბობს ყველაფერზე, რაც აღემატება მის ყოველდღიურ საზრუნავს, პირადი უზრუნველყოფის ფარგლებს, ეძებს თავის დაღწევის სხვადასხვა ხერხებს; ეძლევა აპათიას, არ აინტერესებს არაფერი, რაც მის პირად ინტერესებზე მაღლა დგას, გულგრილი ხდება თავისი გარემოს მიმართ, ეუფლება სულიერი პასიურობა და დებრესია. ხოლო ის, ვინც ცდილობს მათთვის წინააღმდეგობის გაწევას — იმიტომ, რომ მაგალითად, უარყოფს მიიღოს თვალთმაქცობის პრინციპი, როგორც საარსებო გამოსავალი, რადგან ეჭვი ეპარება თვით ამგავარი რეალიზაციის ღირებულებაში, რომლის საფასურიც საკუთარი თავისადმი გაუცხოებაა — სულ უფროდაუფრო გაგულგრილებულ გარემოს შერეკილად, გიჟად, დონკიხოტად ევლინება და ბოლოს, მას აუცილებლად უყურებენ უკმაყოფილების გარკვეული ღოზით, როგორც ყველას, ვინც ისე არ იქცევა, როგორც სხვები, ხოლო რადგან იგი თავისი საქციელით მთელ გარემოს ახედებს კრიტიკის სარკეში, მას განსაკუთრებით ემუქრება საფრთხე. ან მეორე შესაძლებლობა — გაგულგრილებული საზოგადოება გარეგნულად ასეთ ერთეულს სდევნის და გაურბის, როგორც ამას მისგან მოითხოვენ, ხოლო საიდუმლოდ ან ვიწრო წრეში იგი მისდამი სიმპატიას ამჟღავნებს; იმის იმედით, რომ ამ დაფარული სიმპატიის გამოხატვით იმის მიმართ, ვინც ისე იქცევა, როგორც თავად უნდა იქცეოდეს, მაგრამ არ შეუძლია, — დაამშვიდებს თავისი სინდისის ქენჯნას.

პარადოქსულია, მაგრამ ეს გულგრილობა ნამდვილად ძალიან აქტიური საზოგადოებრივი ფაქტორია: იქნებ ბევრი საარჩევნო უბანთან, კრებებზე, ოფიციალურ ორგანიზაციებში შიშის გამო კი არა, უბრალოდ გულგრილობის გამო მიდის? განა არ არის რეჟიმისადმი მოჩვენებითი პოლიტიკური მხარდაჭერის ამგვარი წარმატება ხშირად მხოლოდ ჩვევის, გაწაფულობის, ავტომატიზმისა და უდარდულობის საქმე, რომლის უკანაც სხვა არაფერი იმალება, გარდა ტოტალური მორჩილებისა? ყველა იმ პოლიტიკურ რიტუალებში მონაწილეობის მიღებას, რომლებსაც არ სწამს, არა აქვს აზრი, მაგრამ ეს უზრუნველყოფს სიმშვიდეს, მაშ რაღა აზრი ექნებოდა მათში მონაწილეობის არ მიღებას? ამით ადამიანი ვერეფერს მიაღწევდა და სიმშვიდესაც გამოესაღებოდა.

ხალხის უმრავლესობას არ სურს სახელმწიფო ხელისუფლებასთან მუდმივ კონფლიქტში ყოფნა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ასეთი კონფლიქტი არ შეიძლება დასრულდეს სხვაგვარად, თუ არა იზოლირებული ინდივიდის დამარცხებით. მაშ რატომ არ უნდა გააკეთოს ადამიანმა ის, რაც მოეთხოვება? ეს ხომ მას არაფრად უღირს, თანდათანობით კი ამაზე საერთოდ წყვეტს ფიქრს: ეს მას დასაფიქრებლადაც კი აღარ უღირს.

უიმედობას აპათიისაკენ მიჰყავს, აპათიას შემგუებლობისაკენ, შემგუებლობას შესრულების ჩვევისაკენ /რაც შემდეგ მასობრივი პოლიტიკური აქტიურობის საბუთად გამოიყენება/, ყოველივე ეს ერთად ქმნის ეპოქალურ წარმოდგენას ეგრეთწოდებულ ნორმალურ ქვეყანაზე – თავისი არსით ღრმად პესიმისტურ წარმოდგენას.

რაც უფრო მეტად უარყოფს ადამიანი საერთო პირობების გამოსწორების შესაძლებლობასა და საერთოდ ყველა არაპირდაპირ ფასეულობას და მიზანს, ე.ი. მოქმედების შესაძლებლობას “გარეთა” მიმართულებით, მით უფრო მეტად მიემართება მისი ენერგია იქით, სადაც მას შედარებით მცირე მოთხოვნებს უყენებენ: “შიგნითა” მიმართულებით. ხალხი გაცილებით უფრო მეტს ფიქრობს თავის თავზე, თავის ოჯახზე, იქ პოულობს სიმშვიდეს, იქ თავისუფლად შეუძლია მოუნახოს გამოყენება თავის შემოქმედებით მისწრაფებებს. შოულობს სახლის მოწყობილობას, ლამაზ ნივთებს, სურს თავისი ცხოვრების დონის ამაღლება, სასიამოვნოს იხდის ცხოვრებას, იშენებს აგარაკებს, უვლის მანქანებს, მეტ ყურადღებას ანიჭებს კვებას, ჩაცმას, სახლის კომფორტს, უბრალოდ, პირველ რიგში ორიენტაციას იღებს თავისი პირადი ცხოვრების მატერიალურ პარამეტრებზე.

რასაკვირველია, ამ სოციალურ ორიენტაციას აქვს თავისი დადებითი ეკონომიკური შედეგები: მისი წნეხით ვითარდება უყურადღებოდ მიტოვებული ფართო მოხმარების საგნების წარმოების სფერო და საყოფაცხოვრებო სამსახურები; იგი გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის ამაღლებაზე, ეკონომიკური თვალსაზრისით იგი დინამიური ენერგიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომელსაც ძალუქს ნაწილობრივ მაინც შეასრულოს მატერიალური სიმდიდრის განვითარების სფეროში ის ამოცანები, რომლებსაც ტლანქი, ბიუროკრატიული და ნაკლებადპროდუქტიული ეკონომიკა გაჭირვებით გაუძლავდებოდა /შედარებისათვის საკმარისია მოვიხმოთ კერძო და სახელმწიფო მშენებლობის ხარისხი/.

ხელისუფლება “პირად” სფეროში ენერგიის ჩაღვრას მიესალმება და მხარს უჭერს. მაგრამ რატომ?

იმ შედეგებისათვის, რომელსაც იგი მოიპოვებს ეკონომიკური განვითარების ხელსაყრელი სტიმულის სახით? ცხადია, ესეც /თანამედროვე პოლიტიკური პროპაგანდისა და პრაქტიკის მთელი სული, რომელიც შეუმჩნევლად, მაგრამ სისტემატიურად აღრმავებს ამ ორიენტაციას “შიგნით”, სამყაროში ადამიანის უპირადულესი შინაარსის რეალიზაციისაკენ, სინამდვილეში ძალიან ნათლად ამჟღავნებს, თუ რატომ მიესალმება ხელისუფლება ასე ძალიან ენერგიის ამ მოზღვაებას: პირველ ყოვლისა იმისათვის, რასაც იგი წარმოშობის შესაბამისად – ფსიქოლოგიურად წარმოადგენს, ანუ “საზოგადოებრივი” სფეროდან მის გამოსაძევებლად. რაკი სწორად გრძნობენ, რომ ამოქაჩული, “გარეთა” მიმართულებით გამოსადეგი ძალები ადრე თუ გვიან მათ წინააღმდეგ იქნება მიმართული, /ანუ მათი იმ სახის წინააღმდეგ, რომლის დათმობასაც აპირებენ/, უყოყმანოდ ასაღებენ ადამიანის ცხოვრებას იმად, რაც სინამდვილეში მხოლოდ მის განწირულ სუროგატს წარმოადგენს. ასე და ამგვარად, საზოგადოების ყურადღება – მისი მშვიდად ჰერობის მიზნით – მიზანდასახულად არის შერუნებული თვით მისგან ანუ საზოგადოებრივი საქმეებისაგან. მაშასადამე, ადამიანის მთელი ყურადღების გაფაცვიცხამ მის წმინდა სამომხმარებლო ინტერესებზე მას უნდა მოუსპოს თავის მიმართ ჩადენილი მზარდი სულიერი, პოლიტიკური და მორალური ძალადობის ხარისხის აღქმის შესაძლებლობა. სამომხმარებლო საზოგადოების იდეალების ერთგანზომილებიან მატარებელად მისმა დაკნინებამ იგი უნდა გადააქციოს კომპლექსური მანიპულაციის დამთმობ მასალად; საფრთხე, რომ შესაძლებელია იგი ააფორიაქოს რომელიმე იმ უთვალავ და გაუთვალისწინებელ შესაძლებლობათაგანმა, რომელიც მას გააჩნია როგორც ადამიანი, ძირშივე უნდა იქნას დათრგუნული მისი დატყვევებით შესაძლებლობათა საცოდავ ჰორიზონტში, რომელიც მას აქვს, როგორც მომხმარებელს ცენტრალიზებულად მიმართული ბაზრის შეზღუდულ პირობებში.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ საზოგადოებრივი ძალაუფლება იქცევა იმ არსების ადექვატურად, რომლის ერთადერთი მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ თვითშენარჩუნებაა; ცდილობს რა, შეინარჩუნოს უმცირესი წინააღმდეგობის გზა, იგი სრულებით არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ ეს არის საფასური მკაცრი შეტევისა ადამიანურ მთლიანობაზე, ადამიანის ბრუტალური შეზღუდვისა, როგორც ადამიანისა.

ამასთან ერთად იგივე ხელისუფლება ჯიუტად ქადაგებს თავისი რევოლუციურ იდეოლოგიას – ადამიანის ყოველმხრივი გათავისუფლების იდეალითურთ მის ცენტრში! სინამდვილეში კი რა იქნა ადამიანი, რომელიც კომპლექსურად ავითარებს თავის პიროვნებას? ადამიანი, გათავისუფლებული გამაუცხოებელი საზოგადოებრივი აპარატისაგან, ცხოვრებისეული მისტიფიცირებული იერარქიისაგან, გაფორმალურებული თავისუფლებისაგან, ქონების დიქტატურისა და ფულის მაფეტიშებული ძალისაგან? ადამიანი, რომელიც სრულად ღებულობს სიამოვნებას სოციალური და იურიდიული სამართლიანობისაგან, რომელიც შემოქმედებითად იღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მმართველობაში, ამაღლებული ადამიანური ღირსების მწვერვალამდე და საკუთარ თავთან დაბრუნებული? ნაცვლად იმისა, რომ ადამიანმა თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავისუფლად განავითაროს სულიერი

მოთხოვნები, მას სთავაზობენ იმის შესაძლებლობას, რომ თავის ნებაზე გადაწყვიტოს მაცივრისა თუ სარეცხი მანქანის რომელი სახეობა შეიძინოს.

ანდა: წინ მაღალი ჰუმანისტური იდეალების წარმოსადგენი ნაგებობა არის აღმართული, მის უკან კი – სოციალისტური ობიექტების მოკრძალებული სახლი! ერთ მხარეს მაღალფარდოვანი ლოზუნგები ყოველგვარი თავისუფლების არნახულ განვითარებასა და სიცოცხლის არნახულ სტრუქტურულ სიმდიდრეზე; მეორე მხარეს კი – შოვნამდე დაკნინებული სიცოცხლის არნახული უფერულობა და სიცარიელე.

სადღაც მანიპულაციური წნეხის მწვერვალზე, რომელიც ადამიანისაგან ქმნის მომხმარებელთა ჩლუნგი ჯოგის მორჩილ წარმომადგენელს, დგას – როგორც უკვე შევნიშნე – ფარული და ყოვლისშემძლე ძალა: სახელმწიფო პოლიცია. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მის მიხედვით შეიძლება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გაკეთდეს ილუსტრირება უფსკრულისა იდეოლოგიურ ფასადსა და ყოველდღიურ სინამდვილეს შორის. ყველასათვის, ვისაც ჰქონია საშუალება საკუთარ ტყავზე ეგრძნო ამ ინსტანციის “სამუშაო ხელწერა”, სასაცილოდ ჟღერს მისი არსის ჩვენთვის ოფიციალურად განკუთვნილი განმარტება. ან იქნებ იმის დაჯერება შეიძლება, რომ ათასი წვრილი მახეზდარას, პროფესიონალი დამსმენის, დაკომპლექსებული, ვერაგი, შურიანი, ბოროტგანმზრახველი პროვინციალის და ბიუროკრატიის ბინძური ძრწოლა, დაღაბის ეს აყროლებული ხროვა, ალიბიზმი, ტყუილები, ჭორები და ინტრიგები – იმ მშრომელის ხელწერაა, რომელიც თავის სახალხო მთავრობას და მის რევოლუციურ მონაპოვარს იცავს მისი მტრებისაგან?

ყველაფერი თავის ადგილზე რომ იყოს, მშრომელთა დემოკრატიის მტერი სწორად ეს ყველაფერზე წამსვლელი, უთაბლო ობიექტული უნდა ყოფილიყო, რომელიც თავის დაკოჭლებულ ადამიანურ თავდაჯერებულობას თანამოქალაქეთა დაბეზლებით იკურნავს და რომელიც ასე კარგად ამოიცნობა საიდუმლო პოლიციის ყოველდღიური პრაქტიკის მიღმა, როგორც მისი “სამუშაო ხელწერის” სულიერი შემქმნელი. ვფიქრობ, რომ თეორიისა და პრაქტიკის მთელი ეს გროტესკული ურთიერთწინააღმდეგობა ძნელად აიხსნება სხვაგვარად, თუ არა როგორც ბუნებრივი შედეგი დღევანდელი სახელმწიფო პოლიციის ნამდვილი მისიისა, რომელიც ადამიანის თავისუფალი განვითარების ძალაუფლებისაგან დაცვას კი არ წარმოადგენს, არამედ პირიქით, მოძალადეების დაცვას იმ საფრთხისაგან, რომელიც მისთვის ადამიანის ჭმარითად თავისუფალი განვითარების ყოველი ცდა წარმოადგენს.

ალბათ, არ არის საჭირო განსაკუთრებული ფანტაზია იმისათვის, რომ ადამიანი მიხვდეს: ასეთი სიტუაცია შეუძლებელია მივიდეს რამე სხვამდე, თუ არა მორალური ნორმების თანდათანობით კოროზიასთან, ზრდილობის ყველა საზომის მსხვერველსა და ნდობის სრულ შერყვნასთან ისეთი ღირებულებების თვალსაზრისით, როგორიცაა სიმართლე, პრინციპულობა, გულანდილობა, უანგარობა, ღირსება და პატივი; შეუძლებელია არ მივიდეს არსებობის დაქვეითებამდე ვეგეტაციის დონემდე, ანუ “სიღრმულ” დემორალიზაციამდე, რომელიც სასოწარკვეთილებიდან და ცხოვრების აზრის შეგრძნების კრიზისიდან გამომდინარეობს; შეუძლებელია არ მივიდეს რაიმე სხვამდე, თუ არა თანამედროვე ტექნიკურ ცივილიზაციაში ადამიანის საერთო მდგომარეობის იმ ტრაგიკული ასპექტის ახლებურად წარმოდგენამდე, რომელიც დაკავშირებულია ჰორიზონტიდან აბსოლუტის გაქრობასთან და რომელსაც მე ვუწოდებდი ადამიანური იდენტურობის კრიზისს, – ან იქნებ სისტემას, რომელიც ასე მკაცრად მოითხოვს მისგან იქცეს ვიღაც სხვად, ვიდრე ის არის, შეუძლია დაამუხრიჭოს ადამიანის იდენტურობის გამიჯვნა საკუთარი თავისაგან?

წესრიგი მიღწეულ იქნა. სულის მოკვდინების, გულის დაჩლუნგებისა და ცხოვრების დაცარიელების გზით.

მიღწეულ იქნა შინაგანი კონსოლიდაცია. საზოგადოების სულიერი და მორალური კრიზისის ფასად.

რა თქმა უნდა, ყველაზე ცუდი ამ კრიზისში ისაა, რომ იგი ღრმავდება: საკმარისია ყოველდღიურობის შეზღუდულ პერსპექტივაზე სულ ოდნავ ამაღლება, რომ ძრწოლოთ აღვიქვამთ, რა სწრაფად თმობს ყოველი ჩვენგანი იმ პოზიციას, რომლის დათმობასაც ჯერ კიდევ გუშინ უარყოფდით; რასაც ჯერ კიდევ გუშინ საზოგადოებრივი შეგნება უზნეობად აღიქვამდა, დღეს ამართლებს, რათა იგი ხვალ ბუნებრივად ჩაითვალოს, როგორც ზრდილობის მაგალითი. რაზედაც ჯერ კიდევ გუშინ ვაცხადებდით, რომ არასოდეს მივეჩვეოდით, ან მიუღებლად მიგვაჩნდა, დღეს ყოველგვარი გაოცების გარეშე უურიგდებით მას, როგორც რეალობას. ხოლო იმას, რასაც ცოტა ხნის წინ ჩვეულებრივ ამაღ ვთვლიდით, დღეს გამონაკლისად მივიჩნევთ და ვინ იცის, იქნებ ცოტა ხანში მიუწვდომელ იდეალადაც კი ჩავთვალოთ.

“ბუნებრივი” და “ნორმალური” საზომების შეცვლა და გადახრა მორალურ შეგნებაში, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში საზოგადოებაში მოხდა, უფრო საგრძნობია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

სენი ნაყოფიდან და ფოთლებიდან თითქოსდა ხის შტამზე და ფესვებზე გადადის. მამასადამე, საშიშროების ჭეშმარიტ საფუძველს წარმოადგენს ის პერსპექტივა, რომელსაც თანამედროვე ვითარება გვაძლევს.

საზოგადოების თვითშემეცნების ძირითადი იარაღი – მისი კულტურაა, კულტურა, როგორც ადამიანური საქმიანობის კონკრეტული სფერო, რომელიც გავლენას ახდენს – თუმცა ზოგჯერ სრულიად არა უშუალოდ – სულის საერთო მდგომარეობაზე და ამავე დროს ამ ვითარების გავლენის ქვეშ იმყოფება.

იქ, სადაც საზოგადოების ტოტალური პერობით ტოტალურად იხშობა მისი შინაგანი დიფერენცირებული განვითარება, სრულიად კანონზომიერად უპირველესად კულტურაა ჩანს: არა მარტო “ავტომატურად”, როგორც რაღაც, რაც მთელი თავისი ონტოლოგიური არსით ყოველი საზოგადოებრივი მანიპულაციის “სულის” საწინააღმდეგოა, არამედ “პროგრამულად”: გამართლებული შიშით, რომ, პირველ ყოვლისა, სწორედ კულტურის მეშვეობით აღრმავებს ადამიანი თავის თავისუფლებას და აღმოაჩენს ჭეშმარიტებას და რატომ უნდა აინტერესებდეს ძალაუფლებას იგი, როცა მისი არსი სწორედ ამ ღირსების ჩანს. ასეთი ძალაუფლება ხომ მხოლოდ ერთადერთ “სიმართლეს” აღიარებს: იმას, რომელიც ესაჭიროება და ერთადერთ “თავისუფლებას” – ამ “სიმართლის” გამომხატველს.

ასეთი “სიმართლის” სამყარო, რომელიც ჭეშმარიტი შემეცნების დიალექტიკით კი არა, არამედ მხოლოდ გამეფებული ინტერესების კლიმატით სულდგმულობს, არის სამყარო აზრობრივი სტერილურობისა, გაქვავებული დოგმებისა, მკაცრი და ტლანქი დოქტრინებისა და პრაგმატული უკანონობისა, როგორც მისი ბუნებრივი შედეგისა.

ეს არის აკრძალვათა, შეზღუდვათა, ბრძანებათა მკაცრი სამყარო, სადაც კულტურულ პოლიტიკად პირველ რიგში კულტურული პოლიციის საქმიანობა ითვლება.

უკვე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა ჩვენი თანამედროვე კულტურის განადგურებაზე; ასობით აკრძალულ მწერალსა და წიგნზე, ასობით გაუქმებულ ჟურნალზე; ყველა საგამომცემლო და რეპერტუარულ საშუალებათა მოსპობაზე და საერთო სულიერ მდგომარეობაზე; ერთი მეორის მიყოლებით კომუნიკაციის ყველა საშუალების გაწყვეტაზე; საგამოფენო დარბაზების დაცარიელებაზე, დენის იმ განსაკუთრებულ პალიტრაზე, რომელიც ამ სფეროში გამოიყენება. აქამდე არსებული შემოქმედებითი ორგანიზაციების და სამეცნიერო დაწესებულებების ნგრევაზე და მათ შეცვლაზე რაღაც ბუტაფორიებით, რომელსაც მართავენ აგრესიული სექტანტები, ცნობილი კარიერისტები, გამოუსწორებელ ლაჩართა და არაფრისმაქნის პატივმოყვარეთა ზრგები, რომლებიც ამ საყოველთაო ვაკუუმში ჩაეჭიდნენ თავის დიდ შანსს. მე არ მოვყვები ყოველივეს თავიდან აღწერას, შევეცდები ჩავუფიქრდე ამ ვითარების ზოგიერთ ღრმა ასპექტს, რომელიც ამ წერილის თემასთანაა დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა, რა მძიმეც არ უნდა იყოს დღევანდელი სიტუაცია, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს კულტურა საერთოდ არ არსებობდეს. თეატრებში იდგმება სპექტაკლები, ტელევიზია ყოველდღიურად მუშაობს, წიგნები იბეჭდება. ამ საზოგადო, ლეგალურ კულტურას აქვს ერთი ძირითადი ნიშანი: მისი საერთო გარეგნულობა, გამოწვეული მისივე ჭეშმარიტი არსის სრული გაუცხოებით სწორედ როგორც მისი ნამდვილად ადამიანური იარაღისა და მამასადამე საზოგადოებრივი თვითშემეცნების ტოტალური დასაჭურისების ფორმით. და რადგანაც დღესაც გამობრწყინდება ხოლმე უმაღლესი ღირებულება, მაგალითად – ხელოვნების სფეროში თუ დავრჩებით – შესანიშნავი სამასხიობო შესრულება, მას ანგარიში ეწევა მხოლოდ მისი სუბტილურობის და სუბლიმაციის ანუ ძალაუფლების თვალსაზრისით საზოგადოებრივ-შემეცნებითი წვდომის შედარებითი უვნებლობის გამო. მაგრამ აქაც, როგორც კი ეს მისწრაფება უფრო მკაფიოდ შეიგრძნობა – ხელისუფლება ინსტიტუტურად იწყებს თავდაცვას /ცნობილია შემთხვევა, როდესაც კარგი მსახიობი მხოლოდ იმიტომ აკრძალეს, რომ იგი ძალიან კარგი იყო/.

ამ შემთხვევაში ამაზე არ არის საუბარი. მე მაინტერესებს ის საკითხი, თუ როგორ გამოიხატება გაგარეგნულება იმ სფეროში, რომელიც ფლობს სამყაროს ადამიანური გამოცდილების სახელების გაცილებით უფრო სრულყოფილ საშუალებას და მამასადამე, რომელიც უფრო ნათლად ასრულებს საზოგადოებრივ-თვითდამკვიდრებით ფუნქციას.

მოვიყვან მაგალითს: ვთქვათ გამოქვეყნდა – ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე – ლიტერატურული ნაწარმოები, მაგალითად, პიესა, რომელსაც ვერ დაუწუნებ ვერც ოსტატობას, ვერც შთაბეჭდაობას, ვერც გონივრულობასა და გონებაშეხილობას. როგორიც არ უნდა იყოს ეს ნაწარმოები, ერთ რამეში უეჭველად შეიძლება ვიყოთ დარწმუნებულნი: ცენზურისა თუ ავტოცენზურის, ავტორის ტიპისა ან თვითმოტყუების, მორჩილებისა თუ ანგარიშმიანობის წყალობით, იგი ერთი სანტიმეტრითაც კი არ გასცილდება იმ პირობით ბანალურ და მამასადამე, გაყალბებული საზოგადოებრივი შეგნების ფარგლების ფეტიშიზმს, რომელსაც სამყაროს აუთენტურ გამოცდილებად ასაღებს და ამ გამოცდილების მხოლოდ და მხოლოდ მირაჟს, მოჩვენებითობას იღებს, რომელიც დამყარებულია ზედაპირულ, გაშალაშინებულ და გაცვეთილ გამოცდილებაზე, ე.ი. გამოცდილების რაღაც მკვდარ აჩრდილებზე, რომლებიც საზოგადოებამ დიდი ხანია მიიღო და გაითავისა კიდევ. ამგვარი ნაწარმოები ამისდა მიუხედავად, ან უფრო სწორად, ამის გამო – გარკვეულ ხალხს ართობს, მბავს, აღელვებს, ათასი რამით აინტერესებს და ამასთან ერთად იგი ერთხელაც კი არ გაიფიქრებს ჭეშმარი-

ტი შემეცნების ამოფრქვევით, აქამდე შეუცნობადის გამომჟღავნებით, აქამდე გამოუთქმელის გამოთქმით, ანდა ახალის, თვითნაბადის და შთამბეჭდავის სიცხადით. მოკლედ რომ ითქვას, რეალური სამყაროს იმიტაციით ამგვარი ნაწარმოები საფუძველშივე ახდენს რეალური სამყაროს ფალსიფიკაციას. და როდესაც შემდეგ საქმე ეხება უკვე ამ გაგარეგნულების კონკრეტულ სახეს, შემთხვევითი არ არის, რომ ხშირად იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ცხოველყოფილი მზის ქვეშ, იქნება ეს ბურჟუაზიული, თუ პროლეტარული: ვლადიმერ პეტროვიჩი ბანალოვროვიჩი, რომელიც ჩაქსოვილია ობიექტუალური მორალის კეთილგანწყობილ განზომილებაში; ვლადიმერ პეტროვიჩი ურთიერთობის სენტიმენტალურ ფილოსოფიაზე; “სამზარეულოს” სამყაროს ზედაპირულ კონცეფციაზე, რომელიც მისი უწყინარობის რწმენაზეა დამყარებული, საუბარი მაქვს იმ ესთეტიკაზე, რომლის ხერხემაღლასაც ჩვეულებრივ ის კულტი წარმოადგენს, რომელიც დაფუძნებულია ეროვნული თვითკმაყოფილების ფუნდამენტზე, მართული დაწვრილმანების, დაქუცმაცების და გაშალაშინების პრინციპით, რომელიც მოგვიანებით იღვრება ლოზუნგის – “სიმართლე იმარჯვებს” – ყველაზე მდაბალი ინტერპრეტაციის ყალბ ოპტიმიზმში.

ის ნაწარმოებები, რომელნიც მთავრობის პოლიტიკური იდეოლოგიის ბელეტრიზაციას წარმოადგენენ, ძალიან ცოტაა და პროფესიონალური თვალსაზრისით თვალსაჩინოდ დაბალ დონეზეა შესრულებული. არა მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ არის მათი შემქმნელი, არამედ იმიტომაც, რომ არსებითად, რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩვენი დღევანდელი სამომხმარებლო სიცოცხლის კონცეფციის თვალსაზრისით მათ მაინცდამაინც არც მიესაღებოდა; ასეთი ნაწარმოებები პროფესიონალურად კარგადაც რომ ყოფილო შესრულებული და ვინმეს მათთვის ძალიან მიზანდასახულად თვალი რომ ედევნებინა “იქითა” მიმართულებით, იგი გადასწინდა ძველ ჭრილობებს, საერთო და რადიკალური პოლიტიკურობით გამოიწვევდა საერთო და რადიკალურ პოლიტიკურ რეაქციას და ამით ძალიან აამღვრევდა წყალს, რომელიც რაც შეიძლება გაშეშებული უნდა რჩებოდეს. დღევანდელი ხელისუფლების ჭეშმარიტ ინტერესებს გაცილებით უფრო მეტად აძლევს ხელს ის, რასაც მე ესთეტიკური ბანალურობა ვუწოდებ. სიმართლეს ეს გაცილებით უფრო შეუმჩნევლად, მისაღებად და დამაჯერებლად სცილდება და პირობითი შემეცნება, ბუნებრივია, უფრო უკეთ ითვისებს მას, ასე რომ, მას გაცილებით უკეთესად შეუძლია შეასრულოს მიზანი, რომელსაც ცხოვრების სამომხმარებლო კონცეფცია იყენებს: არ შეაშფოთოს სიმართლე და დააშოშმინოს სიცრუე.

ასეთი ტიპის შემოქმედება, რა თქმა უნდა, მუდამ უფრო დიდი რაოდენობით მოიძევებოდა. აქამდე ჩვენთან მაინც ყოველთვის არსებობდა ჭუჭყრუტანა, საიდანაც საზოგადოებამდე აღწევდა შემოქმედება, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ ასე თუ ისე უზრუნველყოფდა უფრო აუთენტურ თვითშემეცნებას. მართალია, ასეთი შემოქმედების გზა არასოდეს ყოფილა ადვილი – მისგან თავს იცავდა არა მარტო ხელისუფლება, არამედ მოხერხებული და ინერტული პირობითი შემეცნებაც, მაგრამ აქამდე ყოველთვის, რაღაც ილუზიური, დახლართული და იშვიათად კი პირდაპირი გზებით მაინც აღწევდა ადამიანამდე და საზოგადოებამდე და იქ კულტურის საზოგადოებრივ-თვითშეგნებით ფუნქციას ასრულებდა.

საქმე სწორედ ამაშია. ეს მე უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, მაგრამ სწორედ ის მოახერხა თანამედროვე მთავრობამ – და ამის დამტკიცებაც შეიძლება, რომ ეს პირველად მოხდა ჩვენი სახალხო აღორძინების შემდეგ – რომ თითქმის სრულიად შეუძლებელი გახდა იგი: ისეთი დახვეწილია დღეს კულტურის ბიუროკრატიული ჰერმეტიკა, ისე სრულყოფილად არის იგი ინფორმირებული ყველა ჭუჭყრუტანაზე, საიდანაც სამყაროში შეიძლება უმნიშვნელოვანესმა ნაწარმოებებმა გამოჟონოს, ისე ძლიერ არის შეპყრობილი შიშით კულტურის წინაშე ეს ჯგუფი, რომელმაც თავის ჯიბეში ყველა კარის ყველა გასაღები დაახვეჭა.

უეჭველად ზედებით, რომ ამჟამად ვსაუბრობ არა ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალულ შემოქმედთა მრავალგვერდიან “შავ სიაზე”, რომელშიც აპრიორულადაა შეტანილი ყველაფერი, რამაც შეიძლება გაიელვოს ორიგინალური აზრით, გამჭრიახობით, გულახდილობის მაღალი დონით, ორიგინალური იდეით, სუბსტიტუირი ფორმით – ვლადიმერ პეტროვიჩი ვინაგანად თავისუფალის დაპატიმრების ბრძანებაზე, მაშასადამე, – კულტურულობაზე, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით. მე ვლადიმერ პეტროვიჩის დაპატიმრების ბრძანებაზე, რომელიც თქვენმა მთავრობამ გასცა.

ეს ისევ ბადებს კითხვას, რომელსაც აქ დასაწყისიდანვე ვსვამ: მაინც რას ნიშნავს ყოველივე ეს სინამდვილეში? საით მივყავართ ამაში? რა დღეში ჩაადგება ეს საზოგადოება?

ისევ მაგალითს მივმართავ: როგორც ცნობილია, ჩვენთან გამოსვლა შეწყვიტა აქამდე არსებული კულტურული ჟურნალების უმრავლესობამ; ხოლო თუკი რომელიმე დარჩა, ისეა გაუფასურებული, რომ არც ღირს მისით თავის შეწუხება.

რა დაემართა მათ?

ერთი შეხედვით სულაც არაფერი: საზოგადოება განაგრძობს არსებობას ყველა იმ ლიტერატურული, სამხატვრო, თეატრალური, ფილოსოფიური, ისტორიული და სხვა ჟურნალების გარეშე, რომელთა რაოდენობაც თუმცა არც მათი არსებობის პერიოდში პასუხობდა საზოგადოების ლიტერატურულ მოთხოვნილებებს, მაგრამ ისინი არსებობდნენ და თავის როლს ასრულებდნენ. რამდენ ხალხს აკლია დღეს ეს ჟურნალები? მათ რამდენიმე ათეულ ათას აბონენტს, ანუ საზოგადოების ძალზე მცირე ნაწილს.

მიუხედავად ამისა, საქმე ეხება უსასრულოდ ღრმა და მნიშვნელოვან დანაკარგს, ვიდრე ეს შეიძლება რაოდენობრივი თვალსაზრისით მოგვეჩვენოს. ამ დანაკარგის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, დაფარულია და ძნელია მისი გამოხატვა რამე ზუსტი მონაცემებით.

ასეთი ჟურნალების ძალადობით ლიკვიდაცია – ვთქვათ, “თეატრალური რევიუ” თეატრის ხაზით – არა მხოლოდ მკითხველების გაღარიბებაა და არც მხოლოდ მკაცრი ჩარევა თეატრალურ კულტურაში, არამედ ამასთანავე და უპირველეს ყოვლისა ყოველივე ეს საზოგადოების გარკვეული თვითშემეცნებელი ორგანოს ლიკვიდაციაა და როგორც ასეთი, უეჭველად რაღაც ძნელად აღსაწერი ჩარევაა ნივთიერებათა ცვლის რთულ ციკლში, რომელიც ასულდგმულებს იმ მრავალმნიშვნელოვან ორგანიზმს, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება წარმოადგენს; იმ ბუნებრივი პროცესის დინამიურობის გაუკუღმართებაა, რომელიც ამ ორგანიზმში მიმდინარეობს, მისი მრავალფეროვანი ფუნქციების გაწონასწორებული ჰარმონიის დარღვევაა, რომელიც შეესაბამება მის მიერ მიღწეული საფეხურის სტრუქტურულობას და ისევე, როგორც გარკვეული ვიტამინის უკმარისობას – რომელიც წილობრივი თვალსაზრისით ხალხის კვებაში უწყურადღებოდ დასატოვებელი ფაქტორია – მაინც შეუძლია გამოიწვიოს დაავადება ადამიანში, საზოგადოებრივ ორგანიზმში – ხანგრძლივ პერსპექტივაში ასეთი ჟურნალის დაკარგვასაც შეიძლება მოყვეს გაცილებით უფრო დიდი ზარალი, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მაშ, რაღა მოხდება, თუკი საქმე ეხება არა ერთ, არამედ ყველა ჟურნალის გაქრობას?

ადვილად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ კულტურული საზოგადოების სტრატეგიული სამყაროში შემეცნების, აზროვნებისა და შემოქმედების ჭეშმარიტი აზრი არასოდეს არაა მთლიანად ამოწურული იმ მნიშვნელობით, რომელიც ამ ღირებულებას აქვს პირთა ფიზიკური წრისათვის, რომლებსაც მასთან – პირველ პლანზე, საწყისში, “ფიზიკურად” – აქტიურად თუ პასიურად აქვთ საქმე. ეს რაოდენობა თითქმის ყოველთვის ძალიან მცირეა, განსაკუთრებით კი მეცნიერებაში ხელოვნებასთან შედარებით და მაინც, მიუხედავად ამისა, შემეცნება, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, შეიძლება საბოლოოდ ძალიან ღრმად შეეხოს მთელ საზოგადოებს, რაც მრავალგზის გაუმუალებელი გზითაა მოპოვებული. ისევე, როგორც ყოველ ჩვენგანს “ფიზიკურად” ეხება პოლიტიკა, რომელიც ანგარიშს უწევს ატომურ საფრთხეს, განა ჩვენმა უმრავლესობამ “ფიზიკურად” არ გამოცდა საკუთარ თავზე თეორიულ-ფიზიკური სპეკულაცია, რომელსაც ატომური ბომბის მშენებლობისკენ მივყავდით. ეს რომ ჰუმანიტარულ აზროვნებაშიც ასეა, ამას ადასტურებს ისტორიის უამრავი მაგალითი მთელი საზოგადოების კულტურული, პოლიტიკური და მორალური აღმავლობიდან, რომლის პირველადი მაკრისტალელები ბირთვი ან კატალიზატორი იყო არა მხოლოდ აღსრულებული საზოგადოებრივ-შემეცნებითი ქმედება, არამედ, “ფიზიკურად” განცდილიც პიროვნებათა მეტად მცირე და გამორჩეული წრის მიერ. ეს ქმედება შემდეგაც შეიძლება დარჩენილიყო საზოგადოების, როგორც მთლიანობის, პირდაპირი აპერცეფციის საზღვარს მიღმა – და, მიუხედავად ამისა, ეს მისი წარმოდგენილი აღმავლობის წინაპირობა იყო! არასოდეს ვიცით წინასწარ, თუ შემეცნების შეუმჩნეველი, ამოვარდნილი ორგანიზმის თვითშეგნებაზე დახელოვნებული უჯრედი მოულოდნელად როდის გაანათებს მთელი საზოგადოების გზას, და, შესაძლოა, თვითონაც კი ვერასოდეს გაიგოს ის, თუ როგორ აღმოჩნდა ამ გზაზე. მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი: შემეცნების იმ უამრავ გაელვებებს, რომლებიც საზოგადოებას, როგორც მთლიანობას, გზაზე არასოდეს არ გადაუდგება – აქვს თავისი ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა. შესაძლებელია, რომ ეს მნიშვნელობა სხვა არაფერშია გარდა იმისა, რომ ისინი აქ იყვნენ, რომ შეეძლოთ გაენათებინათ, რომ ისინი წარმოადგენენ – უკვე მხოლოდ თავისი არსებობით – გარკვეული წრის საზოგადოებრივი პოტენციალის რეალიზაციას, თუნდაც შემოქმედებითი ძალების ან თავისუფლების მნიშვნელობით; რომ ისინი ქმნიან ან უზრუნველყოფენ კულტურული კლიმატს, რომელიც გარდაუვლად ამოიფრქვევა უფრო მნიშვნელოვან გაელვებაში. სულიერი თვითშეგნების არეგანუფელია, ერთი ძაფის გაწყვეტაც კი გარდაუვლად არღვევს მთელი ბადის სიმკვრივეს და უკვე ეს ადასტურებს ყველა მყიფე პროცესის განსაკუთრებულ კავშირს საზოგადოების ორგანიზმში, რომელზეც მე ვლაპარაკობდი, ყოველი მათგანის იმ ზეალმატებულ მნიშვნელობას, და, მამასადამე, მისი რღვევის ზეალმატებულ დამღუპველობასაც.

არ მინდა ყველაფრის ამ ერთ, ტრივიალურ ასპექტამდე დაყვანა, მაგრამ განა ესეც არ ადასტურებს ღრმად დამღუპველ გავლენას საზოგადოების საერთო სულიერ და მორალურ მდგომარეობაზე, რომელიც აქვს და განსაკუთრებით კი მომავალში ექნება “კულტურის ამგვარ დაპატიმრებას” იმ შემთხვევაშიც კი, თავისი უშუალო ზემოქმედების ქვეშ ადამიანების მხოლოდ შედარებით მცირე რაოდენობაც რომ მოაქციოს.

თუკი უკანასკნელი წლების მანძილზე წიგნების მალაზიების დახლზე არ გამოჩენილა არცერთი ჩეხური რომანი, რომელიც საგრძნობლად გაზრდიდა ჩვენს თვალსაწიერს სამყაროს გამოცდილებაზე, ეს გარეგნულად არანაირად არ მჟღავნდება – მკითხველები ამის გამო დემონსტრაციას არ მოაწყობენ, ხოლო წასაკითხად კაცი ყოველთვის იპოვის რამეს. ვინ გაბედავს შეაფასოს, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში ეს ფაქტი ჩვენი საზოგადოებისათვის? ვინ იცის ის, თუ შემდგომი წლების სულიერ ატმოსფეროში როგორ გამჟღავნდება ეს ხარვეზი? რამდენად დაასუსტებს იგი ჩვენს შესაძლებლობას “შეიცნოს თავი თვისი?” კულტურული თვითშეშეცნების არარსებობა რამდენად დაემჩნევა იმათ, რომლებიც დღეს ან ხვალ დაიწყებენ საკუთარი თავის შეცნობას? საზოგადოების შეშეცნებაში დაღუპილი მისტიფიკაციის რა რაოდენობის დანერგვა იქნება საჭირო და სად მოგვიხდება დაბრუნება? ვინ იცის, ვინ, როდის, საიდან და როგორ მოიკრებს კიდევ ძალას სიმართლის ახალი ნაპერწკლის გასაღვივებლად – როდესაც ასე თანამიმდევრულად იკარგება არა მარტო შესაძლებლობა, არამედ ამგვარი აალების შესაძლებლობის შეგრძნებაც კი.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნების მალაზიებში ასეთი რომანები არაა, ისინი მაინც არსებობენ: ხელნაწერების სახით გადადიან ხელიდან ხელში. ამ თვალსაზრისით სიტუაცია არც თუ ისე უიმედოა. ყველაფრიდან, რაც აქამდე ვთქვი, ნათელია, რომ ასეთ რომანს წლების მანძილზე ოც კაცზე მეტიც რომ არ გაცნობოდა, მის ასეთ უცნაურ ყოფნას მაინც აქვს აზრი: უკვე იმას აქვს მნიშვნელობა, რომ ასეთი წიგნი არსებობს, რომ საერთოდ დაიწერა და რომ კულტურული შეშეცნების ვიწრო სარტყელში მაინც ცოცხლობს. მაგრამ როგორაა საქმე იმ სფეროში, სადაც შეუძლებელია მუშაობა სხვაგვარად, თუ არა ე.წ. ლეგალურ სტრუქტურათა დონეზე? როგორ შევიშეცნოთ იმ ზარალის რეალური მოცულობა, რომელმაც გამოიწვია და იწვევს თეატრისა და კინოს – სოციალურ-ყოფითი სფეროს ამ სრულიად სპეციფიკური წვდომის – საინტერესო მიმართულების დაღრმავება? რას შეიძლება ნიშნავდეს თუნდაც ის ვაკუუმი, რომელიც ჰუმანიტარული მეცნიერების, თეორიისა და სამეცნიერო-საზოგადოებრივი ესთეტიკის სფეროში ჩნდება? ვინ გარისკავს გამოიცნოს ის შედეგები, რაც მოჰყვება უწყვეტ თვითშეშეცნებით პროცესთა ძალდატანებით შეწყვეტას ონტოლოგიურ, ესთეტიკურ და ისტორიულ დონეზე, რაც ასე დამოკიდებულია სასწავლო წყაროებსა და მუდმივ საზოგადოებრივ კონფორტაციებზე, და, საერთოდ, რა მოჰყვება ინფორმაციის ბუნებრივი ცირკულაციის, აზრის, ცოდნის, ღირსებათა და თვალსაზრისთა ნებისმიერი დაკრისტალების ძალადობით აკრძალვას?

მაშასადამე, კითხვა ასე ჟღერს: კულტურის დღევანდელი კასტრაცია რამდენად ღრმა სულიერ და მორალურ იმპოტენციამდე მიიყვანს ხვალერს?

გშიშობ, რომ დამლუპველი საზოგადოებრივი შედეგები ამ შემთხვევაში მრავალი წლით გადაამეტებს კონრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს, რომლებმაც იგი გამოიწვიეს. მით უფრო დიდი იქნება მათი ისტორიული დანაშაული, ვინც ერის სულიერი მომავალი საკუთარი ხელისუფლების არსებობას შესწირა.

არის რა კოსმოსის ძირითადი კანონი ენთროპიის¹ გაზრდა, ცხოვრების ძირითად კანონს, პირიქით, სტრუქტურულობის გაზრდა და ენთროპიის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. ცხოვრება ეწინააღმდეგება ერთფეროვნებას და ერთიანობას, მისი პერსპექტივა „გაერთიანება“ კი არაა, არამედ განსხვავებულობა – ტრანსცენდენტულობის დაუცხრომლობა, მშფოთვარება, ახლის ძიება, ამბოხი „სტატუს ქვოს“ წინააღმდეგ; მისი განვითარების არსებითი შინაარსი უსასრულოდ მოქმედი იდუმალებაა.

ხელისუფლების არსში, რომლის მიზანიც პერმანენტული ერთსულოვანი თანხმობის ძალდატანებითი გამოძალვის მეშვეობით საკუთარი უცვლელობის დაცვითაა შემოსაზღვრული, პირიქით, არის არსებითი უნდობლობა ყოველივე განსხვავებულის, განუმეორებლის და ტრანსცენდენტულის მიმართ, წინააღმდეგობა ყოველივე უცნობის, გაუგებრის და აქტუალურად იდუმალის მიმართ, არსებითად მიმართული ერთიანობის და უძრაობისაკენ, ღრმა სიყვარული „სტატუს ქვოს“ მიმართ. მექანიკურობის სული მასში სჯაბნის ცხოველმყოფლობის სულს. წესრიგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს, არ წარმოადგენს საზოგადოების თვითორგანიზაციის სულ უფრო და უფრო მაღალი ფორმების ძიებას, რომელიც მისი მზარდი სტრუქტურულობის ექვივალენტურია, არამედ პირიქით, დაყვანილია ვითომც იმ „ნამდვილ მდგომარეობამდე“, რომელიც

¹ ცნება “ენთროპიას” დახმარებით ფორმულირებული იყო თერმოდინამიკის მეორე კანონი, რომელიც გამოხატავს ენერგეტიკული ცვლილებების მიმართებას. იზოლირებულ სისტემაში ენერგეტიკული ცვლილებების დახმარებით თანდათან ამოიწურება მომდევნო ცვლილებების შესაძლებლობა, გროვდება დეგრადირებული ენერგია, რომელსაც არ შეუძლია გარდაიქმნას სხვა სახის ენერგიად მანამდე, ვიდრე ენთროპია მაქსიმუმს, სითბურ წონასწორობას არ მიაღწევს. XX საუკუნის შუა წლებში ინფორმაციის თეორიამ განაზოგადა იგი და ეს ტერმინი იხმარება ყველა დისციპლინაში, როგორც სისტემის განსაზღვრულობის (განუსაზღვრელობის) და წესრიგის (უწესრიგობის) საზომი.

უმალეს ენთროპიას წარმოადგენს. მიდის რა ენთროპიის მიმართულებით, ასეთი ხელისუფლება სიცოცხლის მიმართულების საწინააღმდეგოდ მიდის.

როგორც ვიცით, ადამიანსაც უდგება წუთი, როდესაც მისი სტრუქტურის ყოველი საფეხური მოულოდნელად ენთროპიის მიმართულებით იწყებს ვარდნას, ე.ი. დადგება წუთი, როდესაც ის დაემორჩილება კოსმოსის საერთო კანონს: ეს არის სიკვდილის წამი.

სადაც თვად ხელისუფლების საფუძველში, რომელიც ენთროპიის მიმართულებით მიექანება (და რომელიც უდიდესი სიამოვნებით დაამსგავსებდა ადამიანს გამოძვლელ მანქანას, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა პროგრამის შეტანა, იმის სრული რწმენით, რომ ეს პროგრამა შესრულდება), არსებობს სიკვდილის პრინციპი და აი, სიკვდილის სულიც დაჰქროლებს და ის წარმოადგენს „წესრიგზე“, რომლებსაც ეს ხელისუფლება იყენებდა და რომლის პერსპექტივაშიც ნამდვილი სიცოცხლის ყოველი გამოვლინება – ორიგინალური საქციელი, განსაკუთრებული თვითგამოხატვა, გამორჩეული აზრი, გაუთვალისწინებელი სურვილი ან იდეა – შეჭველად „არეულობის“, „ქაოსის“ და „ანარქიის“ სიგნალია.

დიახ, აქ წესრიგია: უდიდამო ერთფეროვნების ბიოროკრატიული წესრიგი, რომელიც კლავს თავისუფლებას, წესრიგი მანქანური მექანიკრობისა, დამყაყებული უძრაობისა, – რომელიც გამორიცხავს ტრანსცენდენტს. ეს არის წესრიგი სიცოცხლის გარეშე.

დიახ, ჩვენს მიწაზე სიმშვიდეა: მაგრამ ეს მორგის ან კუბოს სიმშვიდე ხომ არ არის?

საზოგადოებაში, რომელიც ნამდვილად ცხოვრობს, ბუნებრივია, უსასრულოდ რაღაც ხდება. არსებული ქმედებებისა და მოვლენებისა და ცხადი და ფარული მოძრაობის თანახმიერება ქმნის ახალ, განუმეორებელ მოვლენებს, რომლებიც მოუწოდებენ შემდგომი მოქმედებისაკენ და იწვევენ ახალ მოძრაობას. მარადიულის და ცვალებადის, კანონზომიერის და შემთხვევითის, მოსალოდნელის და მოულოდნელის იდუმალი ცხოველმყოფელი პოლარულობა ხდება დროში და მჟღავნდება ქმედებით. და ამასთან ერთად, რაც უფრო დანაწევრებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, მით უფრო დანაწევრებულია საზოგადოებრივი დროც: მასში ძლიერდება თავისთავადობის და განუმეორებლობის ელემენტი. ეს, რა თქმა უნდა, აძლიერებს მისი გაგების შესაძლებლობას მისსავე თანამიმდევრულობაში, ანუ, როგორც შეუცვლადი სიტუაციის განუხრელი დინებისას; ეს კი პირუკუ აძლიერებს იმის შესაძლებლობას უკეთ იქნას გაგებული ის, თუ რა ძვეს საზოგადოებრივ ქმედებაში. მაშასადამე, რაც უფრო მდიდარი ცხოვრება აქვს საზოგადოებას, მით უფრო უკეთ ესმის მას საზოგადოებრივი დროის განზომილება, ქმედების განზომილება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქ, სადაც არის ასპარეზი საზოგადოებრივი ქმედებისათვის, იქ იშლება სივრცე საზოგადოებრივი მეხსიერებისათვის. საზოგადოებას, რომელიც ცხოვრობს, აქვს ისტორია.

რასაკვირველია, თუკი ისტორიაში არის უწყვეტობისა და მიზეზობრიობის ელემენტი, რომელიც არსებითადაა დაკავშირებული განუმეორებლობისა და წინასწარგანუჭვრეტელობის ელემენტთან, იბადება კითხვა: სინამდვილეში როგორ შეუძლია ისტორიას – „ქაოსის“ ამ უშრეტ სათავეს, მოუსვენრობის ამ მუდმივ წყაროს – იარსებოს იმ სამყაროში, რომელსაც ფლობს „ენტროპიული“ რეჟიმი.

პასუხი ნათელია: მასში არსებობა შეუძლებელია და ამიტომ – გარეგნულად მაინც – არც არსებობს: სიცოცხლის, როგორც ასეთის, მოკვდინებით, მასში გაჩერებულია საზოგადოებრივი დრო და ამიტომაც ისტორია ქრება მისი ჰორიზონტიდან.

და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენ გარკვეული დროიდან არც კი გვქონოდეს ისტორია: ნელა, მაგრამ საფუძვლიანად ვკარგავთ დროის შეგრძნებას – გვაიწყდება, რა როდის იყოს, რა იყო ადრე და რა მოგვიანებით და საერთოდ რა იყო – ამიტომაც მძლავრობს ჩვენში გრძნობა, რომ პრინციპში ეს სულერთია. ისტორიიდან ქრება თვითმყოფადობა და მაშასადამე, უწყვეტობაც, ყოველივე ერთიანდება ერთი და იგივე წრებრუნვის ერთ ნაცრისფერ სურათში: ვამბობთ, რომ „არაფერი ხდება“. მომაკვდინებული წესრიგი აქაც იყო შემოტანილი, ქმედება სრულყოფილად მოწესრიგებული და ასევე სრულყოფილად მოკვდინებული. დროითი თანამიმდევრობის კრიზისის შეგრძნებას საზოგადოებრივი ცხოვრების სიბრტყეში იგი ამასთანავე და აუცილებლად მიჰყავს კრიზისისკენ პირად ცხოვრებაშიც: იკარგება რა საზოგადოებრივი ისტორიის ფონი და ამით პიროვნული ერთეულის მდგომარეობის ისტორია ამ ისტორიაში, პირადი ცხოვრება ეცემა პრეისტორიულ დონეზე, სადაც დრო რიტმიზებულია მხოლოდ ისეთი მოვლენებით, როგორებიცაა დაბადება, ქორწილი ან სიკვდილი.

საზოგადოებრივი დროის კრიზისის შეგრძნება საზოგადოებას თითქოსდა უკან, პრეისტორიული პერიოდისაკენ უბიძგებს, როდესაც კაცობრიობა ხანგრძლივი ათასწლეულების მანძილზე საზოგადოებრივი დროის საკუთარ შეგნებაში არ სცდებოდა კოსმიურ-მეტეოროლოგიურ სტერეოტიპს, უსასრულობიდან უსასრულობამდე რომ მეორდებოდა წელიწადის დროებში და ამასთან დაკავშირებულ რელიგიურ რიტუალებში.

ხარვეზი, რომელიც თავის შემდეგ დატოვა ისტორიული მოვლენების შემამფოთებელმა მასშტაბმა, რასაკვირველია, უნდა შეივსოს: და ასეა ნამდვილი ისტორიის უწესრიგობა შეცვლილი ფსევდო-

ისტორიის წესრიგით, რომლის ავტორიც, რა თქმა უნდა, არა საზოგადოება, არამედ ოფიციალური მგებმაია; მოვლენების ნაცვლად ფსევდომოვლენებს გვთავაზობენ, ვცხოვრობთ წლისთავიდან წლისთავამდე, ზეიმიდან ზეიმამდე, აღლუმიდან აღლუმამდე; ერთსულოვანი ყრილობიდან ერთსულოვან არჩევნებამდე და ერთსულოვანი არჩევნებიდან ერთსულოვან ყრილობამდე; ბეჭდვითი სიტყვის დღიდან არტილერიის დღემდე და პირიქით. შემთხვევითი არ არის, რომ ისტორიის ამ ტიპის სუბსტანცია საშუალებას გვაძლევს მოვიპოვოთ – არა მხოლოდ წარსულისათვის, არამედ მომავლისთვისაც! – სრულიად ამომწურავი წარმოდგენა საზოგადოებრივ „ქმედებაზე“ მხოლოდ და მხოლოდ კალენდარში ჩახედვით. განმეორებადი რიტუალების უცვლელი შინაარსის წყალობით ამგვარად მოპოვებული ინფორმაცია უთანაბრდება იმას, რასაც ჩვენ პირადი განცდა მოგვცემდა.

და ისევ, სრულყოფილი წესრიგი – გამოსყიდული პრეისტორიაში დაბრუნებით და ესეც დამატებითი შენიშვნით – მაშინ, როდესაც ჩვენი წინაპრებისათვის განმეორებად რიტუალებს სულ ახალ-ახალი, რაღა ეგზისტენციური მნიშვნელობა ჰქონდათ, ჩვენთვის მხოლოდ თვითმიზნური ჩვევაა, მთავრობა მას ებლაუჭება მოჩვენებითი ისტორიული ძრობისათვის, მოქალაქე მას ითვისებს, რომ არ ჰქონდეს გართულებები.

„ენტროპიულ“ რეჟიმს ერთადერთი საშუალება აქვს, რითაც შეუძლია თავისი მოქმედების სფეროში საერთო ენთროპია გაზარდოს: თავისი საკუთარი ცენტრალიზმის განმტკიცებით, თავისი მონოლითურობის გაზრდით, საზოგადოების ჩაჭერით სულ უფრო და უფრო უნივერსალური და პერმეტიული რეჟიმის ხელის ცალმხრივი მანიპულაციით. ოღონდ მისი ყოველი შემდგომი ნაბიჯი ამ მიმართულებით გარდაუვლად ნიშნავს მისი საკუთარი ენთროპიის გაზრდას: სამყაროს გაქვავების მისწრაფებაში, საკუთარ თავსაც აქვავებს და ადამბლავებს თავის შესაძლებლობას დაუბრისპირდეს რამე ახალს და წინააღმდეგობა გაუწიოს ცხოვრების არსებით მიმართულებას. ამგვარად, თავისი არსით, „ენტროპიული“ რეჟიმი განწირულია ბოლო ინსტანციაში იქცეს თავისი საკუთარი მომაკვდინებელი პრინციპის მსხვერპლად, ყველაზე მოწყვლად მსხვერპლად, თავისი შინაგანი განზრახვების, საბედისწერო უკმარისობის მსხვერპლად, რომლებიც მას აიძულებენ, ასე ვთქვათ, დაბრისპირებოდა საკუთარ თავს. სიცოცხლეს კი პირიქით, ენტროპიის მიმართ სულის დაუთრგუნავი წინააღმდეგობის წყალობით მით უფრო წარმატებით და გონივრულად ძალუძს გაუწიოს წინააღმდეგობა ძალადობას საკუთარი თავის მიმართ, რაც უფრო სწრაფად შეშლება და ქვავდება მოძალადე ძალა.

აკვდინებს რა სიცოცხლეს, ხელისუფლება აკვდინებს საკუთარ თავსაც და ამით საბოლოოდ თავის შესაძლებლობასაც – მოაკვდინოს სიცოცხლე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრებაზე შეიძლება ძალიან დიდ ხანს და თანამიმდევრულად ძალმომრეობდნენ, სრესდნენ, აკვდინებდნენ – და მაინც მისი სამუდამოდ შეჩერება შეუძლებელია: თუნდაც ჩუმად, ძალუღლად და ნელა – იგი მაინც აგრძელებს გზას; თუნდაც საკუთარი თავისაგან ათასჯერ გაუცხოებული მაინც ისევ რაღაც გზით ყოველთვის უბრუნდება თავის თავს; – თუნდაც საშინლად ძალადობაგადატანილი – ის მაინც ყოველთვის იმ ძალაზე უფრო დღევრძელია, რომელიც მასზე ძალადობს. ეს არც შეიძლება იყოს სხვაგვარად ყოველი „ენტროპიული“ ძალის ღრმა კომპრომისული ბუნების წყალობით, რომელიც თრგუნავს და შეუძლია დათრგუნოს სიცოცხლე მხოლოდ მაშინ, როდესაც რაღაც სიცოცხლე არსებობს და რომელიც, მამასადამე, ამავე დროს თავისი არსებით სიცოცხლის ამარაა დარჩენილი და, რა თქმა უნდა, არა სიცოცხლეა თავისი არსებით მის ამარა დარჩენილი. ერთადერთი ძალა, რომელსაც ჩვენს პლანეტაზე ნამდვილად შეუძლია სიცოცხლის მოსპობა, ის ძალაა, რომელმაც არ იცის კომპრომისი: კერძოდ, თერმოდინამიკის მეორე კანონის გლობალური, კოსმიური მოქმედება.

შეუძლებელია რა სიცოცხლის სამუდამოდ მოსპობა, ასევე შეუძლებელია ისტორიის აბსოლუტურად შეჩერებაც: უძრობის მძიმე საფარველის და ფსევდოქმედების ქვეშ მიედინება მათი საიდუმლო წყარო და ნელა და შეუმჩნევლად რეცხავს ამ საფარველს. ეს შეიძლება დიდ ხანს გაგრძელდეს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მაინც უნდა მოხდეს მოსახდენი: საფარველს უკვე აღარ შეუძლია მას გაუძლავდეს და იგი სკდომას იწყებს.

და ეს არის წამი, როდესაც რაღაც თვალსაჩინო იწყებს „მოხდომას“, რაღაც ნამდვილად ახალი და განსაკუთრებული, რაღაც, რაც არ იყო დაგეგმილი „ქმედების“ ოფიციალური კალენდრით; რაღაც, რის დროსაც მოულოდნელად არ გვაქვს იმის გრძნობა, რომ სულერთია, სად ხდება ეს და როდის ხდება, არამედ რომ ეს ხდება, რაღაც მართლაც ისტორიული იმ თვალსაზრისით, რომ ამით ისტორია კვლავ ითხოვს სიტყვას.

როგორ შეუძლია, რა თქმა უნდა, – ჩვენს კონკრეტულ პირობებში – ისტორიას „თქვას თავისი სიტყვა“. კონკრეტულად რას ნიშნავს ასეთის პერსპექტივა?

არც ისტორიკოსი ვარ, არც წინასწარმეტყველი, მაგრამ უტყუარ დაკვირვებებს – როდესაც საქმე ასეთი წამების სტრუქტურას ეხება – ადამიანი მაინც ვერ გაექცევა.

იქ, სადაც არსებობს – გარკვეული მოცულობით მაინც – აშკარა შეჯიბრი ხელისუფლებისათვის, როგორც კონტროლის ერთადერთი ჭეშმარიტი გარანტია /და შედეგად, ნებისმიერი სიტყვის თავისუფლება/, ხელისუფლებამ, სურს ეს მას თუ არა, უნდა იცხოვროს რაღაცნაირ მუდმივ და გულახდილ დიალოგში საზოგადოებრივ ცხოვრებასთან; იძულებულია რეგულარულად გადაწყვიტოს სხვადასხვაგვარი საკითხები, რომლებსაც მას ცხოვრება უყენებს. იქ, სადაც არ არსებობს ღია შეჯიბრი ხელისუფლებისათვის და სადაც, მაშასადამე, კანონზომიერად აღრე თუ გვიან დათრგუნულია სიტყვის თავისუფლებაც/ – რაც ყოველი „ერთობილი“ ძალაუფლების შემთხვევაში ხდება / – იქ საზოგადოებრივი ძალაუფლება ცხოვრებას კი არ ეგუება, არამედ ცდილობს თავად ცხოვრება შეიგუოს, რაც ნიშნავს, რომ იმის მაგივრად, რომ ნამდვილი წინააღმდეგობები, მოთხოვნები და პრობლემები რეგულარულად და ღიად გადაჭრას, მათ უბრალოდ ჩქმალავენ, მაგრამ ეს წინააღმდეგობები და მოთხოვნები მაინც არსებობს, სადაც ხუფქვეშ გროვდება, იზრდება, რათა გარკვეულ წუთში, როდესაც ეს ხუფი ველარ გაუძღვას, გაჟონოს გარეთ. ეს სწორედ ის წამია, როდესაც უძრავობის საბურველი სკდება და არენაზე ისევ შემოაბიჯებს ისტორია.

კერძოდ, რა მოხდება მერე?

თუმცა ხელისუფლებას ჯერ კიდევ საკმაოდ შესწევს ძალა საიმისოდ, რომ შეუძლებელი გახადოს სასიცოცხლო წინააღმდეგობათა წნეხის და ხელისუფლებისათვის ღია შეჯიბრის აშკარა რეალიზაცია, მაგრამ აღარც იმდენი ძალა აქვს, რომ ამ წნეხს სავსებით აღუდგეს წინ. ამგვარად სიცოცხლე იჭრება იქ, სადაც შეჭრა შეუძლია. ხელისუფლების ფარულ კულუარებში, სადაც მოითხოვს ფარულ დისკუსიებს, ხოლო შემდეგ ფარულ შეჯიბრს ხელისუფლებისათვის. ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ამისთვის მზად არ არის – რაიმე სერიოზული დიალოგი ცხოვრებასთან მის შესაძლებლობათა კორიზონტს მიღმა რჩება და ამიტომ მას პანიკა ეუფლება: ცხოვრება მის კაბინეტებში თესს უწესრიგობას პირადი კონფლიქტების, ინტრიგების, ხაფანგის დაგების და შეტაკებების სახით, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი აღწევს მის ყოველ წარმომადგენელამდე. უპიროვნულობის მკვდარი ნიღაბი, რომელიც ფუნქციონერებს მონოლითურ ხელისუფლებასთან იდენტურობას სძენდა, მყისვე ჩამოეხსნებათ და მის უკან აღმოჩნდებიან ცოცხალი ადამიანები, რომლებიც სრულიად „ადამიანურად“ ეჯიბრებიან ერთმანეთს ხელისუფლებისათვის თავის გადასარჩენად. ესაა ცნობილი წამი სასახლეების რევოლუციებისა და აჯანყებებისა, მოულოდნელი და გარედან ძნელად გასაგები ცვლილებებისა პირთა – თანამდებობებში, ხოლო თეზისებისა – გამოსვლებში; წამი ნამდვილი ან ფარული ცენტრების მხილებისა, წამი ნამდვილი ან გამოგონილი დანაშაულების საქვეყნოდ გამოტანისა და ძველი ცოდვების გამოქექვისა, წამი ურთიერთგარიცხვისა სხვადასხვა ორგანოებიდან, ერთმანეთის ტალახში ამოსვრისა და, შესაბამისად დაპატიმრებისა და პროცესებისა. და თუ აქამდე ყველა ხელისუფლების მპყრობელი ერთ ენაზე, ერთიდაიგივე ფრაზებით, ერთიდაიგივე მიზნებზე და მათ წარმატებით შესრულებაზე ლაპარაკობდა, ახლა მოულოდნელად ეს მონოლითური ბლოკი იშლება ერთმანეთისგან განსხვავებულ ერთეულებად, რომელთაც თუმცა დარჩათ ძველი საერთო ენა, რომელსაც ისინი არაერთგზის იყენებენ ურთიერთბრალდებებისათვის – და ჩვენ, გაოცებულებს, გვესმის, რომ ზოგიერთ მათგანს, ე.ი. მათ, რომელთაც წააგეს ფარული ბრძოლა ძალაუფლებისათვის, სულაც არ სჭირდებათ დასახული მიზნები, რომ მათ სრულებით არ ასრულებდნენ წარმატებით, არამედ სწორედ პირიქით, მაშინ, როდესაც სხვებს /ანუ მათ, ვინც გაიმარჯვეს/, მართლა სჭირდებათ ეს მიზნები და მათი წარმატებით შესრულება/. წლების მანძილზე ეს ფსევდოისტორიის კალენდარი რაც უფრო რაციონალურად იყო აშენებული, მით უფრო ირაციონალური სახე აქვს ხოლმე შემდეგ ისტორიის ნამდვილ შემოჭრას; მთელი ამ წლების მანძილზე უარყოფილი საიდუმლოება ერთ წუთში ინგრევა: და თუ წლების განმავლობაში არ გყოფილვართ არცერთი წვრილმანით, ყოველდღიურით გაკვირვებულნი, ახლა მოვესწარით ერთ დიდ საკვირველებას – ეს კი ერთ რამედ ღირს. ისტორიის მთელი „უწესრიგობა“, რომელიც წლების მანძილზე ოსტატურად ითრგუნებოდა, ახლა უცებ გარეთ გამოხეთქს.

თითქოსდა ეს არ სცოდნოდათ! თითქოსდა ამისთვის სამყაროს ჩვენს ნაწილში ბევრჯერ არ უდევნებიათ თვალი! წყობა, რომელიც წლების მანძილზე მოჩვენებითად უშეცდომოდ, გადახრების და გართულებების გარეშე მუშაობს, იფშვება და შემადგენლობა, რომელიც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ თავისი უცვლელი სახით იბატონებდა სამყაროს დასასრულამდე, რადგანაც არ არსებობს ძალა, რომელიც შეძლებდა ამ ერთსულოვანი არჩევნების და ერთსულოვანი კენჭისყრის პირობებში მის ეჭვის ქვეშ დაყენებას, დღეს, რატომღაც ინგრევა და ჩვენ გვიკვირს, რომ ყველაფერი სულ სხვანაირად ყოფილა, ვიდრე გვეგონა.

წუთი, როდესაც ასეთი ტორნადო გადაიგრიანებს ხელისუფლებით სტაბილიზებული სტრუქტურების დამყაყებულ სივრცეზე, სრულებითაც არაა ყველა ჩვენგანისთვის – რომლებიც ხელისუფლების საზღვრის გარეთ ვიმყოფებით, მხოლოდ გართობის საგანი. პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ბოლოს და ბო-

ლოს ეს ჩვენც გვეხება. განა არ არის ეს ჩუმი და ხანგრძლივი წნეხი სიცოცხლის იმ მუდმივად დათრგუნული და მიუხედავად ამისა, მაინც დაუთრგუნავი საერთო – საზოგადოებრივი მოთხოვნები, ინტერესების, წინააღმდეგობების და დაძაბულობებისა, რომელნიც ყოველთვის კვლავ თავიდან და თავიდან იწვევენ ხელისუფლების ამგვარ რყევებს? და მაშ რა გასაკვირია, რომ საზოგადოება ასეთ წუთებში ყოველთვის ისევ ფხიზლდება, ილტვის მისკენ და უფრო აგზნებულად აღიქვამს, აძლევს თავის თავზე ზემოქმედების საშუალებას და ცდილობს მის გამოყენებას! ამგვარი რყევები ყოველთვის აღვიძებენ რაღაც იმედს ან რაღაც შიშს; – თითქმის ყოველთვის ხსნიან – ნამდვილად თუ მოჩვენებით – ასპარეზს ცხოვრების სხვადასხვა ძალების და მიზნების რეალიზაციისთვის; თითქმის ყოველთვის აჩქარებენ საზოგადოებაში სხვადასხვა მოძრაობას. ამავე დროს ყოველივე ეს თავის თავში თითქმის ყოველთვის შეიცავს – სწორედ ღრმად ხელოვნური ცხოვრების სტრუქტურების ცხოვრებასთან იმგვარი დაპირისპირების წყალობით, როგორიცაა მმართველობის ეს მოულოდნელი რყევები – დიდ და წინასწარ გაუთვლელ რისკს.

ვეცდებით მკაფიოდ გავაშუქოთ ასეთი რისკის ერთი ტიპი.

თუ ადამიანი ყოველდღიურად ემორჩილება უვიც ხელმძღვანელს, თუ ყოველდღიურად სერიოზული სახით ასრულებს რიტუალებს, რომლებიც სინამდვილეში მას სასაცილოდაც კი არ ჰყოფნის, თუკი ანეკდაში უნდომლად წერს იმის საწინააღმდეგოს, რასაც ფიქრობს და თანახმაა სახალხოდ თქვას უარი საკუთარ თავზე, თუკი ყოველგვარი გართულების გარეშე თვალთმაქცობს, რომ ეს იმპატიურება ან კიდევ უყვარს ის, რის მიმართაც სინამდვილეში გულგრილია ან სიძულვილს გრძნობს, ეს ჯერ კიდევ სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მასში დაიშრიტა ერთ-ერთი ძირითადი ადამიანური გრძნობა: დამცირების გრძნობა.

პირიქით: და თუმცა ამაზე არავინ არ საუბრობს, ადამიანები ძალიან კარგად გრძნობენ, რით არის გამოსყიდული მათი გარეგნული სიმშვიდე: მათი ადამიანური ღირსების ხანგრძლივი დამცირებით. რაც უფრო ნაკლებად ებრძვის ამ დამცირებას უშუალოდ – თუნდაც ამაში ეხმარებოდეს უნარი განდევნოს თავისი შეგნებიდან და თავი მოიტყუოს, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, ან უბრალოდ კბილი კბილს დააჭიროს – მით უფრო ღრმად აღიბეჭდება ყოველივე ეს მის გრძნობით მეხსიერებაში – ის, ვისაც შეუძლია უშუალო წინააღმდეგობა გაუწიოს თავის დამცირებას, შეძლებს ადვილად დაივიწყოს იგი, და პირიქით, ვინც შეძლებს დიდი ხნის განმავლობაში მისი მდუმარედ გადატანას, შეძლებს დიდი ხნითაც დაიმახსოვროს იგი და მამასადამე, სინამდვილეში არაფერი არ რჩება დავიწყებული: მთელი გადატანილი შიში, მთელი იძულებითი თვალთმაქცობა, მთელი ეს აუტანელი და უღირსი ჯამბაზობა და, ალბათ ყველაზე მეტად კი, გამოჩენილი სიმხდალის გრძნობა – ყველაფერი ეს სადღაც საზოგადოებრივი შეგრძნების ფსკერზე ილექება, გროვდება და ყველაფერი ეს იქ ჩუმად მუშაობს.

ეს, რა თქმა უნდა, არ არის ჯანსაღი სიტუაცია: წყლული დროულად არ არის ოპერირებული, იგი ნელ-ნელა ჩირქდება, ჩირქი ვერ გამოდის სხეულიდან, საწამლაკი ვრცელდება მთელ ორგანიზმში, ბუნებრივ ადამიანურ გრძნობას არ შეუძლია დიდხანს ობიექტივიზირება და მისი ხანგრძლივი ტყვეობა და წმინდა გრძნობითი მეხსიერება ნელ-ნელა გადადის არაჯანსაღ კრუნჩხვებში, რაღაც შხამიანში – ისევე, როგორც არასრულყოფილი წვის შედეგად წარმოიქმნება ნახშირორჟანგი.

და რა გასაკვირია, რომ იმ წუთში, როდესაც საფარველი გასკდება და ცხოვრების ლავა გადმოხეთქს, მასში წარსული დანაშაულის გამოსწორების გაბედული მისწრაფებების და სიმართლის და ცვლილებისაკენ სწრაფვის ცხოვრებისეული მოთხოვნების გვერდით ადექვატურად ჩნდება ბოლმიანი სიძულვილის, ღვარძლიანი შურისგების ელემენტები და რაღაც ციებცხელებიანი სწრაფვა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებისა მთელი გადატანილი დამცირების გამო! /ამ ვნებების განუსჯელი და ხშირად სიტუაციისათვის შეუფერებელი ხასიათი მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს ბუნდოვანი წინათგრძნობიდან, რომ ეს აფეთქება მოგვიანებით მოდის, იმ პერიოდში, როცა უკვე მას აღარ აქვს მნიშვნელობა, იმიტომ, რომ დაკარგა თავისი აქტუალური იმპულსი და ამასთანავე აქტუალური რისკიც, და როცა უკვე რაღაცის სამაგიეროა, რაც სინამდვილეში სულ სხვა დროსა და ადგილზე უნდა მომხდარიყო! /

რა გასაკვირია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები, წლების მანძილზე შეჩვეულნი სრულ თანხმობას, ერთსულოვნებას, აუცილებელ მხარდაჭერას და აბსოლუტურ ერთიანობას აბსოლუტურ საყოველთაო თვალთმაქცობაში, ასეთ წუთებში დათრგუნული გრძნობის ამგვარი ამოხეთქვით ისე არიან შოკირებული, რომ წარმოუდგენელ საფრთხეში გრძნობენ თავს და – როგორც სამყაროს არსებობის ერთადერთი გარანტები – ამაში ხედავენ წარმოუდგენელ საფრთხეს მთელი სამყაროსათვის, და არც კი ყოყმანობენ თავის და მის გადასარჩენად მილიონიანი უცხო ჯარის გამოძახებას!

ერთი ასეთი აფეთქება ცოტა ხნის წინ გადავიტანეთ! ისინი, რომელნიც წლების განმავლობაში ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ ადამიანს და რომლებიც მერე ისე იყვნენ შოკირებულნი, ამ ადამიანმა ხმის ამოღება რომ სცადა, რომ დღეს იმ დროს “ვნებათა ამოხეთქვას” უწოდებენ. კერძოდ, რა ვნებებმა ამოხეთქა? ვინ იცის, რა ხანგრძლივი და მრავლისმომცველი დამცირება უძლოდა წინ ამ ამოხეთქვას და ვისაც ესმის დიდი ხნის განმავლობაში გადატანილი დამცირების რეაქციის ეს ფსიქოლოგიურ-სოციალური მექანიზმის ექსპოსტერიალური რეაქცია დიდი ხნის განმავლობაში გადატანილი დამცირებისა, უმაღლესი გაკვირვებული უნდა ყოფილიყო იმით, თუ შედარებით რა მშვიდი, საქმიანი და ლოიალური ხასიათი ჰქონდა მთელი ამ “ამოხეთქვას”. მიუხედავად ამისა, ჩვენ ის “სიმაღლის წამი”, როგორც ცნობილია, ძვირად დავგიჯდა.

დღევანდელი ხელისუფლება ღრმად განსხვავდება იმისაგან, რომელიც წინ უსწერებდა ამ აფეთქებას. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ, როდესაც ის, ასე ვთქვათ “ორიგინალი” იყო, ეს მხოლოდ მისი ფორმალური იმიტაციაა, რომელსაც არ ძალუძს ასახოს ის მოცულობა, რა მოცულობითაც იყო ამასობაში დემისტოფიცირებული ეს “ორიგინალი”, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მაშინ, როდესაც ადრინდელი ხელისუფლება ეყრდნობოდა რეალურ და არავითარ შემთხვევაში უგულვებელსაყოფ სოციალურ ზურგს მოსახლეობის ნაწილის ნდობით სავსე მხარდაჭერის სახით, და რეალურ, არავითარ შემთხვევაში არაუგულვებელსაყოფ, მაგრამ მაინც თანდათანობით დაშრეტილ რწმენას დასაწყისში შეპირებული სოციალური პერსპექტივებისას, ეს დღევანდელი ეყრდნობა უკვე მხოლოდ მმართველი უმცირესობის თავდაცვის ინსტიქტს და მართული უმრავლესობის შიშს.

ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია ყველა შესაძლებელი ალტერნატივა მოსალოდნელი მომავალი “ჭეშმარიტების წუთის” მდინარებისა, ანუ მეთოდი, რომლითაც მთელი საზოგადოებრივი შეგნება ასე კომპლექსურად და აშკარად შეძლებდა კიდევ ერთხელ მოეთხოვა დაკმაყოფილება; და უკვე საერთოდ შეუძლებელია გამოვიცნოთ იმ ტრაგიკული შედეგების მასშტაბი და სიღრმე, რომელსაც ის წუთი მოიტანდა ან საბოლოოდ უნდა მოეტანა ჩვენი ერებისათვის.

ასეთ შემთხვევაში ადამიანი უნდა განაცვიფროს იმან, თუ რა დიდია იმ ძალაუფლების უუნარობა, რომელიც თავს ასაღებდა ყველაზე მეცნიერულად, რაც კი ოდესმე არსებულა, შეიგნოს თავისი მუშაობის ელემენტარული კანონები და ისწავლოს თავისი საკუთარი ისტორიიდანვე.

ცხადია, არ მეშინია, რომ ჩეხოსლოვაკიაში დღევანდელი ხელისუფლების დამკვიდრებით ცხოვრება შეწყდა და საბოლოოდ შეჩერდა ისტორია. დღემდე ისტორიაში ყოველი სიტუაციის და ყოველი ეპოქის შემდეგ დგებოდა სხვა სიტუაცია და სხვა ეპოქა და აქამდე ყოველთვის დგებოდა – ადამიანის საბედნიეროდ თუ საუბედუროდ – ახალი სიტუაცია ან ეპოქა, მომავლის შესახებ ყველა იმ წარმოდგენისაგან სრულიად განსხვავებული, რომელიც ჰქონდათ წინა ეპოქის ორგანიზატორებს და მმართველებს.

მაგრამ მე სხვა რამის მეშინია. კერძოდ, ეს წერილი იმაზე მეტყველებს, რისიც სინამდვილეში მეშინია, იმ უაზროდ მკაცრი და ხანგრძლივი შედეგებისა, რაც ამ დღევანდელ ხელისუფლებას ექნება ჩვენი ერებისათვის, მეშინია იმისა, რითიც იძულებული ვიქნებით ვზღოთ ის სასტიკი დათრგუნვა ისტორიისა, ის მკაცრი და სასტიკი შემწყვდევა ცხოვრებისა საღლაც საზოგადოების და ადამიანის სულის იატაკქვეშეთში, ის ახალი ნაძალადევი „გადავალება“ ყველა მცირედ მაინც ბუნებრივი შესაძლებლობისა ვიცხოვროთ, როგორც საზოგადოებამ. და როგორც ეს ალბათ იქედან გამომდინარეობს, რაც ზემოთ ვთქვი, ჩემთვის საქმე მხოლოდ იმაში არაა, თუ რას ვიხდი სისტემატიურად საზოგადოებრივი ძალმომრეობისა და ადამიანური დამცირების სიმწარის საფასურით და არა მხოლოდ იმ საზღაურში, რაც იძულებული ვიქნებით ვზღოთ საზოგადოების ხანგრძლივი სულიერი და მორალური დაცემისათვის, არამედ საქმე დღეისთვის იმ ძნელად წარმოსადგენ საზღაურშია, რომელსაც ჩვენ ყველას მოგვიტანს ის წუთი როდესაც მომავალში თავის უფლებებს ცხოვრება და ისტორია მოითხოვს.

ქვეყანაში წამყვანი პოლიტიკოსის პასუხისმგებლობა სიტუაციის მიმართ სხვადასხვაგვარია და არასოდეს არ არის აბსოლუტური; მართო არავინ მართავს, მაშასადამე, პასუხისმგებლობის წილი აქვთ იმათაც, ვინც წამყვან პოლიტიკოსებს არტყიათ გარს, არცერთი ქვეყანა არ ცხოვრობს ვაკუუმში, მის პოლიტიკაზე, ასე თუ ისე, გავლენას სხვა ქვეყნების პოლიტიკა ახდენს; რა თქმა უნდა, ბევრ რამეზე პასუხს აგებენ ისინიც, ვინც ადრე მართავდნენ ქვეყანას და რომელთა პოლიტიკამაც განსაზღვრა ის სიტუაცია, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდება. ბევრ რამეზე, ბოლოს და ბოლოს მოქალაქეებიც აგებენ პასუხს – თუნდაც ცალ-ცალკე, ანუ როგორც სრულყოფილებიანი არსებები, რომელნიც თავისი ყოველდღიური გადაწყვეტილებით ქმნიან საერთო ვითარებას, ანდა ყველა ერთად, როგორც გარკვეული სოციალ-ისტორიული მთლიანობა, ლიმიტირებული იმ პირობებით, რომელშიც ის ვითარდება და ამავე დროს უკურეაქციით ამ პირობებითვე ლიმიტირებული.

ამ შეზღუდვების მიუხედავად, რომელნიც რა თქმა უნდა, დღევანდელ პირობებშიც მოქმედებს, თქვენი პასუხისმგებლობა, როგორც წამყვანი პოლიტიკოსისა, ისევ და ისევ დიდია: თქვენ წყვეტთ, რა კლიმატში უნდა ვიცხოვროთ ჩვენ ყველამ და ასევე პირდაპირი გავლენა გაქვთ იმ საზღაურის საბოლოო მოცულობაზე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება გადაიხდის თავის დღევანდელ „კონსოლიდაციაში“.

ჩეხებსა და სლოვაკებში – ისევე, როგორც ყოველ ერში – პარალელურად არსებობენ უმრავალფეროვანესი წანამძღვრები. გვყავდა, გვყავს და გვეყოლება გმირები ისევე, როგორც გვყავდა, გვყავს და გვეყოლება გამცეხები და მოღალატეები. ჩვენ ძალგვიძს განვავითაროთ ჩვენი შემოქმედებითობა და წარმოსახვა, სულიერად და მორალურად ავზვირთდეთ მოულოდნელი საქმეებისათვის, ვიბრძოლოთ საკუთარი სიმართლისათვის და თავი გავწიროთ სხვათათვის, მაგრამ სწორედ ასევე ჩვენ შეგვიძლია მხართეძოზე წამოვწვეთ, არ გვავინტერესებდეს არაფერი, გარდა საკუთარი მუცლისა და კვანტის გამოდებისა. და თუმცა ადამიანის სული ნახევარლიტრიანი ლუდის კათხა არ არის, რომ ვისაც რა მოეპრიანება, შიგნით ის ჩაასხას, /ეს ქედმაღლური წარმოდგენა ადამიანებზე ხშირად გამოჩნდება ხოლმე ოფიციალურ გამოსვლებში საზარელი ფრაზის ფორმით – რომ „ჩვენ“ – ანუ მთავრობამ – ესა თუ ის „შევიტანეთ ხალხის თავებში“/. მიუხედავად ამისა, ბელადებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, თუ ყველა იმ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებიდან, რომელნიც საზოგადოებაში თვლემენ, რომელნი იქნებიან მობილიზებულნი, ამ პოტენციათაგან რომელთ მიეცემათ გასაქანი და რომელნი იქნებიან დათრგუნულნი.

ჯერჯერობით ჩვენში სისტემატიურად არის აქტივიზირებული და განვითარებული ყველაზე საშინელი რამ – ეგოიზმი, მლიქვნელობა, გულგრილობა, სიმშვიდე, შიში, მორჩილება, მისწრაფება ყველაფრის თავიდან აცილებისა საერთო შედეგების მიუხედავად.

ამასთანავე, ჩვენს დღევანდელ მთავრობას აქვს საშუალება თავისი პოლიტიკით ისე იმოქმედოს საზოგადოებაზე, რომ ჩვენში გასაქანი მიეცეს არა ცუდს, არამედ კარგს.

ჯერჯერობით თქვენ აირჩიეთ თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელი და საზოგადოებისათვის ყველაზე სახიფათო გზა: ანუ გზა გარეგნული მორჩილებისა შინაგანი დაცემის ფასად, გზა ენთროპიის ზრდისა სიცოცხლის მოკვდინების ფასად, გზა მხოლოდ თქვენი ხელისუფლების დაცვისა საზოგადოებაში სულიერი და მორალური კრიზისის გაღრმავების ფასად, ადამიანის ღირსების ყოველმხრივი დამცირების ფასად.

ამავე დროს თქვენ გაქვთ საშუალება თქვენი შეზღუდვების ფარგლებშიც კი გააკეთოთ ბევრი რამ სიტუაციის შედარებით გასაუმჯობესებლად. შეიძლება ეს უფრო რთული გზა იყოს, ნაკლებად მადლიერი, მისი შედეგებიც მაშინვე არ გამოჩნდეს, ბევრგან წააწყდეს წინააღმდეგობას, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ჭეშმარიტი ინტერესებისა და პერსპექტივის თვალსაზრისით ეს გზა შეუდარებლად გონივრული იქნებოდა.

როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ამით ცხადად და და საჯროდ მოვითხოვ თქვენგან და თქვენი რეჟიმის ყველა წამყვანი წარმომადგენლისაგან, რათა მიაქციოთ ყურადღება იმ უკუკავშირებს, რომლებზეც თქვენი ყურადღების მიპყრობა ვცადე, რომ მათ ფონზე აწონ-დაწონოთ თქვენი ისტორიული პასუხისმგებლობის მოცულობა და მასთან თანხმობაში მოიქცეთ.

8 აპრილი – 1975

ჩეხურიდან თარგმნა მაია ნაჭყებია

პირველად დაიბეჭდა გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“: (თავისუფალი საქართველო, 1990 № 2, 3, 5; 1991 № 1, 2, 4, 5).



“პირველი თოვლი”

ჯ.პ. პრისტლი

რობერტ ლინდს ერთხელ ჯეინ ოსტენის გმირების შესახებ უთქვამს: “მათ ცხოვრებაში მცირე თოვლის მოსვლაც კი უკვე მოვლენად იქცევა” და თუნდაც ამ გონებადამხვილმა, ნიჭიერმა კრიტიკოსმა მეორე ვუდჰაუსად ჩამოვალოს, მაინც ვიტყვი: წუხელ მოსული თოვლი მართლაც მოვლენა იყო. დილით, ბავშვების ოთახისკენ რომ გავიხედე და ფანჯარასთან მომდგარი პატარები დავინახე, თვალეზაფერებულნი რომ შეჰყურებდნენ ჯადოსნურ არემარეს და თან ისე მხიარულად ჭყლობინებდნენ თითქოს შობის დღესასწაული დაბრუნდაო, ვიგრძენი რომ მეც მათსავით ველავდი. რაც გინდა თქვი და თოვლი ჩემთვისაც ისეთივე საკვირველი და მომხიბვლელი აღმოჩნდა, როგორც მათთვის. წელს ეს პირველი თოვლი იყო, შარშანდელი ზამთარი კი საზღვარგარეთ გავატარე, ტროპიკული მზის ქვეშ. თურმე მართლაც მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახე ზღაპრული ხალიჩით დაფარული დედამიწა. სწორედ იმ ბოლო მოგზაურობის დროს შევხვდი გვინეელ ქალიშვილებს, რომლებიც ის-ის იყო ინგლისიდან დაბრუნებულიყვნენ. მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ორ გარემოებას მოუხდენია: ლონდონის ხალხმრავალ ქუჩებს – სრულიად უცხო ადამიანებს (ეს მათ განსაკუთრებით აღნიშნეს, რადგანაც თვითონ პატარა ქალაქში ცხოვრობდნენ, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობდა) და თოვლით დაფარულ პეიზაჟს, ერთ მშვენიერ დღეს რომ იხილეს სომერსეტში. გოგონები იმდენად გახარებულნი და აღტაცებულნი იყვნენ, მოჩვენებითი სიმორცხვე სულ გადაავიწყდათ. ისინი კარში გაცვივდნენ, მოელვარე, თეთრ თოვლში წინ და უკან დარბოდნენ, თან უთვალავ ნაფეხურს აჩნევდნენ გლუვ ზედაპირს, ზუსტად ამ ბავშვების მსგავსად.

პირველი თოვლი მხოლოდ დიდი მოვლენა კი არა, ჯადოსნური მოვლენაცაა. იძინებთ ღამით ერთ სამყაროში, დილით კი იღვიძებთ სრულიად სხვაში და თუ ეს საოცარი არაა, საერთოდ შეუძლებელი ყოფილა საოცრების პოვნა. ცვივა ფიფქები სამარისებულ სიჩუმეში, ბუნებრივ სიწყნარეში, რაც თოვლს კიდევ უფრო მისტიკურს ხდის. ისინი რომ ერთბაშად, გრუხუნით ეცემოდნენ დედამიწაზე, ადამიანებს შუაღამისას აღვიძებდნენ, მთელი მომხიბვლელობა უეცრად გაქრებოდა. მაგრამ საათი საათს მისდევს, ფიფქები კი ფრიალით, უხმაუროდ ეშვება დაბლა, სანამ ჩვენ გვძინავს. საძინებელი ოთახის დახურულ ფარდებს მიღმა საოცარი ცვლილებები ხდება, თითქოს უთვალავი ფერია და ანგელოზი ირჯებოდესო. ლოგინში ვტრიალებთ,

ვამთქნარებთ და წარმოდგენაც კი არა გვაქვს ამაზე. შემდეგ კი რა უჩვეულო სანახაობა იშლება თვალწინ! თითქოს ვიღაცამ სახლი ასწია და სხვა კონტინენტზე ჩამოაგდო. შიგნით ყველაფერი ხელუხლებელი დარჩა და მაინც სულ სხვაგვარი გვეჩვენება. ოთახები უფრო პატარაა და მყუდრო, ალბათ რაიმე უხილავი ძალა თუ ცდილობდა სახლი ხის მჭრელის ქოხად ან ფარდულად ექცია. გარეთ, იქ სადაც გუშინ ბალი იყო, ახლა თეთრი, მბრწყინავი საბურველია, ხოლო მოშორებით, ნაცნობი სახურავების ნაცვლად, მოჩანს რომელიღაც ძველი გერმანული ზღაპრიდან გადმოსული სოფელი. უკვე ისიც არ გაკვირვებთ, რომ ცვლილება თვით ადამიანებსაც დაეტყვოთ: სათვალისანი ფოსტალიონი, მეწაღე, ყოფილი მასწავლებელი და სოფლის სხვა ბინადარნი იქცნენ იღუმალ, ჯადოსნურ არსებებად, უჩინმაჩინის ქუდებისა და მაგიური ფეხსაცმელების ბატონ-პატრონებად. თვითონაც გრძნობთ, რომ ის აღარა ხართ, რაც გუშინ იყავით. ან კი როგორ შეიძლებოდა არ გამოცვლილიყავით, როცა ირგვლივ ყველაფერი გადასხვაფერდა. სახლში უცნაური ფაციფუცი, მოუსვენრობა მეფობს, ისეთი, მოგზაურობის წინ რომ იგრძნობა ხოლმე. ბავშვები რასაკვირველია მთლად მღელვარებას მოუცავს, მაგრამ უფროსებიც კი ჩვეულებრივზე დიდხანს საუბრობენ, ყოველდღიური საქმიანობის დაწყებას აღარ ჩქარობენ. ფანჯრებში ცქერის ცთუნებას ვერავინ უძლებს. მსგავსი განწყობა ჩვეულებრივ მოგზაურობის წინ გვეუფლება ხოლმე.

დილით რომ ავდექი, არემარე უსიცოცხლო თეთრისა და მკრთალი ცისფერის ცივი, ცარიელ სამეფოდ წარმომიდგა. ფანჯრიდან უცნაური სინათლე იჭრებოდა და ჩემს ჩვეულ საქმიანობას – პირის ბანას, პარსვას, ვარცხნას, ჩაცმას იღუმალ ელფერს აძლევდა. მერე კი მზე ამოვიდა. იმ დროისათვის, როცა საუზმეს შევუდექი, ის უკვე გაბედულად ანათებდა, თოვლს მკრთალი ვარდისფერით მოსაგდა. სასადილო ოთახის ფანჯარა მომხიბლავი იაპონური იეროგლიფებით იყო მოხატული. ეზოში კაშკაშა მზის ქვეშ ქლიავის პატარა ხის ტოტებს თოვლმა სიფრიფანა არშია შემოავლო და ვარჯიც მარჯვედ შეუმეო. ერთი-ორი საათის შემდეგ ყველაფერი ცივი თეთრი და ლურჯი ფერებით აციმციმდა. ერთხელ კიდევ მთლიანად გარდაიქმნა გარემო. პატარა იაპონური იეროგლიფები სრულიად გაქრა. ჩემი სამუშაო ოთახის ფანჯრიდან თვალი გადავაკვლე ბარს, ველს, დაბალ მთებს. მიწა ერთიან, დაუსრულებელ, თვალისმომჭრელ ელვარებად

ქცეულიყო. ცას ფოლადისფერი ედო, ხეების სილუეტები შავად და ავისმომასწავებლად გამოიყურებოდა. მართლაც რაღაც უჩვეულოდ ავბედითი ჩანდა ბუნება. იფიქრებდით ინგლისის შუაგულში მდებარე ჩვენი ლამაზი მიდამოები უეცრად სასტიკ სტეპებად იქცნენო. ცოტაც და ტირანიის მოწმენი გავხდებოდით, სროლის ხმას გავიგონებდით, ხოლო მოშორებით, თოვლზე წითელი ლაქა გაჩნდებოდა. აი ასეთი იყო იმ წუთას გარესამყარო.

ახლა კი იგი ხელმოკრედ შეიცვალა. თვალისმომჭრელი სინათლე გაფერმკრთალდა, ავბედითობის ნიშანწყალიც არ დარჩენილა, თუმცა ზეციდან კვლავ უხვად ცვივა დიდი, ნაზი ფანტელები და უკაცრიელი დაბლობის გაღმა უკვე აღარაფერი ჩანს. სახურავებზე თოვლის სქელი ფენა დევს, ხეები სიმძიმისაგან იღუნება და სოფლის ეკლესიის გუმბათზე დამაგრებული ფლიუგერი ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრიდან გადმოსულ არსებას გაგონებთ. სამუშაო ოთახიდან, რომელიც ჩვენი სახლის პირდაპირ ცალკე შენობაშია განთავსებული, კარგად ვხედავ ბავშვებს, ფანჯრის მინებს რომ ეკერიან ცხვირებით და მეც ისევ და ისევ ზარების ხმა-სავით ჩამესმის ლექსი, რომელსაც ბავშვობაში, ცივ სარკმელთან ატუხული ვიმეორებდი ხოლმე:

“ბარდნის თოვლი, ბარდნის
თეთრი ალუბასტრი,
მთაში ხოცავს ბატებს,
ბუმბულს ჩვენთან აბნევს.”

ვგონებ ჩრდილოეთის ქვეყნების სიმშვენიერე (ეს მოღუშული, მთავორიანი მხარე კი მომაჯადოებლად მშვენიერია) სწორედ თოვლში უნდა იყოს და თუმცა ექსპერტები გვარწმუნებენ, რომ თოვლი ამჟამად ისეთივე რაოდენობით მოდის როგორც უწინო, ჩვენ მათზე უკეთ ვიცით სიმართლე. მიზეზი კი ალბათ იმაშია, რომ ახლა ნაკლები ბავშვი დგას ფანჯრის მინაზე ცხვირმიჭყლეტილი და დილინებს: “ბარდნე თოვლო, ბარდნე!”

დილით, როცა უცნობ, გადათეთრებულ სამყაროს პირველად შევავლე თვალი, ძალაუნებურად ვინატრე – ნეტავ ინგლისური ზამთარი უფრო მეტად ჰგავდეს მეთქი ზამთარს. რა სასიამოვნო იქნებოდა თვეობით შემორჩენილი სუფთა თოვლის, ყინვისგან მბრწყინავი ხელის ცქერა, უთვალავი ნაცრისფერი, უფერული, წვიმიანი დღისა და ცივი ქარების ნაცვლად. მშურდა ჩემი მეგობრებისა, კანადასა და შეერთებულ შტატებში რომ ცხოვრობენ, იქ, სადაც ნამდვილი ზამთარი იცის. მათ წინასწარ დანამდვილებით იციან რომ ერთ მშვენიერ დღეს, ამა და ამ რიცხვში, მოვა თოვლი და გაზაფხულამდე შავ ჭყაპად აღარ იქცევა. თოვლი,

ყინვა და მაინც უღრუბლო ზეცა, ჰაერი – ხრამუნა, როგორც ბისკიტი – ყოველივე ეს მართლაც ბედნიერებად მეჩვენებოდა. შემდეგ კი მივხვდი, რომ ვცდებოდი. ერთ კვირაში ამისგანაც დავიღლებოდით. პირველი დღის შემდეგ ხიბლი გაქრება და აღარაფერი შეგვრჩება დღის უცვლელი ელვარებისა და ბოროტი, მკაცრი ღამეების გარდა. ჩვენ თოვლი და თეთრი საბნით დაფარული არემარე კი არ გვაჯადოებს, არამედ პირველი თოვლი, უეცარი, ჩუმი გარდაქმნა. ქარისა და წყლის მუდამ ცვალებადი ურთიერთკავშირი ჯადოსნურ მოვლენას ქმნის. ნეტავი ვინ გაცვლიდა ამას თანაზომიერ წრებრუნვაზე, რომელსაც კალენდარი მართავს. კარგად უთქვამთ, ყველა ქვეყანას თავისი ჰავა აქვს და მხოლოდ ინგლისშია ამინდიო. არაფერია ჰავაზე უფრო მოსაბეზრებელი. მხოლოდ მეცნიერებსა და ჰიპოქონდრიკებს თუ შეუძლიათ მის შესახებ მსჯელობა. ამინდი დედამიწის კლეოპატრაა, ამიტომ რა გასაკვირია, რომ ჩვენ, ვინც მის ბუმბერაზულ გუნება-განწყობილებას ვიზიარებთ, გამუდმებით ვლაპარაკობთ ამინდზე. მაგრამ საკმარისია ამერიკაში, ციმბირში ან ავსტრალიაში დავსახლდეთ, სადაც ჰავასა და კალენდარს შორის მტკიცე ხელშეკრულებაა დადებული, რომ სწორედ მისი სიცელქე, ჯიუტი ოინები, მოულოდნელი მრისხანება და უეცარი ცრემლები მოგვენატროს. დილით გაღვიძებაც აღარ იქნება თავგადასავალი. შესაძლოა ინგლისის ამინდი ცვალებადია, მაგრამ ამაში არც ადამიანები ჩამოვუვარდებით. თავისი ცვალებადობით ის ჩვენი ბადალია. მზე, ქარი, თოვლი, წვიმა - რა სიხარულით ვხვდებით მათ პირველად და მერე რა სწრაფად გვბეზრდება! ეს თოვლი ერთ კვირას მაინც თუ გასტანს, მომბეზრდება და მთელი გულით მის თავიდან მოცილებას ვინატრებ. წუხელ კი თოვლის მოსვლა ნამდვილ სასწაულად მომეჩვენა. გუშინდელთან შედარებით დღევანდელ დღეს განსხვავებული ხასიათი, სხვა ატმოსფერო ჰქონდა და მეც ჩემი თავი ოდნავ შეცვლილი მეგონა. ისეთი შეგრძნება მქონდა, ვითომ ახალ მეგობრებთან სტუმრად ვიმყოფებოდი ან უცებ ნორვეგიაში ამოვყავი თავი. შეიძლება ადამიანმა ასი ფუნტი დახარჯოს საკუთარი გულგრილობის ნაჭუჭის დამსხვრევის ცდაში და მაინც ცარ განიცადოს ის, რაც მე ამ დილით განვიცადე. თურმე ჯეინ ოსტენის გმირივით ცხოვრება არც ისე ცუდი ყოფილა.

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ავალიანმა

იანოზ არანი

იანოზ არანი უნგრელი კლასიკოსი პოეტი, მანდორ პეტეფის უფროსი თანამედროვე და მგოსანი. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1817-1882 წლებში. თავისი შემოქმედების და ცხოვრების ზოგიერთი მხარით, თავისი ადგილით უნგრულ ლიტერატურაში იგი წააგავს ჩვენს ილია ჭავჭავაძეს.

იანოზ არანის კალამს ეკუთვნის არაერთი ლირიკული ლექსი და პოემები: „გილდი“, „ტოლდის სალამო“, „ტოლდის სიყვარული“, „დაკარგული კონსტიტუცია“, „როზანი და ია“, „კევეკაზა“ და სხვა. მასვე ეკუთვნის აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის სტატიები.

არანი, გარდა იმისა, რომ იყო თავისი დროის გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, იყო დიდი პატრიოტი. უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის დროს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ლექსებითაც იბრძოდა ავსტრიელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მისი სახელი უნგრელმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა რევოლუციას.

არანი ქართულად თითქმის არ არის თარგმნილი და ჩვენი თარგმანები ერთ-ერთი პირველი მცდელობაა მისი ქართულად ამეტყველებისა.

ვიოლინო ზმელი ზეა

ზმელი ზეა ვიოლინო,
ხალხურებს კი კარგად მღერის.
ისე ტირის, ისე დარდობს,
ცრემლს მოგადენს სიმთა ჟღერით.
ხალხურს მღერის ვიოლინო,
მადიარც მისით ხარობს.
ისე ცეკვავს, ისე მღერის,
გული სკდება – მიყვარხარო!

1850

შთავონების წუთი

როგორც შეყვარებული ბედნიერი, ფრთამალი,
ჯადოსნური ძალებით შეიქმნება სურათი:
ატოკდება მხატვრის წინ უკვდავების წამალი,
იდეალი უმანკო, სრულყოფილი, სრულადი.
მაგრამ თუ დაწყნარდება სისხლი აჯანყებული,
თავის ქამარს მშვენიერს ძირს დააგდებს გრაცია
და ქაღალდმერთის ადგილას სხვა ქალი ჩანს ვნებულის,
ვისაც სამუშაო დღის შესაფერად აცვია.
ცა ცახცახებს სიცივით, ცაში დაიკარგება
ქალი ნაღდი, ნამდვილი, მღიმარი და თავნება.
აბა, რა გეწერება! აბა, რა გეხატება!
როგორც ჩრდილი უცები, შენი ლოცვა გაქრება,
ვარდისფერი ღრუბელი ხატე შენდა საქებად,
ო, ეს წუთი შენია – ღმერთს ელაპარება.

1855

დილა საღამო

მე მიყვარს დილა, როცა აზოვან
ალეებს ეცემა უპირველესად
ახალშობილი მზის სხივები, სხივნი ოქროსი
და გამოჩნდება აღთქმული მხარე,
მისი ფერი, მისი სურნელი, მისი ჰანგი ზემოთ და ზემოთ.

ჩემია მზე და მთელი ცხოვრება ჩემია მაშინ.
და ოჰ, სალამო!
მოთენთილია მაშინ სხეული, გონება ვერ ჭრის
და სულიც მაშინ დამსხვრეულია.
ფოთლების ჩრდილი იზრდება და მეშინია, მეშინია.
რა მოგაქვს დღეს მოგზაურო ჩემო სულო,
რომ ხვალისთვისაც საგზლად გეყოს“?
ბედნიერება თუ გეწვევა დღეისათვის,
ხვალისთვისაც შემოგრჩება მზის თბილი სხივი.

1854

რეცეპტი პოეტს

მარგალიტი, ნამი, ელვა, შროშანი და სხივი,
გარიჟრაჟი, ქარი, გედი, ვარდი, კვამლი, ტალღა,
ცა, მირაჟი, ჯოჯოხეთი – შეურიე ტკივილს
და უნგრული პოეზია გამოგივა ლაღად.


დაუმატე დანარჩენიც, თუ მოგეწონება:
„მთვარის სხივი“ და სურნელი ვიოლინოს ხისა
და სიმები – ვერცხის სიმნი დაჰყვებიან ნებას,
ცეცხლის მათრახს, წვიმის ძაფებს ნუ ისესხებ სხვისას.

იოცნებე და იფიქრე სასოწარკვეთილმაც.
მზე დაფარავს ბნელ ღამეს და არ დარჩები მიღმა.
მაღალი ცის მაღამოა შენი ვარდის თვალი,
მეტეორი ზღვაში ქრება ზეციური ძალით.

თუ არ გეყოს, რაც გითხარი, ნახე სიყვარულიც,
გოგოს თვალი ჩაუკარი ტანწერწეტს და ლამაზს
და ჩაჰბერე სალამურსაც, გვასმინე დაკრული,
თვით აპოლონს შემურდება შენი, გეტყვი ამას.

1853

უნგრულიდან თარგმნა დალილა ბედიანიძემ



იულიუს ბარჩ-ივანი

ლიტერატორი

XX საუკუნის სლოვაკური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელს, იულიუს ბარჩ-ივანს (1909-1953) დიდ ხანს არ უცოცხლია, მაგრამ მან მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა.

იგი თორმეტი პიესის ავტორია. მისი დრამატურგია ყოველთვის პრობლემატურ საკითხებს ეხებოდა. მისი ინტერესების სფეროში მოქცეულია პოლიტიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები. პიესა, რომლის თარგმანიც იბეჭდება, დაწერილია 1937 წელს, როდესაც ჩეხოსლოვაკიის პირველი რესპუბლიკა (1918-1939) ბოლო წლებს ითვლიდა. პიესას იმთავითვე რთული ბედი ერგო. იგი მაშინვე აკრძალა ცენზურამ და არც კლეროფაშისტურ სლოვაკიაში (1939-1945), არც შემდგომ კომუნისტური რეჟიმის დროს არ დადგმულა, როგორც თავად მკითხველიც ნახავს, პიესა მიმართულია დიქტატურისა და ანარქიის წინააღმდეგ.

მთარგმნელისაგან

პიესა სამ მოქმედებად, მქვს სურათად

1937 წ.

მოქმედი პირნი

ლუის ალვარესი, დიქტატორი
მარია, მისი მეუღლე
გენერალი ალონზო
თავდაცვის მინისტრი
შინაგან საქმეთა მინისტრი
პროპაგანდის მინისტრი
ვაჭრობის მინისტრი
ფინანსთა მინისტრი
გენერალი ტერენო
დაცვის I ოფიცერი
დაცვის II ოფიცერი
დაცვის III ოფიცერი
დაცვის IV ოფიცერი
I ანარქისტი
II ანარქისტი
მცველთა რაზმი, მასა.

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

დიქტატორის კაბინეტი. მარცხნივ, წინ, სავარძლები, მათ უკან ბუხარი, წინ შირმა, შირმის უკან გასასვლელი. უკანა პლანზე – აივანზე გასასვლელი. მარჯვენა მხარეს, უკან, გასასვლელი, რომლითაც არ სარგებლობენ. წინ საწერი მაგიდა. ნაშუადღევია.

ვაჭრობის და ფინანსთა მინისტრები (მარცხნიდან შემოდინ).

გამოსვლა პირველი

ვაჭრობის მინისტრი: დღეს ბელადს დიდი წარმატება ჰქონდა (ხალხის ხმაური). ხალხი ლამის შეიშალა აღფრთოვანებით.

ფინანსთა მინისტრი: ახლაც შეშლილებივით არიან. თანაც წარმატება ძალიან ძნელი მოსაპოვებელი იყო.

ვაჭრობის მინისტრი: რატომ?

ფინანსთა მინისტრი: ტაში მხოლოდ იმ ადგილებიდან ისმოდა, სადაც წამქეზებლები იდგნენ.

ვაჭრობის მინისტრი: ეგ არაფერი, ტაში ხომ მაინც იყო.

ფინანსთა მინისტრი: როგორ მოგეწონათ ბელადის სიტყვა?

ვაჭრობის მინისტრი: როგორც პატრიოტი, ვეთანხმები, როგორც ვაჭრობის მინისტრი, ზოგიერთ რამეს არ ვიზიარებ.

ფინანსთა მინისტრი: მაშ, შეგვიძლია ერთმანეთს ხელი ჩამოვართვათ. შეხედეთ, რამდენი პასუხაუცემელი კორესპონდენციაა მის მაგიდაზე.

ვაჭრობის მინისტრი: ეს ის საქმეებია, რომელთა გამოც პატარა ადამიანები დიდებს აწუხებენ.

ფინანსთა მინისტრი (საათს დახედავს): თუ მალე არ მოვა, ეროვნულ ბანკში დავაგვიანებ.

ვაჭრობის მინისტრი: ბარემ გულახდილად თქვით, რომ სახლში ახალგაზრდა მეუღლე გელოდებოდა და მაგიტომაც გეჩქარებათ.

ფინანსთა მინისტრი: ეგეც მართალია.

ვაჭრობის მინისტრი: მართლა, როგორი იყო თქვენი საქორწილო მოგზაურობა? იტალია ხომ არაჩვეულებრივია?

ფინანსთა მინისტრი: ნამდვილად.

ვაჭრობის მინისტრი: რამდენი დეპეშა დაგადევნათ უფროსმა?

ფინანსთა მინისტრი: არც ერთი.

ვაჭრობის მინისტრი: მშურს თქვენი.

გამოსვლა მეორე

პროპაგანდის მინისტრი (მარცნიდან შემოდის): შესანიშნავია. ხალხი მხოლოდ ახლა იშლება. უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა. უფროსის დღევანდელი დაბადების დღე მართლაც სამაგალითო გამოვიდა, რა სიტყვა წარმოთქვა!.. რას იტყვით, ბატონებო?

ვაჭრობის მინისტრი (ყოყმანით): ჩინებული იყო...

ფინანსთა მინისტრი: მართლაც გენიალური აზრები გამოთქვა.

პროპაგანდის მინისტრი: ცოტას გააღიზიანებს ჩვენს მტრებს, დარწმუნდებიან, რომ არ გვძინავს.

ვაჭრობის მინისტრი: ჰმ, ეგეც საჭიროა.

პროპაგანდის მინისტრი: ჰო, მართლა, როგორ დამთავრდა მოლაპარაკება ჩვენს მეზობლებთან იარაღის შეკვეთის თაობაზე?

ვაჭრობის მინისტრი: ცუდად. ჩაიშალა.

პროპაგანდის მინისტრი: რა თავხედობაა.

ვაჭრობის მინისტრი: ან მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორული უნდობლობა.

პროპაგანდის მინისტრი: უნდობლობა? ლაფუტის საწარმო ხომ მთელ ქვეყანაზეა ცნობილი. არ არსებობს ფაბრიკა, მისთვის კონკურენციას გაწევა რომ შეეძლოს.

ფინანსთა მინისტრი: გეთანხმებით, ოღონდ ერთის დავიწყება არ შეიძლება: ჩვენმა პოლიტიკამ მოგვცა დირექტივა მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ვიქონიოთ. ამით კი მსოფლიოსთვის ზურგი შეგვაქცევინა, მაგრამ იმის დამატება კი დაავიწყდა, რომ არა გვაქვს გაკვირვების საფუძველი, თუკი მსოფლიო ახლა ჩვენ შემოგვაქცევს ზურგს.

პროპაგანდის მინისტრი: ეს მხოლოდ ეჭვებია.

ვაჭრობის მინისტრი: შემთხვევა შემთხვევას მოსდევს. ამ უკანასკნელ ხანს უცხოეთმა ექვსი დიდი შეკვეთა გააუქმა.

პროპაგანდის მინისტრი: შეგიძლიათ ამისი ახსნა?

ვაჭრობის მინისტრი: რატომაც აღარ, ძალიან ადვილად...

გამოსვლა მესამე

იგივენი, ლიქტატორი, თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, I ოფიცერი.

I ოფიცერი: ბელადი!

ვაჭრობის მინისტრი: (რადაცას ეჩურჩულება პროპაგანდის მინისტრს).

ლიქტატორი (მარცხნიდან შემოვა. მას თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები მოჰყვებიან. საწერი საგიდსიკენ მიდის). დაბრძანდით, ბატონებო, და მომიტყევით, რომ კაბინეტში გხვდებით. მაგრამ ჩვენი დღევანდელი თათბირი მხოლოდ კარგი და გულითადი მეგობრობის საუბარი უნდა იყოს. უკანასკნელი მიტინგის წარმატებამ წამაქეზა გკითხოთ, როგორ გესახებათ ჩვენი ერის მომავალი და მჯერა, რომ ამ ჩვენი საუბრის შედეგი გაანათებს იმ გზას, რომლითაც მომავალში ვივლით. ჩემი დღევანდელი სიტყვა უკვე მოისმინეთ, მაშ გთხოვთ, გამაცანით თქვენი შენიშვნები, ბატონებო!

თავდაცვის მინისტრი: დღევანდელი სიტყვით თქვენ თავი წარმოაჩინეთ როგორც გამორჩეული ერის გამორჩეულმა ბელადმა.

დიქტატორი: გმადლობთ, ბატონო მინისტრო, მაგრამ მე ხოტბის შესხმა არ მითხოვია. კრიტიკა მაინტერესებს.

პროპაგანდის მინისტრი: თქვენი სიტყვა უეჭველად იპოვის ცოცხალ გამოხმაურებას უცხოეთში.

თავდაცვის მინისტრი: უცხოეთი ჩვენზე აზრს შეიცვლის. აქამდე მხოლოდ მსოფლიოს დამშინებლის როლს ვთამაშობდით. ქვეყანა დარწმუნებული იყო, რომ გამოსავალს ვეძებდით და არა ომს.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ჩვენ კი ომი გვინდა?

დიქტატორი: რა გაქვს მხედველობაში, ბატონო მინისტრო?

შინაგან საქმეთა მინისტრი: ის, რაც ვთქვი, წინამძღოლო, ბოლოს და ბოლოს უნდა მოვიპოვოთ რწმენა და ისიც ვიცი რწმენა ხალხსაც უნდა ჰქონდეს. გვინდა ომი?

დიქტატორი: ჩემმა სიტყვამ შეგიქმნათ ამ კითხვის დასმის საფუძველი?

შინაგან საქმეთა მინისტრი: ბელადო, თქვენს სიტყვაში პირდაპირ ომზე არ იყო ლაპარაკი. მაგრამ რომც ყოფილიყო, ორი მიზანი ექნებოდა დასახული, დაგვერწმუნებინა ჩვენი მეზობლები, როგორი შესაძლებლობები და ძალა გვაქვს, ანდა...

I ოფიცერი (გამოაცხდეს): გენერალი ალონზო!

გამოსვლა მეოთხე

იგივენი, ალონზო

ალონზო (მარცნიდან შემოდის): დიდება ბელადს!

დიქტატორი: მობრძანდით, გენერალო!

ალონზო: მაპატიეთ, ბელადო, რომ დამაგვიანდა, მაგრამ...

დიქტატორი: არა უშავს.

შინაგან საქმეთა მინისტრი: შემიძლია განვაგრძო?

დიქტატორი: დიახ, დიახ, რა თქმა უნდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ვიმეორებ, ან გინდოდით დაგვერწმუნებინათ ჩვენს შესაძლებლობებსა და ძალაში, ანდა მათი აშკარა გამოწვევა გსურდათ.

ალონზო: აშკარად მეორე შემთხვევაზე იყო ლაპარაკი, ბატონო მინისტრო.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ომზე?

ალონზო: დიახ.

შინაგან საქმეთა მინისტრი: რა თქმა უნდა. აბა, რას ვუზამთ ამდენ იარაღს? ერთადერთი, გამოფენას თუ მოვაწყოთ, ეს კი ბევრ არაფერს მოგვცემს, ოღონდაც, ბატონებო, როდესაც შეიარაღების გეგმა მტკიცდებოდა, არ ყოფილა იმაზე ლაპარაკი, რომ იარაღი ომისთვის იყო განკუთვნილი. ნუ ფიქრობთ, რომ ხალხი ხმას მისცემდა გეგმას, რომელიც ჩვენს ვაჭრობას ანადგურებს, აკოჭლებს მრეწველობის დანარჩენ დარგებს, ტვირთად აწვება მოქალაქეებს, აფერხებს კულტურის განვითარებას და გვაიძულებს, რომ ყველაფერში ევროპის სახელმწიფოებს მხოლოდ კურში მოვექცეთ. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ომისკენ მიდის.

ალონზო: ერს სურს, მისი ოცნებები საქმედ იქცეს.

თავდაცვის მინისტრი: ვისაც ოდნავი პატრიოტიზმი მანც გააჩნია, ვერ მოითმენს, რომ ჩვენს ძველისძველ მტრებს სამაგიერო არ გადაუხადოთ.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ეს თქვენი აზრია, ბატონო ბელადო? მაშინ მე მეტი შეკითხვები აღარ მექნება.

დიქტატორი: ჩემი? არა, ბატონებო, სიამოვნებით მოვისმინე თქვენი აზრები, ოღონდ ძალიან მწყდება გული, რომ ერთმანეთს ვერ გავუგეთ.

თავდაცვის მინისტრი: როგორ?

დიქტატორი: დღევანდელ სიტყვაში ვთქვი, რომ დღეს მთავარია ჩვენი კონსოლიდაცია. სამწუხაროა, რომ ეს მხედველობიდან გამოგრჩათ. მართალია. აუცილებლად მიმაჩნია ერის საკუთარ ძალაში დარწმუნება. ბოლოს და ბოლოს ეს ძალა ჩვენ მივეცით მას. ისიც მინდა, რომ ქვეყანა ომისათვის მომზადებული იყოს, რადგან არ ვიცით, რას გვიმზადებს მომავალი. მაგრამ ის, რომ დღესვე მოვკიდო ხელი ამ სახიფათო წამოწყებას და ვიცოდე, რომ შედეგი შეიძლება საეჭვო იყოს...

თავდაცვის მინისტრი: ეს რას უნდა ნიშნავდეს?

ალონზო: თქვენ ომის წინააღმდეგი ხართ?

დიქტატორი: არა, არა. ეს კარგად მოგეხსენებათ. მაგრამ ომი ახლა არ მინდა. მერე, როდესაც შინაგანად უფრო გავძლიერდებით...

ალონზო: ამას შეიძლება წლები დასჭირდეს...

დიქტატორი: ათწლეულებიც.

ალონზო: ბელადო, შეუძლებელია, რომ ეს თქვენი საბოლოო სიტყვა იყოს!

დიქტატორი: გენერალო, ჩემს ერზე მე ვაგებ პასუხს.

თავდაცვის მინისტრი: ერი მზადაა ომისთვის.

ალონზო: და დარწმუნებულია, რომ მისგან გმირობას ელით.

პროპაგანდის მინისტრი: თქვენ მიერ პროვინციაში წარმოთქმული ყველა სიტყვა ამ აზრს გამოხატავდა.

დიქტატორი: მაშ ასე! ამიტომაც გაიგეთ არასწორად ჩემი ნათქვამი! პროვინციაში ჩემგან ფარულად ხდება ჯარისკაცების დაჭირავება? ბატონო პროპაგანდის მინისტრო, ამაზე თქვენ აგებთ პასუხს.

პროპაგანდის მინისტრი: ბელადო, ეს...

ალონზო: ბატონი მინისტრი ჩემს ბრძანებას ასრულებდა.

დიქტატორი: თქვენს ბრძანებას ასრულებდა... (მასთან მიდის). ეს თქვენ შეიძლება ძალზე ძვირად დაგიჯდეთ.

ალონზო: მე უნდა გამოვთქვა ის, რასაც გრძნობს ჩემი ჯარი. ჯარს კი ყელში აქვს ამოსული ცარიელი სიტყვები, რომლებიც არასოდეს მოიტანენ შედეგს. მათ სურთ სისხლი დაღვარონ ერის უკეთესი მომავლისა და მისი დიდებისათვის. ასეთ მსხვერპლზე კი მე არ შემიძლია უარის თქმა.

დიქტატორი: ახლავე წადით, გენერალო, და სახლში დაელოდეთ ჩემს განკარგულებებს.

ალონზო (სალამს მისცემს და წავა).

დიქტატორი: ბატონებო, ის, რაც აქ მოხდა ჩვენს შორის უნდა დარჩეს. საუბარს ხვალ გავაგრძელებთ. მხოლოდ პროპაგანდის მინისტრს ვთხოვ, დარჩეს. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო (დანარჩენები გადიან).

გამოსვლა მეხუთე

დიქტატორი, პროპაგანდის მინისტრი

დიქტატორი: როდის მიიღეთ გენერალ ალონზოს ბრძანება?

პროპაგანდის მინისტრი: ჯერ კიდევ ერთი წლის წინ.

დიქტატორი: როგორ ხორციელდებოდა აგიტაცია პროვინციაში?

პროპაგანდის მინისტრი: გენერლის ჩანაფიქრის მიხედვით, კერძოდ, თქვენი ჩანაფიქრის მიხედვით.

დიქტატორი: ჩემი?

პროპაგანდის მინისტრი: მე მაშინ გენერალმა მითხრა, რომ თქვენი განკარგულებაა ხალხის ფარულად მომზადება ომისათვის. არც პრესას უნდა სცოდნოდა ამის შესახებ არაფერი და ოფიციალურად არც თქვენ უნდა ყოფილიყავით ინფორმირებული.

დიქტატორი: რატომ უნდა გაკეთებულიყო ყოველივე ეს ფარულად?

პროპაგანდის მინისტრი: უცხოეთს რომ არ გაეგო ამის შესახებ.

დიქტატორი: მხოლოდ უცხოეთი. უკვე გასაგებია... ბატონო მინისტრო. ჩვენი რევოლუციის წამყვანი პიროვნება იყავით. ამ წუთში ამათ გადაგარჩინათ. მაგრამ მომავლისთვის ვერ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ მსგავს სიტუაციაში ასევე შეგობრულად დავშორდებით ერთმანეთს, კარგად ბრძანდებოდეთ!

(პროპაგანდის მინისტრი გადის).

გამოსვლა მეექვსე

I ოფიცერი, დიქტატორი

I ოფიცერი (შემოვა).

დიქტატორი: ჩემი მეპუღლე მელოდება?

I ოფიცერი: დიახ, ბელადო.

დიქტატორი: სთხოვეთ შემოვიდეს.

I ოფიცერი: ბელადო, საიდუმლო პოლიციის ცნობა მოვიდა.

დიქტატორი: მნიშვნელოვანია?

I ოფიცერი: ფრიად. ანარქისტების მეთაური, პროფესორი როცჩი ქალაქში ნახეს, პოლიცია დაეძებს, რადგან დარწმუნებულია, რომ თქვენზე თავდასხმას აპირებს.

დიქტატორი: ეს ის არის, ჩემზე შარშანდელი წარუმატებელი თავდასხმა რომ მიაწერეთ. მაშ გააძლიერეთ დაცვა და ყველა განსაკუთრებული ღონისძიებები გაატარეთ. შეგიძლიათ წახვიდეთ.

(I ოფიცერი გადის).

გამოსვლა მეშვიდე

დიქტატორი, მარია

მარია (შემოვა). საღამო მშვიდობისა, ლუის. ბრაზდებით, რომ მოვედი?

დიქტატორი: არა, ძვირფასო, გელოდებოდით, როგორც ცისარტყელას ქარიშხლის შემდეგ. დაბრძანდით.

მარია: რომ ვერ შევამჩნიო, რაოდენ აღელვებული ხართ?

დიქტატორი: მძიმე დღე მქონდა.

მარია: უნდა დაისვენოთ.

დიქტატორი: ახლა? (გაიცინებს). არ მოხერხდება.

მარია: გუშინ თქვით, რომ სწორედ დღევანდელი მიტინგის, თქვენი დაბადების დღის შემდეგ იქნებოდა ეს შესაძლებელი.

დიქტატორი: დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ ეგ გუშინ იყო.

მარია: მოხდა რამე?

დიქტატორი: არაფერი განსაკუთრებული. შევიტყვე, რომ ალონზო ომის პროპაგანდას ეწეოდა პროვინციაში, რასაკვირველია, ჩემგან ფარულად.

მარია: რას უზამთ?

დიქტატორი: არ ვიცი, ჯერ არ ვიცი. ერთი წლის წინ კისერს მოუვგრეხდი, დღეს კი არ ვიცი, რა გქნა. რაღაცნაირად გავტყდი, აღარ შემიძლია, და სწორედ ახლა, როცა გასაოცრად ბევრი ძალა მჭირდება, რათა იმ ბინძური საქმიანობის შედეგები აღვკვეთო.

მარია: ყველაფერი რიგზე იქნება, ოღონდ გამბედაობა საჭირო. გახსოვთ, როგორ ვიმხნევებდით თავს რევოლუციის დღეებში, როგორ ვეუბნებოდით ერთმანეთს: არ შეგეშინდეს, მხოლოდ გამბედაობა საჭირო, უნდა გაიმარჯვო, ეს ხომ კეთილი საქმეა, რისთვისაც იბრძვი...

დიქტატორი: ეს მართლაც კეთილი საქმეა.

მარია: ლუის, თქვენ ალბათ მუშაობით გადაიღალეთ...

დიქტატორი: არა, არა, არა. ეს უფრო მეტია. სამწუხაროდ, მეტი. დავანებოთ მაგას თავი, ძვირფასო. ისეთი ძვირფასია ჩემთვის წუთები, როდესაც ერთად ვართ. იცით, ვინ მინდა ვიყო? მეთევზე. სადმე შორს, ზღვის ნაპირას. მეთევზე, რომელსაც უყვარს ზღვა და სივრცეები, არა ჰყავს მოწინააღმდეგეები, არ უტრიალებს თავში პრობლემები, არ ჰპარავს საკუთარსავე თავს იმ სილამაზეს, რომელიც მისი ცოლის თვალებში იმალება და შეუძლია არამართო იმუშაოს, არამედ იოცნებოს კიდეც... და ძალუძს იყოს ბედნიერი... (ტელეფონი). დიახ, დიახ... რასაკვირველია... სთხოვეთ შემოვიდეს (დაკიდებს ყურმილს). ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს.

მარია: წავიდე?

დიქტატორი: რატომ? დარჩი.

გამოსვლა მერვე

იგივენი, შინაგან საქმეთა მინისტრი

შინაგან საქმეთა მინისტრი (შემოვა). მაპატიეთ, ბატონო ბელადო, გამოუძახებლად რომ გეახლეთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს თქვენთან.

დიქტატორი: გთხოვთ, ბატონო მინისტრო!

შინაგან საქმეთა მინისტრი: საქმე გენერალ ალონზოს ეხება.

დიქტატორი: მარიას წინაშე საიდუმლოებები არა მაქვს. გთხოვთ, დაბრძანდით.

შინაგან საქმეთა მინისტრი: შემიძლია გულახდილად ვილაპარაკო?

დიქტატორი: მხოლოდ გულახდილად, ბატონო მინისტრო. ფარისევლები ისედაც საკმაოდ მყავს გარშემო.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ბელადო, ძალიან მძიმე სიტუაციაში იმყოფებით.

დიქტატორი: მხედველობაში ალონზოსთან დღევანდელი კონფლიქტი გაქვთ?

შინაგან საქმეთა მინისტრი: მხედველობაში ის ძირგამომთხრელი საქმიანობა მაქვს, რომელსაც იგი მთელი წელიწადია ეწევა და რომლის შესახებაც თქვენ არაფერი იცით.

დიქტატორი: არ მჯერა.

შინაგან საქმეთა მინისტრი: სამწუხაროა. მაგალითად, დღეს მიტინგის შემდეგ წამქეზებელთა ის დეპუტაცია მიიღო, რომლის მიღებაზეც თქვენ უარი თქვით.

დიქტატორი: ეგ არაფერს ნიშნავს.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ეს ბევრს ნიშნავს. მან ძალიან სწორი ხერხებით ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვა ეს პოპულარობა. ხალხს არ სჭირდება ისეთი ბელადი, რომელიც მხოლოდ მირაჟია და განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოჩნდება ხოლმე. ხალხს მისი დანახვა უნდა, სურს მას ხელით შეეხოს, როგორც სინამდვილეს, უნდა ჩაისუნთქოს მისგან ის, რისი მიცემაც არ შეუძლია საპროგრამო გამოსვლებს. რა ხეირი აქვს მას ისეთი ბელადისაგან, რომელიც ხანდახან გამოჩნდება ხოლმე თავისი ზღაპრული სასახლის აივანზე და მოწყალებასავით უბობებს რამდენიმე სიტყვას?

დიქტატორი: კონკრეტულად! ეს მე მეხება? დღეს მიჭირს აზროვნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი: თქვენ გეხებათ, ბატონო ბელადო, თქვენ დაკარგეთ ის პოპულარობა, რომელმაც სახელმწიფოს სათავეში მოგაქციათ. ბრძოლა გელოდებოდა, თუკი ამის სურვილი გაქვთ.

დიქტატორი: ალონზოსთან?

შინაგან საქმეთა მინისტრი: ალონზოსთან. ისევ უნდა მოინადიროთ ხალხის გული. ყოველი შესაძლებელი ხერხით. მაგრამ უნდა იჩქაროთ. ძალიან არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრძანდებით.

დიქტატორი: სულ ეს არის?

შინაგან საქმეთა მინისტრი: სულ ეს არის, რის თქმაც მინდოდა.

დიქტატორი (ციკად): გამაღლობთ. ამისთვის არ ღირდა თავის შეწუხება.

შინაგან საქმეთა მინისტრი (წამოდგება).

მარია: ბატონო მინისტრო, გთხოვთ, ნუ წახვალთ.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ქალბატონო, მე არ გახლავართ სასიამოვნო თანამოსაუბრე.

მარია: ყოველ შემთხვევაში, კარგი მეგობარი ბრძანდებით და მე სწორედ იმ კარგ მეგობარს ვთხოვ.

დიქტატორი: მარია, ნუ გავიწყდებათ...

მარია: გარკვეული წესები... არ მაინტერესებს ისინი. არც თქვენი აზრი, ეს მნიშვნელოვანი ამბავია. ვგრძნობ ამას.

შინაგან საქმეთა მინისტრი: გთხოვთ, ქალბატონო.

მარია: ნუ საყვედურებთ ლუისს აჩქარების გამო. გამოფიტულია, ნერვები აქვს დაძაბული და კიდევ, სანთლის ქვემოთ სიბნელეა ხოლმე.

დიქტატორი: მარია...

შინაგან საქმეთა მინისტრი: რა გნებავთ, ქალბატონო?

მარია: იცნობთ ალონზოს?

შინაგან საქმეთა მინისტრი: ყველა ჩვენგანზე უკეთესად.

მარია: საშიში მოწინააღმდეგეა?

შინაგან საქმეთა მინისტრი: ჯერ ძალაუფლება არა აქვს ხელში. ვერ ამჟღავნებს, რაც შეუძლია, მაგრამ ერთხელაც...

დიქტატორი: ერთხელაც, ერთხელაც, ერთხელაც გვაჩვენებს სეირს, არა?

შინაგან საქმეთა მინისტრი: ძალზე ლოგიკურია ამის მოლოდინი. ამ ამბავში ჩახედული ადამიანისათვის თქვენი საქმე წასულია.

დიქტატორი (გაჩერდება): არა, არა. თავგზა ამებნა, ჩემივე თავი დაგვარგე.

მარია: ლუის...

დიქტატორი: დიას, დიას, რა საჭიროა თავის მოკატუნება...

შინაგან საქმეთა მინისტრი: მე ვგრძნობდი ამას, შინაგანი ბრძოლა განადგურებთ, ძალას გაცლით, იმ გონებას გიხშობთ, რომელიც ურთულესი პრობლემების გადაწყვეტისას ბრწყინავდა, იმ საღ და ცივ აზროვნებას გააკარგვინებთ, რომელიც თქვენს ყველაზე ფიცხელ მოწინააღმდეგესაც კი აჩერებდა. ბელადო, ეს მხოლოდ დაპრესიაა. თქვენ მებრძოლი ხართ, გზა უნდა განაგრძოთ...

დიქტატორი: თუკი უკვე გვიანია?

შინაგან საქმეთა მინისტრი: არ არის გვიანი. როგორიც არ უნდა იყოს სიტუაცია (ხმას უმაღლებს), ახლაც შეგიძლიათ სასწაულის ჩადენა. მიეცით ახალი დირექტივა ხალხს, დასახეთ პოლიტიკის ახალი მიმართულება. ოქროს და არა სისხლის ასოებით უნდა დაიწეროს ერის მომავალი ისტორია.

დიქტატორი: ბრძოლა?

შინაგან საქმეთა მინისტრი: ბრძოლა.

დიქტატორი: არა. არ დავნებდები (ყურმილს იღებს). გენერალ ალონზოს ბინასთან შემაერთეთ. გენერალი ალონზო? ახლავე მობრძანდით ჩემთან სასახლეში. გამაღლობთ (დაკიდებს ყურმილს). მარია, ტირით? არ იტიროთ, უკვე ყველაფერი კარგადაა.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ალონზოს გინდათ შეუთანხმდეთ?

დიქტატორი (იცინის): შეუთანხმდე?

მარია: ლუის, ალონზო უეჭველად დათანხმდება თქვენს ყველა მოთხოვნას. წავიდეთ აქედან...

დიქტატორი: სად? გმირი ხომ უფრო ლამაზად კვდება, ვიდრე ლაჩარი. როგორ თქვით? ქვეყნისათვის სიმშვიდის მოტანა. დიას, სხვებისა და საკუთარი თავისთვის. დიას, თუნდაც გარშემო სულ ტურების ყმუილი იდგას, რომლებიც მსუქან ლეშებს ელოდებიან. ვცადოთ, ჩემო მეგობარო (ყურმილს იღებს). მანქანა კარებთან მიაყენეთ, არ მინდა ალონზომ დაგინახოთ.

მარია: ისე ველავ თქვენზე...

დიქტატორი: ამაოდ, ძვირთასო. ცოტა ხანში მოვალ შინ: რვაზე ოპერაში უნდა ვიყოთ. მომყევით. გაგაცივლებთ, რადგან გზა არ იცით (წინ მიუძღვება).

შინაგან საქმეთა მინისტრი: ბრაზობთ ჩემზე, ქალბატონო...

მარია: არა, თქვენი მაღლობელი ვარ (ხელს გაუწოდებს. მინისტრი ხელზე ეამბორება. გადიან).

გამოსვლა მეცხრე

I და II ანაქისტები

I ანარქისტი (მარჯვნიდან შემოდის, მას მეორე მოჰყვება): შირმის უკან დაიმაღე.

II ანარქისტი (იგივე მსახიობი, რომელიც დიქტატორს თამაშობს. დაიმალება).

I ანარქისტი: იარაღი შემოწმებული გაქვს? პროფესორის ბრძანება არ დაგავიწყდეს. თუ შეშინდები, ერთ საათში იმქვეყნად გავისტუმრებ, როგორმე უნდა მოახერხო, კარებთან ვიდგები (ხმაური გარედან). ყურადღებით იყავი... (გადის).

გამოსვლა მეათე

II ანარქისტი, დიქტატორი, ალონზო

დიქტატორი (მარჯვნიდან შემოდის. ტელეფონის ზარი): გენერალი ალონზო? (ყურმილს დაკიდებს).
ალონზო (შემოდის, მიესალმება).

დიქტატორი: ახლოს მოდით, გენერალი.

ალონზო: საბჭოს სხდომაზე ჩემი სიტყვის გამო დამიბარეთ?

დიქტატორი: დიახ, დიახ, რასაკვირველია. გთხოვთ დაბრძანდეთ. სიგარეტს ინებერთ?

ალონზო: გმადლობთ, არ ვეწევი (დაჯდება).

დიქტატორი: წარმოიდგინეთ: ვთქვათ, გითხარით, ეს სიგარეტი ტანალის გუბერნატორობაა-მეთქი? მაშინ აი-
ლებდით?

ალონზო: გმადლობთ, არც მაშინ მოვწევდი.

დიქტატორი: არ დაგავიწყდეთ, გენერალი, რომ მე გიმასპინძლებით.

ალონზო: რა თქმა უნდა, მესმის. ჩემი თავიდან მოშორება გსურთ. ლაჩრული ჟესტია. მაგრამ მე არ დავნებ-
ლებით. ამაში ცდებით, ბელადო.

დიქტატორი: მეტს აღარ შევცდები.

ალონზო: ვიცი, რომ ჩემი გეშინიათ. კარგი იქნებოდა, თქვენგან შორს ვყოფილიყავი. გინდათ წამართვათ ყვე-
ლა შესაძლებლობა, წამართვათ სახელი, რომელიც სამართლიანად მოვიპოვე ხალხში...

დიქტატორი: მოიპოვეთ სიცრუით, ეშმაკობით, მავნებლური საქმიანობით...

ალონზო: ბელადო, ამის გულისთვის...

დიქტატორი: ჩუმად იყავით, გენერალი, გავიწყდებით, რომ ძალაუფლება ჯერ კიდევ ჩემს ხელშია.

ალონზო: ერთი სიტყვაა საკმარისი თქვენი ძალაუფლების დასაფშვნელად. ჯარი ჩემს მხარეზეა და ხალხიც,
ეგ ხომ თქვენც მოგეხსენებათ.

დიქტატორი (დუმს, იღიმება).

ალონზო: ამან შეგაცხუნათ? ახლაც შესძლებდით ამ კითხვაზე თქვენთვის დამახასიათებელი, საარაგო „დიახ,
დიახ, რასაკვირველია“ გეპასუხათ?

დიქტატორი: როგორ არა, ძვირფასო გენერალი, დიახ, დიახ, რასაკვირველია, ვიცი ამის შესახებ და ამიტო-
მაც კიდევ უფრო ხაზგასმით მოვითხოვ: მოსწიეთ სიგარეტი.

ალონზო: საკმარისია წამი, ერთადერთი ბრძანება და ჯარი ალყას შემოარტყამს თქვენ სასახლეს. ჩემი ჯარი,
გასაგებია? ჯარი, რომელიც უჯერებს მხოლოდ მეომარს და არა...

დიქტატორი: და არა მე. ეგეც ვიცი. მეცოდება თქვენი ჯარი, გენერალი, დიდხანს ვერ შეძლებს თავისი საყ-
ვარელი მეთაურის ხილვას, რადგანაც...

ალონზო: რადგანაც?

დიქტატორი: რადგანაც თქვენ მოსწევთ ამ სიგარეტს, გენერალი.

ალონზო: გინდათ უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმა მაიძულოთ?

დიქტატორი: საერთოდ კი იცით, რომელი ნაბიჯი იქნებოდა თქვენთვის უკანასკნელი? თუ აქედან გახვალთ
და ხელში მოკიდებული სიგარეტი არ გეჭირებათ, თქვენი პირველი ნაბიჯი თქვენივე უკანასკნელი ნაბიჯი იქნება.

ალონზო: კარგი ნამუშევარია. ოღონდ ამის განსახორციელებლად თქვენ ძალიან მხდელი ბრძანდებით. იცით,
რა მოჰყვებოდა მაგას? მთელი ხალხი ფეხზე დადგებოდა და ჩემი ჯარისკაცები ნაკუწებად გაქცევდნენ.

დიქტატორი: არ ყოფილხართ ჭკვიანი, გენერალი. ისეთ რამეებზე ზრუნავთ, რაც თქვენი სიკვდილის შემდეგ
შეიძლება მოხდეს.

ალონზო: მართლა?

დიქტატორი: მართლა, მაშ, მოუკიდეთ სიგარეტს, გენერალი! (სანთებელას ამოიღებს, უკიდებს სიგარეტს).
შესანიშნავი სიგარეტი, ტანალის სიაუკეთესო თამბაქოსაგანაა დამზადებული, სიამოვნება ჯერ კიდევ წინა გაქვთ.

ალონზო (უყურებს დიქტატორს. მერე აიღებს სიგარეტს და მოუკიდებს). ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს
(გავა).

დიქტატორი (ნაპოლეონის ჟესტი. იცინის).

გამოსვლა მეთერთმეტე

დიქტატორი, I და II ოფიცრები

დიქტატორი (ყურმილს იღებს): ნომერ პირველი და მეორე.

I და II ოფიცრები (შემოვლენ).

დიქტატორი: ამ წუთში აქედან გავიდა გენერალი ალონზო, გაჰყვით მას და თვალი არ მოაცილოთ. არ და-
უშვათ, რომ დღეს საღამოს მინასტრთა თათბირზე მოვიდეს. ყოველივეზე მომავლობით ინფორმაციას.

I და II ოფიცრები (სალამს მისცემენ, გავლენ).

გამოსვლა მეთორმეტე

დიქტატორი, II ანარქისტი

დიქტატორი (რეკავს): გენერალ ტერენოს ბინაა? გენერალო, ბელადი გელაპარაკებათ. რაც შეიძლება სწრაფად მოდით ჩემთან. თქვენთვის სასიხარულო ცნობა მაქვს. უკანა შემოსასვლელით შემოდით. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა (დაკიდებს ყურმილს). აღარ შემიძლია... არა, არა, აღარ შემიძლია (ნელა გავა აივანზე).

გამოსვლა მეცამეტე

ალონზო, II ანარქისტი, I და II ოფიცრები

II ანარქისტი (ცოტა ხანს სიჩუმეა. მერე ჩურჩულით): ანტონიო, ანტონიო! (ცოტა ხნის მერე). წასულა.

ალონზო (შემოდის აღელვებული, ხედავს, რომ არავინაა კაბინეტში, საწერ მაგიდასთან მიდის, ქაღალდებს ათვალიერებს, რაღაცას ეძებს).

I და II ოფიცრები (შემოდიან): გენერალო ალონზო, თქვენ დაპატიმრებული ბრძანდებით.

ალონზო (ფიცხად): ხმა ჩაიგდეთ!

I ოფიცერი: ჩვენ მოგვეყვით, თუ სკანდალი არ გინდათ.

ალონზო: მე მინდა სკანდალი!..

I ოფიცერი: ხვალ დილით ატიაში უნდა გაემგზავროთ. იქ ნავი გელოდებათ, რომელიც ტანალიაში ჩაგიყვანთ, მოგვეყვით.

ალონზო: არც ერთი ნაბიჯი! არ გაბედო მოახლოება!

I ოფიცერი (იარაღს მოიმარჯვებს): მაშ, მომეყვით, სამხედრო ნაბიჯით!

ალონზო (დუმილის შემდეგ): ძაღლები... (გადის).

V და II ოფიცრები (უკან მიჰყვებიან).

გამოსვლა მეოთხმეტე

დიქტატორი, II ანარქისტი

II ოფიცერი (გარედან): თქვენი ბრძანება შესრულებულია, ბელადო!

II ანარქისტი (სცენაზე გამოდის, კარებისკენ შეტრიალებული, საიდანაც დიქტატორი უნდა შემოვიდეს, ხელში იარაღი უჭირავს).

დიქტატორი (მარცხნიდან შემოდის. უკვე სხვა მსახიობი უნდა იყოს).

II ანარქისტი (ტყვიას ესერის. დიქტატორი დაეცემა და ანარქისტი მას შირმის უკან გაათრევს).

გამოსვლა მეთხუთმეტე

II ანარქისტი, III და IV ოფიცრები

III და IV ოფიცრები (შემოდიან).

III ოფიცერი (გაკვირვებული): სად არის ბელადი? მგონი ამწუთას შემოვიდა კაბინეტში.

IV ოფიცერი: ალბათ გენერალი ტერენოს ელოდება ლურჯ სალონში.

III ოფიცერი: მაშ გენერალი ალონზო უკვე მშვიდობიანად მოვიშორეთ?

IV ოფიცერი: ცოტა ხნით მაინც.

III ოფიცერი: თამამი საქციელია, მომწონს წინამოდლოლი, ეს დიდი ხანია უნდა გაეკეთებინა.

IV ოფიცერი: ნაღდი კაცია, ზომ არ იცის, დღეს აქ როდემდე უნდა ვიყოთ აყუდებული?

III ოფიცერი: დიდხანს არა. ოპერაში მიდის. აბა, წამო, თორემ მოგვისწრებს აქ და შავ დღეს დაგვაყრის (გავლენ).

გამოსვლა მეექვსმეტე

II ანარქისტი, მარტო

II ანარქისტი გამოდის სცენაზე, პალტოს იკრავს, დიქტატორივით აცვია. გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მას. მსახიობი აგრძელებს თავისი როლის თამაშს. გამოათრევს გვამს სცენაზე, გვერდზე მიუდებს იარაღს. ხელში ჩვეულებრივი რევოლვერი უჭირავს. ჰაერში გაისერის. მერე იარაღს გადაადგებს.

გამოსვლა მეჩვიდმეტე

II ანარქისტი, დიქტატორის ნაცვლად, III და IV ოფიცრები, მცველები.

დიქტატორი (დგას გაოცებული, იყურება წინ, ჩაირთვება საგანგაშო სირენა. კარი იღება).

III და IV ოფიცრები (მათ დაცვა მოჰყვებათ).

III ოფიცერი: რა მოხდა, ბატონო ბელადო?

IV ოფიცერი: მკვდარი, მკვდარი (დანარჩენები აჩოქოლდებიან).

III ოფიცერი: ბელადო, რამე ხომ არ შეგემთხვათ? დაუძახო ექიმს?

დიქტატორი (უარის ნიშნად თავს გააქნევს).

III ოფიცერი: მაინც როგორ უნდა მომხდარიყო ეს? გაჩხრიკეთ სასახლე. აქ მხოლოდ დაცვის მეორე ოფიცერი ღარჩება. წადით!

დაცვის ერთ-ერთი წევრი: ბელადო, როგორც შეგვეძლო, ისე ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას, გამოიჩინეთ მოწყალება ჩვენდამი.

დიქტატორი (ანიშნებს, რომ წავიდნენ).

IV ოფიცერი: მხოლოდ სასახლის ჩრდილოეთ მხრიდან შეძლო შემოსვლა, მიტინგის დროს. ამ კარით გადით და ეხლა მაინც ღამტყიცით კაცური საქციელით, რომ ამ ადგილას შემთხვევით არ მსახურობთ (მცველები გადიან).

III მცველი: პოლიციას დაუძახებ (ყურმილს იღებს).

დიქტატორი (ხელში სწვდება და ყურმილს დააგდებინებს).

III ოფიცერი: გვამი გავიტანო?

დიქტატორი (თავს დაუქნევს).

III და IV ოფიცრები (გვამი გააქეთ).

გამოსვლა მეთვრამეტე

დიქტატორი, III და IV ოფიცრები

III ოფიცერი (დაბრუნდება): მომიტყევით, ბელადო, მინდა ვიცოდე, ხომ არაფერი დაგიშვდათ. როგორც ჩანს, ამ იარაღით მოჰკალით იგი. ეტყობა, შეტაკებაში რევოლვერები შეგეცვალათ. ასეა?

დიქტატორი (თავს უქნევს).

III ოფიცერი: გაზეთები ამ ამბით აივსება. გმირულად მოიქცით, ვამაყობ თქვენით, ბელადო, და მთელი ერი იამაყებს ამით. შესანიშნავია იცოდეთ, რომ შენი ბელადი გმირია. რატომ არაფერს ამბობთ, ბელადო?

IV ოფიცერი: მაპატიეთ, ბელადო, გენერალი ტერენოა აქ. შეგიძლიათ მისი მიღება?

დიქტატორი (წამი გავა, სანამ რამეს იტყვის, ნაპოლეონის ჟესტი, იგივე, რაც პირველ დიქტატორს ჰქონდა. მერე ნელა, ხაზგასმით): ღიახ, ღიახ, რასაკვირველია.

ფ ა რ დ ა

სურათი მმორე

დიქტატორის სასახლის მისაღები დარბაზი. მარჯვნივ თავმჯდომარის მაგიდა, შუაში და მარცხნივ გასასვლელი, თავმჯდომარის მაგიდის პირდაპირ დიქტატორის პორტრეტი, ბუნებრივი ზომისა.

გამოსვლა პირველი

პროპაგანდის და თავდაცვის მინისტრები

პროპაგანდის მინისტრი: გაუგებარი ამბავია. წაიკითხეთ საღამოს გაზეთების საგანგებო გამოშვება? ყველგან პირველ გვერდზე დიდი ასოებითაა დაბეჭდილი სტატიების სათაური: „ბელადი – ერის უდიდესი გმირი“. შესანიშნავია! მეც ვუფიქრობ, რომ გმირობაა არ დაგაბნიოს ასეთმა ბოროტმოქმედებამ და მოჰკლა მტერი. მაგრამ როგორ მოხდა იქ ის მტარვალი? ამაზე ხმას არავინ იღებს, ისევ სასიამოვნო მიზანი დგას პროპაგანდის მინისტრის წინაშე – ახსნას ყოველივე ეს და ხალხისთვის რაიმე მიზეზი მოიგონოს. საშინელებაა, უკვე დღეს მიღულს ტვინი იმაზე ფიქრით, როგორ გამოეხმაურებიან ამ მოვლენას უცხოეთის გაზეთები. საშინელი სირცხვილია. ბელადის სასახლეში ანარქისტი შეიპარა. სკანდალი!

თავდაცვის მინისტრი: ეს თავხედობაა! და სულ იმ ბატონების ბრალია, რომლებიც პარპაშობენ ბელადის სასახლეში და ფრიად უხამსი წარმოდგენა აქვთ პოლიტიკურად აქტიური პიროვნების უსაფრთხოებაზე.

პროპაგანდის მინისტრი: სათანადო ყურადღება არც მოქალაქეთა დაცვას ექცევა. არ ზრუნავენ ამაზე.

თავდაცვის მინისტრი: ბელადის დღევანდელი ნაბიჯი გონივრული არ იყო. არ შეიძლება არ იფიქრო იმაზე, რა სურს ჯარს. რით დამთავრდა თქვენი გუშინდელი შეჯახება ღიქტატორთან?

პროპაგანდის მინისტრი: მე ჩემმა დიდმა დამსახურებამ გადამარჩინა, მაგრამ საბრალლო ალონზო... იმას კი მი-
ეზლო ყველაფრისთვის.

თავდაცვის მინისტრი: რა შეემთხვა?

პროპაგანდის მინისტრი: გადააყენეს. ახლა ტანალიის გუბერნატორია. ასეთი იყო ბელადის ბრძანება.

თავდაცვის მინისტრი (წამოხტება): ბელადისა? ალონზო ტანალიაში? ეს ხომ... შეასრულა ეს განკარგულება?

პროპაგანდის მინისტრი: ცუდი ინფორმაციები გყავთ. იძულებული იყო მიეღო, სვალ გაემგზავრება.

თავდაცვის მინისტრი: მაშინ ლაჩარი ყოფილა და ღირსია, რომ ადამიანმა სახეში შეაფურთხოს.

პროპაგანდის მინისტრი: არა, არა. რატომ? ტანალია ლამაზი მხამრეა.

თავდაცვის მინისტრი: ნუ მაგიჟებთ. ზღაპრულია თქვენთვის, ანდა ვინმე სხვისათვის, მაგრამ ალონზოსათვის?
ალონზოსათვის, რომელიც ყველასათვის უკვე მომავალი...

პროპაგანდის მინისტრი: ცოტა ხმადაბლა, ძვირფასო მეგობარო!

თავდაცვის მინისტრი: მერე რა? ეს სასაზღვო ჩვენთან ერთად დგას და ეცემა. აქ ჩვენ ვართ ბატონები.

პროპაგანდის მინისტრი: სულაც არ მინდა, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. ბელადის ეს ნაბი-
ჯი კი ენერგიული იყო. ეს უნდა აღიარონ, მე მხოლოდ იმის მეშინია... (ჩურჩულებს).

გამოსვლა მეორე

იგივენი, ფინანსთა მინისტრი, ვაჭრობის მინისტრი, IV ოფიცერი

IV ოფიცერი (კარებში აცხადებს): ბატონი ვაჭრობის მინისტრი, ბატონი ფინანსთა მინისტრი.

ფინანსთა მინისტრი: დიდება ბელადს, ბატონებო.

ვაჭრობის მინისტრი: დიდება ბელადს.

ფინანსთა მინისტრი: თავდასხმის შემდეგ ხომ არ გილაპარაკიათ ბელადთან?

პროპაგანდის მინისტრი: არა.

ვაჭრობის მინისტრი: კარგი ნამუშევარია. მის პოპულარობას ძალიან შეუწყობს ხელს.

თავდაცვის მინისტრი: იმ მეორე ნამუშევარზე თუ გსმენიათ რამე?

ვაჭრობის მინისტრი: ახ, საწყალი ალონზო. უკვე შემცვლელიც ჰყავს. ტერენო აუდიენციაზე.

თავდაცვის მინისტრი: ხოლ? ტერენო? ფუჰ!

ფინანსთა მინისტრი: რატომ ფუჰ? ტერენო ძალიან სასიამოვნო ადამიანია, ოღონდაც სამხედრო არ არის.

თავდაცვის მინისტრი: და ალონზოს ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, ეგეც უნდა დაგემატებინათ.

ფინანსთა მინისტრი: სწორედ მაგაშია საქმე. ბელადი თანდათანობით პატივისცემის გრძნობას აღმიძრავს, და-
ბოლოს, ქალაქში ჭორი დადის, რომ თავდასხმა ალონზომ მოაწყო.

თავდაცვის მინისტრი: ეგ არ არის მართალი.

ფინანსთა მინისტრი: მართალიც რომ იყოს...

თავდაცვის მინისტრი: გთხოვთ დაასრულოთ აზრი.

ფინანსთა მინისტრი: ვამბობდი, მოწინააღმდეგე რომც იყოს, ალონზო მაინც უკვე დასჯილია, შეიძლება მერე
ჩვენი რიგიც დადგეს.

თავდაცვის მინისტრი: არასოდეს! ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ალონზო საბჭოს სხდომაზე არ იქნება?

პროპაგანდის მინისტრი: არა.

პროპაგანდის მინისტრი: მაშ ვაიძულოთ ბელადი, რომ უარი თქვას ალონზოს დანიშვნაზე.

პროპაგანდის მინისტრი: სწორია.

გამოსვლა მესამე

იგივენი, შინაგან საქმეთა მინისტრი

IV ოფიცერი (აცხადებს): ბატონი შინაგან საქმეთა მინისტრი!

შინაგან საქმეთა მინისტრი (შემოვა): დიდება ბელადს!

ფინანსთა მინისტრი: მაშ, უკვე ყველანი აქ ვართ.

თავდაცვის მინისტრი: რას ველოდებით?

შინაგან საქმეთა მინისტრი: თუ არ ვცდები, ბელადს.

თავდაცვის მინისტრი: რა აზრისა ხართ ალონზოს გადაყენებაზე სხვა თანამდებობაზე?

შინაგან საქმეთა მინისტრი: გაინტერესებთ?

თავდაცვის მინისტრი: დიახ, ძალიან.

შინაგან საქმეთა მინისტრი: მე კი სწორედ თქვენი აზრი მაინტერესებს.

თავდაცვის მინისტრი: როგორც ჩანს, პასუხს ვერ მივიღებ.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ბელადის განმარტებას დაველოდოთ და წინადადებაც მაქვს – ტამით შევევებოთ. ამას იმ გმირული საქციელით იმსახურებს, რომლის წყალობითაც მთელს ერს თავისი თავი შეუნარჩუნა (ყველა ღუმს).

თავდაცვის მინისტრი: მეც მექნებოდა წინადადება, ჩვენი უკმაყოფილება ალონზოს გადაყენების თაობაზე იმით გამოვხატოთ, რომ არ ავდგეთ, როდესაც შემოვა.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ისე გამოდის, თითქოს მხოლოდ თქვენმა ოფიცერებმა უნდა იცოდნენ ზრდილობიანი მოქცევა, ბატონო მინისტრო.

თავდაცვის მინისტრი: მოვითხოვ უკან წაიღოთ თქვენი უკმეხი სიტყვები!

შინაგან საქმეთა მინისტრი: არავითარ შემთხვევაში. და ისიც საკითხავია, უკმეხობაა ეს თუ არა. ვისაც წარმოადგენს არა აქვს ზრდილობაზე, არც თავხედობაზე შეიძლება ჰქონდეს იგი.

თავდაცვის მინისტრი (ხმაღს იშისვლებს).

გამოსვლა მეოთხე

იგივენი, დიქტატორი, ტერენო

IV ოფიცერი (კარს აღებს): ბელადი!

თავდაცვის მინისტრი (ხმაღს ქარქაშში ჩააგებს).

დიქტატორი (შემოვა. მხოლოდ მაყურებელმა უნდა იგრძნოს გაუბედაობა და იმავედროულად არაჩვეულებრივი გამბედაობა. გაჩერდება – იქ მყოფთ უყურებს. მერე თავმჯდომარის მაგიდისკენ მიდის): სალამი, ბატონებო.

ტერენო (გაჩერდება ისე, თითქოს აქ არც იყოს მისი ადგილი).

შინაგან საქმეთა მინისტრი: დიდება ბელადს, დიდება!

დანარჩენები: დიდება!

დიქტატორი: მადლობას გიხდით, ბატონებო, სიმპატიის გამოძღვანებისათვის. დაბრძანდით, გთხოვთ (დასხდებიან).

თავდაცვის მინისტრი (დიქტატორის წინ გაჩერდება): მე მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებ მონაწილეობას საბჭოს სხდომაში, თუ დასაწყისშივე გაირკვევა გენერალ ალონზოს ამბავი.

დიქტატორი (ხმადაბლა): დასხდით, ბატონო მინისტრებო.

თავდაცვის მინისტრი: ვიმეორებ ჩემს მოთხოვნას. გენერალი ალონზო გადაიყვანეს მინისტრთა საბჭოს თანხმობის გარეშე. ამიტომ ვფიქრობ...

დიქტატორი: ნუ ფიქრობთ, ბატონო მინისტრო, დაბრძანდით.

თავდაცვის მინისტრი: არ დავჯდები, ასეთი პასუხით არც თქვენგან დაგკმაყოფილდები, ბელადო. კონკრეტულ პასუხს მოვითხოვ. ხოლო თუ მას ვერ მივიღებ...

დიქტატორი: ნუ მჭევრმეტყველებთ, ბატონო მინისტრო. ეს ჩემი სპეციალობაა და მე მას უკეთ ვფლობ. თუ საჭიროდ ჩავთვლი, მოგცეთ ახსნა-განმარტება გენერალი ალონზოს შესახებ, მოგცემთ, ხოლო თუ არა, არა. თუ ეს არ გაწყობთ, გთხოვთ, ჩვენ ნუ შეგვიშლით ხელს (გაოგნება).

დიქტატორი (აგრძელებს): დღევანდელი დღე ჩემი ცხოვრებისთვის ბევრს ნიშნავს და ამიტომ მინდა, რომ იგი ჩემი ხალხისთვისაც მნიშვნელოვანი იყოს. დავრწმუნდი, რომ იმ გზაზე, რომლითაც მივდივარ, შეიძლება დავეცე და ეს დაცემა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი. ამის არ მეშინია და თუკი გარდუვალია, მინდა შევეწირო იმ იდეას, რომელიც ჩემს ერს ჭეშმარიტ დიდებას მოუტანს და ამას მთელი ქვეყნიერება დაინახავს.

პროპაგანდის მინისტრი: ეს დღევანდელი რეჟიმის კრიტიკად უნდა მივიღოთ?

დიქტატორი: დიახ, თუკი ესოდენ გულახდილი ბრძანდებით.

ფინანსთა მინისტრი: არ დაგავიწყდეთ, ბელადო, რომ ამით საკუთარ თავსაც აკრიტიკებთ.

დიქტატორი: არ მაგიწყდება, ოღონდ ნება მომეცით განვაგრძო. მინდა ხალხს ოცნებები აუუსრულო. ის დირექტივები, რომლებმაც დღემდე მოგვიყვანეს, რამოდენიმე ადამიანის სუბიექტური აზრი იყო რაღაც გაურკვეველი დიდებისკენ მიმავალ გზაზე. დღეს კი ვაღიარებ, რომ ღირსი ვიყავი იმ ანარქისტს მოვეკალით მეც და თქვენც, რადგანაც ჩვენ არ ვაქცევდით ყურადღებას ხალხს, რომელზეც უნდა გვეზრუნა. მხოლოდ ის გვაწუხებდა, როგორ გვეძიებდნენ ისინი, რომ ტამი დაეკრათ და პატრიოტული ალტაცებით ჩვენი აზრებისთვის თავი ექნიათ. ბატონებო, ეს არაა პოლიტიკა არც დღევანდლობისთვის, არც მომავლისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ბრავო!

დიქტატორი: ისე გვსურდა აღგვეზარდა ახალი თაობა, რომ დედის რძის გარდა არ სცოდნოდა არაფერი ჭეშმარიტი და მარგარიტზე დაგვეყვარებინა მომავალი თაობების სიჯანსაღე. წაგვერთმია ხალხისთვის ყველაფერი, რაც ახარებდა, დაგვეპატარავებინა მისი კუჭი, გამოგვეფიჭა ტვინი, თავში ჩვენი აზრების გადმოძცემი რეპროდუქტორი ჩაგვედგა და გვერწმუნა, რომ ეს მას უზომოდ მოსწონს. და ასე ბევრსაც მივადწიეთ, კუჭგამხმარი ხალხი აღფრთოვანებისაგან კანკალებდა, როდესაც ჩვენს პროპაგანდისტულ სიტყვებს ისმენდა თავისი დიადი მომავლის შესახებ. რატომ? რადგანაც მათ უკან მცველები იდგნენ, ხოლო მათ კი საკმაოდ ჰქონდა მუცლები ამოყორილი.

პროპაგანდის მინისტრი: მხოლოდ მაგიტომ?

თავდაცვის მინისტრი: ხალხის რწმენას დასცინით.

ვაჭრობის მინისტრი: ეს თქვენი იდეოლოგიის მარცხია, ბელადო, რაღაც აბსურდია.

დიქტატორი: ბატონო მინისტრო, ჩემი ნათქვამი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება აბსურდი, თუკი ის, რასაც აქამდე ვაკეთებდით, ნორმალური იყო. ხალხი ხომ ჩვენ ისე გვიყურებდა, როგორც იპოქონდრიულ გიჟებს. საფრთხეს იქ ვხედავდით, სადაც არ იყო. მილიარდები შეიარაღებაზე მიდიოდა. იმას, რასაც კუჭს წავგლეჯდით, იარაღს ვახმარდით. ვარწმუნებდით მათ, რომ მთელ ქვეყნიერებას ვპულვართ და ასე ვასწავლიდით მთელი ქვეყნიერების სიძულვილს, რომელიც გაოგნებული ადევნებდა თვალს ჩვენი პოლიტიკის სიშმაგეს. არა, ბატონებო, აქ უკვე უნდა შევჩერებულიყავით.

პროპაგანდის მინისტრი: მაშ რა გნებავთ?

დიქტატორი: დღევანდელი დღე გაფრთხილება იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ დღესდღეისობით არსებული რეჟიმისთვისაც. დაუბრუნეთ ხალხს ის, რაც წაართვით. ნუ ახრჩობთ ხალხის აწმყოს აბსტრაქტული მომავლისათვის. მიეცით ხალხს ის, რაზეც ოცნებობს – ბედნიერება და სიმშვიდე!

პროპაგანდის მინისტრი: რა სიმშვიდე?

ფინანსთა მინისტრი: ეს რას უნდა ნიშნავდეს?

ვაჭრობის მინისტრი: სიგიჟეს.

თავდაცვის მინისტრი: ზუსტი სიტყვაა, მეც ამის თქმას ვაპირებდი, კონკრეტულ პასუხს მოვითხოვ. როგორ უნდა გავივით თქვენი დღევანდელი სიტყვა?

დიქტატორი: მშვიდობა გვინდა.

თავდაცვის მინისტრი: თითქოს ომი იყოს! (გადაიხარხარებს).

დიქტატორი: ეხლა, არა, მაგრამ მე მომავალს ვგულისხმობ. არ მინდა ხალხს ომის საშიშროება ეპუქრებოდეს. ნათელი და სპეტაკი უნდა იყოს ის გზა, რომელიც მას მომავლისკენ წაიყვანს. დაე, მომავლის რწმენა დაუბრუნდეს მას, ხოლო ის კი მისი ოცნებებისა და ნების გამომხატველი იქნება: მშვიდობა!

თავდაცვის მინისტრი: სენტიმენტალური სიტყვის მცდელობა დღეს უკვე გქონდათ მიტინგის შემდეგ. მაგრამ მაინც ძალიან მოულოდნელად შეტრიალდა საქმე.

დიქტატორი: შესაძლოა. მაგრამ ახლა ჩემთვის მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, რასაც ჩემი სინდისი მიბრძანებს.

თავდაცვის მინისტრი: თქვენი სინდისი ჩუმად იქნებოდა, ოპოზიცია რომ არ ჩამოგეშორებინათ.

დიქტატორი: ჯერ არ დამიმთავრებია, ბატონო მინისტრო. რკინის ხელით განვახორციელებ ჩემს იდეას. ის კი ყველას შეეხება, ვინც წინ აღმიდგება.

თავდაცვის მინისტრი: ჩემთან აპირებთ ასეთი ტონით ლაპარაკს?

ვაჭრობის მინისტრი: ვგონებ, ბელადო, რომ ძალზე ფანტასტიკური წარმოდგენა გაქვს თქვენს ძალაზე.

დიქტატორი (გაუკვირდება. დუმს): არა, მე არ ვცდები, ბატონებო. და არც ჩემს სიტყვებს წავიღებ უკან, იძულებულები იქნებით, ეს თქვენ გააკეთოთ.

ფინანსთა მინისტრი: იძულებულები?

დიქტატორი: გასაგებად გამოვთქვამ აზრს. მაშ, ვაგრძელებ (უკვე დიქტატორივით ლაპარაკობს, შთაგონებით). ხვალდან ლაფეტის საამქროები ერთი წლით დაიხურება.

თავდაცვის მინისტრი: როგორღა მივიყვანთ ბოლომდე შეიარაღების გეგმას?

დიქტატორი: კრახს განიცდის. მუშები სამუშაოდ გადავლენ გაუქმებულ რკინიგზებზე, რომლებსაც უკვე დიდი ხანია უნდა განეახლებინათ თავისი მუშაობა. ისევ შევქმნით ჩვენს მრეწველობას, ბატონო მინისტრო.

ფინანსთა მინისტრი: ფინანსები?

დიქტატორი: განისაზღვრება გადასახადი ქონებიდან. ის, ვისი ქონებაც ასი ათას ფრანკს აღემატება, ვალდებული იქნება პროცენტები იხადოს და ამით სახელმწიფოს მშენებლობას დაეხმაროს. ასეთიანად წლიური მოგება გადასახადებიდან ზუთი მილიონი ფრანკით გაიზრდება. ოღონდ, ჩემო ბატონებო, კარგი მაგალითი უნდა მისცეთ ხალხს. თქვენს მილიონებს შეეცარული ბანკის სეიფებში ნუ შეინახავთ, რადგან არც თქვენ იქნებით გამოჩაგლისი.

შინაგან საქმეთა მინისტრი: კიდევ რას მოიცავს თქვენი გეგმა?

დიქტატორი: ავაშენებთ საავადმყოფოებს, ლაბორატორიებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს, პირველ რიგში კი ფაბრიკებს, ხოლო ყველა კერძო ფაბრიკა სახელმწიფოს ხელში გადავა. მათი მმართველები სახელმწიფო მოხელეები იქნებიან, მოგების ისეთივე წილით, როგორც მუშები.

თავდაცვის მინისტრი: ჯარი?

დიქტატორი: ჯერჯერობით დარჩება.

თავდაცვის მინისტრი: დარჩება? ნუთუ უკვე ისე შორს წავიდით, რომ ჯარის აუცილებლობაში ეჭვი გვებარება?

დიქტატორი: არა. დღეს ჯერ არა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ვნახავთ, იყო თუ არა სწორი ეს გზა, რომელსაც დღეს დავადექით. აღდგება პრესის თავისუფლება, დაე, ხალხის ყველა ფენა გამოცოცხლდეს (პროპაგანდის მინისტრი იცინის). დაე, იცხოვროს ხალხმა ისე, როგორც მას სურს. და უკვე აღარ მივაჩერდებით მის კუჭს, მტკიცედ დარწმუნებულნი, რომ იქ მხოლოდ კონსერვებსა და წითელი ჭარხლის მარმალადს წავაწყდებით. დაე, იქცეს ადამიანი ისევ ადამიანად, – იყოს მოაზროვნე, მგრძნობიარე, თავისუფალი! დაუბრუნდეს სიმშვიდე და ბედნიერება – ყველაზე უმნიშვნელოსაც კი ჩვენს სახელმწიფოში. მე მოვრჩი, ბატონო მინისტრებო!

პროპაგანდის მინისტრი: ეს საკითხი უეჭველად განიხილება პარლამენტში, არა?

დიქტატორი: არა, ბატონო მინისტრებო, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მისცემს ხალხი ხმას იმას რაც დღეს დავიწვეთ.

თავდაცვის მინისტრი: მაგრამ ეს ხომ...

დიქტატორი: დიქტატურაა, ძვირფასო მეგობარო, სრული ჭეშმარიტებაა.

ფინანსთა მინისტრი: თქვენს მიერ წამოყენებული ფინანსური გეგმა ნამდვილად ყოველგვარი სპეციალური ცოდნის გარეშეა შედგენილი.

დიქტატორი: შესაძლებელია მისი განხორციელება?

ფინანსთა მინისტრი: ყველაფერი შესაძლებელია, თუკი მონდომება იქნება.

დიქტატორი: მაშ, მეც ეს მინდა! გაქვთ რაიმე შენიშვნები ჩემი გამოსვლის მიმართ?

თავდაცვის მინისტრი: ჩვენ? (გაიცინებს).

დიქტატორი: არაფერი, ჩემო ბატონებო? მაშ, მოვრჩით.

თავდაცვის მინისტრი: მივიღებ რაიმე განმარტებას გენერალ ალონზოს ამბავთან დაკავშირებით?

დიქტატორი: აჰა, დიხ, რასაკვირველია. გენერალი ბოლო დროს ავადმყოფობს და ტროპიკული ჰავა უეჭველად უშველის. ამიტომაც გავაგზავნე ტანალიაში. მისი შემცვლელი საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელში გენერალი ტერენო გახლავთ.

თავდაცვის მინისტრი: თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ ბრიყვები ვართ, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზული სახეებით უსმინონ თქვენს წინადადებებს და განმარტებებს? და შეგიძლიათ გვათამაშოთ, როგორც გნებავთ?

დიქტატორი: ასე მიმაჩნია. ვთვლი, რომ თქვენ თოჯინები ხართ ჩემს ხელში. მე კი სპექტაკლს ვდგამ. ამბობთ იმას, რაც მე მსურს, ისე, როგორც მე მსურს. ხტუნაობთ, ტირით, იცინით ისე, როგორც მე მინდა.

ფინანსთა მინისტრი: ეს უდავოდ სიასლეა, ბელადო.

თავდაცვის მინისტრი: დღესვე მოვიწვევ გენერალთა თათბირს.

დიქტატორი: ღამე მშვიდობისა, ბატონებო, არ გავიკვირდეთ, თქვენს პალტოებს თუ ვერ იპოვით, ამაღამ ჩემი სტუმრები ბრძანდებით და ეს მე საოცრად მახარებს (ზარს დარეკავს).

თავდაცვის მინისტრი: ჩვენს დაპატიმრებას აპირებთ?

დიქტატორი: სასახლეს არ დატოვებთ მანამდე, სანამ ხვალინდელი გაზეთები არ გამოაქვეყნებენ ჩემს რეფორმას იმ შენიშვნით, რომ მას აღფრთოვანებით ეთანხმება მინისტრთა საბჭო. კიდევ ერთხელ ღამე მშვიდობისა, ბატონებო.

IV ოფიცერი (კარებში გმოჩნდება, მინისტრები ერთმანეთის მიყოლებით გადიან).

დიქტატორი (მათ გაჰყურებს, როდესაც უკანასკნელიც გავა, შეხედავს სურათს, გულხელს დაიკრეფს და თავაწეული შეჰყურებს).

ფ ა რ დ ა

მეორე მოქმედება

სურათი მესამე

სცენა ისეთივე, როგორც მეორე სურათში.

გამოსვლა პირველი

პროპაგანდის, შინაგან საქმეთა, ვაჭრობის, ფინანსთა, თავდაცვის მინისტრები, გენერალი ტერენო.

თავდაცვის მინისტრი: რა უსიმაღნოა ეს მოლოდინი.

პროპაგანდის მინისტრი: დეპუტაციებს იღებს.

ფინანსთა მინისტრი: ჩვენ ალბათ ბოლოსთვის შემოგვიტოვებს.

ვაჭრობის მინისტრი: ერთი წლის წინათ, როდესაც თავისი პროგრამა გაგვაცნო, დავცინოდით. მართლაცდარკინის ხელით განახორციელა იგი. ჩვენ თოჯინები ვართ მის ხელში.

ტერენო: და თან სულელები, ხალხიც დავიცინის.

თავდაცვის მინისტრი: გრძნობთ ამას არა, გენერალო?

ტერენო: მე ჯარისკაცი ვარ და ეს არასოდეს არ მაგიწყდება.

თავდაცვის მინისტრი: მახარებს ეს გენერალო. ხელს ჩამოშორებო?

ტერენო: რა გნებავთ?

თავდაცვის მინისტრი: არმიის მომავლის უზრუნველყოფა.

ტერენო: თქვენად მიგულისხმობ (ხელს ჩამოართმევს ერთმანეთს).

ვაჭრობის მინისტრი: ვგონებ, აქ ოპოზიციას ეყრება საფუძველი.

თავდაცვის მინისტრი: თქვენ ამის წინააღმდეგი ხართ?

ვაჭრობის მინისტრი: მე არ შემიძლია დავეთანხმო მეოცნების გეგმას, რომელიც ორი ათასი წლით იმაზე აღ-
რე დაიბადა, ვიდრე უნდა დაბადებულიყო.

თავდაცვის მინისტრი: სწორია, ბატონო მინისტრო. დანარჩენ ბატონებთანაც შემიძლია უკვე გულადხილი ვი-
ყო (შინაგან საქმეთა მინისტრი და ფინანსთა მინისტრი საუბრობენ. მათკენ მიდის). ბატონო მინისტრო, თქვენ ისევ
თქვენს ძველ თვალსაზრისზე დგახართ?

შინაგან საქმეთა მინისტრი: დიახ.

თავდაცვის მინისტრი: თქვენ ხომ პატრიოტი ბრძანდებით. უნდა ხედავდეთ, რომ ერის დაღუპვა ახლოვდება.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ეს ფრაზებია! არ მსურს შავად დავინახო ის, რაც თეთრია. რეფორმამ უცხოეთის
პატივისცემა იმიტომ დაგვიბრუნა, რომ ნამდვილი საქმე დაინახა. ეს იყო და არის ისტორიაში ყველაზე გაბეღული
ნაბიჯი მსოფლიო მშვიდობის შექმნისათვის.

თავდაცვის მინისტრი: თქვენ ბელადის აზრების შესანიშნავი რეპროდუქტორი ბრძანდებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ამ იდეების უკან ხალხი დგას და ამას თქვენ არჩევნების დროს დაინახავთ.

თავდაცვის მინისტრი: მე მგონი, ბატონო მინისტრო, თქვენ გულახდილი არა ხართ და თქვენი პირადი
მრწამსის გამჟღავნება გეშინიათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი: მე მძულს ყველა, ვისაც ადამიანთა სისხლის დაღვრა სურს ხალხის დიდებისათ-
ვის. და რაც ამ საკითხს შეეხება, ეს ჩემი საბოლოო სიტყვაა.

გამოსვლა მეორე

იგივენი, ალონზო, IV ოფიცერი

IV ოფიცერი: გენერალი ალონზო!

(წამოძახილები): ალონზო! აქ რას აკეთებს? ეს ხომ შეუძლებელია.

ალონზო (შემოვა): მიხარია, ბატონებო, თქვენი დანახვა (გარს შემოერთყმინ).

თავდაცვის მინისტრი: ბელადის მოთხოვნის თანახმად გამოცხადდი?

ალონზო: მოვედი, რადგან საჭირო ვარ აქ (ტერენოს) გენერალო, ბრძოლამ უნდა გაგვაერთიანოს. მინდა,
რომ ჩვენ მეგობრები ვიყოთ.

ტერენო: შეგიძლიათ იქონიოთ ჩემი იმედი (ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ).

ალონზო: ბატონებო, იმიტომ ვარ აქ, რომ სამშობლო საფრთხეშია. ენერგიული ნაბიჯია საჭირო. თუ ზეგინ-
დელი არჩევნები ისე განხორციელდება, როგორც აგიტატორების მიერ დაგეგმილმა ხალხმა უნდა ჩაატაროს, მსოფ-
ლიოს წინაშე უიარაღოდ აღმოვჩნდებით. ნებისმიერ საფრთხის შემთხვევაში მთელი ძალით წინ აღვუდგები ბელა-
დის გეგმას, ჯარის მოსპობა არ შეიძლება.

ტერენო: გუშინ საყოველთაო განიარაღება განხორციელდა.

ალონზო: ჯარი?

თავდაცვის მინისტრი: ჯარიც განაიარაღეს.

ალონზო: ეგ როგორ დაუშვით? დედაკაციები ყოფილხართ.

თავდაცვის მინისტრი: რისი გაკეთება შეგვეძლო? გენერლები თოფების მუქარის ქვეშ იძლეოდნენ ბრძანებებს
თავიანთ ჯარისკაცთა განსაიარაღებლად.

ალონზო: ასე... მაშ ყველაფერი დაკარგულია. სად არის იარაღი?

თავდაცვის მინისტრი: საიდუმლო სამალავში. ოღონდ არ ვიცით, სად.

ალონზო: უნდა გამოვიკვლიოთ.

თავდაცვის მინისტრი: ვერ დავადგინეთ ვერც ერთის ვინაობა, ვინც განაიარაღებას ეწეოდა. ვერც ერთი სახე-
ლი ვერ გამოვარკვეით, რომ ეს ჩვენი ძიების ამოსავალ წერტილად გვექცია.

შინაგან საქმეთა მინისტრი (მათან მივა): გენერალო, ტანალიაში წესრიგი დაამყარეთ, აქ რაღასთვის ჩამოხ-
ვედით, რევოლუციის მოსახდენად?

ალონზო (გაკვირვებული): რევოლუციის მოსახდენად? არა, პირიქით, ხელი უნდა შევეშალო. ბელადმა უარი
უნდა თქვას თავის გეგმაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი: თუ არ დავთანხმდით?

ალონზო: მაშინ რევოლუცია მოხდება. მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი: გააღეთ ფანჯარა!

ალონზო (გააღებს. ბრბოს ხმაური, ხალხის წამოძახილები: დღევანდელია ბელადის! დიდება მარადიულ მშვი-
დობას! გაბოროტებით მოხურავს ფანქარას).

შინაგან საქმეთა მინისტრი: გესმით? აქ რევოლუცია არ მოხდება.

ალონზო: მაგრამ ტყუილუბრალო სისხლისღვრა იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი: უიარაღოდ? რატომ? იმიტომ, რომ სამ ბატონს არ მოსწონს ის, რაც ხალხს
უნდა?

თავდაცვის მინისტრი (აწყვეტინებს საუბარს). როგორი სიტუაციაა ტანალიაში?

ალონზო: ჯარის მიერ დამყარებული სიმშვიდე სუფევს.

პროპაგანდის მინისტრი: დახოცილებიც არიან?

ალონზო: კი, დახოცილებიც ბევრია...

შინაგან საქმეთა მინისტრი: რატომ?

ალონზო: ბელადის ბრძანების თანახმა.

პროპაგანდის მინისტრი: იქ სისხლისღვრა და აქ კი მარადიული მშვიდობა?

შინაგან საქმეთა მინისტრი: მართალს ამბობთ, გენერალო?

ფინანსთა მინისტრი: მაშ ეს იმის დაცინვაა, რასაც აქ აკეთებს.

ალონზო: ვშიშობ, რომ მართალი ბრძანდებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი: არა, არა, გენერალო, ეს სიცრუეა.

ალონზო: ბატონო მინისტრო!

შინაგან საქმეთა მინისტრი: ჩამოხვედით, რათა ბელადის წინააღმდეგ ამხედროთ აქაურობა. მაგრამ ის კი არ ვიცი, მომგებიანია თუ არა ბრძოლის ასეთი მეპთოდი. ვისაც სხვისი ამოსვრა სურს ტალახში, თვითონაც დაისვრის ხელს.

ალონზო: შეურაცხყოფაზე არ გასუსხობთ, ბატონო მინისტრო. მაგრამ როგორც განმარტება, ეს უნდა იკმაროთ (ქაღალდს ამოიღებს).

პროპაგანდის მინისტრი: ეს რა არის?

ალონზო: ბელადის ბრძანება, რომელიც კურიერმა გადმოიტანა.

შინაგან საქმეთა მინისტრი (კითხულობს): ყოველი საშუალების გამოყენებით უნდა იქნას ჩახშობილი (სახე შეეცვლება).

ფინანსთა მინისტრი: და იცით რატომ?

ვაჭრობის მინისტრი: აქ რომ არაფერმა დააბრკოლოს მისი გეგმის განხორციელება.

ტერენო: და ხელს აძლევს, რომ ცნობები ტანალიდან მხოლოდ სამ დღეში ჩამოვა.

ფინანსთა მინისტრი: უფრო ადრეც რომ ჩამოაღწიონ ცნობებმა, სისხლისღვრა ტანალიაში ჯარის მოშორების ახალი მიზეზი იქნება.

ალონზო (შინაგან საქმეთა მინისტრს): ბატონო მინისტრო, ხელს არ ჩამოშორებთ? ბოლოს და ბოლოს ჩვენ რაღაც ძალას წარმოვადგენთ, თუ ერთად ვიქნებით. თქვენ პატრიოტი ხართ და იგრძნობთ, რომ შეუძლებელია...

გამოსვლა მესამე

იგივენი, დიქტატორი

დიქტატორი (ბოლო სიტყვების წარმოთქმისას კარებში გაჩერდება): რა არის შეუძლებელი?

ალონზო (დუმს).

დიქტატორი: პასუხს არ მივიღებ?

ალონზო: ბელადო, ნება მომეცით აგისხნათ, რატომ ვიმყოფები აქ.

დიქტატორი: არა! (თავმჯდომარის მაგიდასთან მიდის). ბატონებო, მე მომახსენეს, რომ მოხვედით აქ ჩემთვის დაბადების დღის მოსლაოცად. გსურთ ჩემთვის რაიმეს თქმა?

თავდაცვის მინისტრი (წინ წამოვა): სიამოვნებით მოგილოცავთ თქვენი გეგმის განხორციელებას, მაგრამ არა გკსურს მხოლოდ ზრდილობიანი ჯენტლმენების როლში ვიყოთ. დიდი პატივისცემით ვაღიარებთ იმ იდეების სიდიადეს, რომლებიც თქვენ მიმდინარე წელს განახორციელებთ, ოღონდ გვაპატიეთ, რომ შიშით გუყურებთ თქვენი გეგმის დასრულებას და სამშობლოს ინტერესების გათვალისწინებით გეკითხებით, აპირებთ თუ არა მუდმივი მშვიდობის იდეის განხორციელებას, თუკი ზეგინდელი არჩევნებისას ხალხი თქვენს სურვილს დათანხმდება?

დიქტატორი: დიას, ბატონებო, და ამ საქმეში ვერანაირი დაბრკოლება ვერ შემაჩერებს.

ტერენო: ამით ხალხს საყრდენსა და ძალას წაართმევთ.

დიქტატორი: ხალხის ძალა და საყრდენი შემოქმედებით მუშაობაშია.

თავდაცვის მინისტრი: ესე იგი შეთანხმების მიღწევის ყოველი ცდა ამაო იქნება?

დიქტატორი: მე ვერ დამაბრკოლებს წვრილმანები, რომლებიც წარუმატებლობას მიწინასწარმეტყველებენ, რადგანაც ჩემი იდეის შედეგი ძალზე დიდია. მუდმივი მშვიდობის გეგმა ჩემი ხალხიდან მომდინარეობს და ჩემი ერი უჩვენებს მსოფლიოს ისეთ მაგალითს, რომელიც მიბაძვის ღირსი იქნება.

ტერენო: რა ელის ჯარს?

დიქტატორი: ამ შეკითხვას პასუხს მომდევნო დღეები გასცემენ. ხალხის გადაწყვეტილებას დაველოდო.

IV ოფიცერი (შემოვა და დიქტატორს წინ დაუდებს ქაღალდს. გავა).

შინაგან საქმეთა მინისტრი: სამწუხაროა, რომ სიტუაცია ტანალიაში თქვენს გეგმებს არ ეხმიანება, ბელადო.

დიქტატორი (კითხულობს): რატომ?

ალონზო: ტანალიაში დიდი მღელვარება იყო.

დიქტატორი: მაგიტომ ხართ აქ, გენერალო?

ალონზო: მსურს პირადად მოგახსენოთ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყება წარმატებით იქნა ჩახშობილი.

დიქტატორი: არა, გენერალო. თქვენ აქ რევოლუციის მოსახდენად ჩამოხვედით. ეს სწორედ შენიშნა ბატონმა შინაგან საქმეთა მინისტრმა (შეშფოთება).

ალონზო: მე?

დიქტატორი: თქვენ, ნუ უარყოფთ, ეს ამაო არის. მომცით ქაღალდი, რომელიც ცოტა ხნის წინ ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს აჩვენეთ.

ალონზო: საგანგებო აუდიენციაზე გადმოვცემთ.

დიქტატორი: არა. ახლავე მომცემთ (ცოტა ხანში) თქვენი გაჩხრეკა მოვითხოვო? ნუ მაიძულებთ.

ალონზო (ქაღალდს მიცემს).

დიქტატორი (დახედავს): გენერალო, ეპოლეტები კარგადა გაქვს დაკერებული?

ალონზო: არ მესმის.

დიქტატორი: ერთმანეთის ძალიან კარგად გვესვმის.

შინაგან საქმეთა მინისტრი: რატომ იყო ამხელა მსხვერპლი ტანალიაში აჯანყების ჩახშობისას?

დიქტატორი: თქვენ უბრძანეთ ცეცხლი დაეშინათ ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის?

ალონზო: ეს საჭირო იყო.

დიქტატორი: მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში?

ალონზო: დიახ.

დიქტატორი: და პირველი გასროლა ჰაერში?

ალონზო (მერყეობს): დიახ.

დიქტატორი: არა, გენერალო, ადგილობრივი მცხოვრებლები უნდა აჯანყებულიყვნენ. ეგ თქვენ გჭირდებოდათ რომ შემდეგ მათთვის სროლა შეგძლებოდათ, ჩემი სახელით დაგელვართ სისხლი და გეჩვენებინათ ხალხისთვის, რომ ის, რასაც მე ვაკეთებ, სიცრუეა. ყველაფერზე ინფორმირებული ვარ, ბატონებო, მაგრამ ამ ქაღალდზე ყოველი სიტყვაა, რაც აქ იყო გამოთქმული ჩემს მოსვლამდე. არ მაწუხებს, რომ ამას ბრძოლის უპატიოსნო საშუალებად ჩამითვლით, მაგრამ მე მხოლოდ ასე შემიძლია გავიგო სიმართლე თქვენ შესახებ, რადგან ლაჩრები ხართ საამისოდ, რომ პირში მითხრათ რამე (წასვლა უნდა).

თავდაცვის მინისტრი: შესაძლოა ეს საათი ჩვენი ერისთვის საბედისწერო გამოდგეს: ჩვენი გზები ერთმანეთს კვეთს. რატომ არ გსურთ მიმართოთ გამოსავალს, რომელიც ჩვენ დაგვაახლოვებდა?

ტერენო: დღევანდელი ვითარება მაინც შეინარჩუნეთ. ჯარს ზომ თავისი მისიის შესრულება სახელმწიფოს მშენებლობაში შეუძლია. ოღონდ ჯარი ჯარად დარჩეს. სამყარო ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული თქვენი იდეისთვის, რარიც ლამაზიც არ უნდა იყოს იგი.

დიქტატორი: ხალხს თავისუფლება და სამუშაო მივეცი. მშვიდობასაც მივცემ.

თავდაცვის მინისტრი: ხალხი ყოველ კრიტიკულ მომენტში თავისი მოწინააღმდეგის წინაშე იკანკალებს. თუ მსოფლიო ჩვენი მაგალითისამებრ არ განიარაღდება, ჩვენს მტრებს ნებისმიერ წუთში შეეძლება ჩვენი განადგურება.

დიქტატორი: თვალი ადევნეთ საზღვარგარეთის გაზეთებში სტატიებს იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ჩემი იდეა. იცით, რომ მთელი მსოფლიო თანავირგრძნობს, ჩვენ მომავალში თავის მომავალს ხედავს.

ტერენო: მაგრამ თანავგრძნობა ჩვენი მომავლის გარანტია ვერ იქნება.

დიქტატორი: ჩვენი სრული განიარაღება ევროპისათვის ულტიმატუმი იქნება და მე მჯერა, რომ იგი მას შესასრულებს.

თავდაცვის მინისტრი: მაგრამ თუ მოტყუვდებით?

დიქტატორი: ბატონებო, არ გდებთ ბრალს იმაში, რომ ჩემს წინააღმდეგ გამოდინართ. მე გებრძვით. დღეს უკვე იმდენად ძლიერი ვარ, რომ აშკარა ბრბოლაში შემიძლია ჩაბმა, თუ არჩევნებისას ხალხი დამარწმუნებს, რომ მცდარ გზაზე ვდგავარ, უკან დავიხევ. თუ არადა, ჩემი თვალსაზრისი მოგეხსენებათ. საჭიროა ჯარის ლიკვიდაცია, როგორც პირველი ნაბიჯი იმისა, რომ კაცობრიობა მსოფლიო მშვიდობას მიუახლოვდეს (გავა. სიჩუმე).

ალონზო: მაშ რა, ბატონებო? (თითხს ტუჩებზე მიიდებს. ხელს წინ გაიწვეს. დანარჩენები მის ხელისგულზე თავის ხელებს დებენ. ყველანი შინაგან საქმეთა მინისტრს უყურებენ).

შინაგან საქმეთა მინისტრი (მათ წინ გაჩერდება): გაუმარჯოს ბელადს! (გავა).

სურათი მეოთხე

სცენა იგივე, როგორც პირველ სერიაში

გამოსვლა პირველი

I ოფიცერი, დიქტატორი, ალონზო

I ოფიცერი (აცხადებს): გენერალი ალონზო (გავა).

დიქტატორი (წერას აგრძელებს).

ალონზო (შემოდის და სამხედრო სალამს აძლევს).

დიქტატორი (არ პასუხობს).

ალონზო (ისევ მისცემს სალამს).

დიქტატორი: მოუთმენელი ბრძანდებით, გენერალო. მესმის თქვენი, ერთ საათში თქვენი მატარებელი გადის.

ალონზო: ეგ არ ვიცოდი.

დიქტატორი: სამაგიეროდ მე ვიცი. სალამოს თქვენი გემი მიემგზავრება. ტანალიაში დაბრუნდებით. მხარეში, სადაც ასეთი უნიჭო ფალსიფიკატორები ცხოვრობენ.

ალონზო: არ მესმის.

დიქტატორი: ისევ? გინდათ უარპყოთ, რომ ჩემი პირადი ხელმოწერის ფალსიფიკაციას აკეთებდით? თუ თა-ვის გამართლება გნებავთ?

ალონზო: არ შემიძლია გულახდილად ვილაპარაკო იქ, სადაც ყოველ ჩემს სიტყვას ჯაშუშები აღწუსხავენ.

დიქტატორი: მხოლოდ ეს გაწუხებთ? მოდით ახლოს. პირველ თაროზე, მარჯვნივ, დილაკს იპოვით, დააჭი-რეს მას თითი. ასე. მაშ გთხოვთ, მიკროფონი უკვე გამოთიშეთ. შეგიძლიათ ილაპარაკოთ.

ალონზო: ვაღიარებ, რომ თქვენი ხელმოწერის ფალსიფიკაცია გავაკეთე.

დიქტატორი: მე ეგ არ მაინტერესებს. საბუთი ხელში მაქვს.

ალონზო: მაგრამ სულაც არ ვნანობ. კიდევ სხვა მრავალი სიმდაბლე და ვერაგობა უნდა ჩამედინა, რათა თქვენ ჯოჯოხეთში გამემგზავრებინეთ.

დიქტატორი: ეხლა უკვე საინტერესო ხდებით, გენერალო.

ალონზო: მე მართო არა ვარ, ნახავთ, რომ მეც შემიძლია რაღაც. ტანალიაში არ დავბრუნდები. აქ დავრჩები, სანამ ჩემი სამშობლოს ბედი არ გადაწყდება. მიიღეთ ეს მხედველობაში.

დიქტატორი: თუ ერთ საათში არ გაემგზავრებით, უფრო სწორად ორმოცდაათ წუთში, დაგაპატიმრებთ.

ალონზო: არ მეშინია. სიცოცხლის გარდა ვერაფერს წამართმევთ. ზოლო ჩვენ, ჯარისკაცებს, სიკვდილისა არ გვეშინია.

დიქტატორი: განგებ ეძებთ შემთხვევას, რომ ამაში დარწმუნდეთ.

ალონზო: შეიძლება. რისთვის ვიცხოვრო, თუ სამყარო, რომელშიც ვცხოვრობ, ემხობა.

დიქტატორი: მოვრჩეთ, გენერალო, ტყუილად ვკარგავთ დროს (დაჯდება).

ალონზო: კიდევ ერთი, გენერალთა საბჭო შემგიგებლურ წონასწორობას გვთავაზობს.

დიქტატორი: თაგვები წრუწუნებენ.

ალონზო: მოითხოვენ კანონის გამოცემას, რომელიც აკრძალავს ნებისმიერ რეფორმას სამხედრო სამინისტროს თანხმობის გარეშე.

დიქტატორი: ცოტა ხნის წინ წყალობას ითხოვდით. აბა უყურეთ, ეხლა კი უკვე მოითხოვთ. სასიამოვნოა. მეტი არაფერი.

ალონზო: არა.

დიქტატორი: მაშ სამხედრო დიქტატურა?

ალონზო: დიახ.

დიქტატორი (გაიცინებს).

ალონზო: მაშ არა?

დიქტატორი: კეთილი მგზავრობა, გენერალო.

ალონზო: როგორც გენებოთ.

დიქტატორი: ერთი წუთით, გენერალო. კარგი არ იქნებოდა, რომ დამეპატიმრებინეთ. მაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ დღევანდელ გემგზავრებით ტანალიაში? (სიჩუმე). ეს უკვე სერიოზული თამაშია. ყოველი თქვენი სიყალბის საბუთი მაქვს და ახლა გამახსენდა, რომ ცისფერი სალონის მიკროფონი გამორთეთ და არა ჩემი კაბინეტისა.

ალონზო: თქვენ სატანა ხართ.

დიქტატორი: ჰმ! მაშ როგორ?

ალონზო: გაემგზავრები (სალამს მისცემს. გავა).

გამოსვლა მეორე

II ოფიცერი, დიქტატორი

II ოფიცერი (შემოდის).

დიქტატორი: გენერალთა თათბირის შესახებ მომახსენე.

II ოფიცერი: ზუსტად ვერაფერი შევიტყვეთ. ვიცი მხოლოდ ის, რომ ოპოზიცია მზადდება. რამდენიმე სატელეფონო საუბარი მოვისმინეთ ტელეფონით.

დიქტატორი: მერე?

II ოფიცერი: შეხვდნენ სასტუმრო „პალასში“, შეხვედრა უეჭველად დიდი ხნის წინ იყო დათქმული. საიდუმლო გადაძვინა აქვთ და კონტაქტში არიან ქალაქში არსებულ ყველა ყაზარმასთან.

დიქტატორი: ეგ არ უშველით. პოლიცია რას შვრება?

II ოფიცერი: განუწყვეტლად განაგრძობს მუშაობას. ხვალინდელი მიტინგისათვის საჭირო ყველა საგანგებო მატარებელი უკვე ჩამოდგა. როგორც ჩანს, ყველა პროფკავშირული ორგანიზაცია სრულიად ეთანხმება თქვენს იდეას.

დიქტატორი: მეგობარო, შესაძლოა ხელში მთელი სამყაროს ბედი გიჭირავს. გამიხარდებოდა, თუ ორ დღეში გენერლობას მოგილოცავდი.

II ოფიცერი: ბელადო, ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით.

დიქტატორი: ყურადღებით იყავი! თუ გენერლები ამაღამ რაიმე მოქმედებას გადაწყვეტენ, სასწრაფოდ დააპატიმრეთ. ალონზოც, თუ არ გაემგზავრება. დაველოდები შენს ცნობებს ტელეფონით.

II ოფიცერი (სალამს მისცემს. გადის).

გამოსვლა მესამე

დიქტატორი, I ოფიცერი

I ოფიცერი (შემოვა): ბელადო, ერთი მანდილოსანი თქვენთან აუდიენციას ითხოვს.

დიქტატორი: მანდილოსანი? აქ როგორ მოხვდა?

I ოფიცერი: ბელადო, იგი თქვენი ყოფილი მეუღლეა, რომელსაც გაეყარეთ.

დიქტატორი (გაშეშდება): არა, ეს შეუძლებელია (ცდილობს თავშეკავებული იყოს). უთხარი, უთხარი მას, რომ დღეს არ შემოდისა მისი მიღება.

I ოფიცერი: მაგრამ ქალბატონი ძალიან ითხოვს, რომ მიიღო.

დიქტატორი: არა, არა, არა, წადი, ეს შეუძლებელია! არ გესმის?

გამოსვლა მეოთხე

იგივენი, მარია

მარია (შემოვა): საღამო მშვიდობისა, ლუის.

I ოფიცერი (გადის).

დიქტატორი (ჩუმად): საღამო მშვიდობისა.

მარია: ბრაზდებით, რომ მოვედი?

დიქტატორი: არა, რატომ?

მარია: არ არის სასიამოვნო, როდესაც უეცრად წარსულიდან აჩრდილი გამოგეცხადებათ.

დიქტატორი (არ პასუხობს).

მარია: ისე უცნაურად მიყურებთ და აქ ყველაფერი ისეთი უცნაურია. უცხო, ცივი, გამყინავი.

დიქტატორი: აქ არაფერი შეცვლილა.

მარია: არაფერი?

დიქტატორი: არაფერი.

მარია: მაგიდა ყოველთვის ამ ადგილას იდგა. სავარძლებიც აქ იყო. სიგარეტებიც მაგიდაზეა... ოღონდ ადამიანი, რომელიც აქ ცხოვრობდა, მბრძანებლობდა და განკარგულებებს იძლეოდა, სხვა იყო, სულ სხვა.

დიქტატორი: ამას რატომ ამბობთ?

მარია: ამ წელიწადმა სულ შეგცვალათ. თითქოს თქვენ სხვა, უცხო ნაკვებებს ვხედავ. დიახ, დიახ, ეს კვალი იმ ერთი წლის მკაცრმა და ქანცის გამწვანებმა ბრძოლამ დაგამჩნიათ, ან... არა, არა... მაპატიეთ.

დიქტატორი: არ მესმის თქვენი.

მარია: წუთით ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემს წინ სრულიად უცხო ადამიანი დგას. სრულიად უცხო...

დიქტატორი (გაიცინებს): საინტერესო აზრია. დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი.

მარია: დიახ, მაგიტომაც.

დიქტატორი: რა გნებავთ, ქალბატონო?

მარია: ქალბატონო? ჩემი სახელი დაგავიწყდათ? თუ მისი წარმოთქმის უფლებასაც კი არ აძლევთ თავს?

დიქტატორი: მაპატიეთ ქალბატონო, მაგრამ...

მარია: ალბათ ასე სჯობს.

დიქტატორი: ჩვენი გაყრა ხომ კანონიერად მოხდა და ძალაშია.

მარია: გასაოცარი ხართ. ამდენი საქმისას პოულობთ დროს, რომ მიაქციოთ ყურადღება წვრილმანებს, რომლებიც თქვენს ცხოვრებაში ნამდვილად არავითარ როლს არ თამაშობენ.

დიქტატორი: ცდებით, ცდებით, ქალბატონო, რადგანაც...

მარია: რადგანაც? ეს ისევე გტკიოდათ, როგორც მე...

დიქტატორი: დავანებოთ ამას თავი, რა საჭიროა მაგაზე ლაპარაკი?

მარია: მაგრამ მე სწორედ მაგის გაგონებას ვისურვებდი.

დიქტატორი: რა გნებავთ ქალბატონო?

მარია: ესეც ასე. ვერ გრძნობთ, რომ ყოველი სიტყვით აღრმავებთ უფსკრულს ჩვენს შორის?

დიტატორი: ასე ჯობს ქალბატონო.

მარია: მართალი ბრძანდებით. დიდხანს არ მოგაბეზრებთ თავს. ოღონდ კიდევ ერთი რამ.

დიტატორი: გთხოვთ! (სავარძელზე მიუთითებს). სიგარეტს ხომ არ ინებებთ?

მარია: ოდესღაც ერთ ადამიანს შევპირდი, რომ აღარ მოვწევდი. არ სიამოვნებდა.

დიტატორი (სანთებელას ჩააქრობს): გმადლობთ.

მარია: დღეს ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩამთვის აღარ დაგირეკავთ, დაუნდობლად, ძალზე დაუნდობლად გამომიცხადეთ, რომ მეტად აღარ გჭირდებოდით. მითხარით, რომ მე ხელს გიმლეთ და რომ გზის გაგრძელება მართო გსურთ. იმ საღამოს ვერ ვაზროვნებდი. შეშლილივით დავრბოდი ოთახიდან ოთახში. ვეძებდი რაღაც ხელჩასაჭიდს, შევძებდი, რაღაცას, რაც შესძლებდა იმ საშინელი, უმოწყალო სიტყვების ახსნას...

დიტატორი: ვიცი, რომ ამით დიდი ტკივილი მოგაყენეთ.

მარია: მხოლოდ ტკივილი? მას შემდეგ სიცოცხლე სულ ზედმეტი გახდა ჩემთვის. ისეთი სუფილური და ზედმეტი... მე ხომ იმ რწმენამ გადამარჩინა, რომ მოვიდოდა დღე, რომელიც გვაჩუქებდა იმაზე მეტ დროს, ვიდრე ხანმოკლე საუბარი ტელეფონით იმის საბოლოო გადაწყვეტაზე, რაც ჯერ კიდევ გვაკავშირებს, და რომ იმ დღეს შეგხედავდი თვალებში და ჩემი ცხოვრების აზრისათვის უსიცოცხლო აპარატთან კი არ ვიბრძოლებდი, არამედ ცოცხალ ადამიანთან.

დიტატორი: მაგიტომ მობრძანდით?

მარია: ერთი რაღაცის სათქმელად მოვედი. ერთადერთი სიტყვისთვის. რადგანაც უკვე მაშინ რაღაცას ვგრძნობდი და თქვენთან საუბარმა ამაში დამარწმუნა (აღება). ადამიანი, რომელმაც დამირეკა, ჩემი მეუღლე არ იყო.

დიტატორი: როგორ?

მარია: არა, არა. რადგანაც მას მე ვიცნობდი. მისი გული ჩემთვის ღია იყო, მას არ შეეძლო ჩემი მოტყუება. როდესაც მეხვეოდა, მკოცნიდა, ჩემი იყო. მთლიანად ჩემი. ჩემით ცხოვრობდა. მას არ შეეძლო ამის ჩაღვრა, რაც თქვენ ჩაიდინეთ. მე მას ვუყვარდი... ლუის, მე მაქვს უფლება თქვენგან განმარტება მოვითხოვო.

დიტატორი: ქალბატონო, ასხასწელი არაფერი მაქვს.

მარია: რა საჭიროა ის იღუმალება, რომელშიც იმ დღიდან მოყოლებული იბურებით?

დიტატორი: ეს იღუმალება არ არის.

მარია: ვიცი. ეს მსხვერპლია ხალხის მომავლისათვის. ასე იუწყებოდნენ გაზეთები. ამ სტატიებს თქვენ წერდით თუ პროპაგანდის მინისტრი?

დიტატორი: რამდენადაც ვიცი, მათში არაფერი იყო შეურაცხყოფელი, და ისინი საჭირო იყო.

მარია: საჭირო, რათა ხალხის წინაშე ახალი ბრწყინვალეობით გეკიაფათ. მაგრამ მე? ჩემზე არ ფიქრობდით? მხოლოდ თოჯინა ვიყავი, რომელიც ელემენტარულად წარსულის უჯრაში გადადეს, რადგანაც ამას სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდნენ?

დიტატორი: დიახ, ქალბატონო. ეს რაღაც იმაზე უფრო წმინდაა, იმაზე დიდი, ვიდრე სიყვარული თქვენდამი ანდა ნებისმიერი სხვა ქალისადმი ამქვეყნად.

მარია: მაშ თქვენ მე დაუფიქრებლად მომიშორეთ, ყოველგვარი სინდისის ქნჯნის გარეშე?

დიტატორი: დიახ, სწორედ ისე, როგორც თქვენ ბრძანებთ.

მარია: მაშ რაღატომ მატყუებდით? იმ იმედით ვცხოვრობდი, რომ ეს დროებითი გადაწყვეტილება იყო, რომ ფუჭად არ ველოდებოდი დღეებსა და თვეების მანძილზე ტელეფონის ზარს, ტყუილუბრალოდ არ ვიჯექი სახლში, როდესაც მეგონა, რომ თავისუფალი იყავით და შეიძლება მობრძანებულიყავით შინ, მოგენახულებინათ თქვენი წიგნები, თქვენი ოთახი, თქვენი ძაღლი... როგორ შეიძლება ქალი ასეთი სუფილი იყო... არა, მხოლოდ ქალი შეიძლება იყოს ასეთი სუფილი. სანამ ერთად ვიყავით, რამდენჯერაც მომიტინგეები ჩაივლიდნენ ჩვენს ფანჯრებთან წამოძახებით „დიდება ბელადს!“ მედიმბოდა. რადგანაც ვიცოდი, რომ ჩემი იყავით. ეხლა კი სიამოვნებით გამოვალბდი ფანჯრებს და დავუყვებოდი მათ: რაში მესაქმება თქვენი ბელადი, დამიბრუნეთ ჩემი ქმარი...

დიტატორი (ტელეფონი რეკავს): დიახ, დიახ, რა თქმა უნდა (დაკიდებს ყურმილს).

მარია: რა დროზე დარეკა ტელეფონმა. პასუხის გაცემას აგარიდათ (აღება), ლუის, არასოდეს არ გიფიქრიათ ჩემზე? არასოდეს?

დიტატორი: არა, არასოდეს, ქალბატონო.

მარია: თქვენ მე უკვე აღარ გიყვარვართ.

დიტატორი: არა, ქალბატონო.

მარია: ეს სიცრუეა, სიცრუე! თვალებში მიყურეთ და ისე მითხარით ეს.

დიტატორი (შეტრიალდება. სიჩუმე): თქვენი მეუღლე, ქალბატონო...

მარია: მოკვდა, ეს უკვე ვიცი.

დიტატორი (სწრაფად შემობრუნდება): რა თქვით?

მარია: თქვენ მოკალით იგი!

დიტატორი (აღელვებულია): არ მესმის თქვენი.

მარია: თქვენში მოკალით ის, ვისაც მე ვუყვარდი. უკვე ვიცი რომ უნდა წავიდე. აქ აღარავინა მყავს.

დიტატორი: ცუდად ნუ იფიქრებთ ჩემზე, ქალბატონო.

მარია: არა, თქვენც ხომ მხოლოდ თოჯინა ხართ, ისევე, როგორც მე. ვიღაც თამაშობს ჩვენით, გვიყურებს და დაგვიცინის. გვერდითა, რომ ვტირით, რადგან გული გვტკივა, მაგრამ ეს მხოლოდ მას სურს ვიგრძნოთ, რომ მხოლოდ ადამიანები ვართ, თოჯინები, დამსხვრეული გულებით, რომლებიც არასოდეს, არასოდეს არ გაგვიმთელდება (თავის ბეჭედს მოიხსნის).

დიქტატორი: არა! დაიტოვეთ იგი, ქალბატონო.

მარია: რისთვის? მე კი ჩემი დამიბრუნეთ!

დიქტატორი: არ ვიცი, სად მაქვს.

მარია: ვხედავ, რომ არ ატარებთ. მართალი ხართ. მაგრამ მე ის მინრდა.

დიქტატორი (მტკიცედ): უახლოეს დროში მიიღებთ მას, ქალბატონო!

მარია: ვიცი, მხოლოდ ის სიტყვები, რომელთა სათქმელადაც მოვედი აქ, სამუდამოდ თქვენთან დარჩება (შეხედავს მას და გავა).

გამოსვლა მეზუთხე

დიქტატორი, I ოფიცერი

I ოფიცერი (შემოდის).

დიქტატორი: კიდევ ვინმე იცდის?

I ოფიცერი: დეპუტაცია თქვენი სამშობლოდან, ბელადო.

დიქტატორი: რამდენნი არიან?

I ოფიცერი: მიღებას მხოლოდ მეთაური ითხოვს.

დიქტატორი: სხვა არავინ არ მელოდება?

I ოფიცერი: არა.

დიქტატორი: შემოიყვანე (ოფიცრის გასვლამდე). მინონისასგან ხომ არ მოსულა რაიმე ცნობა?

I ოფიცერი: ჯერჯერობით არაფერი, ბელადო!

დიქტატორი (თავს დაუქნევს).

I ოფიცერი (გავა).

გამოსვლა მეექვსე

დიქტატორი, ანარქისტი – დეპუტაციის მეთაური.

ანარქისტი (შემოვა, შეჩერდება, სალამს მისცემს).

დიქტატორი: ახლოს მობრძანდით, მეგობარო!

ანარქისტი: ბელადო, თქვენი მშობლიური სოფლის მოკითხვას გადმოგცემთ.

დიქტატორი: გმადლობთ.

ანარქისტი: მშობლიური ბერეტო სალამს გიძღვნი!

დიქტატორი (შეცბება): ბერეტო? გეშლებათ, მეგობარო, მე ორიაში დავიბადე.

ანარქისტი: ხომ არ ცდებით, ბელადო?

დიქტატორი: ეს რა აზრები გებადებათ? ეს ხომ ყოველი სკოლის მოსწავლისთვისაც კი ცნობილია...

ანარქისტი: მაპატიეთ, ბელადო, მაგრამ...

დიქტატორი: არ მესმის, რა გინდათ, აქ როგორ მოხვდით, გაქვთ ვინმეს სარეკომენდაციო ბარათი ან საბუთები?

ანარქისტი: დიახ.

დიქტატორი: ბერეტოდან?

ანარქისტი: დიახ.

დიქტატორი: ხომ არ ინებებდით ახსნას, რატომ?

ანარქისტი: ბერეტოში ყველა დარწმუნებულია, რომ ვინმე გუილელმო მენოტი...

დიქტატორი: მენოტი? ეს ის ანარქისტი იყო, რომელიც თავდაცვისას მოგკალი.

ანარქისტი: დიახ, ოღონდ ბერეტოში ხალხი ფიქრობს, რომ იმ ანარქისტმა მოკლა ბელადი და მისი ადგილი დაიკავა.

დიქტატორი: სულელური აზრია (იცინის).

ანარქისტი: დიახ, ძალზე სულელური.

დიქტატორი: მაშ, მეგობარო, როდესაც სახლში დაბრუნდებით, თქვენიანებს გადაეცით, რომ გუილელმო მენოტი დიდი ხანია მიწაში განისვენებს.

ანარქისტი: დიახ, ოღონდ ისაა საინტერესო, რომ არამართო ხალხს, არამედ მის ცოლსაც და გაჟიშვილსაც სჯერათ, რომ იგი ცოცხალია.

დიქტატორი (დუმს, მერე წამოხტება და ზარის დარეკვა უნდა).

ანარქისტი: არა შენ ამას არ იზამ, გუილელმო!

დიქტატორი: მართალი ხარ, ჩამიჭირე.

ანარქისტი: ესეც ასე. ფუი, ოფლმაც კი დამასხა. აქ რამე დასაღვეი ზომ არა გაქვს? დამეთანხმე, ასე უფრო კარგად ვილაპარაკებთ.

დიქტატორი: ილაპარაკე! როგორაა ჩემი ვაჟი?

ანარქისტი: იზრდება, მაგრადაა. კარგი ვაჟკაცი დადგება. სამწუხაროა, რომ არ შეგიძლია მისი ნახვა.

დიქტატორი: ჯანმრთელადაა?

ანარქისტი: ბუღალსავითაა. რას ტირი, ავად რატომ უნდა იყოს?

დიქტატორი: ცოლი?

ანარქისტი: ისიც კარგად არის.

დიქტატორი: მისწენებენ ზოლმე?

ანარქისტი: როგორ არა, ყველას მკვდარი ჰგონიხარ.

დიქტატორი: შე ნადირალავ!

ანარქისტი: ასე სჯობია ბიჭო (დაჯდება, სიგარეტს აიღებს, მოუკიდებს). გაკვირვებული ხარ, არა?

დიქტატორი: მოშორდი აქედან! რა გინდა?

ანარქისტი: მინდა, რომ გამავდო. ჰმ. კარგი სიგარეტი გაქვს, რაც მართალია, მართალია, ამიტომაც გიხდით ასეთ მაღალ გადასახადებს, მისმინე, მაშინვე მიცანი, როგორც კი შემოვდი?

დიქტატორი: რას მაწვალე? მითხარი, რა გინდა და ჯანდაბამდე გზა გქონია!

ანარქისტი: ეს არც ისეთი ადვილი სათქმელია, ამისთვის მთელი წელი ვემზადებოდი! მთელი წელი! იმიტომ, რომ ვგრძნობდი, შენ ეს შესძელი. მხოლოდ მაშინ გაგქრი, როდესაც შენი მეორე გასროლის ხმა გავიგე. საიდუმლო გასასვლელით გავიქეცი...

დიქტატორი: რისთვის მოხვედი?

ანარქისტი (უახლოვდება): ანგარიშის გასასწორებლად, მეგობარო.

დიქტატორი: ჩემთან? მკვლელობისაკენ წამექეზეთ, რევოლველი მომაჩრჩეთ ხელში და მემუქრებოდით, რომ მომკლავდით, თუკი არ მოვკლავდი დიქტატორს. მოვკალი, გავაკეთე ეს, ახლა რაღა გინდა?

ანარქისტი: მოიცა, შეილო! და მერე?

დიქტატორი: რა მერე?

ანარქისტი: შეასრულე ის, რასაც შენგან ჩვენი ორგანიზაცია მოითხოვდა?

დიქტატორი: რამდენიმე შეშლილის და სულების ოცნება. ანარქისტები! თქვენ გინდოდით ძალაუფლების ხელში ჩაგდება! ხა! მაგრამ ამისთვის ჩემი ცხოვრება უნდა შემეწირა და სხვა ადამიანი მომეკლა. ჩემი ცხოვრება უნდა შემეწირა, სანამ თქვენ სახლებში თბილად ისხედით ბუხართან. არა, ბატონებო, ჩემი სიცოცხლის ფასად ვიყიდე ის, რაც მე მინდოდა.

ანარქისტი: შენ ჩვენ მოგვატყუე, გვიღალატე...

დიქტატორი: რაღა გინდა? მოგიყვებოდა ამის შესახებ, თუ როგორ მეცინებოდა, როდესაც თქვენზე ვფიქრობდი? როგორ ვხარხარებდი, როცა წარმოვიდგენდი, რომ დათქმულ ნიშანს ელოდებოდით. როგორ აქეზებდით იმ სულებს, რომლებიც თქვენს ანკესზე წამოევგნენ, რომ ხალხისთვის უკეთესი მომავალი გინდოდით არა? ეს მე მინდოდა და ამისთვის მოვამზადე კიდეც გზა.

ანარქისტი: ჯერ ბოლოში არ გასულხარ!

დიქტატორი: არა! მაგრამ ახლა მე ვერავინ გამაჩერებს. მხოლოდ ღმერთი, ღმერთს კი ის უნდა, რაც მე.

ანარქისტი: აბა ჩვენ?

დიქტატორი: ძაღლებო! წმუტუნი და ყფა იქაც შეგიძლიათ, სადაც ხართ, მაგრამ ჩემ წინააღმდეგ აღდგომა კი...

ანარქისტი: გგონია, ვერ გავბედავთ?

დიქტატორი: გაგელეჯ, შე!...

ანარქისტი: კარგი, მაგრამ შენი ვაჟი...

დიქტატორი: ჩემი შვილი აქ რა შუაშია?

ანარქისტი: მოკვდება.

დიქტატორი (დუმბილი): რა გინდა?

ანარქისტი: ანარქისტების სახელით მოვედი. გვიღალატე და ამისათვის პასუხს აგებ!

დიქტატორი: პასუხს ვაგებ?

ანარქისტი: მოკვდები, მიტინგზე, ხვალ. ასე გადაწყვიტა პატარა საბჭომ. მე ვაიძულე ისინი შენთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ, რადგანაც მართო მე ვიცი შენი ღალატის ამბავი. მე თვითონ შევასრულე განაჩენს!

დიქტატორი: წარმატებას გისურვებ. ახლა კი წადი, წადი!

ანარქისტი: ოი, მეგობარო, ასე ადვილად თავიდან ვერ მომიშორებ. წერილობითი თანხმობა უნდა მომცე, რათა უფლება მქონდეს ხვალინდელ მიტინგზე შენს ახლოს ვიყო. პირველ რიგებში, წამქეზებელთა შორის. სიტყვას მომცემ, რომ მანამდე არაფერი შემემთხვევა, სანამ არ მოგკლავ.

დიქტატორი: ასე გბულვარ?

ანარქისტი: ასე მძულს მოღალატეები.

დიქტატორი: თუკი ამაზე არ დაგთანხმდები?

ანარქისტი: დაპატიმრებისას ყველაფერს ვიტყვი. საბუთები მაქვს.

დიქტატორი: მაშინ მართო მე არ დავილუპები.

ანარქისტი: როგორც გინდა! მაგრამ მაშინ შენი იდეა დაიღუპება. და მოკვდება გუილელმო მენოტი, ანარქისტი და მკვლელი და არა ხალხის საყვარელი წინამძღოლი. მსოფლიო სიცილით მოკვდება, როცა გაიგებს, რომ ერთ-ერთ უდიდეს ერს მთელი წლის მანძილზე ნაძირადა მართავდა.

დიქტატორი (დაჯდება და წერს, ცოტა ხნის მერე) რა გქვია?

ანარქისტი: ანტონიო კარნო! უკვე დაგავიწყდა?

დიქტატორი: მართლაც! ლამაზი სახელი გაქვს. აი, ინებე.

ანარქისტი (დახედავს): გმადლობთ, მშვიდობით, გუილელმო.

დიქტატორი: მშვიდობით, ანტონიო, და კარგად დამიმზინე!

ანარქისტი (გავა).

გამოსვლა მეშვიდე

დიქტატორი, I ოფიცერი

დიქტატორი (მხოლოდ ახლა დაეუფლება აღელვება, ტელეფონი რეკავს): შემაერთეთ პროპაგანდის მინისტრთან. კაბინეტიდან გავიდა? სად შეიძლება იყოს? (ცოტა ხანში). შინაგან საქმეთა მინისტრთან შემაერთეთ. ლაპარაკობს ბელადი, ძალიან გთხოვთ, მეგობარო, რაც შეიძლება სწრაფად შემოდით კაბინეტში. გმადლობთ (საქალაქ-დეებში იქექება. უცხად გაშეშდება). არა, არა, ეს შეუძლებელია!

I ოფიცერი (შემოვა): ბელადო, ოფიცერი კენტინი თავმდაბლად გთხოვთ მიღებას.

დიქტატორი (ძლივს): შემოვიდეს.

I ოფიცერი (გავა).

გამოსვლა მერვე

დიქტატორი, III ოფიცერი

III ოფიცერი (შემოვა, გაჩერდება, საღამოს არ მისცემს).

დიქტატორი: რა გინდა?

III ოფიცერი: მიკროფონის გამორთვა დაგავიწყდათ.

დიქტატორი: ვიცი, რა გინდა?

III ოფიცერი: თქვენ ანარქისტი გუილელმო მენოტი ხართ.

დიქტატორი: ბოლოს და ბოლოს მეტყვი თუ არა, რა გინდა?

III ოფიცერი: მე...

დიქტატორი: მე დაგეხმარები. ჩუმად ყოფნა გინდა, იმასაც მეტყვი, რა ფასად.

III ოფიცერი: მილიონი შევიცარიული ფრანკი ლოზანის რომელიმე ბანკში.

დიქტატორი: ძალზე ბრძნული გადაწყვეტილებაა. გეთანხმები ოღონდ რით დამიმტკიცებ, რომ ამას არავინ გაიგებს?

III ოფიცერი: გადმოვცემთ შენიშვნებს, რომლებსაც მიკროფონის მოსმენისას ვაკეთებდი.

დიქტატორი: როგორ დამიმტკიცებ, რომ ამ ჩანაწერების პირები არ არსებობს?

III ოფიცერი: მაგის დრო არ იყო.

დიქტატორი: ეს უნდა ვიკმარო, როგორც საბუთი?

III ოფიცერი: უკეთესს ვერაფერს შემოგთავაზებთ.

დიქტატორი: სამწუხაროა.

III ოფიცერი: რა ბრძანეთ?

დიქტატორი: სამწუხაროა, უფრო სწორედ, ეს საქმე მართო მე არ მეხება, არამედ შენც.

III ოფიცერი: არა მგონია.

დიქტატორი: ფიქრობ, რომ შენზე სულები ვარ არა, მეგობარო, მაჩვენე ის ჩანაწერები!

III ოფიცერი: სანამ არ მექნება...

დიქტატორი: მოიტა აქ! (რეგულვერს მკერდზე მიაბჯენს).

III ოფიცერი (ქაღალდს ამოიღებს).

დიქტატორი (ქაღალდებს გამოართმევს და სილას გააწნავს).

III ოფიცერი: ამისთვის...

დიქტატორი: ხმა გაიკმინდე! (ჩანაწერებს ათვალიერებს). ლაპარაკის მხოლოდ პირველი ნაწილია ჩაწერილი. მერე რას აკეთებდი?

III ოფიცერი: გენერალ ალონზოს დავურეკე.

დიქტატორი: რაა?

III ოფიცერი: რათა მოვეძებნე დღეს საღამოს, თავად თუ არ გამოვცხადდებოდი.

დიქტატორი: კარგად მოგიფიქრებია! მაგრამ გენერალმა ალონზომ მხოლოდ შენი გვამილა რომ იპოვოს? (იცინის). მერე?

III ოფიცერი: თქვენ ამას არ იზამთ.

დიქტატორი: დარწმუნებული ხართ?

III ოფიცერი (აკანკალებს).

დიქტატორი: თუ მესხიერება არ მალატობს ცოლ-შვილი გყავს.

III ოფიცერი: რა ჩაიფიქრეთ?

დიქტატორი: უბრალოდ ვფიქრობ, რომ თუ მოინდომებ, კიდევ მოახერხებდი მათ ნახვას...

III ოფიცერი: რა უყავით მათ?

დიქტატორი: არაფერი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ მიკროფონი ჩართული იყო, ტელეფონით მათი დაპატიმრების ბრძანება გავეცე.

III ოფიცერი: გააუქმეთ თქვენი ბრძანება.

დიქტატორი: შეუძლებელია.

III ოფიცერი: გააუქმეთ, თორემ დერეფანში გავალ და ყველაფერს ვიტყვი...

დიქტატორი: დამიზნება კარგად ვიცი. დამშვიდდი.

III ოფიცერი: გააუქმეთ ბრძანება. ყველაფერს გავაკეთებ...

დიქტატორი: დაჯექი, აიღე ქაღალდი და წერე (აიღებს ქაღალდს). მე ქვემოთ ხელის მომწერი, ჯუზეპე ვენტინი, ვადასტურებ, რომ შეგნებულად ვამზადებდი მზაკვრულ ხრიკებს ბელადის, ლუის ალვარესის პიროვნების წინააღმდეგ... (დიქტატორის პორტრეტს შეხედავს). წერე, – ლუის ალვარესის პიროვნების წინააღმდეგ და ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას ვცდილობდი ყველა შესაძლო საშუალებების გამოყენებით. ხელმოწერა... (მისკენ დაიხრება). საკმარისია.

III ოფიცერი: ეს ხომ სასიკვდილო განაჩენია!

დიქტატორი: არ იქნება, თუ ჭკვიანურად მოიქცევი (დარეკავს).

III ოფიცერი: ვინ გამოიძახეთ?

დიქტატორი: ოფიცერი მერლინი. როგორც მოწმე, ხელს მოაწერს შენს განცხადებას.

I ოფიცერი (შემოვა).

დიქტატორი: ოფიცერო მერლინო, თქვენს მეგობარს ჩემი მოკვლა სურდა.

I ოფიცერი: ეს შეუძლებელია.

დიქტატორი: სამწუხაროდ, ასეა. ოღონდაც ამის განხორციელება ვერ მოახერხა. მისი დანაშაულის წერილობითი საბუთი მაქვს. წაიკითხეთ იგი. ოფიცერო ვენტინი, მართალია ის, რაც აქ დაწერეთ?

III ოფიცერი: დიახ.

დიქტატორი: ხელი მოაწერეთ, როგორც მოწმემ.

I ოფიცერი (ხელს აწერს).

დიქტატორი: ოფიცერ ვენტინის სიკვდილის დასჯას არ მოვითხოვ, მაგრამ ახლავე უნდა იქნას დაპატიმრებული.

I ოფიცერი: როგორც თქვენ ბრძანებთ (გავა).

III ოფიცერი: მე რა მელის?

დიქტატორი: თუ ჩუმად იქნები, ოდესმე იხილავ იმ ბანკს ლოზანაში (ტელეფონის ზარი). მზადა ხართ? (ყურმილს დაკიდებს, თავს დაუქნევს). შეგიძლია წახვიდე.

III ოფიცერი (გავა).

გამოსვლა მეცხრე

შინაგან საქმეთა მინისტრი, დიქტატორი, I ოფიცერი

I ოფიცერი (აცხადებს): მიკროფონთან ოფიცერი ბერტინი დაგაყენე.

დიქტატორი: კარგი.

I ოფიცერი: მაპატიეთ, ბელადო, ამას რომ გეკითხებით, მაგრამ რა ელის ვენტინის?

დიქტატორი: სამსახურიდან დათხოვა, ამაზე მსუბუქი სასჯელი მისთვის არ მეგულება, რატომ მეკითხები?

I ოფიცერი: ჩემი მეგობარია, ბელადო.

დიქტატორი: კარგად მოგეხსენებათ, რომ სიკვდილით ჯერ არავინ დამისჯია.

I ოფიცერი: გმადლობთ, ბელადო. შინაგან საქმეთა მინისტრი გელოდებათ.

დიქტატორი: შემოვიდეს.

I ოფიცერი (გავა).

შინაგან საქმეთა მინისტრი (შემოდის).

დიქტატორი: საღამო მშვიდობისა, მეგობარო.

შინაგან საქმეთა მინისტრი: დიდება ბელადს!

დიქტატორი: გთხოვთ, დაბრძანდით.

შინაგან საქმეთა მინისტრი: როგორც ვხედავ, კარგ ხასიათზე ბრძანდებით.
 დიქტატორი: შესანიშნავზე.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: უკვე მოგეხსენებათ, რომ ჯარმა იარაღი მიიღო?
 დიქტატორი (ტელეფონში): მინიონს ჯერ არ დაურეკავს? მისგან ცნობები არ არის? როგორც კი მოვა, მაშინვე ჩემთან გამოავაზენეთ (ყერმილს დაკლებს).
 შინაგან საქმეთა მინისტრი: ბევრი არ ყოფილა, მაგრამ აჯანყების მოსაწყობად საკმარისია. არ იცოდით ეს?
 დიქტატორი: ვიცი, ვიცი, მაგრამ...
 შინაგან საქმეთა მინისტრი: ხასიათი წაგიხდათ. რისთვის დამიძახეთ?
 დიქტატორი: ზვალინდელი მიტინგის გადაღება მინდა.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: ბელადო...
 დიქტატორი: სხვა გამოსავალი არ არის.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: კაპიტულაცია? ყველაფერი, რისთვისაც იბრძოდით, გინდათ ტალახში გადაისროლოთ. იცოდეთ, ბელადო, რომ ეს ჩემთვისაც დიდი სირცხვილი იქნება. დაფიქრდით ამაზე.
 დიქტატორი: არა, ეს უკვე გადაწყვეტილია.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: რატომ?
 დიქტატორი: არ შემიძლია გითხრათ.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: ასეთ მნიშვნელოვან მომენტში ნერვებმა გიღალატეს?
 დიქტატორი: მაქვს იმის საბუთი, რომ ზვალინდელ მიტინგზე მომკლავენ.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: მაშ საქმე თქვენს სიცოცხლეს ეხება?
 დიქტატორი: ღიახ, სიცოცხლეს.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: უნდა იცოდეთ, რას უფრო დიდი ფასი აქვს, სიცოცხლეს თუ იდეის გამარჯვებას. ღიახ, ღიახ! აქ გრძნობები უნდა გამოირიცხოს. სასწოროზე ადამიანის სიცოცხლე უნდა დაიდოს და არ ურდა იფიქროთ იმაზე, რომ იგი თქვენია. ზოლო მეორე თასზე კი ის უნდა დადოთ, რისთვისაც ცხოვრობდით.
 დიქტატორი: რას ფიქრობთ ჩემზე?
 შინაგან საქმეთა მინისტრი: ცხოვრებას მოწყდით. ასკეტი ბერის შთაბეჭდილებას ტოვებდით, რომელიც მზადაა თავისი თავი მსხვერპლად შეწიროს თავისი იდეების საკურთხეველს.
 დიქტატორი: ეხლა კი ზვდებით, რომ ლაჩარი ყოფილვარ.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: არა, არა. რადგანაც იმ მიტინგს არ გადადებთ. მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს შეუძლებელია, არამედ იმიტომ, რომ ელემენტარულად წინ უნდა იაროთ, თქვენ კი არა, იმ იდეამ თქვენში. ის გიბრძანებთ და მოგიწოდებთ ამისკენ, ის მიგაქროლებთ, როგორც ქარიშხალი. ეს ის წამია, როდესაც ქმნილება თავის შემქმნელს დაუფულება და მას თავის თოჯინად აქცევს. ჩვენ ყველანი ხომ თოჯინების თეატრს ვთამაშობთ. სულერთია, გვინდა ეს თუ არა.
 დიქტატორი: ყოყმანიც კი არ შემიძლია? ეს ზომ ისეთი ადამიანური და ბუნებრივია, ამისათვის ერთადერთი აზრის გაუღებაც საკმარისია.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: თოჯინებს არა აქვთ ფიქრის უფლება. მხოლოდ თამაში და ცეკვა ძალუძთ. მაშ?
 დიქტატორი: მაშ თამაშს ვაგრძელებთ ბოლომდე! ტრაგედიები მთავარი გმირის სიკვდილით მთავრდება, არა?
 შინაგან საქმეთა მინისტრი (გაიღმებს): ოღონდ მთავარ გმირამდე იგივე ბედი შეიძლება მეორეხარისხოვან პერსონაჟებსაც ეწიოს. მაგალითად, მათ თანამოაზრეებს.
 დიქტატორი: გიყვართ შექსპირი?
 შინაგან საქმეთა მინისტრი: სიგიჟემდე, ბელადო, თანაც იგი ჩემი ძველი სიყვარულია.
 დიქტატორი: იქნებ ოდესმე მოგვეცეს დრო მასზე სალაპარაკოდ.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: იქნებ.
 დიქტატორი: ნახვამდის, მეგობარო.
 შინაგან საქმეთა მინისტრი: ნახვამდის (გავა).

I ოფიცერი, II ოფიცერი, დიქტატორი

I ოფიცერი: მინონი გეახლათ, ბატონო.
 დიქტატორი: შემოუშვით (I ოფიცერი გავა).
 II ოფიცერი (შემოდის).
 დიქტატორი: მაშ რა?
 II ოფიცერი: გენერალი ალონზო გაიქცა.
 დიქტატორი: ასე... გაიქცა. დაგახრჩობ, შე...
 II ოფიცერი: ჯარი მოულოდნელად თავს დაგვესხა. მოკლეს მცველები, რომლებსაც გენერლის წაყვანა ევალებოდათ.
 დიქტატორი: სისხლი, სისხლი... ო, წყეული! სად არის ალონზო?
 II ოფიცერი: არ ვიცი, გვაპატიეთ, ბელადო, მაგრამ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო.
 დიქტატორი: მჯერა, მჯერა. მოვრჩეთ მაგაზე ლაპარაკს! კარგი! ისე წესრიგია?

II ოფიცერი: ქალაქში ყველგან. დარწმუნებული ვარ, რომ ზვალინდელ მიტინგამდე გენერლები ხელისუფლებას ვერ ჩაიგდებენ ხელში.

დიქტატორი: შენი იმედით ვარ.

II ოფიცერი: ეს ჩემთვის საკმარისია, ბელადო, შეიძლება წავიდე?

I ოფიცერი (შემოვარდება): ბელადო! შინაგან საქმეთა მინისტრს თავისავე მანქანაში თავს დაესხნენ!

დიქტატორი: მერე? (გაშეშდება. დუმილის შემდეგ) მოკვდა?

I ოფიცერი: მოკლეს.

დიქტატორი: მაგრამ... მაგრამ იგი მხოლოდ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი იყო, მხოლოდ და მხოლოდ, მთავარი გმირი თამაშს განაგრძობს, განაგრძობს ბოლომდე.

ფ ა რ დ ა

მესამე მოქმედება

სურათი მეხუთე

სცენა იგივე, როგორც მეორე და მესამე სცენაში.

გამოსვლა პირველი

ალონზო, I ოფიცერი

ალონზო: აქ არავინ არის?

I ოფიცერი: ბატონი მინისტრები ჯერ არ მოსულან.

ალონზო: ბელადი?

I ოფიცერი: დეპუტაციას იღებს.

ალონზო: შეიძლება დავრეკო?

I ოფიცერი (არ პასუხობს).

ალონზო: რატომ არ პასუხობ?

I ოფიცერი: არ ვიცი, თუ მაქვს თქმის უფლება...

ალონზო: როგორც გინდა!

I ოფიცერი: ელექტრო და სატელეფონო ქსელის ხაზები დაზიანებულია, მიზეზი კი მიკვლეული არ არის.

ალონზო (გაიცინებს): ბელადმა იცის, რომ აქა ვარ?

I ოფიცერი: არა, გენერალო. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი დაპატიმრება მომიწევდა.

ალონზო: მაშინ რატომ არ დაპატიმრებ?

I ოფიცერი: გენერალო, მყავს მეგობარი, დაცვის ოფიცერი, იგი გუშინ დააპატიმრეს ბელადის წინააღმდეგ მოწყობილი ვერაგული ზრიკების გამო.

ალონზო: რა ჰქვია?

I ოფიცერი: ჯუზეპე ვენტინი.

ალონზო: სად არის?

I ოფიცერი: გენერალო, თამაშში მეც შემოვდივარ.

ალონზო: სად არის?

I ოფიცერი: აქ, სასახლეში. თქვენთან უნდა ლაპარაკი.

ალონზო: საით მიდის ეს გასასვლელი? (მარცნივ მიუთითებს).

I ოფიცერი: უკანა კიბისკენ.

ალონზო: მაშ მოიყვანე, სწრაფად.

I ოფიცერი: მაგრამ...

ალონზო: ნუ ბუზღუნებ! წადი და აქ არავინ არ შემოუშვა!

I ოფიცერი (გავა).

გამოსვლა მეორე

ალონზო, I და III ოფიცერები

III ოფიცერი (ფრთხილად შემოსრილდება): გენერალო, დაცვის ოფიცერი ჯუზეპე ვენტინი გამოცხადდა.

ალონზო: შენ დამირეკე გუშინ?

III ოფიცერი: დიახ, გენერალო.

ალონზო: აჰა გისმენ, თქვი!

III ოფიცერი: გუშინ ბელადს თავისი მიკროფონის გამორთვა დაავიწყდა. მისი ორი კერძო საუბარი მოვისმინე.

ალონზო: რა გაიგე?

III ოფიცერი: ერთი წლის წინ მოწყობილი თავდასხმისას დაღუპულა არა ანარქისტი, არამედ ლუის ალვარესი.

ალონზო: გაგიჟდი?

III ოფიცერი: მე იმიტომ დამაპატიმრა, იცოდა, ეს რომ გავიგე.

I ოფიცერი (შემოვა): ფრთხილად! (გავა).

ალონზო: გამომყევი! (მარცხნივ წავლენ).

გამოსვლა მესამე

პროპაგანდის, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრები, ალონზო

პროპაგანდის მინისტრი (პირველი შემოდის, მას დანარჩენები მოჰყვებიან. ყველანი შეცვლილები, შეშინებულები არიან): ეს საშინელებაა.

ვაჭრობის მინისტრი: ალონზოს ნახელავს ჰგავს. არ მინდა ამის დაჯერება.

ფინანსთა მინისტრი: სავსებით შესაძლებელია.

ვაჭრობის მინისტრი: საიდუმლო სამალავთა გეგმის მოპოვება უნდოდა.

პროპაგანდის მინისტრი: საცოდავი ჟამინო. თავისი უკომპრომისობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ფინანსთა მინისტრი: გუშინ დიდი შეცდომა დავეშვი. არ უნდა დამორჩილებულიყავით ალონზოს. ესლა უკვე თავს ვეღარ დავადწვეთ მას.

ვაჭრობის მინისტრი: არა, ეს საბედისწერო შეცდომა იქნებოდა.

ფინანსთა მინისტრი: პირველი თუ მეორე?

ვაჭრობის მინისტრი: სწორედ მაგაზე ვფიქრობ, უეჭველად უარს ვიტყვი სავარძელზე, თუ ალონზო გაიმარჯვებს.

პროპაგანდის მინისტრი: რატომ?

ვაჭრობის მინისტრი: რატომ? მთელი სამყარო ჩვენს წინააღმდეგ აღდგება. შეკვეთები უცხოეთიდან მინიმუმამდე შეიზღუდება, ჩვენი მრეწველობა ვაჭრობასთან ერთად ჩიხში მოექცევა. თანდათან მწყობრიდან გამოვა ყველა ფაბრიკა, რომელიც გამოვაცოცხლეთ...

ფინანსთა მინისტრი (დაამატებს): იქნება რამდენიმე კრახი ბირჟაზე, ჩვენი ფლრანკი გაუფასურდება, მთელი ევროპის ნდობას დაკარგავთ, სესხს ვერავესგან მივიღებთ... აჰ, დავანებოთ მაგას თავი. ნამდვილად თქვენ მოგბაძავთ, ძვირფასო მეგობარო, თუკი...

ვაჭრობის მინისტრი: თუკი ამას თქვენი მეუღლე არ აგიკრძალავთ.

ფინანსთა მინისტრი: რაებს ლაპარაკობთ. ნუთუ ხუმრობის ხასიათზე ხართ?

პროპაგანდის მინისტრი: ქალაქში ხმები დადის, რომ ალონზომ ძალიან გაიმტკიცა პოზიციები.

ვაჭრობის მინისტრი: ლაფეტის საწარმოები დაეხმარნენ, უმაგისოდ გაკოტრდებოდნენ და ხელოვნური ცხიმებისა და სურსათის მწარმოებელი კონცერნის ფაბრიკები, რომლებიც არ გადაეცა სახელმწიფოს.

ფინანსთა მინისტრი: ბუნებრივია, პატრიოტული შემართებით და ხალხის დიდებაზე ზრუნვით.

ვაჭრობის მინისტრი: და მომავალი ომის შემდეგ საიმედო მომმარაგებლის პერსპექტივით.

პროპაგანდის მინისტრი: რისი გაკეთება შეგეძლო? ალონზოს წინააღმდეგ ავმხედრებულიყავით? მაშინ ბელადის ხელში თოჯინებად დავრჩებოდით.

ფინანსთა მინისტრი: ჯერ არ იცნობთ ალონზოს სიმხეცეს? არაფერი უკეთესის იმედს არ გვაძლევს. იმას, რასაც ბელადი აკეთებდა, დახვეწილობა და საზრიანობა მაინც ჰქონდა. მაგრამ ეს, ეს...

ალონზო (შემოვა): საღამო მშვიდობისა, ბატონებო. გულითადად მოგესალმებით.

პროპაგანდის მინისტრი: გამარჯობათ.

ფინანსთა მინისტრი: ნება მომეცით კითხვა დავისვით, გენერალო, ვინ მოკლა მინისტრი ჟამინო?

ალონზო: მე მეკითხებით ბატონო მინისტრო?

ფინანსთა მინისტრი: თქვენ არ მყავხართ მხედველობაში, მაგრამ მოხარული ვიქნებოდი, რომ არ იყოს მართალი ის, რასაც ლაპარაკობენ.

ალონზო: იმას ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა. ბოლოს და ბოლოს თქვენ გაიცნობთ იმ ადამიანს. გენერალი გახდება.

ფინანსთა მინისტრი: ეს ხომ აღიარებაა?

ალონზო: მერე რა? არ მოგწონთ, ბატონებო?

ფინანსთა მინისტრი: როგორ არა! უზომოდ მოგვწონს, გაბრდებით, რომ მოთმინებით დაველოდებით იმ წუთს, როდესაც ჩვენც იგივე ბედი გვეწევა.

ალონზო (იცინის): ეხლადა მივხვდი ყველაფერს. ლაპარაკობთ დარწმუნებული, რომ ჩვენს საუბარს ბელადი ისმენს. მიკროფონები კი გამორთულია, ხაზი დაზიანებული. შეგიძლიათ სრულიად თამამად თქვათ, რასაც ფიქრობთ.

ფინანსთა მინისტრი: მხოლოდ ამის თქმა გვსურდა, გენერალო, კომედიას არ ვთამაშობთ, გვისმინოს ვისაც უნდა.

ალონზო: მაშინ თქვენ სიტუაციის მნიშვნელობა ვერ შეგიფასებიათ, სახელმწიფო გადატრიალება ახლოვდება. ორი პარტია იბრძვის ხელისუფლებისათვის. ორივე გამოიყენებს ყოველგვარ შესაძლებლობას, რათა ძალაუფლება მოიპოვოს და ჩამოიშორის თავისი მოწინააღმდეგეები. თქვენ მე მომეხსრეთ, ულაპარაკოდ უნდა დამეხმაროთ იმაში, რასაც ვაკეთებ. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩემთან ერთად დგახართ და ჩემთან ერთად დაეცემით.

გამოსვლა მეოთხე

იგივენი, I ოფიცერი

I ოფიცერი (შემოვა): გენერალო, მოვედი, რათა შევიტყო ოფიცერ ვენტინისათვის გამოტანილი განაჩენი.

ალონზო: ახ, ვენტინი! ძალიან ვწუხვარ, მეგობარო, მაგრამ ვენტინი დაუყოვნებლივ უნდა იქნას დახვედრილი.

I ოფიცერი: ეს თქვენი ბრძანებაა?

ალონზო: არა, ბელადის.

I ოფიცერი: ბელადი განაჩენს არ გააუქმებს?

ალონზო: სამწუხაროდ არა. მის სიკვდილს მოითხოვს.

I ოფიცერი: ვეცდები ვთხოვო.

ალონზო: ვერაფერს მიაღწევ, მეც უარი მითხრა.

I ოფიცერი: პირადად თქვენთვის მინდა რაღაცის თქმა, გენერალო.

ალონზო: ჩემთვის?

I ოფიცერი (იგრძნობა, რომ მნიშვნელოვან საქმეს წყვეტს): დიახ.

ალონზო: კარგი, წამო! (გავლენ მარცხენა გასასვლელიდან).

გამოსვლა მეხუთე

პროპაგანდის, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრები.

ფინანსთა მინისტრი: ასეთი ხერხით იმხრობს ალონზო თანამოაზრეებს.

პროპაგანდის მინისტრი: განა ბრძანება წინამძღოლის გაცემული არ არის?

ფინანსთა მინისტრი: ბოლო წუთებში სახელს არ დაისვრის სიკვდილის უაზრო განაჩენით.

პროპაგანდის მინისტრი: რა გინდოდათ?

ვაჭრობის მინისტრი: ის, რაც ასეთ სიტუაციაში ჭკვიანურია. ჩუმად ვიყოთ და დავიცადოთ.

გამოსვლა მეექვსე

იგივენი, თავდაცვის მინისტრი, ალონზო

თავდაცვის მინისტრი (შემოვა): სად არის ალონზო?

პროპაგანდის მინისტრი: ეს წუთია გავიდა.

თავდაცვის მინისტრი: ბელადს უკვე ელაპარაკა?

ვაჭრობის მინისტრი: არა.

ფინანსთა მინისტრი: ნამდვილად ეშინია მისი.

თავდაცვის მინისტრი: ალონზოს? ჰაჰაჰა, შინაგან საქმეთა მინისტრის მდივანმა დღეს ალონზოს საიდუმლო სამალავების გეგმა გადასცა, მთელი ჩამორთმეული იარაღი ხელში გვაქვს და კიდევ ალონზოს უნდა ეშინოდეს?

პროპაგანდის მინისტრი: სად არის გენერალი ტერენო?

თავდაცვის მინისტრი: თავის ჯარისკაცებთან ერთად უახლოესი საიდუმლო სამალავისკენ წავიდა. როგორც კი იარაღი ჩამოვა, ქალაქი ჩვენს ხელში იქნება.

პროპაგანდის მინისტრი: თუკი გვიან არ იქნება.

ალონზო (შემოვა).

თავდაცვის მინისტრი: რა ხდება?

ალონზო: ყველაფერი წესრიგშია. გარეუბანში წამქეზებელთა ასეული დაგაკავეთ, საიდანაც სამხრეთიდან. მათ ჩამოვართვით უნიფორმები. ჯარისთვის ბელადის მიმდევართა ტანისამოსში ჩვენი ხალხი იქნება, რომლებიც კრიტიკულ მომენტში ჩაერევიან.

პროპაგანდის მინისტრი: გენიალურია...

ფინანსთა მინისტრი: როდის?

ალონზო: მე თვითონ მივცემ ნიშანს. მიკროფონში დავიძახებ — დიდება ბელადს.

ფინანსთა მინისტრი: თუ დაცვამ და პოლიციამ გაჯობათ?

ალონზო: ნუ გავიწყდებათ მისი პრინციპები, მას სისხლი არ უნდა. მისი ხალხი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაერევა.

თავდაცვის მინისტრი: თხუთმეტი წუთიდა დაგვრჩა. ცოტა ხნის წინ გამოსცეს ბრძანება, რომ ბელადი გარეთ კი არ გამოვა სიტყვით, არამედ სასახლის ეზოში.

ალონზო: რატომ?

პროპაგანდის მინისტრი: თავდასხმის ეშინია.

ვაჭრობის მინისტრი: შესაძლოა.

ფინანსთა მინისტრი: ეზოში კი მხოლოდ ჩვენ და მისი ამაღლა ვიქნებით. ჩვენი მხრიდან ნამდვილად არ იქნება მკვლევლობის მცდელობა.

თავდაცვის მინისტრი: ბატონო მინისტრო, მე არ მსურს მკვლელთა ბანდის წევრი ვიყო.

ალონზო: ნუ ბრახდებით, ბატონო მინისტრო. მიზეზი არა გვაქვს ნახსენებ გამოსავალს მივმართოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ბელადი ყველა ჩვენს პირობას მიიღებს.

გამოსვლა მეშვიდე

იგივენი, დიქტატორი, I და II ოფიცრები

დიქტატორი (შემოვა): სალამი, ბატონებო.

მინისტრები (თავს დაუკრავენ).

დიქტატორი (ალონზოს): აქ რას აკეთებთ, გენერალო?

ალონზო: თქვენ ეს ისევე კარგად მოგეხსენებათ, როგორც მე.

დიქტატორი: რატომ არ გაემგზავრეთ?

ალონზო: არ მინდოდა.

დიქტატორი: ჩემი ზელომწერას აყალბებთ, მიმართეთ უბინძურეს საშუალებებს, ზოცაეთ ხალხს, რომლებიც არ გაწყობთ, სიბინძურესა და სისხლში ხარო ამოსვრილი. უკვე კმარა. თქვენთვის ჩამოხრჩობაც კი ცოტაა, უვარგისო, ნაძირალავე!

ალონზო (ხმაღს იშინებებს).

დიქტატორი: დაცვის ოფიცრებო!

I და II ოფიცრები (შემოვლენ).

დიქტატორი: განაიარაღეთ!

ალონზო (ხმაღს გადაუგდებს მათ).

დიქტატორი: ააგლიჯეთ ეპოლეტები.

ალონზო: ფრთხილად! ხმალი თქვენი იყო, მისი ტარება არ მსურს და არც ვატარებ, მაგრამ ეპოლეტები სხვამ მიბოძა...

დიქტატორი: ააგლიჯეთ ეპოლეტები! (ოფიცრები ადგილიდან არ იძვრიან). ლაჩრებო, გეშინიათ? (არც მაშინ იძვრიან ადგილიდან). გაეთრეთ!

I და II ოფიცრები (გავლენ).

დიქტატორი (დუმილის შემდეგ): გენერალთან მარტო მინდა დარჩენა.

მინისტრები (გავლენ).

გამოსვლა მერვე

დიქტატორი, ალონზო

დიქტატორი: რა საფასურს ითხოვთ, რომ უარი თქვით თქვენს გეგმაზე?

ალონზო: მე შეთანხმებას არ ვაპირებ.

დიქტატორი: ფული გინდათ?

ალონზო (არ პასუხობს).

დიქტატორი: საწყენია.

ალონზო: თქვენთვის თუ ჩემთვის?

დიქტატორი: ამ გამოცანის გამოცნობა ძალიან ადვილია.

ალონზო: დარწმუნებული ხარო, რომ ამ სიტუაციაში ბატონი ბრძანდებით?

დიქტატორი: ასი პროცენტით.

ალონზო: მაშ რატომ გინდათ შეთანხმების მიღწევა?

დიქტატორი: საქმე ჩემს იდეას ეხება.

ალონზო: ის მაინც ზომ იცით, რომ იგი ისეთივე მიუღებელია ჩემთვის, როგორც თქვენ.

დიქტატორი: და მაინც ვცადე შეთანხმების მიღწევა. არ მინდა სისხლი დაიდვაროს.

ალონზო: ეგ არ მოხერხდება.

დიქტატორი: ვიცი. უნდა დამეპატიმრებინეთ.

ალონზო: რატომ არ დამაპატიმრეთ?

დიქტატორი: შეცდომა დავუშვი. მაპატიეთ.

ალონზო: ახლა რატომ არ მაპატიმრებთ?

დიქტატორი: ახლა?

ალონზო: დიახ, ახლა!

დიქტატორი: ვთქვი, რომ ეს შეცდომა იყო, შეცდომა კი ისაა, რისი გამოსწორებაც აღარ შეიძლება.

ალონზო: არ მიგაჩნიათ, რომ ადგილები უნდა გავცვალოთ და მე ავიღო ხელში დიქტატი?

დიქტატორი: გაქვთ ორი ათასი თოფი, ოთხმოცი ტყვიამფრქვევი, ათიცი მძიმე ტყვიამფრქვევი, საარტილერიო ტყვიები სრულებით არ გაგაჩნიათ, საბრძოლო მასალაც – ძალიან მცირე რაოდენობით, მხოლოდ ის, რაც ერთი წლის წინ დაუტოვეს საამქროებს, როგორც საქონელი, რომელიც უცხოეთმა შეიძინა.

ალონზო: კარგადა ხართ ინფორმირებული.

დიქტატორი: სულ ტყუილად მოკალით შინაგან საქმეთა მინისტრი. საიდუმლო სამალავების გეგმას მასთან ვერ იპოვით.

ალონზო: დღეს დილით მე ისინი მისმა მდივანმა ჩამაბარა.

დიქტატორი: დღეს დილით ყველა საიდუმლო სამალავის გეგმა გავანადგურე.

ალონზო: ეს არ არის მართალი.

დიქტატორი: როგორ არა, გენერალო.

ალონზო: ამას ნორმალური ადამიანი არ ჩაიდენდა. გაგიჟდით? ხალხი მეზობლების ანაბარა დატოვეთ იარაღისა და თავდაცვის გარეშე...

დიქტატორი: კმარა! ხალხზე არ ვწუხვარ. მხოლოდ მაშინ შევშინდებოდი, ყოველ მათგანს ხელში იარაღი რომ ეჭიროს და მათ თქვენ ედგეთ სათავეში.

ალონზო (დუმს).

დიქტატორი: მე მგონი დროა, გონივრულად დავიწყოთ საუბარი.

ალონზო: ჩანს, სხვა გამოსავალი არ არის.

დიქტატორი: გთხოვთ.

ალონზო: ცოტა ხანში საზეიმო მიტინგზე გამოხვალთ სიტყვით. ეს უკანასკნელი შესაძლებლობა იქნება აღაფრთოვანოთ ხალხი მარადი მშვიდობის იდეით, მაგრამ ეტყვი, რომ ცდებოდით. აღიარებთ ამას და გინდათ, რომ ერის გზა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული თქვენი იდეისთვის.

დიქტატორი: ამას სერიოზულად ფიქრობთ?

ალონზო: სრულიად სერიოზულად.

დიქტატორი: ბრიყვო!

ალონზო: ფრთხილად! აქამდე ძალებს ვსინჯავდით, ეხლა კი ბრძოლის დრო დგება!

დიქტატორი: მაშ ვიბრძოლებთ.

ალონზო: ეს თქვენი უკანასკნელი სიტყვაა?

დიქტატორი: ამაში ეჭვი გეპარებათ! მაშ მშვიდად გავანადგურო ის, რაც სიცოცხლისკენ შემოვებრუნე!

ალონზო: მიპასუხეთ!

დიქტატორი: არა!

ალონზო (რევოლვერს ამოიღებს).

დიქტატორი: ჩემი მოკვლა გინდათ?

ალონზო (რევოლვერს წინ დაუდებს). თქვენ თვითონვე გააკეთეთ ეს!

დიქტატორი: არასოდეს!

ალონზო: ეჭვი მეპარება.

დიქტატორი (რევოლვერს უკან გადაუგდებს).

ალონზო: დღევანდელი მიტინგის შემდეგ გააკეთეთ ეს, სადაც ხალხი შეიტყობს, რომ თქვენმა გეგმამ კრაზი განიცადა.

დიქტატორი: ვაღიარებ, რომ შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაგრამ ნუ წუხდებით. ნახვამდის, გენერალო (გაღის).

ალონზო: ნახვამდის, გიულელმო მენოტი.

დიქტატორი: ასე...

ალონზო (სიცილით): უკვე სხვაგვარად წარიმართება ჩვენი საუბარი, არა?

დიქტატორი: სცდებით, გენერალო, გუილელმო მენოტი ისეთივე უკომპრომისოა, როგორც დიქტატორი ლუის ალვარესი.

ალონზო: გინდათ მინისტრთა საბჭო გავაკვიროვ ცნობით, რომ ხალხის ბელადი ლუის ალვარესის მკვლე-
ლია?

დიქტატორი: ამის დამტკიცება შეგიძლიათ?

ალონზო: ოფიცერმა ვენტინომ ყველაფარი გამიმხილა.

დიქტატორი: ოფიცერმა ვენტინომ ხელი მოაწერა განცხადებას და აღიარა, რომ ჩემ წინააღმდეგ ვერაგულ ხრიკებს ამზადებდა.

ალონზო: მაშ რატომ დაახვერტინეთ იგი?

დიქტატორი: მე დაახვერტინე? მე... ასე! არამზადავ!

ალონზო (იციანის): ეს ჭკვიანური სვლა იყო, ამან თქვენი სამი ოფიცერი მომაპოვებინა.

დიქტატორი (მიდის კარისკენ): დაცვის ოფიცერები! (სიჩუმე). დაცვის ოფიცერები! მინიონ! ბეპრო!

ალონზო: ტყუილად ირჯებით, თქვენს დაცვას უკვე აღარა ჰყავს ოფიცერები.

დიქტატორი (გაშმაგებული ყვირის): არის აქ ვინმე?

IV ოფიცერი (შემოვა). ბელადო, მინიონმა და ბეპომ ცოტა ხნის წინ დატოვეს სასახლე.

დიქტატორი (კარს დახურავს).

ალონზო: კომედია დამთავრდა! ყველაფერი ამაოა! ათ წუთში იწყება მიტინგი, იცით, რას მოვითხოვ თქვენ-გან.

დიქტატორი: დიახ, ხალხის დაბრუნებას მონობაში, სიბნელეში, სიძულვილში, რამდენიმე საუკუნით უკან, რათა ჩემი ერის ყველაზე უმნიშვნელო წარმომადგენლებმაც კი შესძლოს ჩემთვის სახეში შეთურფხება. ყველას, ვისაც ერთი წუთით მაინც დაუბრუნე რწმენა და სიცოცხლე, რას მომცემდით ამის სანაცვლოდ? რაღაც ძალიან დიდი უნდა იყოს. ამაზე მე ჩემი ღირსებით ვაგებ პასუხს.

ალონზო: ღირსებით?

დიქტატორი: დიახ, გენერალო! (ალონზო დუმს). დუმხართ, მაშ მე ჩემს ბრძოლას ბოლომდე მივიყვან. ანარქისტი გუილელმო მენოტი პატიოსნად შემოვიდა ამ ერისა და მსოფლიოს ისტორიაში, ანარქისტი გუილელმო მენოტი იქიდან ისევე პატიოსნად წავა (ფანჯარას გახსნის). ხედავთ ხალხს. აი იქ ხედავთ იმ პატარა არსებებს, იმ ჭუჭყიან ბრბოს, მორთოლვარე გულებს, მადლიერებს სიყვარულის ნამცეცისთვის, იმ მათხოვარს, იმ მუშებს, იმ მოზუც სათვალეებიან მოხელეს, იმ უმუშევარს მოღუწებული კუნთებით (ყვირილი გარედან: „დიდება ბელადს“). ყოველ მათგანზე, პირველიდან უკანასკნელამდე, მე ვაგებ პასუხს. ეს მართლაც ამაოა, გენერალო.

ალონზო: მინისტრთა საბჭო ახლდავე შეიტყობს, ვინ ხართ.

დიქტატორი: არ დაგიჯერებენ.

ალონზო: ლუის ალვარესის მეუღლე ბეჭედს მოითხოვს, რომლის დაბრუნებაც თქვენ ვერ შესძელით.

დიქტატორი: ეს არის თქვენი კოზირი?

ალონზო: დიახ! (ბეჭედს ამოიღებს). იცით სად ვიპოვე?

დიქტატორი: მომეცით რევილვერი, გენერალო.

ალონზო: გინდათ...

დიქტატორი: მიტინგის შემდეგ, როგორც თქვენ თქვით.

ალონზო: შეასრულებთ იმას, რასაც მოვითხოვ?

დიქტატორი: ყველაფერს!

ალონზო: გული მწყდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის.

დიქტატორი: არ არის... არ არის (რევილვერს ათამაშებს, მერე ჯიბეში ჩაიდებს). ბოლოს და ბოლოს ღირსეული სიკვდილი ყველა დიდი ადამიანის ოცნებაა. მე კი ნამდვილად ვიყავი დიდი ადამიანი. ვიყავი. და თუმცა უნდა წავიდე, რამდენიმე წლით მაინც გადავარჩინე ჩემი ხალხი ომს. ორმოცმეტი წელია ერი, რომელსაც ოცი ათასი თოფი აქვს, იძულებული იქნება კიდევ დიდხანს განახორციელოს მშვიდობიანი პოლიტიკა. ეს კი ჩემი კოზირი იქნება, გენერალო! (გავა. კარებში მინისტრები დგანან მღაბლად თავდახრილნი).

გამოსვლა მეცხრე

ალონზო, მინისტრები

თავდაცვის მინისტრი (მას სხვები აჰყვებიან). რა ხდება?

ალონზო: ყველაფერი წესრიგშია.

თავდაცვის მინისტრი: შეთანხმებას მიაღწიეთ?

ალონზო: გამარჯვებას.

ვაჭრობის მინისტრი: ნუთუ ეს შესაძლებელია?

ალონზო: ყველა ჩვენი მოთხოვნა მიიღო.

თავდაცვის მინისტრი: თვითონ რას მოითხოვთ?

ალონზო: არაფერს.

თავდაცვის მინისტრი: ამის იქით რაიმე ინტრიგა ხომ არ იმალება?

პროპაგანდის მინისტრი: ყოველთვის დახვეწილი მოწინააღმდეგე იყო.

ალონზო: შეშინდა, რომ მიტინგზე იმას იტყვის, რასაც მოვიზოვთ.

ფინანსთა მინისტრი: გაუგებარია. სხვა გამოსავალი ჰქონდა?

თავდაცვის მინისტრი: გადაწყვეტილება რომ შეიცვალოს და თავის თავზე ილაპარაკოს?

ალონზო: ნიშნის მიცემ, ოღონდ საწყენია, რომ ტერენოს გზა ამაო ყოფილა. დიქტატორს ყველა საიდუმლო სამალავი გაუნადგურებია.

თავდაცვის მინისტრი: ეხლა რაღა იქნება?

გამოსვლა მეათე

იგივენი, ტერენო, IV ოფიცერი

ტერენო (შემოვა, უკიდურესად დაღლილი).

ალონზო: როგორც იქნა!.. რა ხდება? კერაფრის გადარჩენა ვერ მოხერხდა?

ტერენო: გადარჩენა? რატომ?

ალონზო: სამალავები ხომ უნდა აეფეთქებინათ.

ტერენო: უნდა აეფეთქებინათ, მაგრამ ქსელი დაზიანებული იყო. ყველაფერი წესრიგში დაგვხვდა. ასორმოც-დაათი ადამიანის სიცოცხლედ დაგვიჯდა ეს. მაგრამ სამაგიეროდ მთელი დივიზიისთვის გვაქვს შეიარაღება.

ალონზო (მივარდება მას): ნუთუ მართლა?

IV ოფიცერი (აცხადებს): ბატონებო, მიტინგი იწყება!

ფ ა რ დ ა

სურათი მემკვსე

სასახლის ეზო, მარცხნივ კიბეები, ზევით მიკროფონი, კიბის წინ, მარჯვნივ ჭიშკრამდე თავისუფალი ადგილი. ჭიშკრები ჩაკეტილია. გარეთ ხალხის ბრბო. წამოძახილები: „გვინდა ბელადის დანახვა! ბე-ლა-დი! დიდება ბელადს!.. დიდება მას!.. გვინდა მარადიული მშვიდობა! სკანდირება: მარა-დიუ-ლი მშვი-დო-ბა!“

გამოსვლა პირველი

პროპაგანდის, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრები

პროპაგანდის მინისტრი: არ დამშვიდდებიან, სანამ მას არ იხილავენ.

ფინანსთა მინისტრი: უნდა დაენახოს.

პროპაგანდის მინისტრი: თუ უარს იტყვის?

ვაჭრობის მინისტრი: მაშინ ნამდვილად შეშინებული ყოფილა.

ფინანსთა მინისტრი: რას ფიქრობთ, რით დამთავრდება დღევანდელი დღე?

პროპაგანდის მინისტრი: ეგ რომ ვიცოდეთ...

გამოსვლა მეორე

იგივენი, თავდაცვის მინისტრი, ტერენო

თავდაცვის მინისტრი (ტერენოსთან ერთად შემოდის. გარეთ ისევ ყვირილია). „დიდება ბელადს!“ ჩვენებიც მათთან ერთად გაჰყვირიან?

ტერენო: სხვა გზა არ არის, თორემ თავიანთი მშვიდობისმოყვარე პრინციპების მიუხედავად დაგლეჯდნენ მათ. თავდაცვის მინისტრი: ველარ ითმენთ, ბატონებო?

ვაჭრობის მინისტრი: არა, უკვე მივეჩვიეთ ლოდინს.

ტერენო: ვშიშობ, რომ ჩვენებმა ვერ მოახერხეს წინა რიგებში მოხვედრა.

თავდაცვის მინისტრი: ეგ ცუდი იქნებოდა. მაშინ ჩარევას ვერ შევძლებდით, ტერენო. ალონზომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ფსონი ერთ ბანქოს ქაღალდზე დადო.

თავდაცვის მინისტრი: რომელზე?

ტერენო: ბელადის შეპირებაზე.

გამოსვლა მესამე

იგივენი, ალონზო, IV ოფიცერი

ალონზო: სად არის უფროსი? მიტინგი უკვე უნდა დაწყებულიყო!

ტერენო: ხომ არ გაიქცა?

თავდაცვის მინისტრი: ეს ყველაზე ბრძნული გადაწყვეტილება იქნებოდა.

ფინანსთა მინისტრი: ოღონდ ლაჩრული, განა ასე არ მიგაჩნიათ?

ალონზო: მის მოსაყვანად წავალ.

IV ოფიცერი (აცხადებს): ბელადი მოდის.

გამოსვლა მეოთხე

იგივენი, დიქტატორი

დიქტატორი (მათ წინ შედგება. მის უკან მისი ამაღლა მოდის): სალამი, ბატონებო (თავს დახრის).

თავდაცვის მინისტრი: ბელადო, ხალხს თქვენი ნახვა სურს.

დიქტატორი: არ არის საჭირო. აბა დაფდაფები!

(ცოტა ხანში გაისმის დაფდაფების ხმა. მინისტრები ლაპარაკობენ).

ალონზო (დიქტატორს მიუახლოვდა და რაღაცას ეუბნება).

დიქტატორი (ღიმილით პასუხობს. დაფდაფების ხმა მიწდება): ბატონო პროპაგანდის მინისტრო, აიღეთ სიტყვა!

პროპაგანდის მინისტრი (მიუახლოვდება მიკროფონს): თანამებრძოლო ძმებო!

ხმა ხალხიდან: რომელი თანამებრძოლები?... ჩვენ ბრძოლა არ გვინდა... დაე მარადიული მშვიდობა იყოს... დიდება ბელადს! (ყვირის მთელი მასა). ძირს პროპაგანდის მინისტრი! მოშორდი დაიკარგე აქედან!

დიქტატორი (ღიმილით უქნევს მას თავს. იგი უკან გაიწევა, დიქტატორი მიკროფონს უახლოვდება). ჩემო ერო, მოგმართავს შენი ბელადი (საშინელი ღრიალი). ბე-ლა-დი! ბელადის დანახვა გვინდა!.. ბე-ლა-დი! ბე-ლა-დი! (მომდევნო წუთებში შემოარღვევენ ჭიშკრებს მარჯვენა მხარეს და ბრბო ეზოში შემოიჭრება).

ალონზო (გაშმაგებულია. მცველებს ანიშნებს). მოაშორეთ აქედან! გაყარეთ!

დიქტატორი: არ გაინძრეთ! (დაცვა შეჩერდება).

ალონზო: არა გაქვთ იმის უფლება, რომ ეს ბრბო თქვენ ახლოს მოუშვათ.

დიქტატორი: ბრბო? ეს ჩემი ხალხია (ცალკეული წამოძახილები): ბელადო, შენთან მოვდივართ, უნდა დავინახოთ შენ...).

ალონზო: ბატონებო, ამას ხელი უნდა შევეშალოთ.

ტერენო: ჩვენ გვემას ხაზი გადაესვა.

ფინანსთა მინისტრი: უკვე არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

თავდაცვის მინისტრი: ყურადღება! რაც უფრო მალე მორჩება...

ტერენო: ბრბოს აღტყინება რომ ვერ მოასწროს... (ყველაფერი დიქტატორის ზურგს უკან ხდება).

დიქტატორი (ღიმილით მიმართავს მათ): შეინარჩუნეთ სიმშვიდე, ბატონებო (ხმაური თანდათან მიწყდება).

ხალხის სახეებზე მოლოდინია აღბეჭდილი, ბელადს უყურებენ. მიკროფონს მიუახლოვდება. სიჩუმე. ხმა ხალხიდან. დემრთმა დაგლოცოს, ბელადო! ჩუმი ხმური. (დიქტატორი ტკივილით გაიღიმებს). ჩემო ერო! ჩემთან მოხვედი, რადგანაც გრძნობ, რომ ჩემი ხარ და მე შენ გეკუთვნი (წარმოუდგენელი აღფრთოვანება. წამოძახილები): დიდება! ნურავისი ნუ გეშინია! ჩვენ შენთან ვართ! ჩვენი იმედი გქონდეს! (დიქტატორი თავს გააქნევს. სიჩუმე). მე გესალმები შენ და ყოველ თქვენგანს. ყველას ვინც აქ მოვიდა, მსურს ხელი ჩამოვართვა, თვალებში ჩავხედო და ვუთხრა: მეგობარო, კარგად მოიქეცი აქ რომ მოხვედი, რადგანაც აქა ხარ საჭირო, აქ არის საჭირო შენი ხელები და შენი გული, რომ ერთად შევძლოთ გზის გაგრძელება, რომელსაც უკეთესი მომავლისკენ მივყავართ.

ალონზო (მას მიუახლოვდება. მინისტრები ნერვიულად ჩურჩულებენ).

დიქტატორი (შეათვალიერებს მას. აგრძელებს): ერთი წელი გავიდა იმ დღიდან, რომელმაც სვალინდელი ნაბიჯის გადადგმა მაიძულა. ერთი წელი, რომლის მანძილზეც შენ, ჩემო ერო, დაინახე და შეძლო თავისუფლად განგესაჯა, რა შეუძლია გააკეთოს შენი კეთილდღეობისათვის წყნარმა შემოქმედებითმა მუშაობამ და ასე დგახარ სვალინდელი დღის წინაშე, როცა უნდა გადაწყვიტო, წარსულის გზით წახვალ ომის იდეით საეჭვო დიდებისაკენ, თუ მშვიდობიანი საქმიანობის გზას აირჩევ და ასე ივლი ახალი მომავლისკენ (წამოძახილები: დიდება... სისხლი საკმაოდ იყო! აღარ გვინდა სისხლისღვრა!.. სიმშვიდე... მარადიული მშვიდობა...).

ტერენო (ალონზოს ანიშნებს, რომ ჩაერიოს...).

ალონზო (ანიშნებს, რომ შეუძლებელია).

დიქტატორი: დღეს საერთოდ არ მინდოდა გამოსვლა, ვიცი, რომ დღევანდელ მიტინგზე ვიღაცას ჩემი მოკვლა აქვს განზრახული. ჩემს თავზე კი არ ვწუხვარ, არამედ ის იდეა მაწუხებს, რომელიც დამარცხდება, მე თუ არ ვიქნები. მე კი ჩემი იდეის ბოლომდე მიყვანა მინდა, შენთან ერთად, ჩემო ერო. ეხლა ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ აქ სადღაც ახლოს რევოლუციური მომარჯვებული მკვლელები ღვას და გულში მიმიზნებს. უკვე აღარ მეშინია, ვიცი, რომ მინდა შენ მოგცე ის საუკეთესო...

ალონზო (მიკროფონს წინ გადაუდგება. ბელადს გასწევს): დიდება...

ანარქისტი (ამ დროს). მოკითხვა ანარქისტებისაგან (გასროლა).

ალონზო (გარდება. საშინელი ყვირილი. წუთის განმავლობაში არავინ არ იცის, რა უნდა იღონოს. ბრბო ანარქისტს მისცვივდება. სცემენ მას). ნაძირალავ, არამზადავ, ჩაძაღღლები, მკვლელო...

ფინანსთა მინისტრი: ალონზო...

თავდაცვის მინისტრი (დახედავს): მკვდარია.

დიქტატორი (მცველებს ანიშნებს): გაათავისუფლეთ ეზო.

პროპაგანდის მინისტრი: ბატონებო, წავიდეთ აქედან (მიდის. მას მიყვებიან გაჭრობის მინისტრი და ფინანსთა მინისტრი).

ტერენო და თავდაცვის მინისტრი (დაცვისკენ მიდიან): შეასრულეთ ბრძანება – გაყარეთ ისინი, სწრაფად!

დიქტატორი (კიბეზე დგას. იღიმება, დაცვა აძევებს ხალხს, რომელიც წინააღმდეგობას არ უწევს. გარედან ხმები: რა დაემართა ბელადს? შეემთხვა რამე? დიქტატორი ამოიღებს რევოლვერს, დახედავს გვამს და ეუბნება). გენერალო, გიბრუნებთ თქვენს რევოლვერს (რევოლვერს მას მიუგდებს. ამ დროს გააქვთ ანარქისტის გვამი. მარჯვენა მხარეს ჭიშკარს დაკეტავენ, უცრად ამაზრზენი სიჩუმე ჩამოწვება. ყველა დიქტატორს მიაჩერდება. კიბით ქვემოთ ჩამოდის, გამარჯვებული იერით). ბატონებო, მადლობას მოგასსენებთ.

თავდაცვის მინისტრი (გააჩერებს მას): გენერალ-ლეიტენანტის სახელით მოვითხოვ, რომ შეასრულოთ პირობა, რომელიც მიეცით გარდაცვლილ გენერალ ალონზოს.

დიქტატორი: ჩემს იდეს ვუღელატო? არასოდეს!

თავდაცვის მინისტრი (რევოლვერს მკერდზე მიაბჯენს). მაშინ ამას თქვენს მაგივრად მე გავაკეთებ. ერთადერთი სიტყვაც კი სიკვდილის ტოლფასი იქნება.

ტერენო (მიკროფონთან მივა). ჩვენო ერო, სამწუხარო ამბავს გაცნობებ, შენი ბელადი გტოვებს (წამოძახილები: ბელადი რა სჭირს ბელადს?) იგი მკვლელის საქციელმა შეაშფოთა და გრძნობს, რომ მისი ლამაზი იდეა ვერესოდეს ვერ გაიმარჯვებს.

დიქტატორი: ნადირალავ...

ტერენო: და გიბარებს შენ – დაუბრუნდე შენს ძველ იდეალებს. შენმა ძალამ და დიდებამ ევროპის ხალხთა სათავეში უნდა ჩაგაყენოს. მარადიული მშვიდობა არ შეიძლება ხალხის გულებში.

დიქტატორი: შე...

ტერენო: ბელადის იდეა მარცხდება.

დიქტატორი (თავდაცვის მინისტრს გაუსხლტება და მიკროფონისკენ მირბის): ის არ შეიძლება დამარცხდეს! (ტერენოს აიფარებს, რათა ვერ შეძლოს სროლა). ჩემო ერო, მან უნდა იცოცხლოს...


ტერენო (გაუსხლტება ხელიდან. სროლის ხმა).

დიქტატორი (ეცემა, კიდევ წამოიწევს). იქ... მათში... ის უკვე ცოცხლობს (კვდება).

ფ ა რ დ ა

სლოვაკურიდან თარგმნა ევა მაია ნაჭყებიამ

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „საუნჯეში“, 1992/93, (104)



მარიამ პარბელაშვილი

„...ყოველი დამალული...“ ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან

ოქროს ხანის საქართველოს ორ მეჭურჭლეთუხუცესს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველი ერის ისტორიაში: შოთა რუსთაველმა შექმნა „ვეფხისტყაოსანი“, ყუთლუ-არსლანმა შექმნა პირველი ქართული პარლამენტის პროექტი, რითაც საფუძველი დაუდო პარლამენტური მონარქიის იდეას საქართველოში.

ამ ორი პიროვნების ვინაობა-სადაურობასთან დაკავშირებული რვასაუკუნოვანი საიდუმლოება დიდი ხანია მაგნიტური ანომალიის მძლავრი ძალით იზიდავს შთამომავალთა ყურადღებას და ამავე მაგნიტური ანომალიის სიმძლავრით არყევს ამ ისტორიულ პრობლემაში გზის გამკვლევი კომპასის ისარს, რომლის წვერიც, წესისამებრ, ერთ მყარ წერტილს არ უნდა სცილდებოდეს. სპეციალური ლიტერატურა სავსეა დიამეტრულად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით და დებულებებით, საიდუმლოება კი საიდუმლოებად რჩება, ხოლო XII საუკუნის მიერ შთამომავალთათვის თავსამეტყველად დატოვებული ისტორიული დეტექტივი ფატალურ შეუსაბამობათა ჯადოსნურ წრეში ტრიალებს.

ორი მეჭურჭლეთუხუცესი: პოეტი და პოლიტიკოსი.

ორი თანამედროვე: პოეტი და პოლიტიკოსი.

რა ურთიერთმიმართებაა მათ შორის? ეს საკითხი „ციდან არ ჩამოვარდნილა“ – იგი ვეფხისტყაოსნის შესწავლამ დააყენა.

ამრიგად, ორი მეჭურჭლეთუხუცესი – შოთა რუსთაველი და ყუთლუ არსლანი – ოქროს ხანის ქართული პოლიტიკური აზროვნების კონტექსტში.

* * *

საქართველოს ისტორია მხოლოდ ორ ისეთ პიროვნებას იცნობს, რომელთაც **სპარსულისადმი** მიკერძოება ედებათ ბრალად: ერთს – „მოღება წესისა რასამე სპარსთა განაგისისა“ (ანუ პოლიტიკური ბრალი), მეორეს – „სპარსულად თქმა“ (ანუ იდეოლოგიური ბრალი).

პირველი – ქართული პარლამენტის იდეის გენიალური ფუძემდებელი, ყუთლუ-არსლანად სახელდებული მეჭურჭლეთუხუცესის თამარ მეფისა, მეორე – ქართველი ერის უპირველესი გენია, ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა რუსთაველი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ასევე თამარის მეჭურჭლეთუხუცესი იყო.

პირველს ეს ბრალი სამეფო კარის ოფიციალურმა ისტორიკოსმა, განათლებული აბსოლუტიზმის უნიჭიერმა თეორეტიკოსმა დასდო („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ – არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებასა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მოძლებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისისა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისნისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა: მაშინლა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“ [ქ-ც 1959: 30-31]), მეორეს – ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთმა უადრესმა „ავად მხრეკელმა“, პოემის ანონიმმა კომენტატორ-ინტერპოლატორმა (ვეფხისტყაოსნის პირველი ნართაული სტროფი: „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ **სპარსულად**, გუხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორც არ სულად საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად, არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად“) და ეს ბრალდებები საუკუნეებს გამოჰყვა თავისი დრამატული პერიპეტეებით და ტრაგიკული შედეგებით.

მსგავსი მძიმე ბრალდებების მქონე სხვა პიროვნებებს საქართველოს ისტორია არ იცნობს; თუმცა თავისი მრავალჭირნახული ისტორიის მანძილზე საქართველოს არასოდეს მოჰკლებია „სპარსის ბაძხედ“ მთქმელნი, არც ნებით თუ უნებურად „გასპარსელებულნი“, მაგრამ „სპარსულად თქმისა“ ანდა „წესსა რასამე სპარსთა განაგისისა“ მოღებაში მათთვის არავის დაუდვია ბრალი.

ყუთლუ-არსლანი და შოთა რუსთაველი: ორივე – „სპარსულობაში“ ბრალდებული, ორივე – თამარის მეჭურჭლეთუხუცესი...

პირველს – ყუთლუ-არსლანს ანუ „ბედნიერ ლომს“ (ასე განმარტა მეჭურჭლეთუხუცესის სახელი ივანე ჯავახიშვილმა თავის გამოკვლევაში „ქართული სამართლის ისტორია“ [ჯავახიშვილი 1929: 159]) „აზმათა“ ავტორი იხსენიებს თავის თხზულებაში, მეორეს – შოთა რუსთაველს არც ერთი სიტყვით არ ახსენებს თამარის არც პირველი, არც მეორე ისტორიკოსი; ორივე მეჭურჭლეთუხუცესის ბიოგრაფია

უცნაური იდეალების ბურუსით არის მოცული: „არცა რა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი“... მაგრამ დუმილიც არგუმენტია: Argumentum ex silentio. განა არ უნდა დაისვას კითხვა: რაშია საქმე?

წამოჭრილ საკითხებში გასარკვევად თამარის ამ ორი მეჭურჭლეთუხუცესის პოლიტიკურ კონცეფციებს უნდა შევეხოთ.

* * *

ჯერ პოლიტიკოსი-მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ: ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა „აზმათა“ ავტორმა შეაფასა, როგორც „ამბავი უცხო მოსაგონებელი“, „დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი“ და მის მეთაურს „გონებისა მზაკურება“ დასწამა: ივანე ჯავახიშვილმა მას „გასაოცარი და საგულისხმო პოლიტიკური მოძრაობა“, „პროგრესული დასი“ უწოდა, სიმონ ყაუხჩიშვილმა – „უზარმაზარი ამბავი პარლამენტური წყობილების შემოღების ცდისა“ [ქ-ც 1959: 015].

ივანე ჯავახიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დიდ-გვარიან აზნაურთა გაფიცვა და ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნა ერთმანეთისგან ძირფესვიანად განსხვავდებოდა: ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის მთელი პროგრამა და მოქმედებაც ისტორიკოსს სრულებით არაჩვეულებრივ და თანაც გასაოცარ შემთხვევებად აქვს მკითხველისთვის წარმოდგენილი: „ესეცა უცხო მოსაგონებელი“... მაშასადამე, ამის მსგავსი მოვლენა მას საქართველოში მაინც არ ეგულება“. დიდი ქართველი ისტორიკოსის გამოკვლევის თანახმად, XII საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში დემოკრატიულ მოძრაობას თავისი მქადაგებელნი ჰყავდა, და არას დროს არავის ასე მკაფიოდ და ნათლად არ დაუყენებია საკითხი საქართველოს წესწყობილების შეცვლის საჭიროების შესახებ, რომლის შედეგადაც საქართველოში თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და მის მაგიერ პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა დაარსებულიყო“ [ჯავახიშვილი 1965: 248-250]. დიდმა მეცნიერმა „აზმათა“ ავტორის მიერ სიტყვაძუნწად დაწერილ მცირე ტექსტში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური ტერმინოლოგია ამოიკითხა: ამ კოლოსალური ინტელექტუალური მასშტაბის ინტერპრეტაციის წყალობით XII საუკუნის მეისტორიის მიერ შთამომავალთათვის დატოვებულმა თითქოს ჩვეულებრივმა სიტყვებმა საოცარი ფერისცვალება განიცადეს და ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის სპეციფიკური იურიდიული ენით მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამის სახით მოგვევლინენ; ყუთლუ-არსლანის დასის საპროგრამო სიტყვებში: „განმგებელი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი... მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“ ივანე ჯავახიშვილმა არისტოტელეს Trias politica-ს მოძღვრების შესაბამისი სახელმწიფოს თეორიის პრინციპები აღმოაჩინა: „აღმაიანი რომ ჩაუკვირდეს, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური თანამოაზრენი „კარავში დასხდომილთათვის“ „განგების“ უფლებას თხოულობდნენ, მეფეს კი მხოლოდ „სრულქმნის“ მოვალეობას აკისრებდნენ. ცნობილია, რომ არისტოტელემ სახელმწიფოს ფუნქციების დასახასიათებლად თავისი განთქმული დებულება Trias politica წამოაყენა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს სამი ფუნქცია აქვს: კანონმდებლობითი, მართლმსაჯულებითი და მართვა-გამგეობითი“ [ჯავახიშვილი 1929: 171]; (შდრ. არისტოტელე, „პოლიტიკა“, 1297 b₃₅ – 1298 a₄: „ახლა მივუბრუნდეთ როგორც ზოგად, ასევე უფრო ზედმიწევნით განხილვას ცალკეული ნაწილებისას, რომელნიც სახელმწიფოებრივი მოწყობის თითოეული სახეობის საფუძველს შეადგენენ... ყოველ სახელმწიფოებრივ მოწყობაში ეს ძირითადი ნაწილი სამია; მათ ანგარიში უნდა გაუწიოს ვარგმა კანონმდებელმა, რათა სახელმწიფოებრივი მოწყობის თითოეული სახის სასარგებლოდ გამოიყენოს. ამ ნაწილთა საუკეთესო მდგომარეობაზე დამოკიდებული სახელმწიფოებრივი წყობილების უკეთესი მდგომარეობაც: ამასთანავე, სახელმწიფოებრივი წყობილების ცალკეულ სახეობათა განსხვავებაც თითოეული ამ ნაწილის განსხვავებული მოწყობით არის განპირობებული. აი ეს სამი ნაწილი: პირველი – საკანონმდებლო ორგანო, რომელიც სახელმწიფოს საქმეებს განიხილავს, მეორე – თანამდებობები (სახელდობრ, რომელი თანამდებობები უნდა იყოს საერთოდ, რას უნდა განაგებდნენ, რა წესით უნდა ხდებოდეს მათი დაკავება), მესამე – სასამართლო ორგანოები“). მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კარავის იდეოლოგია მოთხოვნაში „საუცხოოდ არის ერთმანეთს შორის განსაზღვრული კანონმდებლობის და განგების უფლება ერთის მხრივ და სრულყოფის უფლება მეორე მხრით. მარტო ეს განსაზღვრა ქართული სახელმწიფოს სამართლისა და აზროვნების დიდი განვითარების დამამტკიცებელია“ [ჯავახიშვილი 1965:249].

სრულიად ცხადია, რომ ეს გზა ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარების ევროპული გზა იყო: „საერთოდ, თუ საქმე შედარებაზე მიდგებოდა, საქართველოს სოციალური ისტორიის ეს 1184-5 წ. მნიშვნელოვანი მოძრაობა... უფრო დასავლეთ ევროპის ისტორიითგან კარგად ცნობილს, ინგლისში მომხდარს იმ მოძრაობას მიაგავს, რომელიც 1215 წ. 15 ივნისს... „თავისუფლების დიდი ქარტიით“... დამთავრდა“ [ჯავახიშვილი 1929: 185]. ხოლო მოსე ჯანაშვილი, ადარებდა რა საქართველოსა და პარლამენტარიზმის კლასიკურ ქვეყანას – ინგლისს, წერდა: „თქვენ გაიკვირებთ, რომ აზიაში 1185

წელს პარლამენტის დაწყება სურდათ, ე. ი. მაშინ, როდესაც ჯერ პარლამენტურ წესწყობილების დედა-ბუდე ინგლისში არ იყო შემოღებული ეგრედწოდებული Magna Charta Libertatum-ი, განხორციელებული მხოლოდ 1215 წელს! მაგრამ საქმე საქმედ რჩება და გაკვირვებას რწმენად აქცევს ჭეშმარიტად მომხდარი ამბავი“ [ჯანაშვილი 1917: 75].

ამ პოლიტიკური მოძრაობის მეთაური პოლიტიკოსი-მეჭურჭლეთუხუცესი იყო.

სამეფო კარის ოფიციალურმა ისტორიკოსმა ეს მეჭურჭლეთუხუცესი განმაქიქებელი ეპითეტებით მოიხსენია და თაობათა მესხიერებაში დატოვა, როგორც „მომღებელი წესსა რასამე სპარსთა განაგისსა“, თუმცა, ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, სპარსეთში არავითარი ოდნავ მაინც ამის მსგავსი წესი არ ყოფილა, და „ამ შემთხვევაში უფრო მეფის პოლიტიკის მომხრე დასის წევრისა და ისტორიკოსისგან პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გასაწბილებლად და სახელის გასატეხად ნახმარ ფანდთან უნდა გვკონდეს საქმე, ვიდრე ცხოვრების უტყუარ ანარეკლთან“ [ჯავახიშვილი 1929: 182].

ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა პერიოდის ისტორიულმა მეცნიერებამ ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიური წნეხის ზეგავლენით ივანე ჯავახიშვილის მიერ პროგრესულად მიჩნეული პოლიტიკური მოძრაობა რეაქციულად ჩათვალა სათანადო მეცნიერული დასაბუთების გარეშე.

სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტთა კვლევის თანამედროვე ეტაპზე აღიარებული მეცნიერული დებულებაა, რომ აბსოლუტისტური სახელმწიფოს ძირითად დამახასიათებელ ნიშანს მის სტრუქტურაში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩანასახური არსებობა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ცნობილი გერმანელი სოციოლოგის მაქს ვებერის (1864-1920) მოსაზრება, რომ ხელისუფლებას თავისი კანონიერების, ე. ი. სახელმწიფოს მართვის სამართლებრივი საფუძველის მოპოვება, არსებითად, სამი გზით შეუძლია: 1. ტრადიციის წყალობით, ანუ იმის წყალობით, რომ იგი „მარად“ კანონიერი იყო: მონარქიულ საზოგადოებაში ხელისუფლების სამართლებრივი საფუძველი ძირითადად ამ ტიპს განეკუთვნება; 2. როგორც რაციონალურ-სამართლებრივ ხელისუფლებას, რომელიც არსებობს იქ, სადაც მმართველობის საჭესთან მდგომ პიროვნებებს ემორჩილებიან იმ კანონთა სისტემის მართლზომიერების საყოველთაო აღიარების გამო, რომლის პირობებშიც მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში და ასრულებენ თავის მოვალეობას; 3. როგორც ხარიზმულ ხელისუფლებას, რომელიც ეფუძნება რწმენას ხელმძღვანელის მიმართ, რომელსაც უდიდეს პიროვნულ ღირსებებს მიაწერენ, სადაც რიგ შემთხვევაში შეიძლება გაღმერთების ელემენტიც კი იყოს [ვებერი 1990: 646-647]. საგულისხმოა პოლიტიკური სოციოლოგიის ამერიკელი მკვლევარის მარტინ ლიპსეტის შემდეგი დასკვნა: თუკი მსოფლიოში არსებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს სტაბილურად და არასტაბილურად დავეყოთ, ხოლო სტაბილურობის კრიტერიუმად პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე პოლიტიკური დემოკრატიის განუწყვეტელ შენარჩუნებას მივიჩნივთ, უაღრესად საინტერესო ფაქტის მოწმენი აღმოვჩნდებით: მსოფლიოში არსებული თორმეტ-ცამეტი სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოდან ათი – პარლამენტური მონარქიაა (ინგლისი, შვეცია, ნორვეგია, დანია, ნიდერლანდი, ბელგია, ლუქსემბურგი, ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია – ყველა ეს ქვეყნები სამეფოები ანდა მონარქის დომინიონებია), მაშინ, როდესაც ისეთ რესპუბლიკებს, რასაც სტაბილური დემოკრატიის განსაზღვრა გულისხმობს, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები და შვეიცარია წარმოადგენენ [ლიპსეტი 1972: 207].

რა თქმა უნდა, ისტორიას არ აქვს კავშირებითი კილო და არც მისი „გადათამაშება“ შეიძლება, მაგრამ XII საუკუნიდან დღემდე განვლილ პერიოდს ობიექტურად თუ შევაფასებთ, ალბათ, სწორედ თამარისდროინდელი მთლიანი საქართველოს ზეობის დროს იყო ყველაზე ხელსაყრელი მომენტი, რათა პოლიტიკოსი მეჭურჭლეთუხუცესის პარლამენტარული მონარქიის პროგრამა განხორციელებულიყო; ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც ყუთლუ-არსლანის დასს რეაქციულად თვლის და საკუთარ შეფასებას აძლევს, მაინც ხაზგასმით აღნიშნავს: „ყუთლუს პროგრამა ხომ კიდევ უფრო აკანონებდა საქართველოს მთლიანობას“ [ბერძენიშვილი 1974: 132-133] და, ვინ იცის, ამ შემთხვევაში საქართველოს – მსოფლიოში პირველი პარლამენტარული მონარქიის – ბედი როგორ წარიმართებოდა: ისტორიის მიერ განსაზღვრული დროის ეს რეგლამენტი საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

მეფის სასახლესა და ისნის კარავს შორის გამავალი ზღვარის ორივე მხარეს საქართველოს ერთგულნი შვილნი იდგნენ, მაგრამ იყო ერთი არსებითი ხასიათის განსხვავება: ზღვარს იქით, სასახლის მხარეს საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების status quo-ს დამცველი, არაჩვეულებრივად ნიჭიერი და განათლებული ადამიანები იდგნენ, მაგრამ საზღვარს აქეთ, „ველსა ისნისასა და სანახებსა საღოდებლისასა“ იდგა ჩვეულებრივი გენიოსი, რომლის კოსმიური გაქანების გონება „ცნობითა ბრძნად მხედველთა“ სამშობლოს მერმისისკენ იყო მიმართული და მომავალ საუკუნეებს სწვდებოდა. ჩანს, საჭიროა ჩვენი ერის ისტორიის დიდი ივანესეული (ასე იხსენიებდა აკაკი შანიძე ივანე ჯავახიშვილს) ღრმა და შთაგონებული წვდომა, რათა თამარის ოქროვანი ეპოქის ლეგენდარულ ბრწყინვალეობაში შემჩნეულ და შეფასებულ იქნას ამ გრანდიოზული პოლიტიკური მოვლენის – ყუთლუ-არსლანის პროგრამის – მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც აზროვნების სწორედ ეს გაქანება საქართველოს ოქროს ხანად აღქმული ეპოქის პროგრესულობის ჭეშმარიტი საზომი: მსოფლიოს – სახელდობრ, ევროპის – ისტორიის მთელმა

შემდგომმა განვითარებამ უცილობლად დაადასტურა ყუთლუ-არსლანად სახელდებული მეჭურჭლეთუხუცესის გენიალური პოლიტიკური შორსჭვრეტელობა.

მნიშვნელოვანი მეცნიერული ფაქტია, რომ ეს „ხელმწიფობისა დასასრულისა მიმცემელი“ პროგრამის ავტორი მეჭურჭლეთუხუცესი ნიკო ბერძენიშვილმა სამძივართა საგვარეულოს დაუკავშირა: „ეს სამძივარი მართლა ყუთლუს გვარის ხომ არ იყო?“ [ბერძენიშვილი 1974: 174]. მეცნიერული პროგნოზის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ყუთლუ-არსლანის ჩამომავლობის კვლევის მეცნიერული ორიენტირები მკვლევარს საბოლოოდ უთუოდ სამძივართა საგვარეულოსთან მიიყვანს.

* * *

ახლა პოეტი-მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ: ვეფხისტყაოსნის ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონცეფციის თვალსაზრისით სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა მოწმობს, რომ შოთა რუსთაველის პოლიტიკური აზროვნების მწვერვალად აბსოლუტური მონარქიაა მიჩნეული, რომლის ჰუმანიზმი განსახიერდა კეთილი, ბრძენი და სამართლიანი მონარქის დახატვაში (გაკვრით უნდა შეენიშნოთ, რომ ამგვარი პოლიტიკური იდეალი ბრძენი და სამართლიანი ხელმწიფისა თვით ნიჟამი განჯელისთვისაც კი მის ბოლო თხზულებაში – „ისკანდერ-ნამეში“ უკვე განვლილი ეტაპი აღმოჩნდა); ამასთან, რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ „ვეფხისტყაოსნის ავტორი გრძნობდა იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლს“, ხოლო „საოცნებო მომავალი ზღაპრულ-ფანტასტიკურ ფორმებში ჰქონდა წარმოდგენილი“ [ბარამიძე 1975: 173-174].

ასეთია პოეტი-მეჭურჭლეთუხუცესის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონცეფციის შემეცნების ძირითადი წანამძღვარი; აქ ისიც საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ შოთა რუსთაველის საგვარეულო ჩამომავლობის კვლევამ გენიალური პოეტი სამძივარ-თორელთა საგვარეულოს დაუკავშირა: ამ მხრივ თავისი მეცნიერული არგუმენტაციით შესანიშნავია ნოდარ შოშიაშვილის პროსოპოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა. სხვათა შორის, უკვე ეს მეცნიერული ორიენტირი – პოეტი-მეჭურჭლეთუხუცესისა და პოლიტიკოსი – მეჭურჭლეთუხუცესის ერთსადაიმევე საგვარეულოსთან – სამძივარ-თორელთა ფეოდალურ სახლთან – დაკავშირება ბადებს აზრს მათი იგივეობის შესახებ, მაგრამ განა დასაშვებია „ხელმწიფობისა დასასრულისა მიმცემელი“ მეჭურჭლეთუხუცესის და იმავე „ხელმწიფობის“ ანუ აბსოლუტური მონარქიის ერთგულ მეხოტბედ მიჩნეული პოეტი-მეჭურჭლეთუხუცესის გაიგივება?

ერთი რამ ცხადია: პოეტი-მეჭურჭლეთუხუცესი უადრეს რეტროგრადად და რეაქციონერად გამოიყურება XII საუკუნის მსოფლიოსთვის ფანტასტიკურად პროგრესული პოლიტიკოსი-მეჭურჭლეთუხუცესის ფონზე, რაც ვეფხისტყაოსნის ავტორის სიდიადეს არ ეთავსება. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი თავის დროსაც თავისუფალი აზროვნების სიმბოლო იქნებოდა.

ეჭვს გარეშეა, რომ ვეფხისტყაოსნის გენიალობა მჭიდრო კავშირშია მისი ავტორის ეთიკურ-პოლიტიკურ კონცეფციებთან (ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის თანახმად, ეთიკა პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია; არისტოტელე, „დიდი ეთიკა“, 1181, a₂₄ – b₂₄: „...ეთიკური, როგორც ჩანს, პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია... ამრიგად, ეთიკა, როგორც ჩანს, პოლიტიკაში შედის, როგორც მისი ნაწილი და დასაბამი“) და უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი პოემა ავტორის იდეათა მხატვრულ უკუფენას წარმოადგენს; ვეფხისტყაოსნის ავტორის ზღაპრულ-ფანტასტიკურ წარმოსახვებზე უარი უნდა ვთქვათ, რადგან, ჩანს, პოემაში აღწერილი ყოველი გმირისა თუ ყოველი სახელმწიფოს მხატვრული ხაზით შოთა რუსთაველი საკუთარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს გადმოგვცემს. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ პლატონის ფუძემდებლური იდეა ადამიანის ხასიათის ხუთი წყობის შესატყვისობისა ხუთ სახელმწიფო წყობილების სახეობასთან (პლატონი, „სახელმწიფო“, VIII, 544_c – 569_c), რადგან სახელმწიფო – მთელია, ადამიანი კი – ამ მთელის ნაწილი: „ამრიგად... სხვადასხვა ადამიანებს აუცილებლად იმდენივე სახეობის სულიერი წყობა აქვთ, რამდენი სახეობის სახელმწიფოებრივი წყობილებაც არსებობს“ (პლატონი, „სახელმწიფო“, 544_c). ოქროს ხანის საქართველოს რენესანსული სულისკვეთება განაპირობებს, რათა ვეფხისტყაოსნამაც ამავე დონეზე იქნას განხილული.

ვეფხისტყაოსანი სამიჯნურო-სარაინდო რომანის მომხიბლავი ფორმით დაწერილი ფილოსოფიური პოემაა და, ამდენად, რუსთველისეული „ესე ამბავი სპარსული“ ფსევდოპრობლემა კი არ არის, არამედ გასაღები მთელი პოემის შესამეცნებლად; პოემის ეს „საბედისწერო სტროფი“ უნდა განიმარტოს არა მის უდაბლეს – სიუჟეტისა თუ ფაბულის წარმომავლობა კვლევის – დონეზე, არამედ პოემის შესაბამის ფილოსოფიურ დონეზე, როგორც ეთიკურ-პოლიტიკური ტერმინი, დამკვიდრებული მხოლოდ და მხოლოდ ევროპული ტიპის აზროვნებაში (XII საუკუნის საქართველოში „სპარსული“ რომ არა მხოლოდ ეთნიკური ან ეთიკურ-რელიგიური, არამედ პოლიტიკური ტერმინია, ეს ცხადად ჩანს „აზმათა“ ავტორის თხზულების კონტექსტიდან, მაგრამ ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს ტერმინი მეთიკურად და პოეტურად

სხვადასხვაგვარად ესმით), რაც საწყისს ანტიკური ისტორიული, მხატვრული და, რაც მთავარია, ფილოსოფიურ-პოლიტიკური ლიტერატურიდან იღებს, სადაც „სპარსული“ ერთპიროვნული ხელისუფალის კანონით შეუზღუდავი მმართველობის სინონიმია, წინააღმდეგ „ათენს ბრძენთა“ დებულებისა სახელმწიფო მმართველობაში კანონის უზენაესობის შესახებ. საინტერესო პარალელია, რომ სახელმწიფო მმართველობაში კანონის უზენაესობის საკითხის წამოყენებისას XII საუკუნის საქართველოშიც და XVIII საუკუნის საფრანგეთშიც ერთი და იგივე „სპარსული“ თემა წამოიჭრა: რა თქმა უნდა, ვგულისხმობ შარლ მონტესკიეს „სპარსულ წერილებს“.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი სახელმწიფო მმართველობა ჯობს – საუკეთესო პიროვნებისა თუ საუკეთესო კანონებისა, დაყენებული და გადაჭრილია არისტოტელეს „პოლიტიკაში“ (1286a5–20) და საკითხი ამ უკანასკნელის – კანონის უზენაესობის სასარგებლოდაა გადაწყვეტილი. ისე ჩანს, რომ არაბეთის სახით შოთა რუსთაველმა „ათენს ბრძენთა“ საქებარი სახელმწიფოს მხატვრული ხატი შექმნა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვეფხისტყაოსანში არის რიგი ტერმინებისა, რომელნიც, როგორც სპეციფიკური ტერმინოლოგია, არისტოტელეს „პოლიტიკის“ და ეთიკის კონტექსტში პოულობენ განმარტებას („მოცალეობა“, „კაცი ვარგი“ და სხვა.).

როგორც არ უნდა იყოს, თვით XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური აზროვნების მაღალი დონე გვკარნახობს, რომ ისეთი რანგის ფილოსოფიური პოემა, როგორიც ვეფხისტყაოსანია (მასთან ერთად კი შავთელისა და ჩხრუხადის თხზულებები) ანტიკურ-ფილოსოფიურ-პოლიტიკური ლიტერატურის – პლატონის „სახელმწიფოსა“ და „ტიმეოსის“, არისტოტელეს „პოლიტიკისა“ და ეთიკის – ასპექტში იქნას შესწავლილი და გაანალიზებული ქრისტიანული იდეოლოგიის შესაბამისი კონტექსტით.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობ, რომ პირველი ქართული პარლამენტის – კარავის – გენიალური ავტორი, თამარის მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი და ვეფხისტყაოსნის გენიალური ავტორი, ასევე თამარის მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთაველი – ერთი და იგივე პიროვნებაა. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როდესაც ვწერდი, რომ ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს იდეისა და საქმის საწყისებთან შოთა რუსთაველის გრანდიოზული ფიგურა დგას [კარბელაშვილი 1989: 176].

„უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ“

„მკვლევარს უნდა მაშინდელი შეხედულება სამეფოსა და მეფობაზე და თვით მეფეთა და მათთა მომხრეთა იდეალები გათვალისწინებული ჰქონდეს“.

ივანე ჯავახიშვილი

XII საუკუნის საქართველო განუმეორებელი „ოქროს ხანის“ სახელით აღიბეჭდა შთამომავალთა მეხსიერებაში, მაგრამ იდეა თამარისდროინდელი ოქროს ხანის შესახებ წარსულის იდეალიზაციის შეპყრობილ შთამომავალთ არ შეუქმნიათ: იგი XII საუკუნის მიწურულის საქართველოშივე იშვა. ეს იდეოლოგია მხოლოდ და მხოლოდ სრულიად კონკრეტულ პოლიტიკურ მოძღვრებაზე დაყრდნობით შეიძლება შექმნილიყო, რაც ჩვენს წინაპართა ფრიად ფართო თვალსაწიერს გულისხმობს, და მართლაც, როგორც ადრე ითქვა, XII საუკუნე ქართული პოლიტიკური აზროვნების ოქროს ხანაც იყო. ეს იყო რენესანსული სულისკეთებით გამსჭვალული დიდი დროის ეპოქალურ მოთხოვნათა შესაბამისად ღრმად ათვისებული და შეთვისებული ფილოსოფიური აზროვნება ისეთ სფეროში, როგორიც ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიაა.

რადგან ყოველივე ეს განყენებული ინტერესის საგანი კი არ არის, არამედ უშუალო კავშირშია ყუთლუ-არსლანის სახელით ცნობილი პოლიტიკოსი-მეჭურჭლეთუხუცესის – ანუ, ჩემი პიპოთებით, პოეტი-მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთაველის – პოლიტიკურ მოძრაობასთან, რასაც წინა წერილი მიეძღვნა („მამული“, ივნისი, № 12(44), საბოლოო ჯამში კი ვეფხისტყაოსნის ძირითად პრობლემატიკასთან, ამიტომ XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების წარმართავ პოლიტიკურ კონცეფციებზე ყურადღების გამახვილება აუცილებელი ჩანს.

საქართველოს ოქროს ხანა – XII საუკუნე – საოცრად ფილოსოფიური საუკუნეა. ქართველმა ერმა საბერძნეთისაგან მართლმადიდებლობასთან ერთად ფილოსოფიისადმი სიყვარულიც მიიღო მემკვიდრეობად, ხოლო ქართული ფილოსოფიური აზროვნების აყვავებისთვის შესაფერისი პირობების შექმნა. – „მეორედ იერუსალემად“ და „სხვად ათინად“ განჩინებული გელათის აკადემიის დაარსება – აღმაშენებელი მეფის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებად რჩება ერის წინაშე. მიაქციეთ ყურადღება ამ ფორმულას: „მეორედ იერუსალემად“ და „სხვად ათინად“: თავად ქრისტიანული რელიგიის ცენტრის – იერუსალიმის და ძველი ბერძნული ფილოსოფიის ცენტრის – ათენის ამ სინთეზში იგრძნობა რენესანსის ლაღი სულის ადრეული

ქროლვა. ეს საუკუნე ელინური სულით იყო გაჟღენთილი და მეისტორიეთა თუ მეხოტბეთა თხზულებებიდან უხვად იფრქვევა ჰომეროსის, სოკრატეს, პლატონის, ზენონის, აფთონის თუ სხვა „ათენს ბრძენთა“ სახელები, რომელთა ნააზრევის ცოდნას ქართული მწერლობა არა მათი სახელების უბრალო მოხსენიებით, არამედ უმნიშვნელოვანესი ქვეტექსტის შემცველი სპეციფიკური ტერმინოლოგიის შექმნით ამჟღავნებს. ეს არაა ის ზერელე ანუ „სკოლური ცოდნა“ ძველ ბერძენ ავტორთა ოდენ სახელებისა, როგორც ფიქრობდა ერთი ძალიან ცნობილი მეცნიერი-ქართველოლოგი (შემდგომ შალვა ნუცუბიძე განმარტავს, რომ იგი „შეპოჭილი იყო ისტორიულ-ფილოსოფიური ფაქტების გამოუვლინებლობით“), რომელმაც ძველი ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენებისა და გაფურჩქვნის საკითხის შესწავლისას მთლიანი და განუყოფელი სულიერი კულტურა ქართველებისა – სასულიერო და საერო მწერლობა – ერთმანეთისგან გათიშა და მსგავსად ძველბერძნული ღვთაების – ორსახოვანი იანუსისა – პირველი ბიზანტიისკენ ანუ ევროპისკენ, ხოლო მეორე – სპარსეთისკენ ანუ აზიისკენ პირშექცეულად წარმოადგინა. ეს იმას ნიშნავს, თითქოს ქართული სასულიერო მწერლობა ბერძნულ-ბიზანტიურ ანუ ევროპულ რკალს მიეკუთვნება, ხოლო საერო ლიტერატურა – სპარსულს ანუ აზიურს. ქართული საერო ლიტერატურის სპარსული ლიტერატურის ზეგავლენით წარმოშობის ამ ფრიად ოდითუდ თეორიას თანამედროვე ქართული მეცნიერება დიდი ხანია დასამარებულად თვლის და დელიკატური ღუძილით უვლის გვერდს, თუმცა ამგვარი იგნორირებით ამ თეორიის საკმაოდ მძლავრი ფარული ინერცია სულაც არ შესუსტებულა, თუკი თუნდაც რუსთველოლოგიაში „ესე ამბავი სპარსულის“ მართლაც საბედისწერო პრობლემის ნელი მოქმედების ნაღმს გავითვალისწინებთ, რომელიც დროდადრო მოულოდნელად იფეთქებს ხოლმე. ამავე რიგის მოვლენა ყუთლუ-არსლანის დასის შეფასების შავ-თეთრი სტერეოტიპები, რომელთა თანახმად იგი ხან პროგრესული, ხან რეაქციული მოვლენის სტატუსს იძენს: ამ „ორმაგი სტანდარტის“ შედეგია „ისნის კარავის“ პროგრამის აზიურ კონტაქტში განმარტება, რომლის თანახმად „კარავი“ პრინციპში ჰგავდა აღმოსავლურ „დივანს“, რადგან ეს საქართველოს იმდროინდელ სინამდვილეში თურმე გაცილებით უფრო მოსალოდნელი ყოფილა, ვიდრე შემოღება პარლამენტური წყობილებისა.

დასავლური პარლამენტი თუ აღმოსავლური დივანი! კვლავ საბედისწერო ევროპულ-აზიური ქართული სინდრომი ... ნუთუ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი მართლაც იმგვარადაა დაწერილი, რომ თავისუფლად ითავსებს ამ ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავ ორ ინტერპრეტაციას?

ცნობილია, რომ ისტორიული თხზულების ენა – სპეციფიკური სისტემაა, რომელიც არ არის იდენტური სასაუბრო ენისა: ეს ეპოქისათვის ნიშანდობლივი კონვენციური, კოდიფიცირებული ენაა, რომელიც უნიკალურ „დამიფრულ“, „კოდის შემცველ“ ტექსტს ქმნის და რომელიც მხოლოდ თავისი ეპოქის კონტექსტში განიმარტება. ამ ვითარებას ილია ჭავჭავაძე „იმ დროების ქერქში ჩაჯდომას“ უწოდებდა და ისტორიის ფილოსოფიის ანბანად თვლიდა. ამ თვალსაზრისით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ XII საუკუნის საქართველოს აქტუალური პოლიტიკური კონცეფციის ანარეკლია, მისი სიტყვა-მჭევრი ავტორი კი დიდოსტატია „სიტყვისა, ბრძნად ნაკაზმისა“: მის ლექსიკას ერთი ნიშანდობლივი თვისება აქვს – მეისტორიეს მიერ დაწერილი სიტყვა არის არა უბრალოდ სიტყვა მისი ცხადი, ცნობილი და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ლექსიკური მნიშვნელობით, არამედ სიტყვა-იდეა, სიტყვა, გამდიდრებული ეპოქისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიის შინაარსით, რომელსაც საკუთარი სემანტიკური ველი აქვს და ტერმინს წარმოადგენს, რომლის ისტორიული, პოლიტიკური, ფილოსოფიური თუ ესთეტიკური განმარტება შეუძლებელია, თუ არ განიმარტა თავად ის სააზროვნო სისტემა, რომელშიც იგი ჩართულია, როგორც მისი მიუცილებელი შემადგენელი ნაწილი: ეს სისტემა – თავად ავტორის ანუ მეისტორიეს პოლიტიკური კონცეფციაა.

ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამის რეაქციულ მოვლენად მიჩნევით, ანდა აღმოსავლურ კონტექსტში წაკითხვით თამარის პირველი ისტორიკოსის ამ ფრიად გახმაურებულმა ტექსტმა დაკარგა უმთავრესი – ტერმინოლოგიურობა, თუ საერთოდ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ამ „პროგრესული დასის“ (ივანე ჯავახიშვილის გამოთქმამ) აზიური ინტერპრეტაცია დიამეტრულად ეწინააღმდეგება ივანე ჯავახიშვილის ევროპულ ინტერპრეტაციას, რომელსაც სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არ მეცნიერულ აღმოჩენას: საკითხის ამგვარი გაშუქებით დიდმა მეცნიერმა ქართული პოლიტიკური აზროვნების მანამდე უცნობი მთელი პლასტი ამოზიდა.

ამ ვითარებაში მითუმეტეს გასათვალისწინებელია, რომ ამ მონაკვეთის კოდიფიცირებული ენის ევროპულ კონტექსტში წაკითხვის გასაღები თვით ივანე ჯავახიშვილმა მოგვცა, როდესაც ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნა არისტოტელეს trias politica-ს დაუკავშირა [ჯავახიშვილი 1929: 171]. ამ დაკავშირებით ცხადი შეიქმნა, რომ „აზმათა“ უგანათლებულესი ავტორის სააზროვნო სტრუქტურები პოლიტიკის სფეროში არის ევროპა და არა აზია. ჩვენი დიდი ისტორიკოსის მიერ ნაბოძები ეს გასაღები

– ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიაა და, როგორც ჩანს, საკითხის პერსპექტიული კვლევა ამ გზით უნდა წარიმართოს.

უკვე ექვსი ათეული წელია, რაც ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევამ ქართული სამართლის ისტორიის დარგში არაორაზროვნად ცხადჰყო, რომ XII საუკუნის განათლებულ ქართულ საზოგადოებას სრულიად გარკვეული ცოდნა ჰქონდა ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა მოძღვრებაზე სახელმწიფოს შესახებ და რომ თამარის პირველ ისტორიაში გადმოცემული ქართული იურიდიული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ პოლიტიკური აზროვნების ევროპულ ტიპს განეკუთვნება: აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ის არაორდინარული გარემოება მოითხოვს, რომ მეისტორიეს ტექსტში ივანე ჯავახიშვილმა არისტოტელეს trias politica-ს შესაბამისი ქართული პოლიტიკური ტერმინოლოგია აღმოაჩინა.

ოქროს ხანის ქართული მწერლობის ნებისმიერი სფერო უიშვიათესი ანტიკური ერუდიციის ნაკვალევით არის აღბეჭდილი, რაც მას მკვეთრად განასხვავებს მთელი კათოლიკური სამყაროსგან, რომელიც ბერძნულ ფილოსოფიას არა უშუალოდ, არამედ „რომანული დედის“ – რომის იმპერიისდროინდელ სწავლულთა ინტერპრეტაციით, შემდგომ კი ლათინურ ენაზე შესრულებული თარგმანების მეშვეობით ეზიარა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. თამარ მეფის ისტორიკოსები უშუალოდ ათენის „ფილოსოფოსთა ბრძნობით“ იყვნენ განსწავლულნი და „სიტყვა-ბრძენი“ წერდნენ თავის თხზულებებს: მათი უნიკალური ცოდნა ბერძნული პოლიტიკური ფილოსოფიისა ქართულ ტერმინოლოგიაშია დაკრისტალეული. ტერმინოლოგიური განმარტება – ერთადერთი და განსაზღვრულია, ლექსიკური განმარტება კი – მრავალი და განუსაზღვრელი; თუკი უგულებელიყოფა ივანე ჯავახიშვილის მიერ მიღებული ეს იურიდიული ტერმინოლოგია, ხელთ მხოლოდ სიტყვები შეგვრჩება: სიტყვები არაერთმნიშვნელოვანია და მათი ინტერპრეტაცია ნებისმიერ კონტექსტს შეეგუება, ტერმინოლოგია კი ერთმნიშვნელოვანია და ერთადერთ კონტექსტს – არისტოტელეს სახელგანთქმულ ნაშრომს „პოლიტიკას“ გულისხმობს.

სწორედ ამიტომ, რომ ივანე ჯავახიშვილისეული ინტერპრეტაციის წყალობით „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის მიერ სიტყვაბუნად დაწერილმა ტექსტმა იურიდიულ ენაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამის სახე მიიღო; აქედან, სულ ცოტა, რამდენიმე უმნიშვნელოვანესი დასკვნა გამომდინარეობს:

– XII საუკუნის მიწურულის ქართველი მეისტორიე იცნობს არისტოტელეს „პოლიტიკას“ – ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის ფუძემდებელურ ძეგლს (შედარებისთვის: დასავლეთ ევროპა მხოლოდ XIII ს. მეორე ნახევარში გაეცნო არისტოტელეს ამ თხზულებას ვილემ ფონ მიორბეკეს მიერ ლათინურ ენაზე შესრულებული თარგმანის მეშვეობით);

– მეისტორიე ზერელედ კი არ იცნობს ამ ძეგლს, არამედ თავისუფლად შეუძლია მისი პრინციპული დებულების – trias politica-ს გადმოცემა სპეციფიკური იურიდიული ტერმინოლოგიით: „განმგებელნი მიცემისა და მოღებისა“ (ანუ „უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა-გადაყენება“); „განმგებელნი... წყალობისა და შერისხვისანი“ (ანუ მართლმსაჯულების უზენაესი ფუნქციები); „სრულიქმნებოდეს განგებული“ (აღსრულება ხელისუფლების მიერ).

აქ ერთი შენიშვნა უნდა ჩავრთო: საყურადღებოა, რომ სამართლის საქმეში დავით აღმაშენებლის რეფორმაზე მსჯელობისას, როდესაც „... უზენაესი სასამართლო ... დავით აღმაშენებელმა ცალკე დაწესებულებად აქცია, რომელშიც მეფის მაგიერ განსაკუთრებული მსაჯულები ისხდნენ“ [ჯავახიშვილი 1929: 478], რაც „ქართული სამართლის დიდ წარმატებად და ღირსებად უნდა ჩაითვალოს“ [ჯავახიშვილი 1965: 217], ივანე ჯავახიშვილი პარალელად ასახელებს ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროექტს უზენაესი მართლმსაჯულების გამოყოფის შესახებ [ჯავახიშვილი 1929: 479] და მათ შორის გარკვეულ მსგავსებას ხედავს;

– მეისტორიეს შესანიშნავად ესმის trias politica-ს არსი ანუ ის, რომ თუ კანონმდებლობითი, აღმასრულებელი და მართლმსაჯულებითი ხელისუფლება ერთი პიროვნების ხელშია, ესაა „ხელმწიფება“, მაგრამ თუ ამ სამი ფუნქციიდან მოხდა რომელიმეს გამოყოფა ხელმწიფის გამგებლობისაგან, ეს უკვე სხვა სახელმწიფოებრივ წყობილებას აძლევს დასაბამს და სწორედ ამიტომ არის „დასასრულისა ხელმწიფობისა მიმცემელი“ (და არა იმიტომ, ვითომც ყუთლუ-არსლანმა „კუალად ინება ყოვლისა საქმისა თვით განგებად“ [ქ-ც 1973: 171]; მეისტორიე მასშტაბური პოლიტიკური კატეგორიებით აზროვნებს და ეს „უზარმაზარი ამბავი პარლამენტური წყობილების შემოღების ცდისა“ [ქ-ც 1959: 015] პიროვნებათა დაპირისპირებაზე არ დაჰყავს.

– ზემოთქმულის გათვალისწინებით „ხელმწიფება“ მეისტორიეს შემეცნებაში არის „ერთუფლება-ერთმთავრობა“, ხოლო „ისნის კარვის“ პროექტი კი – მისთვის ესოდენ საძულველი „მრავალმთავრობა“;

– მეისტორიეს საზოგადოებრივი სისტემა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სფეროში ევროპული – და არა აზიური – ტიპისა;

– არისტოტელეს პოლიტიკური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ – *Trias politica* – რომელიც ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის რეალისტურ ნაკადს მიეკუთვნება, სამეფო კარის ოფიციალური იდეოლოგიისათვის მიუღებელი;

– საქართველოში, არისტოტელეს პოლიტიკურ მოძღვრებაზე დაყრდნობით, ევროპასთან შედარებით ხუთი საუკუნით ადრე იყო დაყენებული საკითხი ხელისუფლების ფუნქციითა გამოჯვანის შესახებ, რაც დღეს ფრანგული განმანათლებლობის პოლიტიკური აზროვნების გვირგვინად ითვლება და მონტესკიეს მიეწერება, როგორც ახალი პოლიტიკური მიმართულების შემქმნელს, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ახალი დროის ევროპის ისტორიაში.

ამრიგად, არისტოტელეს *trias politica*-ს პრინციპის გათვალისწინებით საქართველოში ევროპასთან შედარებით ხუთი საუკუნით ადრე იშვა აბსოლუტისტური სახელმწიფოს სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაქმნის იდეა, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ევროპული ტიპის მონარქიული წყობილების სახელმწიფოებრიობის პროგრესს („პარლამენტური მონარქია“, „კონსტიტუციური მონარქია“); რაც მთავარია, ყუთლუ-არსლანის პროექტით, ეს გარდაქმნა მმართველობის ევოლუციური განვითარების გზით უნდა მომხდარიყო.

აღსანიშნავია: „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი, რომელიც ლაკონიური სიზუსტით ახერხებს არისტოტელეს მოძღვრებაზე დამყარებული პოლიტიკური პროგრამის გადმოცემას, ერთხელაც კი არ ახსენებს არისტოტელეს სახელს.

სამაგიეროდ, როგორც ამ მონაკვეთის სათაურად აღებული სიტყვებიდანაც ჩანს, ჩვენი სიტყვა-ბრძენი მეზობენი განსაკუთრებული პატივით ჰომეროსს და პლატონს – ასევე სოკრატეს – ეპყრობოდნენ და ყველაზე ხშირად მათ სახელებს იხსენიებდნენ, მაგრამ არა იმისთვის, რომ თავის თხზულებებში „სკოლური“ ანტიკური ერუდიცია გამოეფინათ: მათი განსწავლულობა ძველ ბერძნულ მწერლობაში არც სკოლურ-მოწაფური იყო და არც რომელიმე მზამზარეული კომპენდიუმიდან შეთვისებული: „მამინდელი ქართული პოეზია იმდენად კარგად ერკვეოდა ფილოსოფიური აზროვნების საქმიანობაში, რომ, თუ სათანადო ფილოსოფიური განათლებაც ხელს შეუწყობდა, ისინი ერთმმართველობისათვის წარმოებული მწვავე პოლიტიკური ბრძოლის პირობებში უნდა საკმაოდ გარკვეულიყვნენ პოლიტიკური იდეოლოგიის საკითხებშიაც“ [ნუცუბიძე 1958: 168]. სწორედ ამიტომ „უმბროს, პლატონ სიტყვა დამატონ“ (შესავალი, 4) [ჩახრუხაძე 1957] ჩახრუხაძეს მხოლოდ „კეკლუც-სიტყვად“ არ დაუწერია – ტაეპის შინაარსი გაცილებით უფრო ღრმაა და ანტიკური სულიერი მემკვიდრეობის ორი კოლოსის – ჰომეროსისა და პლატონის – ერთ კონტექსტში მოხსენიება სრულიად კონკრეტულ ქვეტექსტს გულისხმობს: ეს ქვეტექსტი ჰომეროსის და პლატონის პოლიტიკურ კონცეფციებშია საძიებელი.

თამარის პირველი ისტორიის ავტორს თავისი პოლიტიკური კრედი – ერთმთავრობის ანუ ხელმწიფობის იდეალი – თხზულების დასაწყისშივე აქვს გაცხადებული: ეს საოცრად ენამოქარგული მწიგნობარი თავმდაბლად ამცნობს მკითხველს, რომ იგი თავისი შესაძლებლობებით „ვერ-საკმაო არსა შემსხმელად“ თამარის ხელმწიფობისა, ანუ შიშობს, რომ ღირსეულად ვერ შეაქებს „ერთმთავრობა-ერთუფლებასა ერთისა კაცისასა“ და თვლის, რომ თამარის და მის წინაპართა ხელმწიფობის მაქებრად ანუ „შემსხმელად ხამს ომბროს მერაბამე იგი“ [ქ-ც 1958: 1-2]. მაგრამ რაბამ მოულოდნელიც უნდა იყოს, მეისტორიე ამჯერად მხოლოდ ჰომეროსის პოეტურ ხელოვნებას, მისეულ „აღმკულობასა სიტყვითა“ არ გულისხმობს: როგორც ქვემოთ გამოჩნდება, თამარის კარის ანონიმი ისტორიკოსი და საბერძნეთის უპირველესი პოეტური გენია ჰომეროსი პოლიტიკური მსოფლმხედველობით თანამოაზრენი არიან და ჰომეროსის სახელის ხსენებას უშუალო კავშირი აქვს ისეთი პოლიტიკური ხასიათის ტერმინოლოგიასთან, როგორიცაა „ერთუფლება-ერთმთავრობა“ და „მრავალმთავრობა“, რადგან „აზმათა“ ავტორი ქართულ პოლიტიკურ ტერმინოლოგიას ჰომეროსის პოეტური მეტყველების ანალოგიით ქმნის!

ამ ტერმინოლოგიას ივანე ჯავახიშვილმა „ქართული სამართლის ისტორიაში“ საგანგებო ყურადღება დაუთმო; იგი განმარტავს: „როდესაც მეფეს სამეფოს გამგეობა განუყოფლად ეპყრა, ამას „ერთუფლება“ ერქვა... როცა ეს უფლება ანუ „ერთუფლება“ ერთი გვირგვინოსნის ხელში იყო, მაშინ ამგვარ გამგეობას, „ერთმთავრობას“ ეძახდნენ..., ხოლო თუ ქვეყნის გამგეობა ორს, ან რამდენსამე პირს თანასწორად ეკუთვნოდა, მაშინ ამნაირ წესს „მრავალმთავრობა“-ს უწოდებდნენ... ქართველ ისტორიკოსებს მრავალმთავრობის წესი არაფრად მოსწონებიათ, როცა საქართველო გაერთიანდა, მაშინ ერთმთავრობა დამყარდა, რომელიც დავით აღმაშენებლითგან მოყოლებული, სრულ „დაუმონებელ თავისუფლებით“ იყო აღ-

ჭურვილი... თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითგან ჩანს, რომ მრავალმთავრობა მაშინ სახელმწიფო სამართლის სასურველ წესად არ ყოფილა მიჩნეული“ [ჯავახიშვილი 1929: 117-118].

იმის საბუთად, რომ ეს პოლიტიკური ტერმინოლოგია ჰომეროსისგან იღებს დასაბამს, მოვიყვანო „ილიადას“ იმ ერთ სტრიქონს, რომელიც XII საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე იყო ნათარგმნი ქართულად. ამ მართლაც საგულისხმო სტრიქონს პირველად ყურადღება პავლე ინგოროვამ მიაქცია რუსთაველამდელი სალიტერატურო მემკვიდრეობისა და ქართული ლექსთწყობის საკითხებთან დაკავშირებით: „აღსანიშნავია, რომ არა მარტო ეფრემ მცირის ამ მე-11 საუკუნის ტექსტში, არამედ უძველეს ხანაშიაც, პროკოპის მარტვილობის მე-6-7 საუკუნის ტექსტში ომიროსის ჰექსამეტრი გადმოცემულია იმავე საზომით, ოცმარცვლელი ლექსით (ოთხმუხლოვანი ხუთეული). მოგვყავს ციტატი მე-6-7 საუკუნის ამ ქართული ტექსტიდან: „და პირველად მათ ომეროსისთა წამოიღებდა სტიქონთა, და თქუა: „არა კეთილ არს მრავალუფლება, ერთუფალ იყავნ და ერთმეუფე“ ინგოროვამ 1938: 52].

დიად, „ერთუფლება“ და „მრავალუფლება“ ჰომეროსის პოეტური ლექსიკაა და რა გასაკვირია, რომ მათ მეხოტბეთა თხზულებებშიც ვხვდებით; ჩახრუხადის სტრიქონებია: „სამონოდ მოგცენ ერთუფლებელად“ (I,11), „ერთ-სამწყსოობა ერთუფლებელად“ (XV, 82,10), მაგრამ შავთელის პოეზიაში უკვე სისტემადაა ქცეული „უფლება“ სიტყვასთან ერთად „მთავრობა“ ტერმინის ხმარებაც: „დავით ძლიერი, მხნედ სამინელი, უფლებს და მთავრობს, ურჩთ შემწველობა“ (I,6,3), „ჰმთავრობ და უფლებ, ათავისუფლებ ჰყრობილთა, ბრძმედო სიწმიდისაო“ (III,25,2). როგორც ჩანს, XII საუკუნის მიწურულს ეს ორი ცნება – „უფლება“ და „მთავრობა“ უკვე ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა; ამის საფუძველზე ჰომეროსის „ერთუფლებისა“ და „მრავალუფლების“ ანალოგიით „აზმათა“ ავტორი ქმნის ახალ პოლიტიკურ ტერმინოლოგიას – „ერთმთავრობას“ და „მრავალმთავრობას“, მაგრამ „ერთუფლება“ და „ერთმთავრობა“ სინონიმებს კი არ წარმოადგენენ („როდესაც ერთი კაცია ქვეყნის სათავეში“), არამედ მათ შორის რაღაც განსხვავებაა: „უფალთ მთავარი, მჭერ სამთავ არი სამსაჯულოსა სრულად მათისა“ (I,13,3), წერს შავთელი; ამის მიხედვით ხელმწიფე არის „უფალთ მთავარი“, მაგრამ არსად გვხვდება მებრუნებული გამოთქმა „მთავართ უფალი“.

ბუნებრივია დაეჭვება: იქნებ ყოველივე ამას არავითარი კავშირი არ აქვს ჰომეროსთან? იქნებ შემთხვევითია პოლიტიკური ტერმინოლოგიის ეს დამთხვევა? – ირკვევა, რომ არა. აღმოჩნდა, რომ ზემოთმოყვანილი სტრიქონი ჰომეროსისა ფართოდ ყოფილა ცნობილი ჯერ კიდევ უძველეს დროში, როგორც „პოლიტიკური“ ხასიათის ერთადერთი სენტენცია მთელ „ილიადაში“, რომელიც პატრიარქალური მონარქიის ეპოქაში შეიქმნა. სპეციალურ ლიტერატურაში ეს სტრიქონი საგანგებოდაა განხილული და გაკეთებული დასკვნა: „როგორც არ უნდა აიხსნას მონარქიული პრინციპის როლი და მნიშვნელობა ჰომეროსის ეპოქაში, ერთი რამ ცხადია: გარემომცველი წრის პოლიტიკურ შემეცნებაში იგი ურყევად მეფობს და თავის მიმართ არავითარ კრიტიკას არ დაუშვებს“. სწორედ ამ ვითარების გამოა საგულისხმო, რომ მთელი პოეზიდან მაინცდამაინც ეს „პოლიტიკური სტრიქონია“ თარგმნილი ქართულად ჯერ კიდევ VI-VII სს-ში ჰომეროსის ამ სტროფის სრული ბეჭდვით ასეთია: „მრავალმთავრობა სასიკეთო არ არის, მთავარი ერთი უნდა იყოს, ერთი უნდა იყოს მეფე, რომელსაც გამჭრიახმა ზევსმა სკიპტრა და კანონები უბოძა: დაე, იმეფოს მან სხვათა ზედა“ [„ილიადა“, II, 204]. ამჯერად ამ სტროფზე მეტად ვერ შევჩერდები, თუმც მისი სემანტიკური ველის განფენილობა თამარის ისტორიკოსებთანაც და მეხოტბეებთანაც ძლიერად იგრძნობა, თუნდაც ჩახრუხადესთან: „ზევსმან მზედ გიცნა, სამყოფი გიქმნა“ (XVI, 3,3) ანდა შავთელთან: „მესმა ზევსური: რა ვნახე, ვსური, რომ სიტყვა მეთხზნეს მეფისა ძნობად“ (I,1,3), ხოლო თავად ზოტბათა სალექსო ფორმა (ოცმარცვლელი, რომლითაც ითარგმნა ქართულად ჰომეროსის ჰექსამეტრი), ჩემის აზრით, მეხოტბეთა არა მხოლოდ პოეტურ გემოვნებას, არამედ პოლიტიკურ მიდრეკილებასაც ავლენს.

ამრიგად, თამარის ისტორიკოსს თავისი თხზულების შესავალშივე შემთხვევით, სასხვათაშორისოდ არ მოუხსენიებია ჰომეროსი და შავთელსაც პოეტურ სამკაულად არ გამოუყენებია მისი სახელი: ქართველ მეისტორიე-მეხოტბეთა და უდიდესი ძეგლებერძენი პოეტის ჰომეროსის პოლიტიკური კრედი და ამ კრედოს გამომხატველი ტერმინოლოგია ერთია. აი, რატომ უნდა „დამატოს სიტყვა“ ჰომეროსმა, დამატოს ხელმწიფეობის ანუ „ერთუფლება-ერთმთავრობის“ სადიდებლად!

ახლა კი „ფილოსოფიის ჰომეროსის“ – პლატონის შესახებ: თუკი „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი, ისევე, როგორც ავტორი თამარის მეორე ისტორიისა, ერთხელაც კი არ ახსენებს არისტოტელეს, თუმც სრულიად ცხადია, რომ იცნობს მის თხზულებებს, მაშინ რაღა ითქმის „საღმართო პლატონის“ ფილოსოფიური მოძღვრების ცოდნაზე, რომელსაც ასე გულმოდგინედ იმოწმებენ მეისტორიენიც და მეხოტბენიც! ქართულმა მეცნიერებამ (ნიკო მარი, შალვა ნუცუბიძე, მოსე გოგიბერიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ხიდაშელი) დიდი ხანია დაასაბუთა, რომ ქართულ სინამდვილეში ძველი ბერძნული

ფილოსოფიის შესწავლას ღრმა ფესვები ჰქონდა და მისი ცოდნის დონე უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა იმ დროის მსოფლიოში.

მეისტორიულად და მეხოტბეთად შესანიშნავად აქვთ შესწავლილი პლატონისა და არისტოტელეს შრომები, განსაკუთრებით პოლიტიკური ფილოსოფიის (და შესაბამისად – ეთიკური) ხასიათისა; აღარაფერს ვამბობ შოთა რუსთაველზე, რომლის პოემაც სავსეა ანტიკურ ფილოსოფიაზე დამყარებული მეტაფორებით, სიმბოლოებით, ალუზიებით.

ამ წერილის დასაწყისში ვთქვი, რომ „ოქროს ხანის“ იდეოლოგიის შემუშავება XII საუკუნის საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ მოძღვრებაზე დაყრდნობით იყო შესაძლებელი. ახლა ვაზუსტებ: XII საუკუნის საქართველოში **ოქროს ხანის** ოფიციალური იდეოლოგია პლატონის „სახელმწიფოს“ და „ტიმოკრატის“ არის დაფუძნებული.

„საქმე ცხადად გამოცხადდეს“

*Hypothesis nou fingo.
Newton.*

პირველ წერილში – „...ყოველი დამალული...“ („მამული“, № 14(44), ივნისი, 1991 წ.) ჰიპოთეზის სახით დავაყენე საკითხი თამარ მეფის ორი მეჭურჭლეთუხუცესის – შოთა რუსთაველისა და ყუთლუ-არსლანის პიროვნებათა იდენტიფიკაციის შესახებ; მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეთიკურ-პოლიტიკურ კონცეფციათა ანალიზის საფუძველზე გამოვთქვი ვარაუდი, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა რუსთაველი და პირველი ქართული პარლამენტის პროექტის ავტორი ყუთლუ-არსლანი ერთი და იგივე პიროვნებაა.

რა ვიცი ამ იდეალებით მოცულ პიროვნებათა შესახებ? თუ ვიგულისხმებთ პირდაპირ ისტორიულ ცნობებს – თითქმის არაფერი, ანდა: სრულებით არაფერი. სწორედ ეს იქცა იმის მიზეზად, რომ ამ არაორდინარულ პიროვნებათა ბიოგრაფიის რამდენიმე, ერთმანეთისგან ძირფესვიანად განსხვავებული ვერსია შეიქმნა, ხოლო რუსთაველოლოგიურ მეცნიერებაში ვეფხისტყაოსნის ავტორად რამდენიმე სხვადასხვა პირი გამოცხადდა, რის შედეგადაც ვეფხისტყაოსნის შექმნის თარიღი გადატანილ იქნა ხან XIII, ხან XIV საუკუნეებში.

სწორედ ესაა „მაგნიტური ანომალიის“ სინდრომი.

ერთი რამ კი უთუოდ იმსახურებს ყურადღებას: თუკი მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი მაინც მოხვდა კარის ისტორიკოსის – „აზმათა“ ავტორის – თვალთახედვაში და რამდენიმე განმაქიქებული სტრიქონიც დაიმსახურა, ამის საპირისპიროდ, შოთა რუსთაველი, თუმც თავისი პოემის პროლოგშივე აცხადებს – „არ თავი გამიქიქია“-ო, სრულიად იგნორირებული აღმოჩნდა არა მხოლოდ მეფე-ქალის ორივე ისტორიკოსის, არამედ მომდევნო დროის ისტორიკოსთა – ვთქვათ, ჟამთააღმწერლის – მიერაც.

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიულ მასალებზე მსჯელობისას, ჩვეულებრივ, ითვლება, რომ ეს მასალები „არ შემოგვრჩა“, ისტორიულმა ბედუკუდმართობამ „დაგვიკარგა ბევრი ძვირფასი ცნობა“, ცნობები მისი ბიოგრაფიის შესახებ „უღმბოვლად დრომ გაანადგურა“ და ა. შ. მაგრამ ეს აქსიომად მიჩნეული დებულება მეცნიერულ არგუმენტად არ გამოდგება, რადგან იმავე „უღმბოვლად დრომ“ შემოგვინახა სხვა პირთა ისეთი ბიოგრაფიული დეტალებიც კი, როგორც, ვთქვათ, ის, რომ თამარ მეფემ „წყალობა ყო დალოცვილთა“ სარგის მხარგრძელის ძე ზაქარია და „ითაყუნა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე“ [ქ-ც. 1959: 33]; ანდა „ოფიციალური ქრონიკა“ იმის შესახებ, ვისი სიკვდილი იგლოვოთ თუ არ იგლოვოთ სამეფო კარმა (იქვე, 122) და მრავალი სხვა. თამარის ორივე ისტორიკოსი უამრავ პიროვნებას ასახელებს, მაგრამ რატომღაც არც ერთხელ არ იხსენიება სახელი მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთაველისა, თუმც „აზმათა“ ავტორი ზოგჯერ იმის დაზუსტებასაც კი თვლის საჭიროდ, რომ ზოგიერთ პირს ორი სახელი ჰქვია: მაგ., „თინიერ ივანე ციხისჯუარელისა, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების“ (იქვე, 49) საგანგებოდ შევნიშნავ, რომ ამგვარ ორმაგ საკუთარ სახელებს ჟამთააღმწერელიც არაერთხელ აზუსტებს: „ივანე ციხისჯუარელმან ჯაყელმან, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების“, „ლიპარიტ თორელისასა, რომელსა დევის-ყურცა ეწოდებოდა“ (იქვე, 191, 229)... საერთოდ, დამფიქრებელია, რაში დასჭირდათ მეისტორიულ ამგვარი დეტალების აღნიშვნა, თუმცა თავისთავად საგულისხმოა, რომ ამგვარი ორმაგი სახელები თურმე ჯაყელთა და თორელთა საგვარეულოში ყოფილა! მაგრამ მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთაველის შესახებ ეს ბრწყინვალე ისტორიკოსიც, უნიჭიერესი ჟამთააღმწერელიც დუმს, გარნა სხვათა მიმართ თავის აღფრთოვანებას ვერ ფარავს და, მაგალითად, სარგის თმოგველს იხსენებს შთამბეჭდავი ეპითეტებით: „თმოგველი სარგის, კაცი სწავლული, ფილასოფოსი და მრავალღონე“, „სარგის თმოგველი, კაცი მეცნიერი და ფილასოფოსი და რიტორი“ (იქვე, 191, 227).

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა: თუკი მხარგრძელთა ჩამომავალი სარგის თმოგველი იყო „სწავლულიც“, „ფილასოფოსიც“, „მრავალღონეც“, „მეცნიერიც“ და „რიტორიც“ (რაც, სხვათა შორის, არავითარი რეალური საბუთით არ დასტურდება), ნუთუ თანამედროვეთა და უახლოეს შთამომავალთა თვალში შოთა რუსთაველი იმდენად უბადრუკი იყო, რომ არა თუ ერთადერთი ეპითეტის, არამედ უბრალოდ მოხსენიების ღირსიც კი არ გამოდგა?

ერთი სიტყვით, ისტორია შოთა რუსთაველის შესახებ თითქმის სუთი გრძელი საუკუნის მანძილზე ღუმს და ისე ჩანს, რომ „უღმობელი დრო“ აქ არაფერ შუაშია: მიზეზი სხვაგანაა საძიებელი.

საერთოდ, მეტად ცხადად ჩანს, რომ მეისტორიენი მეტად ფრთხილად და მეტად ფხიზლად არჩევენ სათქმელს: მათი კალმის ქვეშ ფაქტები და პიროვნებანი მკაცრ შერჩევასა და ცენზურას გადიან და ამ უჭკვიანესა და უგანათლებულესა პირებმა ზუსტად იციან: რა უნდა გააცხადონ და რა უნდა დაფარონ. არაერთი ფაქტით მტკიცდება, რომ თამარის როგორც პირველი, ასევე მეორე ისტორიკოსის ცნობები გამოზომილი და განსაზღვრულია: ამბობენ იმას, რისი თქმაც სურთ, მაგრამ არ ამბობენ იმას, რისი თქმაც არ სურთ; მაგალითად, „აზმათა“ ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ქართლის კათოლიკოსის მიქაელ მირიანის ძეს სასულიერო და საერო მმართველობის ხელში ჩაგდების, ე. წ. „ცეზარეაპიზმის“ (ივანე ჯავახიშვილის განსაზღვრა) პრეტენზიები ჰქონდა და მხოლოდ თამარის მეორე ისტორიკოსი გვამცნობს, რომ მას თურმე „ჭყონდიდელ-მაწყურელობა და მწიგნობართ-უხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“ [ქ.-ც. 1959: 118]; სამაგიეროდ, თამარის მეორე ისტორიკოსი ერთ სიტყვასაც არ ძრავს ყუთლუ-არსლანის დასის შესახებ. ამგვარი ფაქტები შემთხვევით არ ჰგავს, ისევე, როგორც შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ შოთა რუსთაველი – ან როგორც მეჭურჭლეთუხუცესი, ან როგორც ავტორი ვეფხისტყაოსნისა – არც ერთმა მეისტორიემ არ მიიჩნია მოხსენიების ღირსად.

შუა საუკუნეთა მწერლობა – განსაკუთრებით კი საისტორიო მწერლობა – უაღრესად იდეოლოგიზირებულია, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შოთა რუსთაველის შესახებ მასალათა არარსებობა-სიმწირე რაღაც კავშირშია გარკვეულ იდეოლოგიურ ტენდენციებთან; ამ თვალსაზრისით შეუძლებელია საგანგებო ყურადღება არ მიიპყროს იმ გარემოებამ, რომ XII საუკუნემ ამ ორი მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ დაგვიტოვა რეასაუკუნოვანი საიდუმლო, რომელიც გამოიხატება ორი სიტყვით – ვინ და როდის: არ ვიცით, ვინ იყო 1177-1185 წწ. მეჭურჭლეთუხუცესი, სახელად ყუთლუ-არსლანი, და ასევე არ ვიცით, როდის იყო მეჭურჭლეთუხუცესად ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა რუსთაველი. ორივეს ბიოგრაფიაში ბევრი კითხვის ნიშანი და „თეთრი ლაქა“, და აქ ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ ეს „თეთრი ლაქები“ სარკული ასახვის სიმეტრიულობით არის განაწილებული მათი ბიოგრაფიის ჩვენთვის ცნობილ ფაქტებში: რაც ვიცით ერთის შესახებ, ის არ ვიცით მეორის შესახებ და პირიქით; მაგალითად, ვიცით, როდის იყო მეჭურჭლეთუხუცესად ყუთლუ-არსლანი, მაგრამ არ ვიცით, როდის იყო მეჭურჭლეთუხუცესად შოთა რუსთაველი; ვიცით ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური კონფრონტაციის შესახებ სამეფო კართან, მაგრამ არაფერი ვიცით მისი შემდგომი ბედის შესახებ; ვიცით, რომ შოთა რუსთაველი იძულებული შეიქნა გადახვეწილიყო საქართველოდან, მაგრამ არ ვიცით ამ გადახვეწის კონკრეტული მიზეზი.

ყუთლუ-არსლანის პიროვნების მიმართ დიდი ინტერესი უკუპროპორციულია მის შესახებ არსებული ისტორიული მასალის სიმწირისა: ინტერესთა ეს სიფრთოვე და მრავალმხრივობა ამ „უცხო მოსაგონებელი“ ამბის იდეოლოგიის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიაშია“ ასახული ძალზე თვალსაჩინოდ, ხოლო ნიკო ბერძენიშვილისეული დასათაურება ერთი ადრე გამოუქვეყნებელი, აწ კი გამოქვეყნებული ნაშრომისა „ჩემი ყუთლუ, ანუ XII საუკუნე“ [ბერძენიშვილი 1974: 5] თავად მოწმობს მკვლევარის ხანგრძლივ, შეუწელებელ და ერთგვარი პირადი სიმპატიით შეფერილ ინტერესს „ქართლის ცხოვრების“ ამ იდემალებით მოსილი პერსონაჟისადმი.

სრულიად ცხადად ჩანს, რომ მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის პიროვნების რაიმე სახით დაკონკრეტებას – მაგალითად, საგვარეულოს ან მამის სახელის მოხსენიებით, მკვიდრი მამულის ან საპატრონოს დასახელებით – „აზმათა“ ავტორი შეგნებულად გაურბის; იგი თავს არიდებს რაიმე სახის ინფორმაციის გადმოცემას მის შესახებ და, ალბათ, სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ აშკარად არაქართული სახელის მქონე პირის ჩამომავლობამ საგანგებო ინტერესი აღძრა, მეორე მხრივ კი მის შესახებ რაიმე ცხადი ცნობის უქონლობამ (გარდა გამოთქმებისა – „ბიჭი“, „ჯვორის სახედ ორ ბუნებასა მყოფელი“, მეორე ისტორიკოსთან კი – „სიმდიდრითა აღაღებულნი“) მისი „უგვარობის“ ვერსია შექმნა.

რაც შეეხება შოთა რუსთაველს – მისი ვინაობა-სადაურობის კვლევის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი და დრამატული პერიპეტებიით აღსავსე სფეროა რუსთველოლოგიური მეცნიერებისა, იმდენად რთული, რომ მისი მოკლედ გადმოცემაც კი უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს. როგორც ერთ დროს მახ-

ვილგონივრულად შენიშნა კორნელი კეკელიძემ, „არ დარჩენილა ისტორიული ძეგლებით ცნობილი არც ერთი შოთა, რომელიც ამა-თუ-იმ მკვლევარს ვეფხისტყაოსნის ავტორად არ გამოეცხადებინოს“; იყო სხვა ორიენტირებიც (რომელი რუსთავი? – მესხეთის თუ ჰერეთის? რომელი საგვარეულო? – მხარგრძელთა? თმოგველთა? ჩახრუხადეთა? ჰერეთის ერისთავთა?), რომელთა შესაბამისად ვეფხისტყაოსნის ავტორის ცხოვრების დრომ ოქროს საუკუნიდან მომდევნო საუკუნეებში გადაინაცვლა. მაგრამ ამჯერად ეს ყოველივე ჩვენი ყურადღების სფეროში არ შემოდის.

ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ გამოკვლევებში ამ ორი მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ წინ წამოიწია ორმა საკითხმა: ვინ და როდის; ისტორიკოსები ეძებდნენ პასუხს კითხვაზე: ვინ იყო 1177-1185 წწ. მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი, რუსთველოლოგები და რუსთაველით დაინტერესებული ისტორიკოსები – როდის იყო მეჭურჭლეთუხუცესად შოთა რუსთაველი. ამ საკითხთა კვლევა გარკვეულ პერიოდში პარალელურად მიმდინარეობდა, მაგრამ იყო ისეთი ნაშრომებიც, სადაც ორივე მეჭურჭლეთუხუცესი – შოთა რუსთაველიც და ყუთლუ-არსლანიც – საერთო ისტორიულ კონტექსტში განიხილებოდა, როგორც დიამეტრულად დაპირისპირებული ანტიპოდები პოლიტიკური მსოფლმხედველობის ასპექტში მკაცრი ანტინომიით – „პროგრესული – რეაქციული“. საკითხის ამგვარად დაყენებისას აღმოჩნდა, რომ შოთა რუსთაველი „ქადაგებს მეფის ერთხელისუფლებიანობის იდეას“ და „ამცრობს სამეფო დარბაზის როლს“, რის საფუძველზეც გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ „დიდებული პოეტი თავისი დროისათვის მოწინავე პროგრესული იდეის მატარებლად გამოდის“ საპირისპიროდ ყუთლუ-არსლანისა, რომლის „პოლიტიკური პროგრამა... უთუოდ რეაქციული იყო“ [სოსელია 1958: 94-95, 99], რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებლურ დებულებას ყუთლუ-არსლანის დასის პროგრესულობის შესახებ. როგორც ადრეც ვთქვით, ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ყუთლუ-არსლანის პროგრამის უარყოფითი გადაფასება „კლასთა ბრძოლის“ თეორიის ასპექტში და დავიწყებას ეძლევა მანამდელი ისტორიოგრაფიის შეფასება, მასთან ერთად კი ავტომატურად უარიყოფა XII საუკუნის ქართული პოლიტიკური აზროვნების მაღალი დონე.

და მაინც, მიუხედავად სპეციალურ ლიტერატურაში ერთის მხრივ – პოეტი-მეჭურჭლეთუხუცესის, ხოლო მეორე მხრივ – პოლიტიკოსი-მეჭურჭლეთუხუცესის დაპირისპირებისა, საქართველოს ისტორიის ფონზე ერთობლივ ასპექტში განხილვისას მათი პიროვნებანი ყურადღების ცენტრში ექცევიან შემდეგ გარემოებათა გამო:

- შოთა რუსთაველი და ყუთლუ-არსლანი თანამედროვენი არიან;
- ორივე თამარის მეჭურჭლეთუხუცესია;

– ორივეს ბიოგრაფია ილუმალების ბურუსით არის მოცული: პირველის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ დაწერა ვეფხისტყაოსანი, მეორის შესახებ მხოლოდ ის, რომ შექმნა პირველი ქართული პარლამენტის პროექტი;

– არ გაგვაჩნია რაიმე პირდაპირი ცნობა მათი საგვარეულო ჩამომავლობის, ვინაობა-სადაურობის შესახებ; იქმნება შთაბეჭდილება, რომ იმდროინდელ ისტორიოგრაფიაში ეს პიროვნებანი საგანგებოდ არიან გასაიდუმლოებულნი, ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა შენიშნა, რომ ყუთლუ-არსლანის გვარი, მსგავსად რამდენიმე სხვა პირისა, „არა წარიწერებიან ცხადად საცნობებლად“ [ქ-ც. 1973: 28];

– ტრადიციული გადმოცემით შოთა რუსთაველი დიდგვაროვანია, წარმოშობით მესხეთის რუსთავიდან, ასევე დიდგვაროვნად თვლიდა ყუთლუ-არსლანს ვახუშტი: „ყუთლუ-არსლან... იტყოდა... სხუათა მრავალთა დამდაბლებასა, რამეთუ არიან უაზნონი“ (იქვე, 171). აქვე შევნიშნავ, რომ საფუძვლიანად იქნა უარყოფილი შეხედულება ყუთლუ-არსლანის „უგვარობა-უაზნობის“, მესამე წოდებისადმი კუთვნილების შესახებ;

– ყუთლუ-არსლანი რაღაც ნათესაურ კავშირშია კრავაი ჯაყელ-სამძივართან, რომელიც შოთა რუსთაველის საგვარეულოს კვლევაშიც ფიგურირებს;

– ორივე მეჭურჭლეთუხუცესის საგვარეულოს კვლევა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და განსხვავებული არგუმენტაციით სამძივართა (resp. სამძივარ-თორელთა) ფეოდალურ სახლს დაუკავშირდა (ივანე ჯავახიშვილი, ლევან მუსხელიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, ნოდარ შოშიაშვილი);

– ყუთლუ-არსლანს პირველი ქართული პარლამენტის – ისნის კარავის – პროგრამის შემუშავების შემდეგ სამეფო კარზე შეექმნა საკონფლიქტო პოლიტიკური სიტუაცია, რის შედეგადაც, როგორც ჩანს, დაკარგა მეჭურჭლეთუხუცესის სახელი; მეორე მხრივ, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში გამოთქმულია გარაუდი, რომ შოთა რუსთაველის საქართველოდან განდევნა „თავისუფალი მოაზრობის“ გამო (პავლე ინგოროყვა), პოლიტიკური მიზეზით მოხდა (იოსებ მეგრელიძე); ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა სამძივარ-თორელთა საგვარეულოსთან მუდმივად მოქიშპე მხარგრძელთა საგვარეულოს ჩამომავლის ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგოროუკოვის გვიანდელი (1829 წ.), რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ჯერ

კიდევ გაუანალიზებელი ცნობა იმის შესახებ, რომ „შუა კაცობასა შინა რუსთაველი მიტაცებულ იყო მედროეთაგან, ვითარცა მოქალაქე“ [ლ.ა.დ. 1979: 55];

რაც მთავარია, ორივე მეჭურჭლეთუხუცესს – ყუთლუ-არსლანსა და შოთა რუსთაველსა – ერთნაირი ბრალდება აქვთ წაყენებული „სპარსულისადმი“ მიკერძოების ეპოქალური კოლური ფორმულით: პირველს – პოლიტიკური, მეორეს – იდეოლოგიური (ანუ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის) თვალსაზრისით.

ამრიგად, როგორც რუსთველოლოგიურ, ისე ისტორიოგრაფიულ გამოკვლევებში საკმაოდ დაგროვდა მასალა ამ სფეროში გარკვეული დასკვნების გამოსატანად. ნოდარ შოშიაშვილმა თავის საფუძვლიან და არგუმენტირებულ გამოკვლევაში მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ შოთა რუსთაველი სამძივარ-თორელთა უძველესი და უძლიერესი საგვარეულოს ჩამომავალია [შოშიაშვილი 1966: 7-77], რამაც საბოლოოდ მოხსნა საკითხი შოთა რუსთაველის ვინაობა-სადაურობის გაურკვევლობის შესახებ. რაც შეეხება ყუთლუ-არსლანს, ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა გამოთქვა ვარაუდი მისი შესაძლო ნათესაობისა კახა თორელთან, მეჭურჭლეთუხუცესთან, რკონის 1259 წლის სიგელის დამწერთან, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ „დასაყრდნობი მტკიცე საფუძველი არა ჩანს“, ხოლო ნიკო ბერძენიშვილმა ამ ვარაუდისგან დამოუკიდებლად სხვა ისტორიული რეალების გათვალისწინებით ყუთლუ-არსლანი სამძივართა საგვარეულოს დაუკავშირა და ეს ხანგრძლივი დაფიქრებით ნასაზრდოები უეცარი მიხვედრა მისმა კალამმა შთამბეჭდავი ფრაზით დააფიქსირა: „კაცო, ეს სამძივარი მართლა ყუთლუს გვარის ხომ არ იყო?“ [ბერძენიშვილი 1974: 174].

როგორც ცხადად ჩანს, ეს ორი პარალელური ხაზი ერთი მხრივ – შოთა რუსთაველის, მეორე მხრივ – ყუთლუ-არსლანის საგვარეულოს კვლევისა საბოლოოდ ერთ წერტილში – სამძივარ-თორელთა საგვარეულოში გადაიკვეთა.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ყუთლუ-არსლანის საგვარეულოს კვლევის არსებულ მეცნიერულ ორიენტირებს საბოლოოდ უთუოდ სამძივართა საგვარეულოსთან მივყავართ. ეს ორიენტირებია:

– თორელთა და სამძივართა გაიგივება, ანდა თორელთა საგვარეულოს სამძივართაგან წარმომავლობა;

– სამძივართა და ჯაყელთა უძლიერეს საგვარეულოთა დოკუმენტურად დადასტურებული ნათესაობა XIII ს. ისტორიულ საბუთში „დაწერილი ბექა მანდატურთუხუცესისა კახა თორელისადმი“: „... მოდაწერილენი ყოფილან ჩუენი სახლი და თქუენი, ოდეს მამაი ჩუენი იყო... აწ, ამას იქით, ვიყუნეთ ჰაგრეთვე ერთმანეთისა მოყუარენი, ვითა ამას წინას ვყოფილვართ გაუყრელნი და მოდაწერილენი... უღალატოი და გამვლენელი...“ [საბუთები 1984: 192-193];

– სახელი „ყუთლუ-არსლანი“, მოხსენიებული სამძივრებთან „გაუყრელ და მოდაწერილ“ ჯაყელთა საგვარეულოს კუთვნილ კორიდეთის სახარების მინაწერში [ჯანაშვილი 1909: 84-85];

ყუთლუ-არსლანის ჯაყელ-კორიდელთა საგვარეულოსთან დაკავშირება პავლე ინგოროვყვას მიერ; იმავე ყუთლუ-არსლანის სამძივარ-ჯაყელობის ვარაუდი ნიკო ბერძენიშვილის მიერ;

– მეჭურჭლეთუხუცესის სახელი, რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIII საუკუნეში სამძივარ-თორელთა და ჯაყელთა გვარშია;

– ყუთლუ-არსლანის მიერ ამირსპარასალარის სახელის მიღებისა და „ლორეს ჯდომის“ პრეტენდენტობა: ეს სახელი (XII საუკუნის მეორე ნახევარში სამძივარ-თორელთა საგვარეულოს ეპყრა; საერთოდ, თუკი გავითვალისწინებთ „აზმათა“ ავტორის მიერ მოწოდებულ მაგალითებს, რომ სახელი მამიდან შვილზე გადადიოდა, ხომ არ უნდა ვიფიქროთ რომ ყუთლუ-არსლანის მამა ადრე ამირსპარასალარი იყო? იქნებ სწორედ ამიტომ ელოდა ყუთლუ-არსლანი ამ სახელის მიღებას? (უცნაური რემინისცენციები; „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპარასალარისა“... „სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა“... სამძივრები ხომ მონაპირენი იყვნენ);

– თამარ მეფის მიერ ყუთლუ-არსლანთან მოსალაპარაკებლად დიპლომატიური მისიით ჯაყელთა ასულისა და სამძივრის მეუღლის – კრავაი ჯაყელ-სამძივრის აღჭურვა ზუამაქ ცოქალთან ერთად; საერთოდ, ყურადღების ღირსია ის თითქოს უმნიშვნელო ფაქტი, რომ ოსტატი მწერლის მიერ მკაცრი სიმეტრიით აგებულ ორ პარალელურ ფრაზაში („...ერთი ზუამაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ ერისთავისა რატისი, და ერთი კრავაი ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა“ [ქ-ც. 1959: 32], სადაც ორივე მანდილოსნის მთავარი მახასიათებელი ნიშანია „დედა“, პირველი მოხსენიებულია პატივით, როგორც დედა ერისთავთ-ერისთავისა, მეორე კი უბრალოდ, როგორც დედა „აწ მყოფთა(?) სამძივართა“;

– თამარ მეფის საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარი არსენ სამძივარი, დამოწმებული 1187 წ. თამარ მეფის სიგელში გელათისადმი [საბუთები 1984: 79];

– მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელის მიერ ყუთლუ-არსლანის მოხსენიება „მეყვისის“, მაგრამ ამასთანავე ოდიოზურ კონტექსტში 1259 წლის საბუთში „დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთის-მშობლისადმი“: მერმე, თუ ვინ ამისი მომშლელი გამოვიდეს: ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მეყვასი, ვითა ყუთ-

ლუ-არსლან...“ [საბუთები 1984: 149], აქ ფრიად საგულისხმოა ივანე ჯავახიშვილის ვარაუდი: „ეგების კახას მიერ მოხსენიებული ამბავი... თამარის მეფობის დროინდელიც ყოფილიყოს და კახა სწორედ ყუთლუ-არსლანს ჰგულისხმობდა“ [ჯავახიშვილი 1929: 159].

საერთოდ, თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით, ივანე ჯავახიშვილის მიერ 1929 წელს გამოქვეყნებულ „ქართული სამართლის ისტორიაში“ უკვე იყო დასახელებული სამი ზუსტი ორიენტირი ყუთლუ-არსლანის საგვარეულო ჩამომავლობის გასარკვევად: პირველი – მოსე ჯანაშვილის მიერ მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანის დაკავშირება ჯაყელთა კუთვნილი კორიდეთის სახარების მინაწერში მოხსენიებულ ყუთლუ-არსლანთან (აქ მთავარია ერთიდაიგივე საგვარეულო სახელი და არა ამ სახელის მატარებელ პირთა იგივეობა) და ამ გზით საგვარეულოს ძიებაში ჯაყელთა გვარის შემოტანა; მეორე – მეჭურჭლეთუხუცეს კახას, 1259 წლის რკონის სიგელის დამწერის, დასახელება და ამ გზით ძიებაში თორელთა (resp. სამდივართა) გვარის შემოტანა; მესამე – დასახელება კრავაი ჯაყელისა, რომელიც იყო „დედა აწ მყოფთა სამდივართა“ და მისი დასახელებით ყუთლუ-არსლანის საძიებელი საგვარეული წრის შემოსაზღვრა ერთი მხრივ – ჯაყელთა, მეორე მხრივ – სამდივარ-თორელთა ფეოდალური სახლებით.

ასეთია ყუთლუ-არსლანის სამდივართა საგვარეულოსთან დაკავშირების მეცნიერული ორიენტირები: გამოდის, რომ ორივე მეჭურჭლეთუხუცესი – შოთა რუსთაველიც და ყუთლუ-არსლანიც – ერთიდაიმავე სამდივართა საგვარეულოს ჩამომავალნი არიან; საერთოდ, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, თამარის სამეფო კარის ვაზირთაგან თავისი პიროვნული განზომილებით, აზროვნების გაქანებით, პროგრესული იდეებით ერთადერთი ყუთლუ-არსლანია შოთა რუსთაველთან გაიგივების ღირსი, ეს გაიგივება კი განმარტავს მყარ ტრადიციულ გადმოცემას შოთა რუსთაველის საქართველოდან გადახვეწის თუ განდევნის შესახებ და ქართულ მწერლობაში მასზე სრულ ღუმელს რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

სწორედ ამით ხომ არ აიხსნება ძირძველ ფეოდალთა – სამდივართა უწარჩინებულები და უძლიერესი გვარის მოულოდნელი და უცნაური დამცრობა, სამდივრობაზე უარის თქმა, მკვიდრი მამულებიდან აყრა XII საუკუნის მიწურულს? პოლიტიკოსი-მეჭურჭლეთუხუცესის პიროვნების საგულდაგულოდ გასაიდუმლოება „აზმათა“ ავტორის მიერ და მისი ვინაობის ხაზგასმულად არაქართული წარმომავლობის სახელით „დაშიფვრა“, ალბათ, საგვარეულოს რენომეს „გადარჩენის“ მიზნით? XII საუკუნის ქართულ საისტორიო წყაროებსა და კაზმულსიტყვაობაში ვეფხისტყაოსნის და მისი ავტორის სრული იგნორირება? ასევე – ამითვე ხომ არ აიხსნება ამირსპასალარობაში ნაწრობი, საქართველოს მონაპირე სამდივართა შეცვლა სამეფო კარის კრეატივით – უცხოტომელ მხარგრძელთა საგვარეულოთი? ამ „ახალკაც“ მხარგრძელთა „განსაკუთრებული კარიერა“ (ნ. ბერძენიშვილის გამოთქმებია) საქართველოს სამეფო კარზე? მხარგრძელთა უზომო სიმდიდრით სამდივარ-თორელებისადმი? და ამ ახლად აღზევებული საგვარეულოს უსაზღვრო პრეტენზიები ქართველ მეფეთა მიმართ?

კითხვა სხვაც ბევრია.

აქ ჩვენი ისტორიის ისეთი ტრაგიკული გორდიას კვანძია ჩახლართული, რომ მის გამოსნას და ჭეშმარიტების დადგენას ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა არაერთი თაობის თავდადებული შრომა დასჭირდება.

როგორც უკვე ვთქვი, მასალები რუსთაველის ბიოგრაფიისათვის არა „უღმბოვლი დროის“, არამედ უღმბოვლი იდეოლოგიის მსხვერპლია – ისინი შეგნებულად არის განადგურებული, თუმც, მეტი სიზუსტისათვის, იმდენად განადგურებული კი არა, რამდენადაც შეგნებულად მიჩქმალული და ტენდენციურად გაშუქებული, როგორც „პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ისტორიკოსის, გაბოროტებული გულისა და ენის ნაყოფი“ [ჯავახიშვილი 1929: 161].

და მაინც, მიუხედავად ამ მიზანდასახული ცდისა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი მომენტი თავისი გენიალური არაორდინარულობით „ქართლის ცხოვრებას“ მაინც შემორჩა მისი სახელის „მეფარვით თქმით“, რომელსაც „აზმათა“ შესაბამის ტექსტში, თავად მეისტორიის სტილზე დაყრდნობით, მე ასე აღვადგენდი: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: [შოთა რუსთაველმან, რომელსა] ყუთლუ-არსლან[იცა ეწოდები]... მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კრავაი დადგმად ველსა ისინისასა და სანახებსა სალოდებლისას და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“.

რა თქმა უნდა, მე ახალი არაფერი აღმომიჩენია, მე მხოლოდ და მხოლოდ ყველასთვის – რუსთველოლოგებისთვისაც და ისტორიკოსებისთვისაც – კარგად ცნობილი ფაქტები შევუჯერე ერთმანეთს და ჩემი დასკვნები გამოვიტანე.

ეს მაქსიმალური ლაკონიზმით გადმოცემული ჰიპოთეზა შოთა რუსთაველისა და ყუთლუ-არსლანის პიროვნებათა იგივეობის შესახებ არც შეთხზულია და არც გამოგონილი: იგი ეყრდნობა არა რწმენას, არამედ მეცნიერულად დადასტურებულ ფაქტებს და მათ შინაგან ლოგიკას, საბოლოო ჯამში კი – ფაქტების ლოგიკას; ამიტომაც წარუვმძღვარე ამ წერილს ეპიგრაფად ნიუტონის გამოთქმა: „მე ჰიპოთეზებს არ ვთხზავ“.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ბარამიძე 1975 – ალექსანდრე ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975.
- ბერძენიშვილი 1974 – ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974.
- ვებერი 1990 – М. Вебер. Политика как призвание и профессия. – М. Вебер. Избранные произведения, М., 1990.
- ინგოროყვა 1938 – პავლე ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. – რუსთაველის კრებული, 750, ტფილისი, 1938.
- კარბელაშვილი 1989 – ციალა კარბელაშვილი. რუსთაველისეული „ესე ამბავი სპარსულის“ ინტერპრეტაციისათვის, ჟ. მნათობი, 1989, № 11.
- ლ. ა. დ. 1979 – ლ. ა. დ. [ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგოგორუკოვი], რაიმე რუსთაველისათვის. – რუსთაველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, I; შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო იოსებ მეგრელიძემ, თბ., 1979.
- ლიპსეტი 1972 – Сеймур Мартин Липсет. Политическая социология. – Американская социология. Перспективы. Проблемы. Методы, М., 1972.
- ნუცუბიძე 1958 – შალვა ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, თბ., 1958.
- საბუთები 1984 – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. ქართული ისტორიული საბუთები IX-XI სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
- სოსელია 1958 – გ. სოსელია. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ. – ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX-XI, სოხუმი; 1958.
- ქ-ც 1959 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959.
- ქ-ც 1973 – ქართლის ცხოვრება, ტომი IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
- შავთელი 1964 – ძველი ქართველი მეხოტბენი, II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი. თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარი და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1964.
- შოშიაშვილი 1966 – ნ. შოშიაშვილი. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. – შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.
- ჩახრუხაძე 1957 – ძველი ქართველი მეხოტბენი, I, ჩახრუხაძე. ქება მეფისა თამარისი. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1957.
- ჯანაშვილი 1909 – მოსე ჯანაშვილი, კარიდეთის ოთხთავი და მისი ქართული წარწერები. – ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909.
- ჯანაშვილი 1917 – მოსე ჯანაშვილი. თამარ მეფე, ტფილისი, 1917.
- ჯავახიშვილი 1929 – ივანე ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929.
- ჯავახიშვილი 1965 – ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2; თბ., 1965.

სტატიები გადმოებეჭდილია გაზ. *მამულიდან*: „... ყოვლი დამალოელი...“ (*მამული*, № 12 (44), ივნისი, 1991 წელი); „უშიროს, პლატონ სიტყვა დამატონ“ (*მამული*, № 5 (59), მარტი, 1992 წელი); „... საქმე ცხადად გამოცხადდეს“ (*მამული*, № 14 (46); ივლისი, 1991 წელი). ავტორმა მიზანშეწონილად ჩათვალა ნარკვევის კომპოზიციის შეცვლა.



საქართველოს ზღვისპირა მდებარეობა: რეგიონული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი

ამა თუ იმ ქვეყნის ზღვისპირა მდებარეობა, ზღვისპირეთის რაიონებისათვის სოციალ-ეკონომიკური განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს ჰქმის. ზღვისპირეთის სპეციფიკა ითვალისწინებს საზღვაო ტრანსპორტის, პორტების, მრეწველობის სხვადასხვა დარგის, მათ შორის თევზის მრეწველობისა და თბილ სანაპიროებზე რეკრეაციული სფეროს განვითარებას. ზღვისპირეთი, ქვეყნის შიდა რაიონებზე გარკვეულწილად მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენს და თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ხშირად სიღრმისეული რაიონების სოც-ეკონომიკური განვითარების კატალიზატორად და ხელშემწყობად გვევლინება. ზღვისპირა მდებარეობა შესაძლებელია რომ განხილული იქნას, როგორც რეგიონული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

საქართველოს შავი ზღვისპირეთის პორტები, ქვეყნის ძალზედ მოხერხებული ეკონომ-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, თავიანთი დატვირთვის სამომავლო ინტენსივობით შესაძლოა მაინც გამოჩეულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. პორტების ინტენსიური ფუნქციონირება გარანტირებული და განსაზღვრულია ევრაზიის უზარმაზარ არეალზე მიმდინარე სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო პროცესებით.

XX საუკუნის მიწურულს აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიო მნიშვნელობის ფუნდამენტურ – ეკონომიკურ, პოლიტიკურსა და სოციალურ – ცვლილებებს ჩაუყარა საფუძველი. საბჭოთა კავშირის დაშლამ საფუძვლიანად შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება ევრაზიაში და მათ შორის სამხრეთ კავკასიაშიც. აღნიშნულმა რეგიონმა, რომელიც ყოფილი საბჭოეთის ჩიხს წარმოადგენდა და ნაკლებად ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა თვით მეზობელ სახელმწიფოებთანაც კი, ახალ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა და ვრცელ ევრაზიულ არეალში აღმოსავლურ – დასავლური თუ ჩრდილოეთურ – სამხრეთული განზომილებების გადაკვეთაზე, სატრანსპორტო – საკომუნიკაციო ქსელთა სამომავლო განვითარების მიმართულებათა დადგენისას, ხშირ შემთხვევაში, განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა და უცდილობელი პრიორიტეტი მოიპოვა.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის კი საქართველოს გამორჩეული სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია: იგი რეგიონში საკვანძო ქვეყანა გახდა, რაც უპირველესად დასავლურ-აღმოსავლურ განზომილებაში მისი შავი ზღვისპირეთის უნიკალური როლითაა განპირობებული. საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა თავისი მიკრომნიშვნელობით ერთი ქვეყნისათვის განუზომლად დიდია, რაც სასიკეთო გავლენას მოახდენს, სრულიად საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი შავი ზღვისპირეთის მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებისა და აგრეთვე ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის – მეზოგანზომილება. აზერბაიჯანისა და სომხეთის თვითნებ საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს ძირითადად საქართველოს პორტებით არეგულირებენ.

ირანის ისლამურ რესპუბლიკას ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები აქვს ევროპის სახელმწიფოებთან, რაშიც 30 – 35% ავტოგადაზიდვებს უკავია. ეს ძალზედ დიდი მაჩვენებელია, თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული გადაზიდვები ძირითადად თურქეთის ტერიტორიის გამოყენებით ხდება. წლების განმავლობაში ირანის ტრანსპორტის სამინისტრო და სხვადასხვა სტრუქტურები დიდ დაინტერესებას გამოხატავდნენ საქართველოს პორტებისადმი და ცდილობდნენ, რომ ავტოგადაზიდვების სფეროში თურქული მარშრუტი საქართველო-აზერბაიჯანის მიმართულებით ჩაენაცვლებინათ, მაგრამ სხვადასხვა პრობლემისა და მაღალი ტარიფების გამო ირანის მხარე ახალი მარშრუტის ათვისებას ვერ ახერხებდა. ასე რომ, ახალ ვითარებაში ამ საქმეს, შესაძლოა, გარკვეული პერსპექტივები გამოუჩნდეს. მითუმეტეს, რომ ეს სპარსეთის უბის ამ საქმეში ჩართვასაც გულისხმობს და შესაძლოა ამ მიმართებით ინდოეთის ოკეანის აუზის გარკვეული ქვეყნების აქტივიზაციაც გამოიწვიოს.

ამ კუთხით საქართველოს შავი ზღვისპირეთის ეკონომ-გეოგრაფიული მდებარეობა თავისი მაკრო განზომილებით ძალზედ მნიშვნელოვანია ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისთვის და ასევე შეიძლება საინტერესო გახდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვისაც. მას შემდეგ, რაც ყირგიზეთის რკინიგზა ჩინეთის რკინიგზის დასავლეთის განშტოებას დაუკავშირდა, შესაძლებელი გახდება, რომ როგორც ერთ-ერთმა ალტერნატიულმა გზამ გარკვეული რაოდენობის ტვირთი მოიზიდოს და იგი ცენტრალური აზიის

გავლით საქართველოს პორტებამდე მოვიდეს. ამ კონტექსტში ძალზედ დიდ მნიშვნელობას იძენს ასევე ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა, და მასთან დაკავშირებული სამომავლო პერსპექტივები.

საქართველოს შავი ზღვისპირეთის მაკროგანზომილება ვრცელდება ასევე ევროპაზეც. უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის პორტები – დაკავშირებული საქართველოს პორტებთან – ხელს უწყობენ ევროპა-კავკასია-ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის საგარეო-ეკონომიკური კავშირურ-თიერთობების განუხრელ ზრდას.

ცენტრალური აზიის ჩაკეტილი მდებარეობა ამ რეგიონის ქვეყნებს უბიძგებს ეძებონ მსოფლიო სა-ვაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის მრავალგზიანი შესაძლებლობები და მისი განხორციელებისთვის საჭირო მიმართულებები. მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით საქართველოს შავი ზღვის პორტების გამოყენება ამ სახელმწიფოთათვის, შესაძლოა, არა მარტო ეკონომიკურად ეფექტური, არამედ პოლიტიკურადაც გამართლებული აღმოჩნდეს, რადგან ეს მიმართულება მათ რუსეთზე ნაკლებად დამოკიდებულს ხდის.

ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობებმა დღის წესრიგში დააყენა TRACECA-ს ფარგლებში ევროპა – კავკასია – აზიის სატრანსპორტო დერეფნის აღორძინების, სტრატეგიული, ენერგეტიკული დერეფნისა და სატელეკომუნიკაციო ქსელის შექმნის საკითხები, რაშიც ევროკავშირის თანადგომამ გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ევროკავშირის მიერ ეს მარშრუტი შემოთავაზებულ იქნა, როგორც სხვა არსებული მარშრუტების ალტერნატივა, რომელიც შემდეგ მიზნებს ისახავდა: სსრკ ყოფილი რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებულების მხარდაჭერა მათი მსოფლიო ბაზრებზე გასვლის საშუალებათა გაფართოებით; რესპუბლიკებს შორის რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა; საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და კერძო ინვესტორების მოზიდვა; ტრასიკას მარშრუტების დაკავშირება ტრანსევროპულ ინფრასტრუქტურულ ქსელებთან.

ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საკითხთა განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს „INOGATE“-ის პროგრამის დიდი მნიშვნელობა. INOGATE-ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისო ტრანსპორტირება ევროპისკენ – პროგრამა დაფუძნდა ბრიუსელში 1995 წ. პროგრამის მიზანია დსთ-ს სივრცეში არსებული ნავთობისა და გაზის სადენთა სისტემებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, მონაწილე ქვეყნებს შორის რეგიონალური თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა და ენერგეტიკული დერეფნის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა ევროპაში ნავთობისა და გაზის შეუფერხებელი მიწოდების მიზნით.

INOGATE-ის ხელშეკრულების ხელმოწერ 16 ქვეყნისთვის აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობა ეროვნული უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის განმტკიცების საშუალებებს იძლევა. აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერამ საფუძველი ჩაუყარა და სამართლებრივი ბაზა შეუქმნა კასპიის ენერგორესურსების საერთაშორისო ბაზრებისაკენ უსაფრთხო ტრანსპორტირების სისტემის ჩამოყალიბებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ევროპიდან აზიისაკენ, შავი ზღვის, კავკასიისა და კასპიის ზღვის გავლით ცენტრ. აზიისა და შორეული აღმოსავლეთისაკენ სატრანსპორტო დერეფნის შექმნისა და სრულფასოვნად ამოქმედების პერსპექტივამ დიდი აბრეშუმის გზის აღდგენის იდეა გამოაცოცხლა. ამ იდეის განხორციელებას საფუძველი ჩაეყარა 1993 წ. ბრიუსელში ჩატარებული ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა TRACECA-ს პროგრამისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. ამ დროიდან მოყოლებული აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების ინვესტორები არიან: ევროპული ბანკი, მსოფლიო ბანკი, ისლამური ბანკი და აზიის ბანკი.

აღნიშნული თემის ახლებურ გააზრებას, ცხადია, ხელი შეუწყო ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნისა და კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსების ათვისებისა და ტრანსპორტირების გლობალური პროექტებისადმი პრაგმატულმა მიდგომამ.

TRACECA-ს ბაქოს კონფერენციაზე 1990 წელს ხელმოწერილმა დეკლარაციამ და სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ ძირითადმა მრავალმხრივმა საერთაშორისო სატრანსპორტო შეთანხმებამ გამოკვეთა საერთაშორისო ტრანსპორტის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები, ხელი შეუწყო აღნიშნული რეგიონების ეკონომიკურ ურთერთობებში ვაჭრობისა და სატრანსპორტო მიმოსვლის განვითარებას, ასევე ტრანსპორტის ცალკეულ სახეობათა შორის კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნას და ჰარმონიზებული სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებას.

ჩვენი ქვეყანა უდიდეს როლს თამაშობს დასავლურ-აღმოსავლური კორიდორის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში. დღეისთვის მისი სრულყოფა ევროკავშირში მრავალგანზომილებიან პროექტად არის აღიარებული.

უნდა აღინიშნოს რომ დასავლურ-აღმოსავლურ დერეფანს არა მარტო სატრანსპორტო, არამედ პოლიტიკური ფუნქციაც აქვს და პოსტსაბჭოურ სივრცეში აღმოცენებული სახელმწიფოებისათვის მასშაბილიზირებელ როლს თამაშობს, რაც ხელს უწყობს ახალი გეოსტრატეგიული ალიანსის, TRACECA-ს ქვეყნების ევროპული, გნებავთ, დასავლური ორიენტაციის გაძლიერებისა და მსოფლიო ეკონომიკაში მათი ინტეგრაციის პროცესებს. TRACECA-ს პროექტის რეალიზაციას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კრედიტებისა და გრანტების მეშვეობით ხორციელდება ჩვენ ქვეყნის სატრანსპორტო სისტემების რეაბილიტაცია ევროკავშირის დაფინანსებით: აშენდა ახალი ხიდი წითელი ხიდის გვერდით და მოხდა ძველის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. აშენდა საბორნე გადასასვლელი ბათუმში და სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი ფოთში, რომელთა მეშვეობითაც საქართველო უკავშირდება ვარნის, ოდესის, კონსტანცის, ილიჩოვსკისა და სხვა პორტებს.

შავი ზღვისპირეთის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფას ძალზედ წაადგა ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია, რაც თურქულ მხარესთან თანამშრომლობით განხორციელდა.

ევრაზიული სატრანსპორტო დერეფანი მრავალფუნქციურ სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენს, რაშიც ბაქო-სუფსის მილსადენმა და სუფსის ტერმინალმა ღირსეული ადგილი დაიკავა.

აშშ-ს სენატმა 1999 წელს მიიღო კანონპროექტი აბრეშუმის გზის მხარდაჭერის სტრატეგიის შესახებ, რომელიც თავისი არსით ფრიად მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი რეგიონისათვის. მიღებული კანონპროექტი ამკვიდრებს აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებს ევრაზიის სივრცეში, რაც თავის მხრივ განამტკიცებს აღნიშნულ ურთიერთობებში მოქცეული ქვეყნების უსაფრთხოებას, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოზიტიური ძვრების მიუხედავად, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანს დღეს საკმაოდ მძაფრი კონკურენციის პირობებში უხდება დამკვიდრება. ესაა ჩრდილოეთით რუსეთს, ასევე სამხრეთით ირანსა და თურქეთზე გამავალი ალტერნატიული გზების არსებობა.

ბაქოში ხელმოწერილი სატრანსპორტო დერეფნის განვითარების მრავალმხრივი ხელშეკრულება და ასევე საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და უზბეკეთის მიერ ხელმოწერილი სერახსის შეთანხმება სატრანსპორტო გადაზიდვების რეგულირების შესახებ ითვალისწინებდა აღნიშნულ დერეფანში ტვირთნაკადების მოცულობათა ზრდას სატრანსპორტო სფეროს ჰარმონიზაციისა და შეღავათიანი სატარიფო პოლიტიკის ხარჯზე. უნდა აღინიშნოს, რომ 90 – იანი წლების ბოლოსათვის დაშვებულ შეცდომათა გამო სატრანსპორტო დერეფანში მოხდა ტვირთნაკადების მოცულობის შემცირება. ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებების მონაწილე ცალკეული ქვეყნების ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან არა გუნდურსა და საერთო სარგებელზე ორიენტირებულ, არამედ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე მიდგომებს, რამაც დერეფნის პოტენციური შესაძლებლობების დაქვეითება და ტვირთნაკადების ალტერნატიულ დერეფნებში გადანაწილება გამოიწვია. მაგ: აზერბაიჯანისა და საქართველოს რკინიგზაზე, ასევე პორტებში ტარიფების ზრდის გამო გადამზიდვებმა სხვა, უფრო იაფი მარშრუტი აირჩიეს. ასე მაგ: უზბეკური ბამბის უზარმაზარი მოცულობები ჩვენი მიმართულების ნაცვლად რუსეთის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, ლატვიაში – ვენდსპილსისა და ლიეპაია პორტებში წავიდა. ბოლო დროს შეინიშნება გარკვეული აქტივაცია შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. TRACECA-ს ბოლო შეხვედრებზე სულ უფრო ხშირად გაესვა ხაზი მონაწილე ქვეყნებში საორგანიზაციო-საპროცედურო ღონისძიებათა გამარტივებისა და სრულყოფის აუცილებლობას. ერთიანი ჰარმონიული ვიზა-ტვირთის დოკუმენტის შექმნას, რაც სრულად აღმოფხვრიდა კორუფციულ გარიგებას, დროის კარგვასა და ბიუროკრატიულ ბარიერებს. რკინიგზაზე შეღავათიანი ტარიფების შემოღება, ვფიქრობთ თავისუფალ კონკურენციულ გარემოში ტვირთმოცულობათა ნაკადების ზრდას გამოიწვევს.

შექმნილ პრობლემათა დასაძლევად ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მარტო ლიბერალური გამჭოლი სატარიფო პოლიტიკის გატარებაზე, არამედ გააზრებული და ერთიანი, კოორდინირებული სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებაზე.

ამ ამოცანას ემსახურება TRACECA-ს სამთავრობათაშორისო კომისია, რომელიც მიზნად ისახავს ხელშეკრულების ეფექტური რეალიზაციისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრას, მონაწილე ქვეყნების მთავრობების მიერ აუცილებელად გასატარებელი ღონისძიებების შემუშავებას და მისი განხორციელების ხელშეწყობას.

სამხრეთ კავკასიისათვის და განსაკუთრებით შავი ზღვისპირეთისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია შავი ზღვის პან-ევროპული სატრანსპორტო არეალის (PETRA) ქვეყნების თანამშრომლობა, რაც გულისხმობს ეფექტური და ინტეგრირებული მულტიმოდალური სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებას.

ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტად უსვამენ ხაზს ჩრდილოეთურ-სამხრეთული კორიდორის მნიშვნელობას სამხრეთ-კავკასიასთან მიმართებაში. ამ განზომილების ერთი მიმართულება მოიცავს კოლის ნახევარკუნძულიდან მოყოლებული, რუსეთის ტერიტორიის ტრანზიტს, აზერბაიჯანის ტერიტორიას, შემდეგ სამხრეთით ირანის ისლამურ რესპუბლიკას, გაერთიანებულ არაბულ საემიროებსა და ინდოეთს. რაღა თქმა უნდა, იგულისხმება, კომბინირებული გადაზიდვები, როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო. სხვათა შორის, ამ მიმართულებას უნიკალური შესაძლებლობა გააჩნია, რომ უმოკლესი გზით დააკავშიროს ერთმანეთს ჩრდილოეთ ევროპის – მათ შორის სკანდინავიის ქვეყნები – სპარსეთის უბის ქვეყნებსა და ინდოსტანის ნახევარკუნძულთან.

ჩვენ, ამ შემთხვევაში, ამ განზომილების მეორე მიმართულება გვანტერესებს, რომელიც უშუალოდ მოახდენს გავლენას საქართველოს შავი ზღვის პორტების განვითარებაზე. საუბარია აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენაზე, რაშიც დაინტერესებულია, როგორც საქართველო, ისე სომხეთიც. თუ ამას სომხეთისა და ირანის რკინიგზათა შემაკავშირებელი ახალი ტოტის მშენებლობა დაავსებავს, მაშინ ირანის უზარმაზარი პოტენციალი სამხრეთ კავკასიის ინფრასტრუქტურას დაუკავშირდება, რითაც იგი რკინიგზით რუსეთის ფედერაციასა და მთელ ევროპაზე გავა, ხოლო ევროპელები კი, პირიქით, სპარსეთის უბეზე გავლენ. რეალობა ისეთია, რომ პირდაპირი, ახალი ტოტის შექმნა უფრო ადვილად გადასაწყვეტია, ვიდრე ჯულფა – ნახიჭევანის მონაკვეთის ამოქმედება. ირანისა და აზერბაიჯანის ასტარას დაკავშირებას შვიდკილომეტრიანი ლიანდაგის აშენებით კი ირანის მთავრობა პოლიტიკური მოტივებით ახლო მომავლისათვის არც კი აპირებს.

სხვა გარემოება, რომელიც შესაძლოა, ასევე ჩვენს შავი ზღვის პორტებს შეეხო, დაკავშირებულია კომპანია „შვერონის“ მიერ ყაზახეთის თენგიზის საბადოდან რუსეთის ტერიტორიის ტრანზიტით, ნავთობის ტრანსპორტირებასთან ქ. ნოვოროსიისკში. ეს ოპერაცია, ზორციელდება CPC-ის ნავთობსადენით, რომლის სატრანსპორტო სიმძლავრე 67 მილ. ტონაა წლიურად. ამ რაოდენობის გარკვეული ნაწილი შავი ზღვის აუზების ქვეყნებში გადანაწილდება, მაგრამ დიდი მოცულობების ნავთობი, ბოსფორ-დარდანელის მსოფლიო ბაზრებს უნდა მიეწოდოს. ეს კი უბრალოდ წარმოუდგენელია ეკოლოგიისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. თურქეთი ამ პროექტის კატეგორიული წინააღმდეგი იყო დასაწყისშივე. ჯერჯერობით წლიურად რამოდენიმე ერთეული მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტირება ხდება ნოვოროსიისკიდან, მაგრამ რაც უფრო მეტად მიუახლოვდება ეს პროცესი საპროექტო ნიშნულს, წინააღმდეგობა თურქეთსა და რუსეთს შორის გაიზრდება, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მომავალში შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს ნოვოროსიისკიდან სახმელეთო ნავთობსადენის გამოყვანა აფხაზეთის მიმართულებით და მისი შემდგომი მიერთება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე. ეს უთუოდ ყველას ინტერესებში შედის. პრობლემაც სრულფასოვნად გადაიჭრებოდა. მაგრამ რუსეთის მთავრობა ტაქტიკური მოსაზრების გამო არ ჩქარობს, რადგან საკითხის გადაწყვეტის დაწყებაც კი საქართველოსადმი და საერთოდ აფხაზეთის საკითხისადმი მისი პოლიტიკის გადასინჯვას მოითხოვს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც შესაძლოა მომავალში საქართველოს ზღვისპირეთს შეეხო, არის ირანული გაზის ტრანსპორტირება ჩვენი ტერიტორიის გავლით ევროპასა და რუსეთისაკენ. ეს საკითხი ირანის მთავრობამ ქართული მხარის წინაშე ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში დააყენა. რაღა თქმა უნდა, ეს საქართველოსათვის ყველა შემთხვევაში მომგებიანია და ირანულ მხარეს ქართული მხარის თანხმობა ისევე ექნება გარანტირებული, როგორც სომხური მხარისა. აქ სხვა საკითხი იქნება გადასაწყვეტი: ირანული მხარე შეეცდება, რომ ყველა ქვეყანას ტრანზიტის ღირებულება გადაუხადოს, ხოლო საბოლოო პუნქტის მომხმარებლებისაგან მაქსიმალურად მაღალი ფასი მიიღოს.

რუსული მხარე კი ასეთ გარიგებებზე ადვილად არ მიდის. ის წინააღმდეგია, რომ საფასური მხოლოდ მისი ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის მიიღოს. იგი ალბათ შეეცდება, რომ საზღვარზე გაზი იყიდოს დაბალ ფასებში და შემდეგ კი ევროპულ ქვეყნებს მაქსიმალურად მაღალ ფასებში მიჰყიდოს იგი. ე.ი. დაახლოებით ისე, როგორც ეს რუსეთ – თურქმენეთის ურთიერთობებში ხდება. აღნიშნული მიდგომის გამო არ უერთდება რუსეთის მთავრობა ევროპის ენერგეტიკულ ქარტიას, რითაც ევროკავშირის ხელმძღვანელობის დიდ უმაცოფილებას იწვევს. ამ ვარიანტის ალტერნატივა არის გაზსადენის მოყვანა საქართველოს შავი ზღვისპირეთამდე და შემდეგ მისი წყალქვეშა გაგრძელება უკრაინამდე, რაც ტექნიკურად სრულიად შესაძლებელია – რუსეთის გაზსადენი “ცისფერი ნაკადი” შავი ზღვის ფსკერზეა ჩადებული და თურქეთამდე მიდის. ეს – შესაძლოა, უკრაინისათვის და მთელი დანარჩენი ევროპისათვის

ეკონომიკურად მომგებიანიც იყოს. უკრაინა გაზის დიდ დეფიციტს განიცდის და იძულებულია გაზი ნაწილობრივ თურქმენეთიდან რუსეთის ტერიტორიის ტრანზიტით შემოიტანოს. ენერგომატარებლობით უზრუნველყოფის საქმეში კი უკრაინის რუსეთზე დამოკიდებულება, ამ უკანასკნელს მასზე პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების ბერკეტებს აძლევდა ხელთ. რაც უკრაინას, საერთო ჯამში, წლების განმავლობაში მის მიერ დეკლარირებული ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის საგარეო – პოლიტიკის კურსის განხორციელების საქმეში ხელს უშლიდა.

პრინციპში, დასავლურ – აღმოსავლურ განზომილებაში, არც თურქმენულ გაზზე უნდა ეთქვას უარი. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანული „შაჰდენიზის“ გაზის მოპოვებამდე დასავლეთის კორიდორში თურქმენული გაზის ტრანსპორტირების საკითხი განიხილებოდა და ამ საკითხს „შელი“ და ისრაელის კომპანია - „მერკავე“ უწევდნენ კურიერებას. მაგრამ „შაჰდენიზის“ გაზის საბადოების შთამბეჭდავმა მოცულობამ თურქმენული გაზის ტრანსპორტირების საკითხი სავარაუდოდ მომავლისათვის გადადო. აზერბაიჯანული გაზი, რომელიც ახლა საქართველოს ტერიტორიას გადის, სამომავლოდ არამარტო თურქეთის ბაზარს მოემსახურება. უკვე ამუშავდა თურქეთისა და საბერძნეთის გაზგამანაწილებელი სისტემების დამაკავშირებელი მილსადენი. ეს კი საშუალებას იძლევა, რომ წლიურად 30 მილიარდი კუბური მეტრის გამტარუნარიანობის მქონე გაზსადენის 2/3 მანძი, რასაც თურქეთი მილსადენით აზერბაიჯანიდან მიიღებს, ევროკავშირისაკენ წავიდეს.

„შაჰდენიზის“ მოცულობის ექვლუატაცია 40 წელზეა გათვლილი. ე.ი. გაზის დიდი მოცულობები სამხრეთ კავკასიურ კორიდორში მომავალშიც საჭირო გახდება. მომავალში სავარაუდოდ, შესაძლებელია, რომ თურქმენული გაზი აღნიშნულ კორიდორში შემოვიდეს და სხვადასხვა ვარიანტით, ნაწილი ისევ თურქეთისაკენ წავიდეს, რათა მისი გარკვეული ნაწილი სამხრეთიდან ისევ ევროკავშირში შევიდეს. ასევე დასაშვებია თურქმენული გაზის შემოსვლა საქართველოს შავი ზღვის პორტში და იქ შესაბამისი ტერმინალების დაფუძნების შემდეგ, მოხდეს მისი ტრანსპორტირება ბულგარეთ-რუმინეთის მიმართულებით გემებით, ხოლო უკრაინის მიმართულებით კი – წყალქვეშა გაზსადენით. ამ თემას გარკვეულწილად ეხმარება ა.წ. გაზაფხულზე ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული „სინერჯი“ პოლიტიკა, სადაც ევროგაერთიანებამ ღიად დააფიქსირა მისი უახლოესი მიდგომები ცენტრალური აზიიდან ენერგომატარებლობისა თუ სხვა ბუნებრივი რესურსების დასავლურ-აღმოსავლური კორიდორის მეშვეობით მათი ევროპისათვის მიწოდებასთან დაკავშირებით.

ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის განვითარება მის პანევროპულ სატრანსპორტო არეალში ინტეგრაციას შეუწყობს ხელს და უფრო ეფექტურს გახდის ევროკავშირის PHARE და MEDA-ს პროგრამების გამოყენებას.

TRACECA-ს პროექტის წარმატებით განხორციელებაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია „BSEC“-ის ორგანიზაციას. მან არსებობის 15 წლის მანძილზე დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. ამ ორგანიზაციის ინსტიტუციონალურ-ორგანიზაციული სრულყოფის თვალსაზრისითაც ბევრი გაკეთდა – მათ შორის შეიქმნა „BSEC“-ის ბანკი, რომელსაც ბევრი მნიშვნელოვანი, მრავალმხრივ ინტერესებზე დაფუძნებული პროექტის დაფინანსება შეუძლია. საქართველოს, მისი ზღვისპირეთის განვითარების საქმეში უფრო ეფექტურად შეუძლია აღნიშნული ბანკის შესაძლებლობათა გამოყენება თუმცა მომავალში BSEC-ის ბანკთან მიმართებაში უნდა ვიყოთ კონკრეტულნი და ამავე დროს მომთხოვნიც, რადგან ჩვენს შავი ზღვისპირეთში განხორციელებული მაგ. სატრანსპორტო-საკომუნიკაციო თუ რეკრიაციული პროექტის წარმატებული განხორციელება სავსებით შეესაბამება BSEC-ის პარტნიორი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებსაც.

სატრანსპორტო ტვირთნაკადების ზრდა მოითხოვს არსებული გზატკეცილების რეაბილიტაციას ან სულაც ახალი, საერთაშორისო სტანდარტების, მქონე ავტომაგისტრალების მშენებლობას. სამხრეთ-კავკასიურ კორიდორში არსებული გზების დონე კი სამწუხაროდ ვერ პასუხობს დღევანდელი მოთხოვნებს. დღეისათვის აზერბაიჯანშიც და საქართველოშიც უკვე დაგეგმვა პირველი ნაბიჯები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

TRACECA-ს პროექტის პერსპექტივებზე, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების პროცესზე უდაოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს. აქ არსებული კონფლიქტები და რეგიონის ქვეყნების განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები. დამატულობის განეიტრალებასა და დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მხრივ სამხრეთ-კავკასიის რეგიონით დაინტერესების საქმეში დიდი მნიშვნელობა მიეკუთვნება ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას სამხრეთ-კავკასიურ კორიდორში.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-ერზრუმის მილსადენები თუმცა უშუალოდ არ გაივლიან საქართველოს შავი ზღვისპირეთს, მაგრამ მათი მნიშვნელობისა და სამომავლო ექსპლუატაციის საკითხი შავი ზღვისპირეთის განვითარებისათვის დამატებით მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგებს. რაც მათი მშენებლობის დასაწყისშივე დადასტურდა, როცა საქართველოს პორტებმა სრული დატვირთვით დაიწყეს აღნიშნულ მილსადენთა მშენებლობისათვის საჭირო დიდი მოცულობის მასალა – დანადგარების მიღება – დამუშავება.

მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც ასევე განსაზღვრავს საქართველოს შავი ზღვისპირეთის სამომავლო განვითარებას, არის ტელეკომუნიკაციების სფერო. უკვე დაწყებულია თანამშრომლობა რეგიონში, თანამედროვე საიმედო კავშირგაბმულობის ქსელის შექმნის მიზნით. ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ ახალი ბოჭკოვანი ოპტიკური კაბელის გაყვანამ სამხეთ-კავკასიაში XXI საუკუნის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურებს ჩაუყარა საფუძველი.

დასაწყისისთვის 1999 წლის ნოემბერში სამხრეთ-კავკასიის რკინიგზისათვის სატელეკომუნიკაციო ქსელის შექმნის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დაფინანსების საფუძველზე ოპტიკური კაბელი დამონტაჟდა, რომელიც TRACECA-ს მარშრუტის გასწვრივ განლაგებულ 133 სადგურს მოემსახურება. პროექტმა ერმანეთთან დაკავშირა საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვაო პორტები, ფოთი და ბაქო, ასევე თბილისი და ერევანი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრანს – აზია – ევროპის სატელეკომუნიკაციო სისტემაში ჩართული 21 ქვეყნის თანამშრომლობას. ამ სისტემისთვის განსაკუთრებით ღირებული და საქართველოსთვის კი ძალზედ მომგებიანია TAE-ს პროგრამა – საქართველო – თურქეთის შორის მოქმედი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირი, რომელიც 2006 წ. დამყარდა.

პერსპექტივაში ასევე გათვალისწინებულია „აბრეშუმის გზის“ გასწვრივ ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და მონიტორინგის სატელიტური ქსელის შექმნა, რაც ევრაზიულ დერეფანს ახალ ხარისხობრივ განზომილებას შესძენს.

ზემოთ მიმოხილული გარემოებები, ხაზს უსვამს საქართველოს შავი ზღვისპირეთის მნიშვნელობასა და მისი განვითარების დიდ შესაძლებლობებს. TRACECA-ს სრული დატვირთვით ამოქმედების შემთხვევაში დიდად გაიზრდება აღმოსავლეთიდან სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით და დასავლეთიდან საზღვაო ტრანსპორტით შემოზიდული ტვირთნაკადების მოცულობა. რაც საქართველოს შავი ზღვისპირეთის პორტების გაფართოვებისა და რეკონსტრუქციის აუცილებელ წინაპირობას შექმნის. დღეს ძნელია ზუსტად განისაზღვროს თუ რამდენი ათეული მილიონი ტონის ნიშნულზე შეიძლება გასვლა, მაგრამ 90-იანი წლების პირველ ნახევარში გაკეთებული საპროგნოზო მაჩვენებლების თანახმად შესაძლებელია, რომ ტვირთნაკადებმა დაახლოებით 40 მილიონი ტონა შეადგინოს. დღეისთვის კი ჩვენი პორტები 10-ჯერ ნაკლებ ტვირთს ამუშავებენ. მომავალში, არსებულ პორტებს ყულევისა და ანაკლიის პორტებიც შეემატება, რაც პორტებს შორის ტვირთის რაციონალურად და თემატურად გადანაწილების შესაძლებლობასაც მოგვცემს. მაგ. ყულევის პორტის მშენებლობისას გათვალისწინებული იყო მისი გამოყენება თურქმენეთიდან მიღებული ნავთობპროდუქტების დასამუშავებლად. ყულევის პორტი რომელიც ა/წლის დეკემბერში უნდა ჩაღვს მწყობრში წლიურად 10 მლ.ტონა ტვირთს გადაამუშავებს. აქვე აშენდება თხევადი გაზის ტერმინალები და ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ვფიქრობთ, რომ მას შემდეგ, რაც მოხდება TRACECA-ს მთელს სივრცეში „ვიზა-ტვირთის“ სისტემის ამუშავება, პროცედურების გამარტივება და შეღავათიანი ტარიფების დაწესება – ე.ი. დამყარდება ცივილური წესრიგი, ძალზედ მალე გადაიჭრება ზემოთ აღნიშნული საკითხები და ვფიქრობთ, რომ უპრიანი იქნება, რომ საქართველოს პორტების განვითარების საქმეში, სხვადასხვა ტერმინალთა მშენებლობაში. მაგ: ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ხორბლის, ბამბისა და სხვა.სხვებთან ერთად, ცენტრალური აზიის ქვეყნების სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებსაც სურთ მონაწილეობის მიღება.

TRACECA-ს ამოუწურავ შესაძლებლობათა კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება ფოთის პორტიდან ტაჯიკეთამდე ბოქსიტების თიხამიწების ტრანსპორტირება და იქ ალუმინის სხმულების გამოდნობა-დამზადება. როგორც ცნობილია, ალუმინის წარმოებას უზარმაზარი ელექტროენერგია სჭირდება, რაც ჭარბადაა ტაჯიკეთის ვაჰმისა და ნურეკის ელსადგურებში. გამზადებული პროდუქცია, ტაჯიკეთიდან, იგივე გზით ისევ ფოთის პორტში შემოდის, ეს კი საქართველოსა და ტაჯიკეთს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თითქმის ერთადერთი შემთხვევაა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შავი ზღვისპირეთის განვითარების უმთავრეს ფაქტორებს წარმოადგენს მრავალდარგობრივი ტრანსპორტი და მისი ოპტიმალური და შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სფერო.

საქართველოს პორტების განვითარება-გაფართოვება აუცილებლად გამოიწვევს ცვლილებებს განსახლების სისტემებში, რაც ახალი საპორტო ქალაქების, სატერმინალო ცენტრების თუ ტექნიკური მომსახურების დასახლებების შექმნას გულისხმობს. ტვირთთა გადაზიდვის მრავალჯერადი გაზრდის შემთხვევაში კი საჭირო გახდება დამატებითი სამუშაო ძალა, რომელიც საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონის გამო, პირველ ეტაპზე ჩვენს მიერ განსახილველი რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მუშახელით შეიძლება დაკმაყოფილდეს, მომდევნო ეტაპებზე შესაძლოა შიდა მიგრაციული პროცესები უფრო ინტენსიური გახდეს და შრომითი რესურსების მოზღვავება მთელი დასავლეთ საქართველოდან დაიწყოს. არაა გამორიცხული თბილისისა და აღმოსავლეთის რეგიონების სამუშაოს მაძიებელთა გარკვეული გააქტიურებაც ამ მიმართულებით. რადგან სასოფლო წარმოების რეგიონთა მცხოვრებნიც კი, რომელთაც მიწა საკუთრებაში გააჩნიათ, წლის გარკვეული სეზონების პერიოდში დამატებითი შემოსავლის ძებნაში არიან. თუმცა სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სფეროს განვითარება გულისხმობს შრომითი რესურსების მიერ ახალი პროფესიების დაუფლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომითი ჩვევების გამომუშავებას და სხვა სტრუქტურულ ცვლილებებს. ცვლილებები მოსალოდნელია ასევე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობაშიც პერსპექტივაში ქალაქური ცხოვრების წესი სულ უფრო მეტად გავრცელდება. აიწვევს ურბანიზაციის დონე, რასაც ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ნებისმიერი დარგი თუ მიმართულება შეუწყობს ხელს. თვით ზღვისპირა სოფლის მეურნეობაც კი ახალ ვითარებაში და ახალი რეალობების გათვალისწინებით უფრო მეტად ინტენსიური გახდება, რაც მეტი მუშა – ხელის გამონთავისუფლებას გულისხმობს. თუმცა ამ რეგიონის სოფლის მეურნეობაში, სრულ მანქანურ წარმოებაზე გადასვლა არ მოხდება. რაც ჩაის, სუბტროპიკული კულტურების, ხილის, ბოსტნეულის, თხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების სპეციფიკითაა განპირობებული. ჩაი საბჭოურ პერიოდში, უზარმაზარ შრომით რესურსებს, მათ შორის ქალთა შრომას, მოითხოვდა. 80-იან წლებში საქართველო და ინდოეთი დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ჩაის – 500 ათას ტონას აწარმოებდა. დამოუკიდებელ საქართველოში კი ჩაის წარმოების მოცულობა განპირობებული იქნება კერძო სტრუქტურების ინიციატივით, შესაძლებლობებით და ასევე დარგში მოზიდული ინვესტიციების დონით. თუმცა ჩაიზე მოთხოვნილება იზრდება, მაგრამ საქართველოს ჩაის წარმოება ახლო პერსპექტივაში ალბათ ვეღარ მიაღწევს საბჭოური პერიოდის წარმოების მოცულობას.

საბჭოურ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურას ე.წ. საკავშირო სპეციალიზაცია განსაზღვრავდა. მთელ გარდამავალ პერიოდში შეინიშნებოდა ძველი სტრუქტურის რღვევისა და ახალი რეალობიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო წარმოების, როგორც შინაარსობრივი ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების ცვლილება. აღნიშნული ადაპტაციის პროცესი, როგორც შიდა, ისე საგარეო ბიზნესთან მიმართებაში ძალზედ მტკივნეულად წარიმართა. ახალ ვითარებაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უპირატესი მოშენება, რასაც შავიზღვისპირეთში და საერთოდაც მთელს კოლხეთის დაბლობზე, დასავლეთ საქართველოში შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური წინაპირობები გააჩნია – დარგის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს. როგორც ცნობილია, განვითარებულ სახელმწიფოთა სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში, მთავარი ადგილი ინტენსიურ მეცხოველეობას – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას უკავია. მისი ნედლეულისაგან კი ათობით დასახელების სხვადასხვა პროდუქცია იქმნება.

სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგები თავიანთი სანედლეულო ბაზით აუცილებელ პირობას ქმნიან ე.წ. აგრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის, რაც როგორც შავიზღვისპირეთისათვის, ისე მთელი საქართველოსათვის, მომავალში, ეროვნული ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარე უპირატესი განვითარების რეჟიმში წარიმართება და ჩვენი ქვეყნის საქსპორტო შესაძლებლობებს გაზრდის.

საქართველოში აგროსამრეწველო სექტორის უპირატესი განვითარება შრომითი რესურსებისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების შეძლებისდაგვარად თანაბრად განლაგებისა და განვითარების კარგ პირობას შექმნის. ეს დარგიც ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელებასა და დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ქალაქის მოსახლეობის ზრდა, ახალი ინტელექტუალური და ტექნიკური პროფესიების მოჭარბება, ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენა და არსებულ განსახლებათა სისტემების მოდერნიზება და ურბანიზება, ასევე მათი ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება აღნიშნული დარგის განვითარების თანხლები პროცესები და გარემოებები გახდება.

შავი ზღვისპირეთის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი დარგი, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დარგების გვერდით აუცილებლად გახდება რეკრიაცია და ტურიზმი. ძნელია გადაჭარბებით არ შეაფასო ამ დარგის როლი მთელი მსოფლიოს ეკონომიკაში და ის უზარმაზარი მოგება

რაც ამ სფეროს მოაქვს, არა მარტო ზოგიერთი განვითარებადი, არამედ ბევრი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვისაც. მაგ: 40 მილიონიანი ესპანეთი ყოველწლიურად 50 მლნ დამსვენებელსა და ტურისტს იღებს, რაც ქვეყანას მილიარდობით დოლარის შემოსავალს აძლევს.

საბჭოური პერიოდის ბოლოსათვის საქართველოში ზუთ მილიონამდე ტურისტი და დამსვენებელი ჩამოდიოდა, მათ შორის დიდი ნაწილი – შავი ზღვისპირეთში. მაშასადამე, ზუთ მილიონიანი ქვეყანა დაახლოებით ამდენივე სტუმარს იღებდა. რა თქმა უნდა, მაშინ სტანდარტებიც საბჭოური იყო და სტუმრებიც ძირითადად საბჭოეთიდან ჩამოდიოდნენ, მცირე გამონაკლისით იყვნენ ტურისტები სოც. ქვეყნებიდან და კაპიტალისტური სამყაროდანაც.

საქართველოს შავი ზღვისპირეთის შესანიშნავი, ბევრ შემთხვევაში უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები ქვეყნის მთელი სანაპირო ზოლის გასწვრივ რეკრეაციული და ტურისტული კომპლექსების აშენებისა და მათი მომგებიანი ექსპლუატაციის პერსპექტივებს ქმნის.

ლაპარაკია მთელი სანაპირო ზოლის ათვისებაზე, თუმცა საკითხი გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. ჯერ კიდევ მეფის რუსეთისა და საბჭოური პერიოდიდან ქვეყნის შავი ზღვისპირეთში ჩამოყალიბდა რეკრეაციული წყვეტილი ზოლი. ათვისებული იქნა ყველაზე მოხერხებული, ლამაზი, ბუნებრივი, სუბტროპიკული ლანდშაფტების მქონე ტერიტორიები. თანაც ათვისებას ექსტენსიური ხასიათი ჰქონდა და არ ითვალისწინებდა თანამედროვეობის კომფორტის აუცილებელი ობიექტების არსებობასა და სხვა მახასიათებელ პირობებს. ზოლის ათვისება ძირითადად აჭარასა და აფხაზეთში მოხდა და სრულიად იქნა იგნორირებული ამ ორ რეგიონს შორის არსებული სანაპირო ზოლი და მისი რეკრეაციული კუთხით გამოყენების პოტენციური შესაძლებლობები. ეს ძირითადად განპირობებული იყო იმ ეპოქებისათვის დამახასიათებელი დოგმატური მიდგომებით, რაც ყოველად შეუთავსებელია დღევანდლობასთან. ე.ი. დღეს უნდა მოხდეს ამ სფეროს ინტენსიური განვითარება მთელი სანაპირო ზოლის საქმეში ჩართვით, რაც შავი ზღვისპირეთსა და მთელ ქვეყანასაც დიდ მოგებას მისცემს.

მაგრამ ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა მთელი სანაპირო ზოლის ათვისება – რა თქმა უნდა, არა. სანაპირო ზოლში ჩვენ შეგვხვდება დიდი ქალაქები, პორტები, ნავთობისა და გაზის ტერმინალები, ტექნიკური მომსახურების ცენტრები და სხვა, ესე იგი გარკვეული განსახლებითი თუ ტექნოგენური ჩანარობები, რომელიც ამ რეკრეაციული სივრცითი ზოლის წყვეტილობას გამოიწვევს. მაგრამ თვით ამ ჩანარობებში – მაგ. ბათუმი, ჩაქვი, ქობულეთი, კოლხეთის ეროვნული პარკი, ფოთი, ოჩამჩირე, გუდაუთა, სოხუმი, გაგრა და სხვა, არსებობს სანაპირო ზოლის უბნები აღნიშნული ქალაქების ფარგლებში, რომლებიც უკვე განეკუთვნება რეკრეაციის სფეროს, თავისი პლაჟებითა და საკურორტო ნაგებობებით.

დღეისათვის შავი ზღვისპირეთის სანაპირო ზოლში, აღნიშნული ჩანარობების გარდა, შეიძლება გამოიყოს:

1. ზოლი სადაც უკვე არსებობს რეკრეაციული ნაგებობები, მაგრამ ამორტიზირებულია, ძველია ან საქართველოს შავი ზღვისპირეთის რეკრეაციული დარგის განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე (რაც ალბათ დაფიქსირდება გენ. გეგმაში და აქ ჩამოსულ დამსვენებელთა და ტურისტთა წლიურ რაოდენობასაც გაითვალისწინებს – ერთეული პირობითი ადგილი) საჭიროებს ახალი კომპლექსების მშენებლობას.
2. ზოლი, რომელიც უკვე ათვისებულია და დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით: ბაღები, ყანები, მიწები, საძოვრები და სხვა. ისინი გარკვეული თანაფარდობით სახელმწიფო და კერძო სექტორსაც განეკუთვნებიან. ამ სავარგულების ამონაგები ძალზედ მწირია, თანაც საჭირო იქნება მხოლოდ გარკვეული სივრცის ზოლის ჩამოჭრა კომპლექსების მშენებლობისათვის. რაც შეეხება სხვა გეომორფოლოგიური თუ ჰიდროგრაფიული ხასიათის შეზღუდვებსა და ჩანარობებს, ისინი, ორგანულად ჩაეწერებიან და შეერწყმებიან სამომავლო რეკრეაციული კომპლექსების ესთეტიკურ-ბუნებრივ ლანდშაფტებს.
3. ზოლი, რომელიც დღეისათვის საერთოდ აუთვისებელია. მე-2 და მე-3 შემთხვევაში უმეტესწილად საჭირო გახდება ხელოვნური პლაჟების მოწყობა, რაც თანხებთანაა დაკავშირებული, თუმცა დარგის მომგებიანობიდან გამომდინარე კერძო სტურქტურები (მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე რეკრეაციის სფერო კერძო ინიციატივას ეფუძნება) შესაძლოა წავიდნენ ასეთ დანახარჯებზე.

საქართველოს შავი ზღვისპირეთის რეკრეაციული სფეროს განვითარება განაპირობებს განივი და ამავე დროულად ღრმად ეშელონირებული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც პირობითად შემდეგნაირად გამოიყურება:

1. პლაჟის ზოლი და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე სერვისის ობიექტები.
2. სასტუმრო კომპლექსები, აუზები, რესტორნები, სხვა კულტურული ინფრასტრუქტურის ობიექტები,

სანაპირო ბულვარები და მათი მომსახურებისათვის საჭირო სხვა ნაგებობები.

3. ტყე-პარკები, რომლებიც ამ კომპლექსებს მომიჯნავე რაიონებისაგან გამოყოფს.
4. ტექნიკური ინფრასტრუქტურა: ავტოგარაჟები, ავტოტექმომსახურების ცენტრები, სამრეცხაოები და სხვა დამხმარე ობიექტები.
5. რეკრიაციის წარმატებული განვითარების შემთხვევაში შავი ზღვისპირეთში ასეულ ათასობით ადამიანმა შეიძლება დაისვენოს. ამ ვითარებას კი კვების უზარმაზარი ინდუსტრია უნდა უმაგრებდეს ზურგს. ამიტომ პირობითად მომდევნო და ამავდროულად აღნიშნული ინფრასტრუქტურის ბოლო ზონა აუცილებლად დაეთმობა რეკრიაციის სფეროს დამხმარე მეურნეობებს ძროხის, ღორის, ფრინველის ხორცის საწარმოებლად; თევზის, თაფლის, ხილის, ბოსტნეულის დასამზადებლად და სხვა.

ამ დამხმარე მეურნეობებმა შესაძლოა ნაწილობრივ დააკმაყოფილონ სფეროს მოთხოვნები. ამიტომ, შეკვეთათა გვარიანი რაოდენობები გაცდება შავი ზღვისპირეთის ფარგლებს და ალბათ სიღრმისეულად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს. აღნიშნული გარემოება კი სოფლის მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელ ფაქტორად მოგვევლინება.

რეკრიაციული სფეროს განვითარება გულისხმობს ათი ათასობით მუშახელის დასაქმებას, მათი კვალიფიკაციის ზრდას, ახალი პროფესიების გაჩენას. ეს პროცესი ითვალისწინებს არა მარტო შავი ზღვისპირეთში მცხოვრები შრომითი რესურსების დასაქმებას, რომლებიც პრინციპში შესაძლოა, რომ ქანქარისებული მიგრაციის ფორმით იყვნენ საქმეში ჩართულნი, არამედ ასევე მუშაძალას მთელი დასავლეთ საქართველოდან და გარკვეული რაოდენობით, ალბათ, აღმოსავლეთიდანაც.

აღნიშნული პროცესები ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელებას შეუწყობს ხელს. გაძლიერდება ურბანისტული პროცესები, შეიქმნება მომსახურების დარგის მრავალრიცხოვანი ცენტრები, ტექნიკური და კულტურული ინფრასტრუქტურა. ახალ, თანამედროვე დონეზე დაფუძნებული პროფესიები, რაც ქალაქის და სოფლის მოსახლეობის დღევანდელ თანაფარდობაზე იმოქმედებს და განსაზღვრის იერსახესაც დაამჩნევს კვალს. რეკრიანტი ამავდროულად ტურისტადც გვევლინება. მათ სხვადასხვა მარშრუტებისა თუ პროგრამების მეშვეობით შეეძლება დასავლეთ საქართველოს წარმატადი ბუნებრივი ლანდშაფტებისა თუ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დათვალიერება. მაგ: სვანეთისა და აჭარის მთიანეთის სტუმრობა, ასევე ქუთაისის გელათისა თუ სათაფლიას სტუმრობა. ეს გარემოება კი ადგილებზე ხალხური რეწვის განვითარებას შეუწყობს ხელს და ამ შემთხვევაში ტურისტთა მიერ დახარჯული ფული სხვა რეგიონების მოსახლეობაშიც აკუმულირდება.

დაბოლოს, უზარმაზარ შესაძლებლობებს გვაპირდება შავი ზღვისპირეთი – შესაძლოა ქალაქ ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის პერსპექტივა. იგი გულისხმობს შეღავათიან გარემოში უცხოური ინვესტიციებით მრეწველობის დარგების, მათ შორის ალბათ უახლესი დარგების: ჰაიტექის, ელექტროტექნიკური, აპარატურის, ზუსტი ხელსაწყოების, ნანოტექნოლოგიების განვითარებას. ეს უდაოდ გაზრდის ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობებს, ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტს დასაქმების პრობლემას. ამ დარგებმა შეიძლება მოიზიდონ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ის საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი, რომელიც საბჭოეთის დაშლის შემდეგ, ახალ ვითარებაში დაუსაქმებელი დარჩა. იმედია, რომ ასეთი კადრები ჯერ კიდევ შერჩა ჩვენს ქვეყანას.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი დამატებით იმპულსს შეძენს საქართველოს შავი ზღვისპირეთის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას.



თვალსაზრისი

**საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი
პრობლემები და მათი დაძლევის გზები**

საქართველოში განხორციელებული სტრუქტურული გარდაქმნებისა და ეკონომიკური რეფორმების პროგრამების ფონზე, დღეისათვის ქვეყანას არა აქვს ისეთი ეკონომიკური გარემო, რომელიც გატარებული ღონისძიებების პერსპექტიულობის, პროგრესულობისა და ეფექტურობის შესახებ მსჯელობის საფუძვლად გამოგვადგება. საყოველთაოდ ცნობილი მიზეზის გამო, შეგნებულად ვუვლი გვერდს ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენებას და წინამდებარე თვალსაზრისის ჩამოყალიბებისას ვეყრდნობი ჩვენი ქვეყანის ფაქტიურ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.

დავიწყებ იმით, რომ ჯერჯერობით არ ჩანს უკვე გატარებული რეფორმების დადებითი გავლენა, რომელიც უნდა აწესრიგებდეს და აჯანსაღებდეს ქვეყნის ეკონომიკას. მართვის ახალმა მექანიზმმა, საწარმოო სიმძლავრეების ყოველგვარი ეკონომიკური დასაბუთების გარეშე პრივატიზაციამ და მათმა უმოქმედობამ, სამომხმარებლო ბაზარზე ეროვნული სასაქონლო პროდუქციის დეფიციტმა, მასობრივმა უმუშევრობამ, ინფლაციის შეუქცევადმა პროცესებმა, საგარეო ვალების ზრდამ და სხვა მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს საქართველოში არსებული კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავება და მოსახლეობის ძირითადი ნაწილის გადატანა. ამასთან, ეკონომიკური კრიზისი შეიძლება შეფასდეს ხელოვნურად, რადგან ქვეყანას აქვს როგორც მატერიალური, ისე საწარმოო სიმძლავრეებისა და ინტელექტუალური რესურსების საკმაო პოტენციალი.

ამ პირობებში ფაქტია, რომ უცხოელთა რეკომენდაციების საფუძველზე გატარებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, გაანგარიშებულია რეკომენდატორების ინტერესებზე და არა ჩვენი და ჩვენი მსგავსი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებასა და აღმავლობაზე.

ეკონომიკური რეფორმების გატარების დღევანდელი შედეგი ლოგიკურად აიხსნება იმით, რომ მათი დაწყებისას ქვეყანას არ გააჩნდა და დღემდე არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიული გეგმა, წარმოების პროცესის აღდგენისა და განახლების, არსებული საწარმოო სიმძლავრეებისა და შრომითი რესურსების გამოყენების პროგრამები.

როგორც მთელი ქვეყანა, ისე მისი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მოუშვადებელი აღმოჩნდა საბაზრო პრინციპების დაცვით ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის. წარმოების საშუალებათა საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში, საკითხიც კი არ დასმულა ეკონომიკის კომპლექსურად განვითარების შესახებ, ან კიდევ საზოგადოების იმ წევრების სოციალური დაცვისათვის, რომელთაც პრივატიზაციის შედეგად დაკარგეს სამუშაო და მოითხოვდნენ სახელმწიფოს მხარდაჭერას.

საკუთრების ფორმების შეცვლა, მთელი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მსოფლიო აუქციონზე გატანა და მისი გასხვისება, ბუნებრივია, რომ ვერ აღმოფხვრიდა ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ძირითად მიზეზებს – საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებას, ეროვნული შემოსავლის გაზრდას, ინფლაციური პროცესების შეჩერებას, სამომხმარებლო ბაზრის აღდგომაში საჭირო გაჯერებას და ვერ გააუმჯობესებდა მაკროეკონომიკური განვითარების სხვა ინდიკატორებს. ამიტომ, იმთავითვე ნათელი იყო, რომ „ყველაფრის გაყიდვის“ პროგრამა ვერანაირად ვერ უზრუნველყოფდა ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას. უფრო მეტიც, ეროვნული სიმდიდრის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგებით ბიუჯეტის შევსებამ და ამ სახსრებით მიმდინარე ხარჯების დაფარვამ, კიდევ უფრო გაამწვავა კრიზისი და გააუარესა სოციალური მდგომარეობა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მართლ „თელასის“ გასხვისების შედეგებიც კმარა, რის შედეგად, ერთ კვტ/სთ ელექტროენერგიაში მოსახლეობა დღეს თითქმის სამჯერ უფრო ძვირს – 18 თეთრამდე იხდის.

განსაკუთრებით მტკივნეულია ქვეყნის ტრადიციული დარგის – აგრარული სექტორის სრული გაჩანაგება. პრაქტიკულად ჩაკვდა მეჩაიეობის, მეხილეობის, მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა ტრადიციული დარგები; არ მუშაობს გადამამუშავებელი (ღვინისა და საკონსერვო) მრეწველობის საწარმოთა უმეტესობა. სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე არაექვივალენტურმა გაცვლამ გლეხი მიწისგან გააუცხოვა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ურბანიზაციის შეუქცევადი პროცესი. აგრარული დარგის კერძო სექტორში საფრთხის წინაშეა არა მხოლოდ გაფართოებული, არამედ მარტივი კვლავწარმოების პროცესი – აქ „ურემი უკვე გადაბრუნდა...“.

სწორედ ასეთი მწარე სინამდვილის აღქმამ და უარესის მოლოდინმა აიძულა ყოველი მეზუთე ქართველი დაეტოვებინა სამშობლო, ოჯახი, ყველა და ყველაფერი და ეკონომიკურ მიგრანტად ქცეულიყო. ეს მაჩვენებელი ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ალბათ ნახევარია.

სწორედ ასეთმა მდგომარეობამ გამოიყვანა ხალხი ქუჩაში მასობრივად...

არსებული პრობლემების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

დღეს, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, რაიმე დახურული მოდელის შექმნაზე ფიქრიც კი უაზრობაა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გლობალიზაცია ადამიანებისათვის სასარგებლოცაა და საზიანოც. გლობალიზაციის შედეგად აყვავდა ზოგი ქვეყნის ეკონომიკა და სათავე დაედო განვითარების ახალ მართულებებს, მაგრამ უდავოა, რომ იგი უფრო ხელსაყრელია მდიდრებისა და ძლიერებისათვის, ვიდრე ღარიბებისა და უძლურებისათვის.

ამგარა, რომ გლობალიზაციამ ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემები კიდევ უფრო გაამწვავა და მათი გადაწყვეტის ნაცვლად თვითონ იქცა პრობლემად.

შექმნილ ვითარებაში უალტერნატივოდ მიმჩნია სასურსათო პრობლემის საკუთარი წარმოების ბაზაზე გადაწყვეტა და სამომხმარებლო ბაზრის ეროვნული სასაქონლო პროდუქციით გაჯერება, რაც ქვეყნის მმართველობის უპირობო მხარდაჭერას მოითხოვს. ნუთუ ქვეყნის ბიუჯეტში არ შეიძლება გამოიხატოს სახსრები სარწყავი სისტემის აღდგენისა და მისი საექსპლუატაციო ხარჯების დასაფარავად? ვის ეკუთვნის სარწყავ წყალზე გადასახადების დაწესების იდეა? უკიდურესად მძიმე პირობებში დაბუშაგებულ მიწას გვალვის დაწყებისას სარწყავი წყლის მიწოდებას რომ შევუწყვეტთ გადასახადის გადაუხდელობის მოტივით, იგი მოსვალს მოგვცემს? ასეთ გარემოში გლეხი ისევ დაბუშაგებს მიწას?

წყლის რესურსებით განუზომლად მდიდარ ქვეყანაში სარწყავ წყალზე გადასახადის დაწესება, ჩემი აზრით, დიდი მკრეხელობაა. ნუთუ ასეთი გადაწყვეტილებების მიმღებთათვის არ არის ცნობილი, რომ უძლიერესი ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც კი სისტემატურად დგება საკითხი გადასახადების შემცირების და არა მათი გადიდებისა და ახალი სახის გადასახადების დაწესების შესახებ, რადგან ასეთ ღონისძიებებს ავადმყოფი ეკონომიკის საკუთარ სამკურნალო საშუალებად მიიჩნევენ.

ჩვენ არა გვაქვს უფლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გზად დედამიწის უძლიერესი სახელმწიფოების მიერ განვლილი გზა ავირჩიოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მასშტაბებით, განვითარების მართულებებითა და ბაზისით აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობა გვქონდა და გვაქვს. ამერიკამ და სხვა განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივი - კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების - გზის გავლით განვითარების ზენიტს მიაღწიეს და დედამიწის ზესახელმწიფოებად იქცნენ. დღეს ეს ქვეყნები თავინთი ეკონომიკის მოცულობითა და სიძლიერით, უზარმაზარ ინერციულ ძალას ფლობენ, რითაც შეუძლიათ გადაიტანონ უმძიმესი დარტყმები და მაინც “წყლის ზედაპირზე მოტივტივეებად დარჩნენ”. ასეთ ქვეყნებს პოლიტიკური ზედნაშენი ანუ მმართველობა, მასშტაბური შეცდომების დაშვების შემთხვევაშიც კი, დიდ და გამოუსწორებელ ზიანს ვერ მიაყენებს, რადგან ეს ზედნაშენი ძლიერ ბაზისს (ეკონომიკას) ეყრდნობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იქ ხალხის მოთხოვნებს სხვა ძალა აქვს და ხელისუფლებაც სხვანაირად აღიქვამს და ანგარიშს უწევს ამ მოთხოვნებს.

ჩვენთან სხვა მდგომარეობაა – ამერიკული თესლიც კი არ ხარობს ჩვენს მიწაში, არამც თუ მათ მიერ რეკომენდირებული მეთოდები გამოგვადგეს ეკონომიკის აღდგენის, მართვისა და განვითარებისათვის. ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება არ შეესაბამება ასეთი ქვეყნების მიერ განვლილ გზებს. ჩვენთან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოო სიმძლავრეების განსახელმწიფოებით დაიწყო, რაც დამახასიათებელია მხოლოდ პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებისათვის. ამ პირობებში ქვეყნის ეკონომიკის სწორად მართვის აპრობირებული მეთოდები, მით უმეტეს ამა თუ იმ მოდელით მართვის დადებითი შედეგები, ბუნებაში არ არსებობს - პოსტსაბჭოური სივრცის თითქმის ყველა ქვეყანა ერთი და იმავე პრობლემებით ცხოვრობს.

მაქვს უდიდესი სურვილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა იყოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ღონეზე, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა მაიძულებს ვაღიარო მწარე სინამდვილე – სურვილი შორსაა სინამდვილისაგან. დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას ალბათ ანალოგი არ მოეძებნება მთელი მისი არსებობის ისტორიაში.

რას შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან? პირველ რიგში უნდა შეიქმნას მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული პროგრამა. მაგრამ თავისთავად განვითარების ვერც ერთი მიკრო თუ მაკრო ეკონომიკური პროგრამა ტაძრამდე ვერ მიგვიყვანს, თუ განვითარების

სწორ გზაზე რეალური მოქმედების ნაბიჯებს არ და ვერ გადავდგამთ. ამისათვის კი უპირველეს პირობად ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური კლიმატის შექმნა მიმაჩნია. ადამიანს, როგორც სოციალურად, ისე სამართლებრივად, კანონი უნდა იცავდეს; ამასთან, კანონის უზენაესობა რეალურად უნდა იყოს აღიარებული და დამკვიდრებული. საზოგადოებას პროდუქციის წარმოების ინტერესი უნდა დაუბრუნდეს და მისი საკუთრების დარცვა-გლეჯის, ნგრევისა და წართმევის სინდრომი უნდა გაქრეს.

დღეისათვის ყველაზე საგანგაშოდ მწარმოებელთა გაქრობისა და საზოგადოებაში მომხმარებლის ფსიქოლოგიის დამკვიდრება მიმაჩნია. მეურნე ოჯახს მეზობლისაგან რაიმეს სესხება თუ სჭირდება, ნატურალურმა მოსავალმა ან ფულადმა შემოსავალმა, მას სესხიც უნდა გაასტუმრებინოს და მოძავალი პერიოდის მარაგიც შეუქმნას. სახელმწიფოც ოჯახის ამ პრინციპით უნდა ცხოვრობდეს. ნასესხებ კაპიტალს თუ მთლიანად მოვიხმართ, სესხის გასტუმრების ვერავითარ წყაროს ვერ შევქმნით. ასეთი მსესხებელი კი ავტომატურად დაკარგავს სესხის განმეორებით აღების როგორც სამართლებრივ, ისე მორალურ უფლებას, მით უმეტეს თუ ნასესხებთან ერთად საკუთარი ეროვნული სიმდიდრის გაყიდვით მიღებულ შემოსავლებსაც “მომხმარებლის ფონდად” აქცევს.

ჩვენ თვითონ უნდა ავირჩიოთ განვითარების ისეთი საკუთარი გზა, რომელიც ჩვენს პირობებს მიესადაგება, ქვეყნის ეკონომიკის რეალურ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული და გამოგვიყვანს უმძიმესი მდგომარეობიდან. ასეთ გზად კი მიმაჩნია:

- სამრეწველო პოტენციალისა და ტრადიციული სტრატეგიული დარგების აღდგენა, აღორძინება და განვითარება; პარალელურად რუსეთის ალტერნატიული გასაღების ბაზრების მოპოვება და იქ მყარად დავამკვიდრება;
- არსებული ჰიდრორესურსების მაქსიმალურად გამოყენება და ძვირადღირებული თბორესურსების შესყიდვაზე უარის თქმა; უკიდურეს შემთხვევაში ამ შესყიდვების, შესაძლებლობის ფარგლებში, მინიმუმამდე შემცირება;
- ეროვნული სასაქონლო პროდუქციით სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ხელისუფლების მიერ ქმედითი ღონისძიებების გატარება;
- ქრონიკულად პასიური საგადახდო ბალანსის უარყოფითი საღლოს მაქსიმალურად შემცირება;
- ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული სხვა ქმედითი ღონისძიებების გატარება.

ეკონომიკის განვითარების ასეთი გზის არჩევის საფუძველს, მძლევს ის აქსიომა, რომლის თანახმად წარმოების პროცესში იქმნება ახალი ღირებულება და მხოლოდ ამ პროცესში შეუძლია ეროვნულ ფულად ერთეულს შეასრულოს ფულის უპირველესი – ღირებულების საზომის ფუნქცია.

დღეს ბევრი საუბრობს ლარის მსყიდველობითი უნარის კატასტროფულად დაცემაზე და იმ ადმინისტრაციული მეთოდების გატარების აუცილებლობაზე, რომელიც დაავადებულ ლარს “ჟანგბადს” მიაწოდებს. მინდა აღვნიშნო, რომ არ არსებობს მეთოდი, თუნდაც უმკაცრესი ადმინისტრირებით გამაგრებული, რომელიც ქალაქის ფულს მსყიდველობით უნარს მიანიჭებს – ეს აბსურდია და ასეთ მეთოდებზე დაყრდნობით ქვეყნის ეკონომიკა ვერ გამოცოცხლდება. პირიქით, მიმოქცევაში გაშვებული ყოველი გამოუმუშავებელი ლარი აუფასურებს მის კურსს, რადგან ქალაქის ფულის მიმოქცევისას ნამდვილი ფულის მიმოქცევის კანონები შებრუნებულად მოქმედებენ და იმ დროს როცა არ იწარმოება ეროვნული სასაქონლო პროდუქცია, ფულის ნიშანი ქალაქად იქცევა. ეს პროცესი შეუქცევადია და აქ ალტერნატიული აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

ხსნის სხვა გზა არ არსებობს. სხვაგვარად ფიზიკური განადგურება გვემუქრება...

ლოლა რობაქიძე

ეკონომისტი,

თბილისის საბანკო-საფინანსო

ინსტიტუტის ლექტორი



დავით ამირაჯიბი

განწყობის ანთროპოლოგიის და ფსიქოთერაპიის ქრისტიანული ინსტიტუტის - “ARBOR VITAE” - ხელმძღვანელი.

“გამოცდა გაღმამ” - კულტურული დისკურსის შეტანა სკოლაში²

ბოლო ათეული წლის მანძილზე თითქმის მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებული პოლიტიკური კრიზისებისა და უმძიმესი ეკონომიკური დეპრესიის ფონზე, გამოიკვეთა კრიზისი ეგზისტენციონალურ-ზნეობრივი: იმედის, რწმენისა და სიყვარულის კრიზისი. ამ კრიზისის ეპიცენტრში თვითონ ადამიანი და მისი ადამიანობა აღმოჩნდა. სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტებით, კრიზისი უპირველესად ყოვლისა, შეეხო ოჯახის, განათლებისა და კულტურის ინსტიტუტებს.

დღევანდელი სკოლა ვერ პასუხობს იმ შეკითხვებს, რომლებსაც მოზარდთა წინაშე სვამს ცვალებადი სამყარო, ვერ შევლის ეგზისტენციონალურ კრიზისს, რომელშიც აღმოჩნდა ახალგაზრდა თაობა. განათლების სისტემა, რომელიც ხელმძღვანელობდა საბჭოური პედაგოგიკის სტერეოტიპებით, დღეს განიცდის რეფორმას, მაგრამ იმისათვის, რომ განათლების რეფორმამ შესძლოს პედაგოგიკის საბჭოური პრინციპებისაგან გამიჯვნა, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა ორი ამოცანის გადაჭრა: 1. საბჭოური სკოლის ექსპლიციტური, თუ ფარული მხარეების გააზრება. სკოლის საბჭოური ფენომენის ანალიზი დაგვაზღვევდა არასასურველი მემკვიდრეობისაგან, რადგანაც გამიჯვნის შესაძლებლობა გულისხმობს იმის ზედმიწევნით ზუსტ ცოდნას, რასაც ემიჯნები. 2. განათლების სისტემის აწყობის ახალი პრინციპების შეთავაზება, რომელიც უპასუხებდა თანამედროვე პედაგოგიკის და ანთროპოლოგიის გამოცდილებას, ადამიანის შესახებ ცოდნას, რომლის მიხედვითაც ადამიანი არა მარტოდ ფსიქო-ფიზიოლოგიური და სოციალური, არამედ სულიერი არსებაა. სულიერი არსებობისა და მოქმედების სივრცე - კულტურაა.

ცხინვალის რეგიონში და მოგვიანებით აფხაზეთში დატრიალებული სისხლიანი პოლიტიკური პროვოკაციების შედეგად, მშობლიური ადგილებიდან აიყარა ასეულობით ოჯახი, ბავშვები, რომელთაც გამოიარეს ომი, დაბომბვები, ხანძრები, შიმშილობა, უშუალო შეხება სიკვდილთან, ფიზიკურ და მორალურ წამებასთან ერთად და გადაიქცნენ დევნილებად საკუთარ სამშობლოში. ცივი, უშუქო, უწყლო, სასტუმროებისა და კემპინგების მუდმივ სტუმრებად. სწორედ აქ, სასტუმროებში, სადაც დღე დღეს ჰგავს და გარეგნულად არაფერი იცვლება, ეს ადამიანები აღმოჩნდნენ პირისპირ საკუთარ თავთან, საკუთარ ტრავმირებულ მეხსიერებასთან. ათეულობით ათასი დევნილი და ადგილობრივი ბავშვი, სწავლობს დღეს ერთად სკოლებში, სადაც თავიანთი დროის უდიდეს ნაწილს ატარებს. თავი იჩინა პოსტტრავმატულმა სინდრომმა, დამახასიათებელი სიმპტომატიკით: (superattention, anxiety nevrosis, affectivity), ზესიფიზიზი, მეხსიერების და ნებისყოფის ფუნქციების დაქვეითება, სხვადასხვა სახის მძაფრი ფობიური რეაქციები. დევნილი ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელია შფოთვის მაღალი დონე, ჰიპერაქტიობა, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა (დაბალი თვითშეფასება), თანატოლებთან გაძნელებული ურთიერთობები, კონფლიქტურობა, ბრალეულობის განცდა და სხვა პოსტტრავმატული სტრესებისათვის დამახასიათებელი დარღვევები (PTS-Disorders) და რეაქციები (PTSR).

სკოლა აღმოჩნდა სრულიად მოუშადებელი იმ სპეციფიკური მორალურ-ფსიქოლოგიური, პედაგოგიური პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც მის წინაშე დააყენა დევნილობისა და ფსიქოლოგიური ტრავმატიზმის პრობლემამ.

სოვიეტისტური დიდაქტიკა და ფსიქოლოგიური ტრავმატიზმი ორი დიდი პრობლემაა, რომელიც უნდა გადაჭრას განათლების რეფორმამ.

ამ მიზნის მიღწევისათვის, ჩვენი აზრით, განათლების რეფორმამ უნდა განახორციელოს პედაგოგიკის, ხელოვნებისა და ფსიქოთერაპიის სინთეზი.

საბჭოთა პედაგოგიკის მიზანი მდგომარეობდა ადამიანის ფსიქიკური ფუნქციების განვითარებაში, მისი, როგორც სოციალური ინდივიდის ჩამოყალიბებაში და ჯანსაღი სხეულისა და ფსიქიკის აღზრდაში. ამიტომ საბჭოური სკოლა ხასიათდებოდა უკიდურესი ფსიქოლოგიზმით, ფიზიოლოგიზმით და სოციოცენტრიზმით (საზოგადოებრივის პრიმატით პიროვნულზე). საბჭოური დიდაქტიკის არსი მდგომარეობდა ფსი-

² სტატიაში გამოყენებულია: 6.09.2000 - ილია ჭავჭავაძის სახ. დასავლეთ ევროპის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში, 17.11.2003 - კულტურის უნივერსიტეტში და 7.06.2004 - თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში წაკითხული მოხსენებების ტექსტები.

ქიკური ფუნქციების განვითარებაში პარტიისა და ხალხის (კომუნალური საზოგადოების) დაკვეთის შესაბამისად და უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომელიც ხელს შეუწყობდა მიღებული ცოდნის, ფსიქიკური შესაძლებლობებისა და სხეულის რეფლექსების შეთანხმებას. ჰომო-სოვიეტიკუსის წვრთნის მეცნიერულ საფუძვლებს წარმოადგენდა მარქსისტულ-ლენინური სწავლება ადამიანზე, როგორც უსულო, კომუნალურ არსებაზე, მშრომელ ფუტკარზე, რომელიც ფუტკრების ოჯახის ერთიანი ორგანიზმის უჯრედია და არა დამოუკიდებელი პიროვნება. სკოლა, განათლების პროცესის არა მარტო შინაარსეული, ხილული ფორმაა, მისი რაობაა, არამედ, უპირველესად ყოვლისა მისი, უკრიტიკო თვალისათვის უხილავი, ფორმალურ-სტრუქტურული როგორობაა. ჩვენი აზრით, საბჭოური განათლების სისტემის ეს მეორე, ნაკლებად თვალში საცემი, შინაგანი მხარე, მისი როგორობა, საჭიროებს გააზრებას და რადიკალურ რეფორმირებას.

ჩვენ შეიძლება უარყოფით და ახლით შევცვალოთ ესა თუ ის სასწავლო საგანი, შინაარსი, შეფასებათა სისტემა, მსოფლხედვა და ა.შ., მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებითად ვერ განვთავისუფლდეთ სკოლის ძველი სტერეოტიპებისაგან, მისი მოზარდთან ურთიერთობის რიტუალური ფორმის ქვეცნობიერი ზეგავლენისაგან, თუ რეფორმა ძირითადად შეეხო სწავლის მხოლოდ შინაარსობრივ მხარეს, განათლების სისტემის სტრუქტურას და არსებითად ხელუხლებელი დატოვა სკოლებში სწავლების ფორმა, ურთიერთობის სტილი.

როგორც აღენიშნეთ, ცოდნა არა მარტოდენ რაობაა, არამედ როგორობაც, არა მხოლოდ მენტალური შინაარსი, არამედ მისი ადეკვატური აზროვნების სტილი, მთლიანპიროვნული აქტივობის ფორმა, ანუ ჩვენი საკუთარი სხეულისა და ნევროლოგიის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობები, განწყობებიცაა.

ცოდნა არის შინაარსისა და განწყობების კონგრუენტობა (თავსებადობა).

ჩვენი აზრით, ცოდნა სასწავლო საგნის შინაარსთან და ფორმასთან საკუთარი სხეულის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობების შეთანხმების პროცესია, არსებობის ისეთი ფორმაა, როდესაც ცოდნა კი არ გაქვს მხოლოდ, არამედ თვითონ ხარ. ეს პროცესი არასოდეს მიმდინარეობს თავისთავად, მექანიკურად, არამედ შედეგია პიროვნული აქტივობისა.

კულტურა, ხელოვნება არის სულის მოქმედება, “ალქიმია”, რომელიც საშუალებას გაძლევს აქციო იმად, რაც ხარ, ის რაც იცი. როდესაც შენი ქვეყნის ისტორია, ჰაგიოგრაფია, “ვეფხისტყაოსანი”.. არის არა მხოლოდ ცოდნის საგანი, არამედ შენი სხეულის, შენი მთელი არსების მდგომარეობა – იცი, როდესაც გრძნობ და განიცდი.

მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია იცი, გესმის, როდესაც შენი ნევროლოგია იწყებს მუშაობას მათემატიკის, ლოგიკის ენის შესაბამისად, როდესაც იწყებს აზროვნებას მათემატიკურად³.

სკოლა, როგორც კულტურული ფენომენი, არის ბავშვის მთლიანპიროვნული განვითარების, სულიერი ზრდის ადგილი, სადაც შესაძლებელი ხდება, რომ შეიცვალოს. სკოლა, მხოლოდ ხელშემწყობ პირობებს ქმნის ამისათვის, ბავშვი თვითონ იზრდება.

თუ ბავშვი ხდება სიძნელეს სწავლის პროცესში, საქმე არა მარტოდენ საგნის შინაარსშია, არამედ სწავლების “უკულტურო” ფორმამი, როდესაც ის, რასაც ვსწავლობთ და როგორც ვსწავლობთ, რაობა და როგორობა არაკონგრუენტულია.

არაკონგრუენტობის ფუნდამენტალური შედეგი, რომელსაც სკოლა განაპირობებს, მდგომარეობს სულსა და სხეულს (ფსიქო-ფიზიკას), შინაგან ადამიანსა და სოციალურ ინდივიდს შორის კონფლიქტში. ეს არის კონფლიქტი აზრისა გრძნობასთან, კოგნიტური, ვერბალური აქტისა - არავერბალურ გამოხატულებასთან, აქტიური და მდიდარი შინაგანი ცხოვრებისა - სოციალურ პასიურობასთან და პიროვნულ არარეალიზებულობასთან. ან პირუკუ, სოციალურად აქტიური ცხოვრების სტილი ვითარდება შინაგანად უბადრუკი, ცარიელი არსებობის ფონზე.

შინაგან არაკონგრუენტულობას და კონფლიქტებს მიეყვართ პარადოქსალურ ფსიქოლოგიურ ფენომენებთან, როგორებიცაა: უცოდინარი ცოდნა, ზნეობრივი უზნეობა, განუცდელი განცდები, კატომოძულე სიყვარული, და მრავალი სხვა. ეს უცნაური კონფორმული მდგომარეობები მაგალითებია ქვაზი-სულიერი ფენომენებისა, რომლებშიც დარღვეულია ნამდვილი სულიერებისათვის დამახასიათებელი მთლიანი ბუნება.

ასეთი სკოლა მოსწავლეთა მიმართ ახორციელებს ურთიერთობების ფსიქოლოგიურ სტრატეგიებს, რომელნიც სოციალური ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის, გრეგორი ბეისონის ტერმინი რომ მოვიშველიოთ, შეიძლება დახასიათდეს, როგორც ორმაგი მარყუჟი (**double bind**). რაც მოსწავლეთა ფსიქო-ემოციონალური, პიროვნული და მენტალური განვითარების შეფერხების მიზეზი ხდება, მიჰყავს პიროვნება გაორებადედ, პროვოცირებას უკეთებს აგრესიულ გამოვლინებებს, შიზოფრენიის მსგავს, უმძიმესი ზასიათის ფსიქოლოგიურ დარღვევებს, რომლებიც ხშირად მთელი ცხოვრების განმავლობაში თან სდევნ ადამიანებს.

³ მათემა ბერძნულად ნიშნავს შემეცნებას, ზოგადად.

ამ არასახარბილო სიტუაციიდან გამოსავალს ხშირად ხედავენ ქრისტიანობის სწავლებაში. ქრისტიანული შინაარსის შეტანა სკოლაში მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ეს ქრისტიანული ფორმით მოხდება. საკითხავი ისაა, თუ როგორ შეესატყვისება ქრისტიანული დიდაქტიკა სკოლის სოვიეტისტურ შინაგან წყობას. ხომ არ მიგვიყვანს ეს მეთოდოლოგიური ნაზავი კიდევ ერთ ქვაზი-სულიერ ფენომენთან - ურწმუნო რწმენასთან?!

მე ფსიქოლოგი გახლავართ, წლების განმავლობაში ვმუშაობ ბავშვთა არტთერაპიაში (სხვადასხვა დარღვევების ფსიქოთერაპია ხელოვნების მეთოდების საშუალებით).

მრავალი წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ ჩამოგვიყალიბდა ხედვა, რომლის მიხედვითაც, განათლებისა და კულტურის რეფორმა უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთიანი მთლიანი პროცესი და არა დიფერენცირებულად, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოვლენები. რაც გულისხმობს სკოლის ფუნქციონალურ კავშირს ხელოვნებასთან, კულტურასთან. სკოლა ჩვენ გვესახება, როგორც უფრო კულტურული ფენომენი, ვიდრე მარტოოდენ სასწავლო დაწესებულება, სადაც ბავშვებს გადასცემენ ინფორმაციას კონკრეტული სასკოლო საგნების შესახებ და უყალიბებენ მათ შესაბამის უნარ-ჩვევებს. სკოლის, როგორც კულტურული სივრცის გაგება, გულისხმობს სოვიეტისტური დიდაქტიკის ჩარჩოს არსებით სახეცვლილებას, უფრო მეტს და თვისობრივად განსხვავებულს, ვიდრე გვთავაზობს ჩვეული სასკოლო გარემო.

როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ სკოლა უნდა⁴ იყოს კულტურული სივრცე, ვგულისხმობთ, რომ სკოლა უნდა იყოს აწყობილი, როგორც ბავშვის პიროვნულ აქტივობაზე და ზრდაზე ორიენტირებული კულტურული გარემო, სადაც პრეკალირებს ხელოვნება:

- **აუდიალური კულტურა.** სკოლა უნდა ზრუნავდეს აუდიალურ, ხმოვანების კულტურაზე: საუბრის არავერბალური, ჟღერადი მხარის ფორმაზე (ინტონაცია, ტემპო-რიტმი, ხმის სიმაღლე და სხვა). გარემოს ე.წ. არავერბალური, აუდიალური კომპონენტი განაპირობებს ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობებს, მთლიან პიროვნულ განწყობებს და დიდ ზეგავლენას ახდენს სწავლის პროცესზე. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო სივრცეში ჟღერდეს ჰარმონიული ბგერები, მუსიკა. თუ ენის ვერბალური შინაარსი და არავერბალური ფორმა თანხმობაშია, მაშინ ჩვენ ვიგებთ შინაარსსაც.
- **მოძრაობის და სხეულის კულტურა.** სპეციალური ყურადღება უნდა ექცეოდეს მოძრაობის, კინესთეტიკის კულტურას, ანუ იმას, თუ რამდენად რესურსულია ბავშვის ფიზიოლოგია: როგორ სუნთქავს, მოძრაობს, დგას, ან ზის ის სკოლაში. რა განწყობებს, შინაგან მდგომარეობებს გამოხატავს, რა შესაძლებლობებს და მზაობებს ატარებს ბავშვის სხეული, მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური სტატუსი. თუ ბავშვი მერხზე ზის შებოჭილი, მოხრილი, მისი სუნთქვა ზედაპირულია, - ასეთივე შებოჭილი და ზედაპირული იქნება მისი მენტალური, ფსიქოლოგიური ფუნქციები: აღქმა, აზროვნება, ყურადღება, მეხსიერება, ნებელობა.. სკოლაში ყურადღება უნდა ექცეოდეს არა მარტოოდენ ფიზკულტურას, არამედ ცეკვას, სხეულის ესთეტიკას, მოძრაობის დახვეწილობას, ჩაცმულობას... არა მხოლოდ მერხების დიზაინს, არამედ სწორად ჯდომის, სუნთქვის, რესურსული სიარულის კულტურას. მანერებს, სიარულის სტილს და სხვას, რაც ხშირად განაპირობებს და მართავს ნევროტულ განწყობებს. რომ დააკვირდეთ, თუ როგორ დადიან ქუჩაში ახალგაზრდები, ადვილად შენიშნავთ, რომ ეს ნევროზი დადის. სკოლა უნდა სთავაზობდეს ახალგაზრდებს განსხვავებულ “სხეულს”, რესურსულ და არა პრობლემურ ფიზიოლოგიას, როდესაც სხეულს ძალუძს იმეტყველოს.
- **ვიზუალური კულტურა.** სკოლამ უნდა შესთავაზოს ბავშვებს ფერებისა და ფორმების ნათელი, მრავალსახოვანი ვიზუალური სივრცე, სახსე ნახატებით, სასიამოვნო ავეჯით. ვიზუალურ კულტურაში ისევე, როგორც აუდიალურ და კინესთეტიკურ კულტურებში იგულისხმება არა მარტოოდენ კარგი დიზაინის მქონე ესთეტიური, ფუნქციონალური გარემოს შეთავაზება, არამედ მაღალი ხელოვნების ნიმუშებით გაჯერებული სივრცე, რომელიც არა მარტო სასიამოვნო უნდა იყოს, არამედ კულტურული შინაარსით და ფორმებით აღსავსე, რომლის სემანტიკა პასუხობს იმ მნიშვნელოვან შეკითხვებს და განწყობებს, რომელსაც ბადებს ცხოვრება.

განათლების რეფორმა, ამავე დროს, არის კულტურის რეფორმა სკოლაში. კულტურა სკოლას, ბუნებრივია აქვს და ყოველთვის ჰქონდა, მისი საუკეთესო პედაგოგების სახით, რომლებიც დიდი რისკის ფა-

⁴ ჩვენ ვამბობთ: - სკოლაში უნდა იყოს კულტურა. საბჭოთა დიდაქტიკისათვის ესოდენ ჩვეული სიტყვები “უნდა”, ან “არ უნდა” შეიძლება უკულტურო, დირექტიულ სიტყვებად იქცნენ, ანუ წავართვან არჩევანის შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივა, დაგიქვემდებარონ. ეს და მათი მსგავსი სიტყვები (მოდალური ოპერატორები) უმჯობესია სკოლაში არ ჟღერდნენ, ან გამოიყენებოდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ დროს, როდესაც საუბარია ზნეობრივ იმპერატივზე, რომელსაც არ გააჩნია ალტერნატივა. ჩვენ ვხმარობთ ამ სიტყვებს არა როგორც დირექტივებს, არამედ მხოლოდ როგორც ალტერნატივის შეთავაზებას, ლოგიკური იმპლიკაციის ფორმით: - თუ თქვენ გაიზიარებთ ჩვენს მიდგომას, მაშინ უნდა გავაკეთოთ ესა და ეს...

სად, ბავშვების გადარჩენის მიზნით, ებრძოდნენ სისტემას. სასკოლო სივრცე, რომელშიაც ბავშვი ატარებს თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს, 12 წელს, და რომელიც მასზე ზემოქმედებს არა მარტოდ ცნობიერად, არამედ ქვეცნობიერადაც, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბავშვის ბუნების ჩამოყალიბებაში.

სკოლა ბედისწერაა, ადგილია, სადაც განმანათლებელი “მოირები”, თითოეული ადამიანისათვის ქსოვენ საბედისწერო განაჩენს და ცდილობენ ამ უხილავ ბადეში მათ გახვევას.

ჰუმანისტური ორიენტაციის თერაპისტების, ფსიქოლოგებისა და პედაგოგების წინაშე დგება საკითხი: როგორ დავიცვათ ბავშვი საბჭოური სკოლისაგან, მისი საბედისწერო, დამთრგუნველი ზეგავლენისაგან.

კვალი, რომელსაც სკოლა ტოვებს ყოველ ადამიანში, თუნდაც გაცვეთილი სიტყვა რომ ვიხმართ, ლამაზი უნდა იყოს ჩვენში და არა უბრალოდ ლამაზი, არამედ მეტყველი.

როგორც სავსებით სწორად აღნიშნავენ ხოლმე, როდესაც ვსაუბრობთ წარსულზე, ქართულად ითქმის: არა ამდენი და ამდენი წლის უკან, არამედ - წინ. როდესაც ადამიანი გაიხსენებს, რომ აი ამ სკოლაში მე ვსწავლობდი თხუთმეტი, ოცი წლის წინ (და არა უკან), სკოლა ჩვენ მართლაც წინ გვხვდება. ეს 12 წელი, ცხოვრების გზაზე, ყოველთვის წინ გვხვდება, თავისი უარყოფითი და დადებითი ნიშნებით, როგორც რესურსი და როგორც დიდი პრობლემა. ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, სკოლა უნდა ახორციელებდეს პედაგოგიკის სინთეზს ხელოვნებასთან და ამ ორს ემატება კიდევ ერთი სიტყვა, სინთეზის კიდევ ერთი კომპონენტი - ფსიქოთერაპია, ანუ ურთიერთობის კულტურა.

საბჭოთა პერიოდში, აშკარად იკვეთებოდა კულტურული, კრიტიკული დისკურსის განვითარების ხელისშემშლელი ტენდენცია, რომელიც გლინდებოდა, ერთ მხრივ, მსოფლიო და პირველ ყოვლისა - დასავლური კულტურებისაგან და რელიგიებისაგან თვითთხოლაციაში, „რკინის ფარდის“ სინდრომში, მეორე მხრივ - საბჭოთა საზოგადოების შიგნით, ღია, თავისუფალი დისკურსის აკრძალვაში: სიტყვისა და აზრის თავისუფლების შეზღუდვაში, სასტიკ ცენზურაში ხელოვნების, ჰუმანისტური მეცნიერების, ფილოსოფიის, რელიგიის თავისუფლების, მედიის სფეროებში. ეს ტენდენცია გრძელდებოდა პოსტსაბჭოურ პერიოდშიც. ღია დისკურსის კულტურის არარსებობა გახდა ერთი უმთავრესი მიზეზი ქართული საზოგადოების გათიშულობის, ეთნიკურ ნიადაგზე, კონფლიქტების ინსპირირების, განათლების სისიტემის და ჰუმანიტარული მეცნიერების ჩამორჩენის, ხელოვნების დარგების გაუცხოების, ახალგაზრდებში აგრესიისა და ნიჰილიზმის დამკვიდრების. ღია, ჰუმანური, დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტი - კულტურული დისკურსის⁵ ინსტიტუციონალური ფორმების სიმრავლეა. ჩვენში, კრიტიკული დისკურსის ფორმების განვითარებას ხელოვნურ, იდეოლოგიურ ბარიერებს უქმნიდნენ და ამით ამკვიდრებდნენ ტოტალიტარულ, ავტორიტარულ მართვის სტილს - ერთი ანტიჰუმანური იდეოლოგიის დიქტატურას.

ტოტალიტარული სახელმწიფოს მხრიდან სიტყვის, აზროვნების და ცენზურისაგან თავისუფალი ურთიერთობების აკრძალვა, კრიტიკული დისკურსის ძალისა და გავლენის წინაშე შიშისა და დრტოლვის გამოძახებული იყო. დისკურსზე ძალადობის ისეთი ფორმებში, როგორიცაა, მაგ. ინსტრუმენტული, კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებების, აბსტრაქტული მხატვრობის აკრძალვა, კარგად ჩანს, რომ ავტორიტარულ ხელისუფლებას ეშინია არა იმდენად სიტყვათა შინაარსის, რამდენადაც კულტურული დისკურსის განმარტებული ძალის, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს, ენის წიაღში, საკუთარი არსების შინაგან სივრცეში. დისკურსის შიგნით, ნამდვილ ხელისუფლებას, ფლობს მხოლოდ კრიტიკული აზროვნების უნარი, კულტურა და არა სოციალური ცენზი, ან რამე სხვა, გარედან თავს მოხვეული გავლენა, მაგრამ დისკურსი იზღუდება როგორც გარედან, ისე შიგნიდანაც.

კულტურული დისკურსის შეზღუდვის ფორმა - აკრძალვა,⁶ ქმნის პრობლემას, რომლის არსი არა მარტოდ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაშია, არამედ დისკურსის მახინჯი, უსახური და უტყვი ფორმების, ანტიდისკურსის ბნელი ლოგოსის დამკვიდრებაშია. დისკურსზე ძალადობის მეორე ფორმა მდგომარეობს გამორიცხვაში,⁵ როდესაც დისკურსში მონაწილეობა იკრძალება გარკვეული წესის მიხედვით, რომელიც არაა ორგანული თვით დისკურსისათვის. დისკურსის მიღმა, ენობრივ დევნილობაში მყოფთათვის, ჩაკეტილი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობების სივრცე, მედია.. (გიჟები,⁵ დისიდენტები, კრიმინალები, მოწაფეები სკოლაში და სტუდენტები უნივერსიტეტებში, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები - შესაბამის კავშირებში). დისკურსზე ძალადობის მესამე ფორმა მდგომარეობდა სიმართლისა და სიცრუის ოპოზიციაში,⁵ ჭეშმარიტებისკენ ლტოლვის ეკსკლუზივში. მხოლოდ საბჭოთა, პარტიული, ელიტარული დისკურსი იყო ერთადერთი ლეგიტიმური ადგილი ჭეშმარიტებათათვის. ყველა სხვა დის-

⁵ Jurgen Habermas, DER PHILOSOPHISCHE DISKURS DER MODERNE. Suhrkamp Verlag Frankfurt am Main, 1985 Dritte Auflage, 1986.

⁶ Michel Foucault, L'Ordre du discours. Leçon inaugurale au Collège de France prononcée le 2 décembre 1970, Editions Gallimard, 1971.

კურსი, იერარქიულად უფრო დაბალ დონეზე იმყოფებოდა და იქ ჭეშმარიტებებზე ვრცელდებოდა აკრძალვა. „უბრალო ადამიანების“ ფიქრებში და საუბრებში, არა ელიტარულ მეცნიერთა, ხელოვანთა, მწერალთა სიტყვებში, აზრებში, გრძნობსა და ურთიერთობებში ჭეშმარიტებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. დისკურსის აკრძალვის უაღრესად მანკიერი გამოხატულება მდგომარეობდა კონფესიათაშორისი, კულტურული ურთიერთობების დამახინჯებაში და აკრძალვაში. დისკურსის, საკუთარი აზრისა და პიროვნული ინიციატივის შემზღუდველი ფორმების დამკვიდრებაში.

როგორც 1811 წელს, ასევე 1921-შიც, რუსეთის იმპერიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველგვარი ეკლესიური წესის საწინააღმდეგოდ, გააუქმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. ქართული ეკლესიის, როგორც სულიერებისა და კულტურის ფუძემდებლური ინსტიტუტის გაუქმებით დაირღვა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული, კულტურათა დიალოგის უნიკალური სივრცე. იმპერიული ძალა შეეცადა გაეთიშა და დაეპირისპირებინა ერთმანეთთან კულტურები, კონფესიები, მოესპო კავკასიის, როგორც ცივილიზაციათა შეხვედრისა და სინთეზის სივრცის კულტურული საფუძვლები და კავკასიელ ხალხთა დამორჩილების გზით, ემართა კავკასიური პოლიტიკა, მხოლოდ საკუთარი ინტერესების გატარების მიზნით.

კავკასიური კონფლიქტების ესკალაცია საშიშროებას უქმნის არა მარტოდ ჩვენს რეგიონს, არამედ მსოფლიოს სტაბილურობას, რადგანაც კავკასიის, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა გადაკვეთის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში, ეროვნებათა და კონფესიათაშორისი ბალანსის დარღვევით, ექმნება პირობები, ლატენტურად, ცივილიზაციათა შეჯახებას. კავკასიური ბალანსისა და უსაფრთხოების აღდგენაში უდიდესი როლი ენიჭება აქ ისტორიულად წარმოდგენილ მსოფლიო კონფესიათა შორის ურთიერთობების გაღრმავებას, რელიგიურ განათლებას. რელიგიათაშორისი ურთიერთობების პრობლემებისადმი სამოქალაქო საზოგადოების მგრძნობელობის გაზრდას.

პოსტსაბჭოთა პოლიტიკური დისკურსი შეიძლება დახასიათდეს, როგორც, ერთის მხრივ, თვითიზოლაციონიზმისა და ტოტალიტარიზმის⁷ და მეორეს მხრივ - ტოლერანტობისა და დიალოგის ტენდენციების ჭიდილი. ფიზიკურად, ხშირად იმარჯვებს პირველი, ხოლო კულტურისა და სულიერების სფეროში - გამარჯვება რჩება მეორეს. ვინაიდან სარწმუნოება განეკუთვნება სულიერი, კულტურული დისკურსის სფეროს და ადამიანთა მართვა კი შეუძლებელი ხდება მარტოდენ ფიზიკური ზემოქმედების ძალით, ტოტალიტარული მანქანა ილტვის შინაგანი სივრცეების დაპყრობასაც.

არანაკლები პრობლემები შეექმნა განათლების სისტემას.

ფსიქოთერაპია, არ არის ფსიქიატრია, არ არის მედიცინა. სიტყვა თერაპია მოდის თერაპიაიდან. თერაპია მშვენიერი ქალწული იყო, ცხოვრობდა კოშკში. მასთან მიდიოდნენ ადამიანები, რომლებიც თითქოს ავად იყვნენ, მაგრამ მათი ავად ყოფნის მიზეზი არ იყო კონკრეტული ავადმყოფობა. ისინი რეალურად ავად კი არ იყვნენ, არამედ გრძნობდნენ თავს ავადმყოფებად.

თერაპიასთან მიდიოდნენ თითქოს როგორც ექიმთან - საშველად. მაგრამ თერაპიები არ იყვნენ ექიმები, ისინი შევლოდნენ მაგანთ მაშინ, როდესაც მედიცინა უძლური იყო. მედიცინა უძლურია, როდესაც ადამიანი გაივლის ცხოვრების ნახევარს და უეცრად აღმოჩნდება უღრან ტყეში მარტო, დაბნეული, შემინებული, გაურკვევლობაში (არავინ უწყის თუ როდის, რა ასაკში გვიწევს ეს ნახევარი ცხოვრების ზღურბლი). ასეთ ვითარებაში, როდესაც უცბად ბნელდება, ხდება გაურკვეველი, ცივი და საშიში სრულიად ნათელი, გარკვეული და მოწესრიგებული სამყარო და ეს საბედისწერო მეტამორფოზა სამყაროს ემართება წამიერად და უხილავი მიზეზით - ადამიანი გრძნობს რაღაცას, რისი იდენტიფიკაცია შეუძლებელია და ჰგონია, რომ ავადაა, რადგან ის ისეთივე დაბნეული და ბავშვით უძლური ხდება, როგორც მძიმე ავადმყოფობისას.

განსხვავება ისაა, რომ ადრე, მათ გამოცდილებაში, ავად მათი სხეული იყო, მას ემართებოდა ეს მეტამორფოზა, ხოლო ახლა ეს ემართება სამყაროს. ავად სამყაროა და ეს ავადმყოფობა გადამდები და სასიკვდილოდ საშიშია მათთვის.

ამ დროს ადამიანი მიდის თერაპიასთან. თერაპია ცდილობს ჩაახედოს ის თავის სულის სარკეში, არეკლოს და იქ აჩვენოს მას საკუთარი თავი. ადამიანი ამ პოზიციიდან, ამ კუთხიდან, რომელშიც ის მაგიურად არის დაფიქსირებული, უბრალოდ ვერ ხედავს მიზეზს. თერაპია ცდილობს, რომ მისი ცხოვრება მასვე დაანახოს სხვა თვალთ, შეიძლება ამას სულიერი თვალი დავარქვათ და ამ აზრით აღადგინოს მისი ორიენტაცია ცხოვრებაში და თავისი თავი დაანახოს ცოტა სხვა კუთხით, ვიდრე აქამდე ხედავდა. ხელოვნება ასეთი სარკე, და მისი მაგიური შესაძლებლობები არაჩვეულებრივად აღწერა შექსპირმა, “ჰამლეტში”. მე მინდა დავესესხო მერაბ მამარდაშვილს, რომელიც თავის ლექციებში საუბრობდა ამ საკით-

⁷ <http://www.nplg.gov.ge/frames.php?url=../ic/DGL/index.htm>. (იხ. - “რელიგია” და “პოლიტოლოგია”)

ხზე, მართალია, განსხვავებულ დისკურსში და გაგახსენოთ ის პატარა ეპიზოდი, როდესაც ჰამლეტი დგამს სპექტაკლს საკუთარი ბიძისათვის, რომელიც გამეფდა დანიაში, ჰამლეტის მამის სიკვდილის შემდგომ. ამ ეპიზოდს ჰქვია “სათაგური”. თავის ბიძას, რომელიც ფაქტიურად მკვლელია, მაგრამ ჰამლეტი ჯერ არ არის ამაში დარწმუნებული, ის ქუჩის მოხეტიალე თეატრალური დასის მეშვეობით აჩვენებს სპექტაკლს, რომელშიც ასახულია მკვლელობის სცენა. საინტერესო ისაა, რომ მკვლელმა მეფემ შესანიშნავად იცის, რაც გააკეთა. როგორ და რად ჩაიდინა ეს მკვლელობა, რომელიც თვითონვე დაგეგმა დეტალურად და განახორციელა წარმატებით. მეფე არის უბედნიერესი ადამიანი. ჰყავს ის ქალი, რომელიც მას უნდოდა, ჰამლეტის დედა, დედოფალი. ის მეფობს ძლიერ სახელმწიფოში, ჰყავს ჯარი, ყველაფერს მიაღწია, რაც სწადა, ამიტომ ის წარმატებული და ბედნიერი ადამიანია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მისი ცხოვრების მხოლოდ ერთი ხედვაა, ფსიქოთერაპია ის ვითარებაა, რასაც ჰამლეტი აკეთებს. ის მეფეს აჩვენებს მისივე ცხოვრებას ხელოვნების ენით, თეატრის საშუალებით. ვიმეორებ აჩვენებს იმას, რაც მეფემ ყველაზე უკეთ იცის, მაგრამ მისი ცხოვრება ხდება ხელოვნების ობიექტი, ხელოვნების ენითა და ხედვით გამოხატული. მისი ცხოვრება კულტურის სცენაზე იშლება და როდესაც ის თავის ცხოვრებას ხვდება ამ სივრცეში, მაშინ ის მთლიანად იცვლება: ბედნიერი ადამიანი ხდება უბედური, შეშინებული, ატირებული. ის ტოვებს წარმოდგენას და იწყებს ლოცვას. უყურეთ, რა არის კულტურის სივრცე. ეს ის სივრცეა, რომელიც გვახვედრებს ჩვენი ცხოვრების ისტორიასთან და გვაჩვენებს მას, გაშლილს ხელოვნების სივრცეში. ანუ სულიერი აღქმისა და ხედვის ველში. ხელოვნება არაჩვეულებრივად აფართოვებს ჩვენს შეგრძნებებს და აღქმის მოდალობებს. ფსიქოლოგიის ენით რომ ვილაპარაკოთ, თვალი არ ხედავს მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ხატავს სამყაროს, როგორც მხატვარი. ეს პირდაპირი აზრითაა ასე. იმიტომ, რომ ფერები არ არსებობენ ფიზიკურად. ფერთა აღქმა ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ფაქტია, ხოლო ფერთა ენა – კულტურული ფაქტია. ჩვენს გარეთ არსებობს მხოლოდ გარკვეული სიხშირის ელექტრომაგნიტური რხევები, რომელსაც ჩვენი თვალი და ნევროლოგია თარგმნის, როგორც სიმწვანეს, სიწითლეს.. ანუ ფერებს არა აქვთ ადგილი ჩვენს გარეთ სამყაროში. უცნაურია, მაგრამ ასეა. ჩვენს გარეთ არ არის არც ხმები, ისინი გარკვეული ამპლიტუდის ჰაერის რხევებს წარმოადგენენ, ეს რხევები უკაკუნებს ყურის მემბრანას, როგორც ტამტამის დარტყმები, ამის შედეგად რხევის მექანიკური ენერგია ბიოქიმიურ გარდაქმნას განიცდის, რის შედეგადაც წარმოიქმნება ელექტრო-მაგნიტური იმპულსები, რომლებიც შესაბამისი ნერვების მეშვეობით ხვდებიან ტვინის, ხედვისა და სმენის (ბროკას და ვერნიკეს) ცენტრებში და გარდაიქმნიებიან ფერებად, ხმებად. არც ფერები, არც ხმები, არც სივრცე (ვიზუალურად და აუდიალურად აღქმული) ობიექტურად, ანუ ჩვენს გარეთ ფიზიკურ სამყაროში ამ სახით არ არსებობენ. კანტი განასხვავებდა სამყაროს, როგორც ფენომენს, სამყაროსაგან, როგორც ნომენისაგან. სამყარო, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, თავისი ფერებით, ხმებით, შეგრძნებებით, სითბოთი და სიცივით არ არსებობს ობიექტურად და ყოველი ჩვენთაგანი, შესაძლოა, ვარსებობდეთ ძალზედ ინდივიდუალურ, თავისებურ და უნიკალურ სამყაროებში. ენა, ამ სამყაროებს შორის დებს ხიდებს. ჩემსა და თქვენს სამყაროებს შორის. ენა, როგორც ლოგოსი, ადგილია, სადაც ჩვენ შეიძლება ვიპოვნოთ ერთმანეთი. ენა კონვენციონალური სივრცეა. ამიტომ სამყაროთა ერთიანობის და მთლიანობის საფუძველია ლოგოსი. როგორც ხედავთ, ადამიანის ანთროპოლოგია უკვე ხელოვნების კანონებით იმართება.

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის მეტყველი, მას აღქმა, მოსმენა და გაგება უნდა. ეს სამყარო შლის თავის თავს არა სადაც გარეთ, არამედ შინაგან სცენაზე და მისი დრამატურგი ჰამლეტით ცდილობს რაღაცა გაგვაგებინოს, გვაგრძნობინოს. ჩვენ თვითონ ვართ თეატრიც და მისი მაყურებელიც და ვარსებობთ მხოლოდ კულტურულ ველში.

“ჰამლეტში” მეფე ჯერ ვერ სწვდება საკუთარი გეგმისა და ქმედების სიღრმისეულ არსს. ჰამლეტს დასჭირდა თეატრის რიტუალური სივრცე, რომელშიც შეიყვანდა მეფეს და იქ შეახვედრებდა საკუთარ ისტორიასთან, როგორც ფენომენტთან. შეიყვანდა იმ რეალობაში, სადაც ის არის მკვლელი.

ჩვენ შეიძლება გავხედოთ ის, რაც ვართ, მხოლოდ კულტურის ველში. კულტურაა ის ჯადოსნური სარკე, სადაც ჩვენ გვემართება ჩვენი თავი.

სკოლა, ამ აზრით, არხეტიპია ასეთი კულტურული ველისათვის. ძალიან ფართო გაგებით ცხოვრებაც – სკოლაა. სკოლა აკუმულირებული, გააზრებული, რეფლექსირებული ცხოვრებაა, კულტურული ველია, ანუ სცენაა. თუ არ არსებობს ეს კულტურული ველი, ადამიანი ვერ გახდება რაიმეს მცოდნე, ვერ აქცევს საკუთარ სხეულად იმას, რაც იცის. და თუკი იგი ხელოვნებაა, მაშინ ის ენა, რომლითაც ჩვენ ერთმანეთთან ვსაუბრობთ სკოლაში, უნდა იყოს დახვეწილი, მეტყველი, ორიენტირებული არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, უნარ-ჩვევების შეძენაზე, არა იმაზე, რაც ბავშვს შეიძლება ჰქონდეს, არამედ უპირველესად იმაზე, რაც არის ბავშვი თვითონ, რაც დაეხმარება მას, რომ ჩამოყალიბდეს პიროვნებად.

რა გვაქვს და რანი ვართ?! როგორ მოვძებნოთ სკოლაში თვითონ ბავშვი? ეს სკოლისათვის არის დიდი პრობლემა, იმიტომ რომ ბავშვი ხშირად რჩება სკოლის გარეთ. სკოლაში არის მისი სხეული, ნევროლოგია, ფსიქიკური ფუნქციები, მაგრამ თვითონ ბავშვი არ არის იქ და ძალიან კარგი, რომ არ არის. იმიტომ რომ ის რასაც ჩვენ ვაკეთებთ სკოლაში, ხშირად დამანგრეველია ბავშვისათვის. შესაძლოა, რაღაცის მომტანი მისი ფსიქიკური ფუნქციებისათვის, რაც აგრეთვე ეჭვს იწვევს, მაგრამ არა მისთვის – ბავშვისათვის.

ანუ, როგორც ითქვა, სკოლა ფსიქოლოგიზირებულია, მიმართული ბავშვის შესაძლებლობებზე და არა მის პიროვნებაზე, რაც ნიშნავს პროექცირებული და ფოკუსირებული ბავშვის ფსიქოლოგიური ფუნქციების ჩამოყალიბებაზე განვითარებაზე გარკვეული ცოდნის, ანუ ინფორმაციის გადასაცემად, მაგრამ სკოლის გარეთ გვრჩება თვითონ ბავშვი. საკუთარი ფიზიკური სხეულის გარეთ გვრჩება ბავშვი, ხშირად ბავშვის სხეული სკოლაში ბავშვის გარეშეა დარჩენილი იმიტომ, რომ მისი სულისათვის უცხოა უკულტურო სივრცე.

ადამიანის ანთროპოლოგია არის მისი ფსიქოფიზიკა და ამას გარდა თვითონ ის, რასაც ქართულად სული ჰქვია. ტრადიული ანთროპოლოგია გვაქვს ქრისტიანულ კულტურაში, სადაც ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია მოაზრებულია ერთ განუყოფელ მთლიანობად, ხოლო სული არ არის ამ მთელის მექანიკური ნაწილი. ჩვენს გამთლიანებას ჩვენივე სხეულთან და ფსიქიკასთან სჭირდება კულტურული ველი. კულტურა არის ადამიანის მთლიანობის სივრცე, მისი მეტაფიზიკური და მეტაფსიქიკური სხეული. ამ აზრით, სკოლა ხდება მისი ახალი სხეული და ეს სხეული მისაღები უნდა გახდეს სულისათვის. ტრადიციული სკოლა არის ფსიქოფიზიკური რეალობა და არა კულტურული სივრცე. კულტურა ფართო აზრით, არის ის, რაც სულსა და ფსიქოფიზიკას კრავს ერთ მთლიანობაში და პიროვნებას აძლევს სასიცოცხლო ძალას იარსებოს და იმოქმედოს.

ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც 1996 წელს დევნილ ბავშვებთან ვატარებდი არტთერაპიულ სესიებს, დავესწარი მეორე კლასის გაკვეთილს. კლასში დაგვიანებით შემოვიდა გოგონა, რამაც ალაშქრით მასწავლებელი. გაბრაზებულმა, ბავშვს უხეში ფორმით მისცა შენიშვნა, მთელი კლასის და დამსწრეს წინაშე მიაყენა შეურაცხყოფა. მე ვთხოვე მასწავლებელს, გაერკვია ბავშვის დაგვიანების მიზეზი. გოგონამ თავი აარიდა კლასის წინაშე პასუხს. მასთან ადრეც მქონდა შეხვედრები ჩემს მიერ ორგანიზებულ არტთერაპიულ სესიებზე და ჩვენს შორის კარგი ურთიერთობა იყო. გაკვეთილის შემდეგ ვკითხე, რა იყო მისი დაგვიანების მიზეზი და პასუხად მოვისმინე გასაოცარი ისტორია: როდესაც ის სახლიდან გამოვიდა, დაინახა იქვე ასფალტზე მჯდომი დიდი ლამაზი პეპელა, რომლის ახლოდან დათვალიერება მოინდომა, მაგრამ პეპელა გაფრინდა. გოგონა გაჰყვა მას და ეს ურთიერთობა პეპელასთან გაგრძელდა საკმაო ხანს, რის გამოც ბავშვმა დაიგვიანა გაკვეთილზე. რა მოხდებოდა ნეტავ, ბავშვს რომ არ მიექცია ყურადღება პეპელასთვის და დროზე მისულიყო სკოლაში? რითი იქნებოდა ის დაკავებული კლასში? ვფიქრობ, რომ ბავშვი დარჩებოდა მნიშვნელოვანი გამოცდილების გარეშე. სკოლას არ აინტერესებს ეს გამოცდილება. გოგონას პეპელასთან ურთიერთობის გამოცდილება რჩება გაუზიარებელი, გამოუთქმელი. სკოლა ამ უნიკალურ გამოცდილებას ტოვებს მიღმა, როგორც მისთვის არასაინტერესოს. შედეგად ბავშვი გაუცხოვებულია სკოლასთან. სკოლაში დადის ბავშვის ფიზიკური სხეული, მაგრამ სკოლის მიღმა დარჩენილი შინაგანი ადამიანი, მისი ყურადღება, ინტერესები, ფიქრები, თავისთავადობა.

როგორ შემოვიყვანოთ ის სკოლაში? თვითონობა, სულიერება არის უაღრესად ფაქიზი საწყისი ჩვენში, ის უნდა გრძნობდეს, რომ მისთვის რელევანტურ გარემოშია, სადაც მის მიმართ არსებობს კეთილგანწყობილი ყურადღებისა და ურთიერთობის ველი. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ცოცხლდება გაკვეთილზე. შეიძლება კლასში შემოვიტანოთ ულამაზესი ყვავილი და დაგვაფიქვდეს წყლის დასხმა, მაშინ ყვავილი დაჰყნება. კარლ როჯერსი, ცნობილი ამერიკელი ფსიქოთერაპევტი, რომელიც ბევრს მუშაობდა ბავშვებთან (მის თერაპიულ სესიებში მონაწილეობის ბედნიერება მეც მხვდა წილად) ამბობდა, რომ ჩვენი შინაგანი სამყარო, შინაგანი ადამიანი ჰკავს ყვავილს (ჩვენ ხომ არ ვართ ისეთები, როგორც ფიზიკურად გამოვიყურებით, ისეთები როგორც ვხვდებით სარკეში), რომელიც სულდგმულობს და არსებობს კეთილგანწყობილი ყურადღების და სიტყვების ენერგეტიკულ სივრცეში. ეს სივრცე თერეპიის კოშკისა, თვალთ უხილავი გარემოა, შექსპირის “გლობუსია”, კულტურული ველია. ეს ის “სითხეა”, რომელიც აცოცხლებს შინაგან ყვავილს. ნათქვამია – “დალევ და აღარ მოგწყურდები”. როგორ შევათანხმოთ ის, რასაც სარკეში ვხვდებით საკუთარ თავს რომ ვუყურებთ, იმასთან, რასაც აღიქვამს ჩვენი შინაგანი მხე-რა? როგორ გადავაქციოთ სკოლა ბაღნარად. სკოლამ უნდა გაიაროს გამოცდა ბაღით. როგორც ითქვა, სკოლის რეფორმა იმიტომ არის ამავე დროს კულტურის რეფორმა და პირიქით. ამ ორ კომპონენტს უნდა დაუშვათ თერაპიის სივრცე, ფართო კონტექსტით, როგორც პიროვნებისაკენ მიმართული, შინაგანი ადამიანის რეაბილიტაციის სივრცე. რომ სკოლაში შემოვიდეს, მოქმედებდეს და სწავლობდეს შინაგანი ადამიანი და გრძნობდეს იქ თავს თავისუფლად, ლაღად, როგორც ბაღში, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში, როდესაც სოციალური ინდივიდი მიდის სკოლაში, შინაგანი ადამიანი ყოველთვის რჩება პეპელასთან და აღარ არსებობს მათი გამაერთიანებელი სივრცე.

ეს ორი რამ როგორ გავაერთიანოთ, როგორ შემოვუშვათ პეპელა კლასში, თუთის ხის ტოტი – ჩვენს ოთახში, ენის სახლში, კუმუნიკაციის სივრცეში? მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოვლიანდება ანთროპოლოგიურად ბავშვი და სკოლის 12 წელი იქნება სავსე სიცოცხლით და სულიერებით და არა სიკვდილით, ანუ სულის დაშორებით სხეულთან. რადგანაც სწავლა სიკვდილია, თუ ის მაშორებს საკუთარ თავს. მხოლოდ მაშინ გადის სკოლა გამოცდას ბალით, თუ მე კი არ ვამბობ, რომ უნდა წავიდე სკოლაში, არამედ, რომ მინდა სკოლაში წასვლა, რადგან იქ ვგრძნობ თავს პიროვნებად. ბედნიერებაა, როდესაც მე ვარ აქ, ანუ ვარ იქ, სადაც ვარ, ვარ მთლიანად და არა ნაწილობრივ, ამიტომ სკოლა თავისი არხეტიპიული ბუნებით არის მთლიანობის მომნიჭებელი. “სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი”. სიკვდილი ფსიქოფიზიკური სხეულის გათიშვაა სულისაგან და ამ გამოთიშველი, სხეულის უკულტურო ყალიბის რეფორმირების გზით, ჩვენ ვმთლიანდებით.

ჩვენ გამოვიყენეთ სიტყვები “ყალიბი”, “ფორმა”, რომელიც როგორც ითქვა, მთავარი სიტყვებია განათლების სისტემაში, არა რაობა, შინაარსი, არამედ როგორობა. სტალინი სწავლობდა სასულიერო სემინარიაში და ჩამოყალიბდა მილიონობით თანამოქალაქეების მწვალეზად, მკვლელად. მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო-საკონცენტრაციო ბანაკის შემქმნელად. სულიერებასთან, კულტურასთან მებრძოლად. როგორ მოხდა ეს? ის ყალიბი, ფორმა, დიდაქტიკა, რომლითაც ხდებოდა ქრისტიანობის მიწოდება სემინარიის სტუდენტებისათვის, შეუსაბამო იყო ქრისტიანულ შინაარსთან, თუმცა სიტყვები იყო ბიბლიური. ერთი სიტყვაც კი არ განსხვავდებოდა ბიბლიური ტექსტისაგან. სიტყვათა გადმოცემის სიზუსტე დაცული იყო, მაგრამ ის თუ როგორ ხდებოდა ამ ტექსტის მიწოდება, იყო სრულიად არაქრისტიანული და სულიერებასთან შეუსაბამო. ამ შეუსაბამობამ შობა მეოცე საუკუნის უდიდესი მონსტრი. სტალინი სკოლამ შექმნა. სკოლა ებრძვის სიცოცხლეს. ეს არახალია, ცნობილია - სკოლა კლავს თავის საუკეთესო პედაგოგებს. სკოლამ მოკლა იესო, სოკრატე, ვაჟა, ილია..

ჰაგიოგრაფია, წმინდანთა ცხოვრება, მოგვითხრობს, როგორ გავამთლიანოთ ჩვენი სხეული ჩვენსავე სულთან. სკოლაში ეს მთავარი საკითხია. ნამდვილი სკოლა ჰაგიოგრაფიული მეთოდითაა აწყობილი მთლიანად, როგორც ყალიბი. ჰაგიოგრაფია არ არის სკოლისათვის ერთი კონკრეტული საგანი, არამედ მთლიანად სკოლის მოწყობის კულტურული ფორმა, ენით გამოუთქმელი სისავსეა. ის, რასაც სიტყვით ვერ გამოხატავ. ჰაგიოგრაფიულ ტექსტთან ზიარება გულისხმობს არა მარტოდენ მისი შინაარსის გაგებას, არამედ მისი შინაგანი ფორმის საკუთარ ცხოვრებად ქცევას. სკოლაში კულტურის შემოსვლა იმიტომაც აუცილებელი, რომ კულტურა ფორმის დიდი ხელოვნებაა. მაგალითად, ხატვის პროცესში მხატვრისათვის მნიშვნელოვანია არა მარტოდენ, რა დახატოს, არამედ - როგორ დახატოს. როგორი შტრიხით, ფერებით, საღებავებით და ა.შ. სწორედ ეს ფორმა, ფერთა.. მეტყველებაა ადამიანის განმაცდელი. ამას ვერ გადმოსცემ სიტყვებით, ხელოვნების ენა მეტყველი ფორმაა. სკოლა განწყობის ხელოვნებაა. განწყობა დიმიტრი უზნაძის მიხედვით, სიმრთელის პრინციპია, მთლიანპიროვნული მდგომარეობაა, ის აერთიანებს ჩვენს ნაწილებს ერთ მთლიან არსებად. სიცოცხლე უზნაძისათვის მთლიანობაა. განწყობაა ამ მთლიანობის ყალიბი, ენა რომელიც ცალკეულ ასოებს და სიტყვებს კრავს ერთ მთლიან ტექსტში. “განწყობა ენის შიდა ფორმააო”, ამბობს უზნაძე. განწყობა შინაარსის და ფორმის კონგრუენტობის პრინციპია. სკოლა არის განმაცდელი სივრცე, ანუ ადგილი, სადაც ჩვენ ვმთლიანდებით საკუთარ თავთან, ვიბადებით მთლიან არსებად, ვეზიარებით ცოდნას, რომელიც ვართ, ან გავხდებით, თვითონ. ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ გავხადოთ კონგრუენტული ის, რასაც ვასწავლით და როგორც ვასწავლით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სკოლა განმაცდელი ყალიბია ურთიერთობებისათვის. როგორ ურთიერთობების ფორმას, ურთიერთობათა ტოპოლოგიურ ველს გვთავაზობს სკოლა?

მაგალითად, საკლასო ოთახის მოწყობის ფორმა, რომელშიაც ჩვენ ეხლა ვიმყოფებით, შესაძლოა, აღმოჩნდეს ვარგისი, მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობის გარკვეული ტიპის დროს, გამომდინარე იმ კონკრეტული ამოცანიდან, რომელიც დაისახა პედაგოგმა და სრულიად უვარგისი - სხვა შემთხვევებში.

წარმოიდგინეთ, რომ ჰამლეტს მეფე ამ კლასში მოეწვია და აქ, ამ დაფის წინ დაედგა წარმოდგენა, მიიღებდა თუ არა ის სასურველ შედეგს? მეფე ალბათ მერხების პირველ რიგში დაბრძანდებოდა, მის წინ გაიშლებოდა წარმოდგენა, მაგრამ ასე ორგანიზებულ სივრცეში ის ვერ დაინახავდა დამსწრეთა სახეებს, ვერ აღიქვამდა მათ რეაქციას წარმოდგენის მსვლელობისას და ვერ შეადარებდა ამ რეაქციებს საკუთარ აღქმას, რადგანაც დამსწრენი მის ზურგს უკან სხედან და იმისათვის, რომ მათ შეავლო თვალი, უკან უნდა მიიხედო. ასე დიდ ხანს ვერ გაძლებ, მოუხერხებელია, თანაც ამ დროს ვერ ხედავ სცენას, ანუ ყურადღების მიღმა გრჩება წარმოდგენის მსვლელობა. თუკი მეფე აირჩევდა ადგილს უკანა მერხებ-

ზე, ან სადღაც კლასის შუაში, მაშინაც ის დაინახავდა დამსწრეთა მხოლოდ ზურგებს და არა მათ სახეებს და თვალებს. ჰამლეტს სჭირდებოდა მრგვალი ანუ კლასიკური თეატრალური ფორმა, იმისათვის, რომ მასაც და მეფესაც აღექვა ერთდროულად წარმოდგენის მსვლელობაც და დამსწრეთა რეაქციაც.

შექსპირი გამოდის თერაპიას როლში, ის, რაც მან გააკეთა, არის კულტურის ისტორიაში პირველი არტთერაპიული, ფსიქოდრამატული სესიის აღწერა. თეატრს და ფსიქოთერაპიას ბევრი რამ აქვთ საერთო.

ჰამლეტი ადარებს მეფის რეაქციას დამსწრეთა რეაქციებს და რწმუნდება, რომ ის ნამდვილად მკვლელია. მეფეც რწმუნდება იმავეში, რადგან ცხადად ხედავს დამსწრეთა რეაქციას იმ სიტუაციაზე, რომელსაც ის ინახავს გულის სიღრმეში, არავის ანდობს და ამიტომ ეს სიტუაცია ვერ ხვდება ლოგოსის, კულტურის ველში, სადაც შეიძლება რაღაც ისწავლო, შეხვდე შენივე ისტორიას და გახადო ის, რაც იცი, იმად რაც ხარ. მონანიება აქ ტოლფასია ცოდნისა, მაგრამ შეუძლებელია მოინანიო ის, რაც მხოლოდ იცი, მაგრამ რასთანაც არ ხარ იდენტური.

სასკოლო კლასის ასეთი, ტრადიციული მოწყობის დროს ბავშვები ერთმანეთს ვერ აღიქვამენ, ერთმანეთისაგან იზოლირებულნი არიან, არ აქვთ უკუკავშირი ერთმანეთთან, მათი ყურადღების ველში მხოლოდ მასწავლებელი შემოდის, რომელიც მაგიურად ფლობს მათ ყურადღებას. ანუ ეს სივრცე უგულვებელყოფს თვითონ ბავშვებს, უსაბოცო მათ საკუთარი აქტივობის და არჩევანის შესაძლებლობას. ასეთ სივრცეს შეიძლება უწოდოთ მაგიური. მასწავლებელი აქ მაგის როლში გამოდის, რომელიც ჰიპნოტურად თავს ახვევს სათქმელს აუდიტორიას, ისე, რომ ერთმანეთისაგან თიშავს დამსწრეთ და ატარებს მათ მიმართ „გათიშე და იბატონეს“ სტრატეგიას. ასეთი მაგიური სივრცის მაგალითებია თანამედროვე თეატრი პარტერით, პროსცენიუმით (მოსაზღვრე სივრცე პარტერსა და სცენას შორის), რომელშიაც ჩვენი დაფის ნაცვლად სცენაა და დეკორაციები, ხოლო მასწავლებლის ნაცვლად მსახიობები. დარბაზში მსხდომი მაყურებლები ერთმანეთისაგან იზოლირებულები არიან და ხედავენ მხოლოდ სცენას, რომლის წინაშეც განმარტოვებულები არიან. ასეთი თეატრი უარყოფს კლასიკური თეატრალური ფორმისა. შექსპირმა თავის თეატრს „გლობუსი“ დაარქვა. ეს სამყაროს ის ფორმაა, რომელზეც პლატონი მიუთითებს. სამყაროს მთლიანობის ფორმა, სიმრგვალის და გახსნილობის, დემოკრატიული, დიალოგური ურთიერთობის ფორმა.

სცენა – დიდი დაფა. ამ სცენაზე რაღაცა ხდება. ეს მაყურებლები არიან განმარტოვებულები ასეთი სცენის წინაშე. ეს ფორმა არ არის არც კლასიკური ბერძნული თეატრის ფორმა. კლასიკური თეატრის ფორმაა გლობუსი, ამფითეატრი.

რა ფორმაა ეს? (პლატონის ფორმა). აქ არის სცენა, სადაც სხედან მაყურებლები, ეს არის მეფე. აქ მიდის მისი ცხოვრების ისტორიის ჩვენება. მეფე უყურებს იმას, რასაც შესანიშნავად იცნობს. თვითონ ჩაიღინა ეს, ყველაზე უკეთ ეს მან იცის, რაც ჩაიღინა. და მაშინ, თუკი იცის, რაღამ მოახდინა მასში ესოდენ დიდი თერაპიული ცვლილება? აი, ნახეთ, რამ მოახდინა: ეს ადამიანიც უყურებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი რეაქცია იმაზე, რასაც უყურებს და ამათი – არის განსხვავებული. ჰამლეტი ხედავს, რომ მეფის რეაქცია განსხვავებული და გამორჩეულია დარბაზის რეაქციასთან შედარებით. მაგრამ ამასვე თვითონ მეფეც აღიქვამს, ის ხედავს, რომ ზოგი ადამიანი აღშფოთებულია, სხვას კი ცრემლი მოადგა თვალზე, ეს გაფითრდა, სახე შეეცვალა. ეს ემართებათ ადამიანებს, რომელთა ნაწილს ის პატივს სცემს, უყვარს. მეფეს აქვს შესაძლებლობა, შეადაროს თავისი რეაქცია დარბაზში მსხდომთა რეაქციებს. ვიმეორებ, რა არის ხელოვნების ველი. ეს არის ლოგოსი, ანუ ენა, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს ერთმანეთთან არსებითად, ფორმით და არა მარტოდენ შინაარსით. და ფორმა კი არის დამსწრეთა რეაქცია: აღშფოთებული ადამიანები ღრმად ტრავმირებული რჩებიან იმ დრამით, რომელიც მათ წინაშე გათამაშდა. აი, რა იწვევს მეფეში თერაპიულ ცვლილებას. ანუ იმას, რომ მან გადააფასა თავისი სიცოცხლის ისტორია. დაინახა ის სრულიად სხვა თვალთ. და, ფაქტობრივად, შეიქმნა მკვლელად. მანამდე ის არ იყო მკვლელი, რატომ? – წარმოიდგინეთ ადამიანის ანთროპოლოგიური სქემა, რომელშიც სამი ელემენტია გამოყოფილი: განუყოფელ ერთიანობაში მყოფი სხეული, ფსიქიკა (სამშენიველი) და სული, რომელიც ამ ერთიანობის ორგანულ ნაწილად არ მოიაზრება. სული მთლიანში თავისთავად არ იმყოფება, თითქოს ის ცალკეა გამოყოფილი, რადგანაც მასთან გამთლიანებას სჭირდება განსაკუთრებული ენერგიული ფორმა, რომელსაც ჩვენ კულტურას ვუწოდებთ.

რაც ჩაიღინა მეფემ, იყო მისი ცხოვრების ფსიქო-ფიზიკური ისტორიის ნაწილი და როდესაც ის კულტურულ ველში მოხვდა, მან, როგორც ერთიანმა, საკუთარ სულთან გამთლიანებულმა არსებამ შეხედა საკუთარ თავგადასავალს და აღმოჩნდა, რომ ის, რაც მანამდე აღიქმებოდა, როგორც დადებითი, წარმატებული, აღმოჩნდა სრულიად მიუღებელი მისთვის. ადამიანში ასეთი მთლიანი, სულიერი ხედვის შესაძლებლობა, განაპირობა თეატრალურმა (კულტურულმა) ფორმამ.

ამისაგან განსხვავებული საკლასო ფორმა, ზოგიერთ შემთხვევაში მისაღებია, როდესაც ჩვენ არ გვანტერესებს ის, რომ ბავშვები პასუხობდნენ ერთმანეთის რეაქციებზე, მაგრამ როდესაც ისინი ხდებიან აქტიურნი, მაშინ ერთი ბავშვი რომ საუბრობს, სხვებმა სრულიად თავისუფლად უნდა აღიქვან ეს ადამიანი. მოსაუბრეს კი ჰქონდეს სრულფასოვანი უკუკავშირი სხვათა ვერბალურ, თუ არავერბალურ რეაქციებზე მისი საუბრის საპასუხოდ. ამისათვის საჭიროა “სიმრგვალე” ურთიერთობებში.

ბაღში დიალოგის “აკადემიური” ფორმა, რომელსაც სოკრატე და პლატონი იყენებდნენ თავის დიალოგებში – წრეა. აუცილებლად უნდა გვქონდეს სკოლაში წრე. მასწავლებელი იმავე წრეში არის, რომელშიც მისი მოწაფეები, არა ცალკე, სადღაც ზემოთ კათედრაზე, არამედ ურთიერთობათა სივრცის შიგნით (აქ საინტერესო ისაა, რომ კომუნიკაციის ეს ფორმა არ გახლავთ მარტოოდენ ფიზიკური წრე, არამედ მას მნიშვნელოვანი შინაგანი სემანტიკა გააჩნია, რომელსაც ვეზიარებით, როგორც კულტურულ რეალობას და ვატარებთ მას ჩვენს თავში და ფიქრებში, შინაგანად). ეს არის უნივერსალური, სრული აღქმის ველი, რომელშიც თითოეულ ბავშვს აქვს თავისი ადგილი და მასში არავინ არ არის განცალკევებული, არამედ ლოგოსით გაერთიანებული. ენა, ამ აზრით, იზიარებს სამყაროს პლატონისეულ ფორმას – სიმრგვალეს. ვიმეორებ, ჩვენ შეიძლება შევცვალოთ მხოლოდ ფორმა და ამან მოგვცეს ადამიანის შინაგანი გარდასახვა და კათარსისი. ჰამლეტს “სათაგურის” სცენა თანამედროვე თეატრში რომ დაედგა, კათარსისს ვერ მიაღწევდა, რადგან მეფე ვერ დაინახავდა, მისთვის აღუქმელი დარჩებოდა დამსწრე ადამიანთა რეაქციები. ხოლო ის, რაც ხდება სცენაზე, მისთვის ისედაც კარგადაა ცნობილი. ერთ შემთხვევაში ვიღებთ კათარსისს, მეორე შემთხვევაში არაფერს არ ვიღებთ, ან მხოლოდ გაძლიერებთ მის დაშლილ, გაორებულ მდგომარეობას. იკარგება ადამიანის მთლიან არსებად, პიროვნებად ქცევის შანსი.

გავიხსენოთ საბჭოთა პოლიტიკურის სხდომების და ყრილობების ფორმა, ჩვენი კლასის ფორმის მსგავსი. სცენაზე დგას კათედრა, მის გვერდით პრეზიდენტი. თუ გამომსვლელის სიტყვა შესატყვისია მათი იდეოლოგიის, პრეზიდენტი რეაგირებს დადებითად: მისი წევრები დასტურის ნიშნად თავს აქნევენ, უღიმიან გამომსვლელს, აქებენ მას, ყოველმხრივ გამოხატავენ თავის აღფრთოვანებას. თუ გამომსვლელის აზრი არ ეთანხმება იდეოლოგიურ დოგმას, მაშინ პრეზიდენტი რეაგირებს ნეგატიურად, იჭმუნის წარბებს, “კერავს უკმაყოფილო როჟებს”, მძაფრად გამოხატავს კრიტიკულ დამოკიდებულებას. დარბაზში მჯდომი ადამიანების ყურადღების ველში მხოლოდ გამომსვლელის და პრეზიდენტის რეაქციაა ფიქსირებული. ასეთი ყრილობების ათასობით დამსწრე ადამიანი ერთმანეთისაგან სრულიად იზოლირებული რჩებოდა, დამსწრეთა დიდი რაოდენობა მხოლოდ ამძაფრებდა განცალკევებულობისა და იზოლირებულობის განცდას. პრეზიდენტის ზეგავლენას დარბაზზე მაგიური, ჰიპნოტური ხასიათი ჰქონდა. ურთიერთობის ასეთი უკულტურო ფორმა („გათიშე და იბატონე“) ამცირებს და ანთროპოლოგიურად ანაწევრებს ადამიანს, სპობს მასში მთლიან პიროვნულ საწყისს და აქცევს ზომბირებულ არსებად.

აქ, როგორც აღვნიშნეთ, კომუნიკაციის მაგიურ ფორმასთან გვაქვს საქმე, ხოლო იმ ფორმას, რომელსაც შექსპირი იყენებდა და რომელსაც მიმართავდნენ იყალთოს, გელათის და სხვა საულიერო აკადემიებში, როგორც წმიდა ტექსტების განხილვის და სულიერი ურთიერთობის საკრალურ ფორმას, შეიძლება მისტერიალური ვუწოდოთ, რადგანაც ის საიდუმლოდ რჩება ყველასთვის, ვინც წრის გარეთ არის, თუნდაც უსმენდეს და უცქერდეს იმას, რაც ხდება წრის შიგნით. ასეთი ტიპის ურთიერთობას აქვს ერთი თავისებურება, რომ შესაძლებელი ხდება ჩასწვდეს საუბრის არსს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხარ წრის შიგნით ფიზიკურად და მეტაფიზიკურად, ანუ შინაგანად. სხვა შემთხვევაში ისმენ და უყურებ, მაგრამ არ გესმის და ვერ ხედავ, რადგანაც, როგორც ითქვა, მხოლოდ კულტურის საკრალურ ველში შეიძლება გახადო ცოდნა საკუთარ მდგომარეობად, იმად, რაც ხარ და არა - რაც გაქვს, ანუ ეზიარო ჭეშმარიტ ცოდნას. მხოლოდ ამ დროს, როდესაც აზროვნებისა და დიალოგის პროცესში მონაწილეობს სული, ხორციელდება მათემა, ანუ შემეცნება. შემეცნების განხორციელების პრინციპი არის სულის ქმედება და მონაწილეობა ყველაფერში. აზროვნება ნიშნავს იმას, რომ არა მარტოდენ ტვინი აზროვნებს და ცოდნა მოქმედებს მასთან შეთანხმებით, არამედ მე თვითონ ვმონაწილეობ ამ პროცესში. ცოდნის შიგნით ვარ, მასთან ვურთიერთობ საერთო იდუმალ, არაგაცხადებულ ფორმაში, რომელიც ვარ მე თვითონ.

გამოცდა ბალით.

89 წლიდან ცვდილობთ, ავაწყოთ ჩვენი მუშაობა არა სალექციო სტილში, არამედ ცოცხალი ურთიერთობების აკადემიურ (პლატონური გაგებით) სივრცეში. აკადემია, როგორც ბალი კლასიკური გაგებით, შევექმნათ ბალის სიტუაცია: არა ხელოვნური ურთიერთობის, განმეორებადი, ტირაჟირებული აზრებისა და სიტყვების გაცვლით, არამედ ისეთი სიტუაცია, სადაც აზრი, ფიქრი და ურთიერთობა შეიძლება

იყოს ისეთივე ბუნებრივი, თავისუფალი, ღალი, ცოცხალი, როგორც არის თვითონ ბუნება იმ ბაღში, რომელიც პლატონის მეგობრებმა იყიდეს აკადემიის მოსაწყობად და რომელშიც შემდგომ იმართებოდა საუბრები. აკადემიის პრინციპი ძალიან მარტივი იყო. ეს სოკრატისეული პრინციპია, რომელიც ამბობს: მე არაფერი არ ვიცი ჯერ. ეს “ჯერ” ძალზედ მნიშვნელოვანი სიტყვაა, რადგან მანამ არ დაიწყებ ცოცხალ ურთიერთობას, ფიქრს, მცდელობას უშუალო კომუნიკაციებისა იმ კონკრეტულ ადამიანებთან, რომლებიც შენთან ერთად შემოდინ ბაღის სიტყვათა ველში, გესაუბრებიან და ცდილობენ იყვნენ გახსნილი ამ საუბრისათვის, აი სანამ ეს არ ხდება, მანამ ფიქრს არც აქვს აზრი, ფიქრს აკლდება საზრისი. საზრისი უშუალო, ცოცხალ ურთიერთობაში იბადება და არა ურისკო ზმანებებში, რომლებიც მხოლოდ იმეორებენ საკუთარ თავს, გარანტირებული წარმატების მოლოდინში. ფიქრი უშუალო უნდა იყოს და არაფერს არ იმეორებდეს. ის, ვინც ერთხელ მაინც მოხვდება ბაღში, იპოვნის იქ ცოცხალ სიტყვებს, ისეთსავე ბუნებრივს და ნათელს, სურნელოვანს და ეკოლოგიურს, როგორც თვით ბაღია, მას აღარასოდეს მოუწდება სიტყვათა ურბანისტულ გარემოში დაბრუნება, სადაც აზრი დატყვევებულია, ყველაფერი ერთმანეთს იმეორებს და არაფერი იცვლება. ამიტომ მე, მართალი გითხრათ, აღარც მაინტერესებს ლექციების კითხვა, რადგანაც ლექცია ყოველთვის გამეორებაა. ეს არის ცოდნის ლეჟვა, ერთხელ ნათქვამის ასჯერ გამეორება. რაც მეტი ლექცია გაქვს წაკითხული, მით უარესი, რადგანაც ის გაუთავებლად მეორდება სრულ გამოშტერებამდე, და საბოლოოდ მხოლოდ გადმოსცემ სიტყვებს, მაგრამ წყვეტ აზროვნებას. ლექციის შინაარსი ხომ იცი ისე, რომ გააზრებაც კი აღარ გჭირდება. ცოცხალი ურთიერთობის სივრცე, როგორც ვთქვი, გულისხმობს დიდ რისკს. რატომ? იმიტომ, რომ წინასწარ არასოდეს არ იცი, თუ საით წავიყვანს შენი ფიქრი, როგორ განვითარდება დიალოგი. თითქოს ხარ ამ ურთიერთობის არა სუბიექტი, არამედ მისი რაღაც ერთი ელემენტი. შენ გემართება ფიქრი. ეს პარადოქსია, რადგან დეკარტის აზრით, შენ თვითონ უნდა იყო ფიქრის სუბიექტი. კოგიტალური პროცესი არის პირადად შენი შემოქმედება ფიქრში, შენ თვითონ ხარ ყოველი სიტყვის ავტორი. შენ – დღევანდელი და არა გუშინდელი. აქ და ამჟამად. მაგრამ როგორ გვემართება ჩვენ აზროვნება და როგორღა ვართ ავტორები ერთდროულად? ეს აზრის და ფიქრის, კოგიტალური პროცესის საიდუმლოებაა. ეს საიდუმლოება – ბუნებრიობის მისტერიაა. ბუნება არასოდეს არ არის ერთი და იგივე, ის არასოდეს არ იმეორებს თავს. არასდროს ამოდის ერთი და იგივე მზე: დღეს მზე სხვანაირია, ვიდრე გუშინ, ის სუნთქავს, ფეთქავს, პულსირებს, მუდამ იცვლება. ძველი თბილისის ქუჩებში სახლები დგანან საუკუნეების მანძილზე, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით აღმოვაჩენთ, რომ დღეს ეს უკვე სხვა ქალაქია, ვიდრე გუშინ. როგორ დავიჭიროთ, გავაცნობიეროთ და დავამყაროთ ურთიერთობა საკუთარ ფიქრთან? ეს არის ტექსტის ამოცანა. ტექსტი დაიბადა, როგორც გალია ფიქრისათვის. მე შემიძლია ჩავსვა გალიაში ცხოველი, რომელიც სადღაც უკაცრიელ ტყეში ცხოვრობდა და შემდეგ დავაკვირდე მას – აქვე მყავდეს. შეხვედრიდან შეხვედრამდე, ყოველთვის თავიდან კი არ გავყვე მის კვალს და სადღაც ტყე-ღრეში ვიარო, არამედ დავატყვევო, შემოვიყვანო სახლში, ჩავკეტო აქ და დავაკვირდე. ასე ჩაიკეტა ფიქრები კულტურის სახლში. კულტურა თავისებური გალიაა ფიქრებისათვის. კულტურა ფიქრების დასაკვირვებელი ლაბორატორიაა, სადაც მიკროსკოპით აკვირდებიან ფიქრებს, სადაც ცდილობენ ექსპერიმენტულ მანიპულაციებს იმასთან, რაც არის თვით სიცოცხლე, თვით არსებობა, დეკარტიდან გამომდინარე. მე ვარსებობ მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ ვიწყებ ფიქრს. ქაოსი გარდაიქმნა კოსმოსად, როდესაც ვიღაცამ დაიწყო აზროვნება. მაშინ დალაგდა და განიწმინდა სამყარო ნავისაგან, ანუ ყველაფრისაგან, რასაც ვატარებ, როგორც საკუთარ თავს და არ ვარ მხოლოდ თვითონ. ლაბორატორიაში ცდილობენ აღბეჭდონ ფიქრი ფოტო თუ კინო ფირზე, დაატყვევონ ის ასოებისა და სიტყვების მეშვეობით ტექსტში და შემდგომ აწარმოონ ინსტრუმენტალური დაკვირვება იმაზე, რაც გამჟღავნდა და გამოიკვეთა ლაქმუსის ქალაღზე. ეს რეფლექსიის პროცესია, ერთი და იგივე დატყვევებულ, ფიქსირებულ რეალობასთან მეორედ მისვლის, ანუ მისი განმეორების მცდელობა. რეფლექსია ითხოვს ლაბორატორიულ დაკვირვებებს განმეორებად მოვლენაზე. მეორედ მოსვლას ფიქრთან, სიცოცხლესთან, აზროვნებასთან და მცდელობა, ამ დროს, ფიქრს დაუპირისპირო ფიქრი. როდესაც გალიაში დატყვევებულ ფიქრს დაუპირისპირებ ცოცხალ აზროვნებას, გაათავისუფლებ მას გალიიდან და დაიწყებ მასთან ერთად სიცოცხლის ცეკვას, ანუ, როდესაც ერთი ფიქრი ცდილობს აყვეს მეორეს, ერთიან მოძრაობაში, მაშინ იბადება ახალი არსება, რომელსაც არქიმედენ ჰომო საპიენს-საპიენსი: ორი საპიენსი გაერთიანებული ერთიან რთულ სასიყვარულო მოძრაობაში. გვაქვს ორი საპიენსი, ერთი საპიენსი – ფიქრებია, რომლებიც გაიშალა და მიმდინარეობდა ხუთი თუ ექვსი წუთის წინ. მეორეა ფიქრები, რომელიც ახლა იწყებს მდინარებას. ფიქრების ამ ორი ნაკადის შეერთებით ჩვენ ვიღებთ იმას, რასაც ჰქვია ცნობიერება. არც პირველი საპიენსია ცნობიერი და არც მეორე, მანამ ისინი ცალ-ცალკე, მარტოობაში შლიან თავის თავს. ცნობიერება მათი შეხვედრაა ერთმანეთთან და დიალოგის შესაძლებლობა. ეს დია-

ლოგი კი შეიძლება შესდგეს მხოლოდ ბაღში, ანუ აკადემიურ სივრცეში. სწორედ აქ ბაღში, სადაც არაფერი მეორდება, სადაც ყველაფერი ცოცხალია და განუმეორებელი, სადაც თვით ამ სიცოცხლის შემოქმედი სეირნობს - ერწყმის ერთმანეთს ფიქრის ორი ნაკადული. ჩვენ მათი სახელებიც ვიცით: პირველ კოგიტალურ ნაკადს, რომელიც ექვსიოდე წუთის წინ იშვა ადამი ჰქვია, ხოლო მეორეს - ევა, რომელიც მას გამოეყო და შეხვდა, განახლებული და სახეშეცვლილი. ადამი ვერ შევიდა ფიქრების მდინარეში ორჯერ და შეხვდა ევას. არც ადამი და არც ევა ცალ-ცალკე “ჯერ” არაფერს უწყოდნენ. მათმა სიყვარულმა და ცეკვამ სიტყვათა ბაღში დაბადა ახალი არსება - შემეცნება (ფილოსოფია). ერთი ფიქრი ცოდო იყო, ერთი საბიენსი მარტოდ ცოდო იყო. ღმერთმა მას მეორე საბიენსი შეუქმნა და ამით ფიქრთა ორი ნაკადის დიალოგის შესაძლებლობა განაპირობა. დიალოგმა უამრავი ნაკადული დაბადა და წარმოიქმნა კაცობრიობა. ყოველი ადამიანი, ახალი მოფიქრალია, დიალოგის ახალი შესაძლებლობაა. ფიქრთა პლანეტაა, ბერძნებს რომ კვითხით - ლოგოსის ოკეანეა. სიტყვათა ზღვა. ენების სტიქიონი. სადაც სიტყვათა ღინებები ერთმანეთს ხედებიან, ეჯახებიან, ბობოქრობენ და ფიქრები ამ ოკეანის ტალღებზე სერფინგით დასრიალებენ.

როდესაც კლაპარაკობთ ბუნებაზე, როგორც ხელთუქმნელ ტექსტზე, რომლის ავტორი, მთქმელი თვით უფალია, უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე და უპირველესად ყოვლისა საკუთარი თავიც. ამდენად, ჩვენში იკითხება ორი ბუნება, ორი სუბიექტის თანაარსებობა, რომელმაც უნდა გაიაროს გამოცდა ბალით: თუ რამდენად ვართ მზად ჩვენ თვითონ, ჩვენს დიალოგში ჩვენივე თავთან (როგორც ღვთაებრივ ტექსტთან) ურთიერთობისათვის და თანაარსებობისათვის, რაც განუზომლად მეტია ჩვენს საკუთარ კოგიტალურობაზე. როგორია ჩვენი ურთიერთობის სივრცე ადამთან ჩვენში. აღსანიშნია, რომ ადამიანის სხეული შეიცავს კიდევ ერთ ენას, შინაგან დისკურსს, რომელიც არის ჩვენი ეროვნული და გენეტიკური არსი. ჩვენში არის ტექსტი, რომლის სუბიექტები წარსული თაობებია. გარდასულ თაობათა ღაღადისი, მათი ხმა ჩვენში, მოცემული როგორც საკუთარი შეგრძნებები, ფიქრები, სიზმრები, უნარ-ჩვევები, მიდრეკილებები, ეს დიდი სკოლაა, რომელსაც მუდამ თან ატარებ. ამდენად, ადამიანი წარმოადგენს გვაროვნული, ეროვნული, ადამისეული (რომელიც არის ღვთაებრივი ტექსტი ჩვენში) და პიროვნული დისკურსების შეთანხმების კულტურულ სივრცეს.

მე, შემოსული სკოლაში, ეს ჩვენ ვართ, წრეში მსხდომნი და მოსაუბრენი, სადაც თვითეული ჩვენთაგანი დანარჩენების წინაშე შლის წარმოდგენას, რომელსაც კაცობრიობის ისტორია ჰქვია, ამ წარმოდგენის მიზანია შეხედე იქ საკუთარ თავს და შეეცადო მასთან განმთლიანებას.

თანამედროვე თერაპისტული ფსიქოლოგია, არის მეცნიერება ურთიერთობათა კონგრუენტული ფორმის შესახებ. მის ამოცანაში შედის პედაგოგიური პროცესის ხელშეწყობა, უკონფლიქტო, ფსიქოლოგიურად კორექტული, პიროვნებაზე ცენტრირებული ურთიერთობების დამყარება სკოლაში. პოსტრავმატული სტრესული დარღვევებისაგან, აქტუალური ნევროზებისაგან მოსწავლეთა განთავისუფლება. მოზარდის პიროვნული ზრდისათვის ხელის შეწყობა, ზრუნვა მის სულიერ ჯანმრთელობაზე, ნორმალურ ფსიქოემოციონალურ განვითარებაზე.

პედაგოგიური პროცესი ბრკოლდება, თუ არ არის დარეგულირებული ურთიერთობები სკოლაში.

მეორე მხრივ, ძნელდება უკონფლიქტო, პიროვნებაზე ცენტრირებული ურთიერთობების დამყარება, თუ არ არის გათვალისწინებული პტს-თერაპია, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ამოცანა.

ფსიქოთერაპია შედეგიანია, თუ გათვალისწინებულია მოზარდთა სრულფასოვანი ფიზიკური აქტიობა, მოძრაობითი, არავერბალური გამომხატველი კომპონენტი და ა.შ. მაგრამ ამ მიზნების არც განცალკევებულად და არც კომპლექსურად განხორციელება არ მოგვიტანს შედეგს, თუ ისინი არ ემსახურებიან ძირითად მიზანს - ზრუნვას პიროვნებაზე.

განათლების რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა ფსიქოლოგების თანამშრომლობა პედაგოგებთან. სწავლების ფორმის რადიკალური შეცვლა, განათლებისა და თერაპისტული ფსიქოლოგიის ამოცანების ინტეგრირების გზით.

რეფორმამ უნდა შესთავაზოს ახალგაზრდებს სწავლების არსებული ფორმებისაგან განსხვავებული არჩევანი, რომლის მიხედვითაც მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა შესაძლებელია გახდეს სხვა ადამიანებთან, თანატოლებთან, სამყაროსთან და საკუთარ თავთან თავისუფალი, უშუალო დიალოგის ენა.

არა მგონია, ეს ჩემი ნათქვამი განუხორციელებელი ოცნება იყოს. ცხადია, საქართველოს ყველა სკოლას ერთბაშად ვერ დავამრგვალებთ, ვერც გლობუსად ვაქცევთ და ვერც ბაღად. მაგრამ ყველა სკოლაში არის ფსიქოლოგის შტატი.

აი მას კი თავისუფლად შეუძლია შექმნას წრე, დასვას ამ წრეში სკოლის პედაგოგები და დაიწყოს მათთან ჭეშმარიტი არადიდაქტიური, არა დირექტიული დიალოგი. თუ ეს დიალოგი მართლაც ასეთი იქნება, დამერწმუნეთ, სულ მოკლე ხანში სკოლა თანდათან მართლაც ბედნიერების მომტან, მიმზიდველ ბაღად გადაიქცევა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბავშვებიც ადამიანები არიან და მათ პირველყოფილსა უშუალო და გულწრფელი, სიყვარულით სავსე ურთიერთობა სწყურიათ.

ირინე ნაჭყებია

საქართველოს მნიშვნელოვანი ინდოეთზე ლაშქრობის გეგმის კონტექსტში (XIX საუკუნის დასაწყისი)

ინდოეთზე ლაშქრობის გეგმა. XIX საუკუნის პირველ ათწლეულში საფრანგეთ-სპარსეთის ურთიერთობათა შესახებ სხვადასხვა ენებზე მრავალი მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა გამოქვეყნდა, რაც ამ საკითხით მკვლევართა დაინტერესებას მოწმობს. წინამდებარე სტატიამ ვეხებით საფრანგეთ-სპარსეთის ურთიერთობებში საქართველოს (საქართველოში რუსეთის მიერ ანექსირებული ქართლ-კახეთის სამეფო იგულისხმება) საკითხის მნიშვნელობას.

გეგმატის უშედეგო ლაშქრობის შემდეგ (1798-99) პირველმა კონსულმა რუსეთის იმპერატორთან პავლე I-თან ერთად ინდოეთზე სახმელეთო ლაშქრობა ავღანეთის გავლით დაგეგმა. საგულისხმოა, რომ პავლე I-ის ამიერკავკასიური პოლიტიკაც სწორედ იმ პერიოდში გააქტიურდა. 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა პავლე I-ის მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, ხოლო უკვე 27 თებერვალს რუსეთის იმპერატორის განკარგულებით ინდოეთზე სალაშქროდ ორენბურგისაკენ დონის კაზაკთა პოლკები დაიდრნენ. ეს გეგმა პავლე I-ის მკვლევლობის (11.03.1801) გამო ვერ განხორციელდა. ორგზის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, სპარსეთ-ავღანეთის ტერიტორიული სიახლოვის გათვალისწინებით, ნაპოლეონმა ინდოეთზე სალაშქროდ სპარსეთის ჩართვა განიზრახა. ამ მიზნით მან 1803 წლის ოქტომბერში კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩს, მარშალ ბრიუნს და, ბაღდადსა და ალექსანდრეში მყოფ საფრანგეთის კომერციულ ურთიერთობათა კომისრებს, ჟან-ფრანსუა რუსოსა და ალექსანდრო-ლუიჯი დე კორანჩეს სპარსეთის შესახებ ზუსტი ცნობების შეკრება და საფრანგეთისადმი სპარსეთის კარის განწყობის დაზვერვა დაავალა. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს აღმოსავლეთში დაბადებული და აღზრდილი ჟან-ფრანსუა რუსოს ცნობები. 1804 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში იგი ტალეირანს ატყობინებდა, რომ დაუკავშირდა სპარსეთის გავლენიან პირებს, მათ შორის ისფაჰანის შეიხულ-ისლამს მირზა მორთეზას, რომელთანაც ჟ.-ფ. რუსოს პირადი დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. მირზა მორთეზამ მას დაუდასტურა ფაქტობრივი შაჰის კეთილგანწყობა და მზადყოფნა ნაპოლეონთან ურთიერთობის დასაწყებად. ამავე წერილში ჟ.-ფ. რუსო ვრცლად ეხება ინდოეთიდან ინგლისელთა განდევნის თავის დიდი ხნის გეგმას სავარაუდო მარშრუტის მითითებითა და მოკავშირეთა დასახელებით. მისი აზრით "საფრანგეთს, სპარსეთსა და ყანდაჰარს შორის" სამშხრივი ალიანსი უნდა დამყარებულიყო, ყანდაჰარსა და საფრანგეთს შორის შუამავლობა ფაქტობრივი შაჰს უნდა გაეწია. ჟ.-ფ. რუსიოს ეს ცნობები ზუსტად ეხმიანებოდა საფრანგეთის იმპერატორის სურვილს. ამასთან, ეს მოვლენები საფრანგეთის წინამძღვრე მესამე კოალიციის მზადებასა და რუსეთ-სპარსეთის 1804-1813 წლების ომს დაემთხვა.

რუსეთ-სპარსეთის პირველი ომის (1804-1813) დასაწყისი. რუსეთ-სპარსეთის პირველი ომი 1804 წლის ივნისში დაიწყო, როდესაც რუსეთის ჯარმა განჯა დაიკავა და განჯის სახანო რუსეთის სამფლობელოს შეუერთა. სპარსეთის ჯარს მეთაურობდა ფაქტობრივი შაჰის მემკვიდრე, აბას-მირზა (1788-1833). მის ბანაკში იმყოფებოდნენ ერეკლე II-ის ვაჟი ბატონიშვილი ალექსანდრე და გიორგი XII-ის ვაჟი ბატონიშვილი თეიმურაზი.

აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივი შაჰმა სპარსეთს გადახვეწილი ბატონიშვილები კარგად მიიღო. 1803 წლით დათარიღებულ ფირმანებში შაჰი ამირებს ალექსანდრე მირზასა და თეიმურაზ მირზას დამოუკიდებელ ვალიებად ამტკიცებს საქართველოში, საქართველოს კი "სპარსეთის სამფლობელოთა განუყოფელ ნაწილს" უწოდებს, რაც რუსეთის წინამძღვრე კახეთის მოსახლეობის ასაჯანყებლად იყო გამიზნული. 1803 წელსვე ფაქტობრივი შაჰი იმერეთის მეფეს, სოლომონ II-ს წერს, რომ უწარჩინებულესი ალექსანდრე მირზა და თეიმურაზ მირზა მის კარზე წარდგომის ღირსნი გახდნენ, მისი უზენაესი ნება-სურვილი კი მათთვის რუსეთისაგან საქართველოს დახსნაში დახმარება იყო. ამიტომ შაჰმა მეფური კეთილგანწყობის ნიშნად ისინი გაგზავნა ტახტის მემკვიდრე აბას მირზასთან.

ამგვარად, ერეკლე II-ის ვაჟი ალექსანდრე და შვილიშვილი თეიმურაზი ალა-მაჰმად ხანის მემკვიდრეთათვის მატად სასურველი პარტნიორები, რუსეთის მთავრობისათვის კი საშიში მოწინააღმდეგეები გახდნენ. ამიტომ ითხოვდა 1803-1806 წლებში ქართლ-კახეთის მმართველი გენერალი ციციანოვი ყარაბა-



ნაპოლეონი

ლის ხანის, აბას-ყულისაგან ერთგულების დასამტკიცებლად ქართველი ბატონიშვილების გაცემას. თეიმურაზისათვის თვალ-ყურის დევნება ევალეზოდა ერევნის ოლქის მმართველის, ჰოსეინ ხანის ძმას, ერევნის ციხის კომენდანტს მეჭდი-ყული ხანს. ორივე ბატონიშვილს უთვალთვალედა თავრიზის ბეგლარბეგი აჰმედ ხანი, რომელსაც ციციანოვი 1804 წლის ზამთარში საიდუმლოდ ურიგდებოდა: თუ იგი ბატონიშვილებს განჯაში ჩაიყვანდა, საჩუქრებსაც მიიღებდა და მომავალშიც თავშესაფარის იმედი ექნებოდა. 1804 წლის ზაფხულში, რუსეთ-სპარსეთის ომის დაწყებამდე, გენერალი ციციანოვი ფათჰ-ალი შაჰის პირველ ვეზირს, მირზა შაფისაც ურჩევდა ბატონიშვილთა გაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სისხლისღვრით ემუქრებოდა.

1805 წლის ზაფხულში რუსეთის ჯარმა დაამარცხა აბას-მირზა, შექის, შირვანისა და ყარაბაღის ხანები რუსეთის მხარეს გადავიდნენ, ხოლო მომდევნო წელს რუსეთის ჯარმა ერევნისა და ნახჭევანის სახანოების გარდა თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიკავა. ომი ჭიანჭურდებოდა, რადგან რუსეთი ანტიფრანგულ კოალიციაში შევიდა და კავკასიაში მიშვნელოვან სამხედრო კონტინგენტს ველარ გზავნიდა, სპარსეთს კი რუსეთის ჯარის განდევნის ძალა არ შესწევდა. სპარსეთმა ინგლისელთა – ინდოეთში თავის მეზობელთა – მხარდაჭერის იმედიც დაკარგა: დახმარების სანაცვლოდ მათ ფათჰ-ალი შაჰს ჰორმუზის სრუტეში კუნძული, კასპიის ზღვის ნავსადგურები და სპარსეთის ყურეში ნავსადგური ბენდარ-ბუშერი მოსთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს. განრისხებულმა შაჰმა ინგლისთან 1800 დადებული კონვენცია გააუქმა და ენშიადინის კათალიკოსის, დავითის რჩევით, ნაპოლეონს მისწერა წერილი. დაგაზუსტებთ, რომ ფათჰ-ალი შაჰს საფრანგეთთან კავშირის დამყარება პირველმა თავრიზის ბეგლარბეგმა, აჰმედ ხანმა ურჩია.

ფათჰ-ალი შაჰის წერილი ნაპოლეონს 1805 წლის იანვარში გადასცეს. ამ წერილის თანახმად, შაჰი საფრანგეთის მთავრობას მეგობრობასა და რუსეთთან ომში თანადგომას სთხოვდა. ამგვარ ვითარებაში ნაპოლეონმა სპარსეთში აგენტის გაგზავნა გადაწყვიტა.

საფრანგეთ-სპარსეთის ურთიერთობათა დასაწყისი (1805-1807). საფრანგეთ-სპარსეთის ურთიერთობებისათვის ნიადაგის მომზადებაში ჟ.-ფ. რუსოს უდიდესი დამსახურების მიუხედავად, ინდოეთზე საღაშქროდ სპარსეთის შესაძლებლობის დასაზვერად და ფათჰ-ალი შაჰთან მოსალაპარაკებლად ნაპოლეონმა 1805 წლის მარტში ჯერ აღმოსავლური ენების მცოდნე თავისი პირადი მდივანი-თარჯიშანი 25 წლის ამედე ჟობერი, შემდეგ კი 41 წლის გამოცდილი ოფიცერი, ალექსანდრ რომიე გაგზავნა. მათი მისიების ძირითადი მიზანი სპარსეთის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება იყო. რომიეს, როგორც პროფესიონალ სამხედრო პირს, დამატებით სპარსეთის სამხედრო მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლა დაევა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ალექსანდრ რომიეს მიერ სიკვდილამდე (12.11.1805) დაწერილი ანგარიში სპარსეთში მისი მისიის შესახებ და იმავე საკითხზე ნაპოლეონის მიერ ამედე ჟობერისაგან მოთხოვნილი ანგარიში (1807 წლის 6 მარტი). ჟ.-ფ. რუსოს მოსაზრებისაგან განსხვავებით, რომიე ობიექტური დასაბუთებით უარყოფითად აფასებდა ინდოეთში ლაშქრობის პერსპექტივას, ამედე ჟობერისაგან განსხვავებით კი სპარსეთთან კავშირის სარგებლობასაც ეჭვქვეშ აყენებდა. ალექსანდრ რომიეს უარყოფით მოსაზრებათა გაბათილებას ჟ.-ფ. რუსო შეეცადა.

რომიესა და ჟობერის მიერ დაწყებული ურთიერთობები 1806-07 წლებში თეირანში მივლინებულმა ფრანგმა ემისრებმა ჟოზეფ ჟუანენმა, ოგიუსტ დე ბონტამ ლე ფორმა და ქსავიე დე ლა ბლანშმა განაგრძეს. ამ უკანასკნელის მიზანი აბას მირზას მეთაურობით სპარსელების რუსებზე თავდასხმის წაქეზება იყო იმ დროს, როდესაც იმპერატორი ალექსანდრე ვისლაზე იმყოფებოდა და თავის ჯარს საქართველოსაკენ ვერ მიმართავდა. დე ლა ბლანშის მცდელობა უშედეგო გამოდგა.

1807 წლის დასაწყისში საფრანგეთის იმპერატორმა ასე დააკონკრეტა თავისი უზენაესი ნება: "ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სამხრეთი კავშირის დადება საფრანგეთს, სპარსეთსა და პორტას შორის, ინდოეთში გზის გაკვალვა და რუსეთის წინააღმდეგ მომხრეთა მოპოვება". ტალეირანმა, რომელსაც ნაპოლეონმა რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ საფრანგეთს, თურქეთსა და სპარსეთს შორის სამხრეთი კავშირის გეგმის შედგენა დაავალა, "ცივი გონებით" შეისწავლა საქმის ვითარება და ალექსანდრ რომიეს მოსაზრებებს დაეყრდნო: რადგან სპარსეთის სამხედრო ძალები რუსეთის საზღვართან იყო თავმოყრილი "რუსებისაგან საქართველოსა და ერევნის პროვინციის გამოსახსნელად", სპარსელები ვერ შესძლებდნენ ინდოეთში ჯარის გაგზავნას. მაგრამ ნაპოლეონმა თავისი მინისტრის ფრთხილი დამოკიდებულება არ გაიზიარა. საბოლოოდ, ამედე ჟობერის რჩევის შესაბამისად, რაც ოსმალეთ-სპარსეთს შორის არსებულ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს ითვალისწინებდა, აგრეთვე მისი იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომ სპარსეთის ელჩს შაჰისაგან მეტად ფართო უფლებები ჰქონდა მინიჭებული საფრანგეთთან ნაპოლეო-

ნისათვის სასურველი ხელშეკრულების დასადებად, საფრანგეთის იმპერატორმა სპარსეთთან ცალკე სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება გადაწყვიტა.

ფრანგული პრესა სპარსეთისა და საქართველოს შესახებ. ნაპოლეონის მიერ სპარსეთში წარგზავნილი მისიების საპასუხოდ 1807 წლის მარტში ვარშავაში ფათჰ-ალი შაჰის ელჩი, მირზა მოჰამედ-რიზა ხან ყაზვინელი ჩავიდა. სპარსეთის შესახებ ცნობების გაშუქება ფრანგული პრესის ფურცლებზე უკვე 1807 წლის იანვრიდან დაიწყო და ძირითადად რუსეთის წინააღმდეგ ომში ფათჰ-ალი შაჰისა და მისი მეგობრის, მეფისწულ აბას მირზას სამხედრო წარმატებებს ეძღვნებოდა. ეს ინფორმაცია მეტად გაზვიადებული იყო და ხშირად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. პრესაში აგრეთვე დიდი ყურადღება დაეთმო ნაპოლეონის მიერ ელჩის მიღებასა და მისთვის, სპარსეთისაგან განსხვავებით, საფრანგეთის დიდ სამხედრო მიღწევათა დემონსტრირებას.

მეტად საგულისხმოა, რომ ცნობები საქართველოს შესახებ ასევე 1807 წლის მარტსა და აპრილში გამოქვეყნდა *Journal de l'Empire*-ის სამ ნომერში. მეტად ვრცელი საგაზეთო წერილების ავტორი იყო ცნობილი მეცნიერი კონრად მალტ-ბრუნი (1775-1826). თავისი წერილების წყაროდ ის წმ. ალექსანდრე ნეველის არქიმანდრიტის, ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომს უთითებდა, რომელიც 1802 წელს გამოიცა სანკტ-პეტერბურგში. საგარაუდოა, რომ მალტ-ბრუნმა ამ წიგნის ან გერმანული (1802) ან ფრანგული თარგმანი (1804) ისარგებლა. მალტ-ბრუნის მიერ *Journal de l'Empire*-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა ჩვენ დედანს შეუვლადრეთ. მალტ-ბრუნი რუსი არქიმანდრიტის ნაშრომის შინაარსს საკმაოდ დაწვრილებით გადმოსცემს და ზოგიერთ ცნობას თავის კომენტარსაც ურთავს.

პირველი წერილის შესავალში (10.03.1807) მალტ-ბრუნი აღნიშნავდა, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში საფრანგეთის მთავრობა კავკასიის მიმართულებით რუსეთის გაფართოების მნიშვნელობას მიუთითებდა, ხოლო კავკასიისათვის მზერის მიპყრობისას სახელმწიფო მოღვაწე დაინახავდა, რომ საქართველო რუსეთის გუბერნიად იყო გადაქცეული, კავკასიის დაუმორჩილებელი ხალხები კი ყოველი მხრიდან მოსკოველების ჯარით იყვნენ გარშემორტყმულნი; ამის გამო სპარსეთსა და აზიურ თურქეთს საქართველოსთან აღარ ჰქონდათ ბუნებრივად არსებული საზღვარი. მისი კომენტარით, რუსების მიერ დაპყრობილ ამ მშვენიერ ქვეყანაში გეოგრაფები, ბუნებისმეტყველნი, ისტორიკოსები და ლიტერატორები საინტერესო მოვლენებს, დიდებულ ბუნებას, უძველეს ხალხს, ნაკლებად ცნობილ ენებს, დაბოლოს, სამეცნიერო კვლევებისათვის ვრცელ ასპარეზს ჰპოვებდნენ. მეცნიერი ავტორი მკითხველს აწვდიდა ზოგად ცნობებს კავკასიის შესახებაც.

მეორე წერილში (18.03.1807) მალტ-ბრუნი მკითხველს საქართველოს ისტორიის საკმაოდ ვრცელ მიმოხილვას სთავაზობს. ეს წერილი მთავრდებოდა ცნობით საქართველოში 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოჭრის შესახებ, რომელშიც რუსეთის პოზიცია ასე იყო შეფასებული: "რუსეთის იმპერატორმა (ეკატერინე II) სასწრაფოდ გაიწვია ჯარი და მიატოვა ქართველები სპარსელთა და კავკასიის ბარბაროსი ურდოების შურისძიების პირისპირ". მესამე წერილი (6.04.1807) საქართველოს რელიგიის, კულტურისა და ცივილიზაციის საკითხებს ეძღვნება. მალტ-ბრუნი წერდა, რომ ქართველებს მრავალი უძველესი ხელნაწერი ჰქონდათ, მრავალი მათგანი კი დიდი ღირებულებისა და მეცნიერთა ყურადღების ღირსი იყო. საგაზეთო წერილებში მოყვანილი ორი ცნობა კი მიუთითებდა საქართველოს გარკვეულ კავშირს მისგან ტერიტორიულად მეტად დაცილებულ ინდოეთთანაც. მალტ-ბრუნი წერს, რომ ნადირ-შაჰმა სათანადოდ შეაფასა ქართველთა ვაჟკაცობა და ქართულმა კავალერიამ მას უდიდესი სამსახური გაუწია დიდი მოგოლის წინააღმდეგ წარმოებულ ცნობილ ექსპედიციაში. საგაზეთო სტატიის ავტორი იმეორებს ბოლხოვიტინოვის სუბიექტურ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ *ვეფხისტყაოსნი* ინდური პოემის მიბაძვაა და მას *ვეფხისტყაოსნი* იმიტომ ეწოდებოდა, რომ მისმა გმირმა ინდოელმა პრინცმა, სახელად ტარიელმა, ქვეყნირება ვეფხის ტყავით შემოსილმა მოიარა.

ამგვარად, სპარსეთის – საფრანგეთის პოტენციური მოკავშირის დადებითად წარმოჩენის პარალელურად, ფრანგულმა პრესამ მეტად ვრცელი წერილები ევროპაში ნაკლებად ცნობილი საქართველოს შესახებაც გამოაქვეყნა. საგაზეთო წერილების მეშვეობით კი ევროპელი მკითხველის ცნობიერებაში საქართველო არა მხოლოდ სპარსეთთან, ოსმალეთთან და რუსეთთან, არამედ ინდოეთთან კავშირშიც ფიქსირდებოდა. ის ფაქტი, რომ ეს სტატიები სწორედ მალტ-ბრუნის მიერ იყო მომზადებული, გვაფიქრებინებს, რომ საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულების დადების წინ საქართველოს საკითხის ფართოდ გაშუქება მთავრობის ინტერესებს ემსახურებოდა. ეს მოწმობს პრესის, როგორც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე პროპაგანდის უძლიერესი იარაღის დიდ მნიშვნელობას. ნაპოლეონმა ეს შესანიშნავად იცოდა და მას საჭიროებისამებრ იყენებდა. ამასთან, ჩანს, საფრანგეთის იმპერატორი იმდენად იყო დარწმუნებული საკუთარ ძლევამოსილებაში, რომ ამგვარი ხასიათის ინფორმაციის გამოქვეყნებით არ ერიდებოდა არც ინგლისის და არც რუსეთის გაღიზიანებას.

ზრანგ მისართა ცნობები საქართველოს შესახებ.



მაცია საფრანგეთის მთავრობას საქართველოს შესახებ? მართალია, 1805 წლამდე, ე.ი. ნაპოლეონის მიერ სპარსეთში ფრანგი ემისრების გაგზავნამდე, საქართველო უშუალოდ არ ექცეოდა საფრანგეთის პოლიტიკურ ინტერესთა სფეროში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ამ საკითხზე 1804 წლით დათარიღებული სამი დოკუმენტი მოვიძიეთ. ამ ცნობათა ავტორები იყვნენ 1796 წელს ალა-მაჰმად ხანთან ჩასული დირექტორიის მიერ წარგზავნილი გიომ ოლივიე, ბასრაში საფრანგეთის გენერალური კონსული ჟან-ფრანსუა რუსო და სინოპში საფრანგეთის კონსული პასკალ ფურკადი. მათი ცნობების განალიზების შედეგად, ფრანგთათვის საქართველო ცნობილი გახდა როგორც რუსეთის მფლობელობაში მოქცეული "მშვენიერი და ვრცელი მხარე", რომელიც 1783 წლამდე "სპარსეთს ექვემდებარებოდა" და "მუდამ მისი მოხარკე" იყო. ეს ქვეყანა დალაშქრა ერეკლესა (le prince Heraclius) და მისი მემკვიდრეების მიერ რუსეთის "უზენაესი ძალაუფლების" ცნობით გამძვინვარებულმა სპარსეთის მმართველმა, ალა-მაჰმად ხანმა. მან საქართველოს დედაქალაქი "ტიფლისი გააჩანაგა", მისმა მოლაშქრეებმა კი იქ აღვირახსნილი სისასტიკე და ბარბაროსობა ჩაიდინეს. ეს ცნობები გაამძაფრა ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მმართველობაში გადასვლის გამო მისი ერთ-ერთი ვაჟის (ბატონიშვილ ალექსანდრეს – ი.ნ.) სპარსეთში გაქცევამ და რუსეთის წინააღმდეგ მისმა ბრძოლამ სპარსელთა მხარეზე, რაც სამეფო ოჯახის არაერთსულოვან პოლიტიკურ ორიენტაციაზე მეტყველებდა. საყურადღებოა, რომ ფურკადის, რუსოსა და ოლივიეს ანგარიშებში აქცენტირებულია 1783 წლიდან რუსეთის სწრაფვა, დამკვიდრდეს ოსმალეთის შავიზღვისპირა ნავსადგურ ტრაპიზონიდან სპარსეთის კასპიისპირა ნავსადგურ ასთარაბადამდე მდებარე მხარეებში მათი ხელსაყრელი სამხედრო და სავაჭრო მდებარეობის გამო.

ეს ინფორმაცია შეივსო ალექსანდრ რომიეს წერილსა და ამედე ჟობერის ანგარიშებში დაცული ცნობებით. რომიე მიუთითებდა, რომ რუსეთს საქართველოში 10-12 ათას ჯარისკაცზე მეტი არ ჰყავდა, მაგრამ ამ მცირე ძალებით წარმატებით უწევდა წინააღმდეგობას ორმოც და ოთხმოც ათასიან სპარსეთის ლაშქარს. ჟობერის ცნობების თანახმად, ერეკლეს II-ის ორი ვაჟი (იგულისხმებიან ერეკლე II-ის ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი და გიორგი XII-ის ვაჟი, თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ჟობერმა აგრეთვე ერეკლე II-ის ვაჟად მიიჩნია – ი.ნ.) სპარსეთის შაჰთან გაქცეულიყო. რუსეთი ინარჩუნებდა მის მიერ დაპყრობილ მხარეებს მდ. არაქსისა და მტკვარს შორის. რუსეთის ჯარის გამოსაზამთრებელი ადგილი თბილისი იყო. საქართველოში ხალხი უკიდურესად უკმაყოფილო იყო რუსების ბატონობით, ხოლო მათი ჯარის "გარყვნილი ჩვევებისა და სამარცხვინო თავაშვებულობის გამო", რუსებს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის კეთილგანწყობა დაეკარგათ.

აგრეთვე საყურადღებოა საფრანგეთის საგარეო საქმეთა არქივში დაცული ჟან-ფრანსუა რუსოს ვაჟის, ჟოზეფ რუსოს ნაშრომი სპარსეთის შესახებ *Tableau général de la Perse moderne*, რომელიც დღემდე მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა. ნაშრომის მეთოთხმეტე თავში – *Notice sur le Kandahar, le Zabulistan et la Géorgie* – ცნობები საქართველოს შესახებ მესამე ქვეთავად არის გამოყოფილი. ეს ნაშრომი ტალიერანს უკვე 1806 წლის აგვისტოში ჰქონდა ხელთ. ჟოზეფ რუსო მასში იძლევა ცნობებს საქართველოს საზღვრების შესახებ, მის ჰავას ჯანსაღს, ტერიტორიას კი მარცვლეულით, ხილითა და ბოსტნეულით ნაყოფიერს უწოდებს, ახასიათებს მოსახლეობას, ეხება საქართველოში ალა-მაჰმად ხანის შემოსევას და საქართველოს რუსეთთან შეერთების მიზეზებს. ახალგაზრდა რუსო ამ ქვეთავს შემდეგი დასკვნით ასრულებს: "ქართველები იწყებენ გამოფხიზლებას იმ აზრისაგან, რომელსაც თავიდან იქმნიდნენ რუსეთის მმართველობის ზომიერების შესახებ. ისინი უკვე ჩივიან მათი სიმკაცრის გამო და მოუთმენლად ელიან შესაძლებლობას, რომ მოიხსნან სპარსელებისაზე ის არანაკლებ მძიმე უღელი, რომელიც თავად დაიდგეს". ამ თხზულების დაწერა ინდოეთში ნაპოლეონის შესაძლო ლაშქრობის იდეამ (რაც ასე სურდა მის მამას – ი.ნ.) განაპირობა. მასში საქართველოს საკითხის ცალკე ქვეთავად გამოყოფა ინდოეთის ლაშქრობის მარშრუტში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ყანდაჰარის სამეფოსთან ერთად, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უკვე რუსეთის შემადგენლობაში მოქცეული აღმოსავლეთ საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას.

ცნობები სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ მოცემულია ოლივიეს "მოგზაურობის" 1807 წელს გამოცემულ მესამე ტომში რომელიც ძირითადად სპარსეთის შესახებაა და რომლის გამოცემასაც დაჟინებით მოითხოვდა ნაპოლეონი. აქ გასათვალისწინებელია ოლივიეს ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსეთის სამხრეთი პროვინციების დამორჩილების შემდეგ "ალა-მაჰმად ხანს არ შეეძლო უარი ეთქვა იმ უფლებებზე, რომლებიც მას საქართველოზე ჰქონდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის ღირსებას შელახავდა და მის მიერ უზურპირებული გვირგვინის უღირსი გახდებოდა". ოლივიეს ეს ცნობა ნათლად მოწმობს ყაჯართა ახლი დინასტიისათვის სპარსეთის შემადგენლობაში საქართველოს მოქცევის დიდ მნიშვნელობას როგორც მორალური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ფრანგი ავტორის მიერ

ქართლ-კახეთის სამეფოს "სპარსეთის საქართველოდ" მოხსენიება კი ევროპელი მკითხველის ცნობიერებაში ამკვიდრებდა იმ საჭირო აზრს, რომ საქართველო სპარსეთის კუთვნილი და რუსების მიერ წართმეული ქვეყანა იყო.



საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულების პროექტი (1807 წლის აპრილი)
ეს დოკუმენტი ინახება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში

საქართველოს საპროტექციო საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულების პროექტი. იმჟამად ნაპოლეონისათვის ინდოეთში ლაშქრობის მოწყობის დიდ მნიშვნელობას მოწმობს 1807 წლის 12 აპრილს მის მიერ ფინკენშტეინში ხელმოწერილი ბრძანება სპარსეთში სრულყოფილებიან მინისტრად ბრიგადის გენერალ კლოდ-მატიე გარდანის დანიშვნისა და მისი მისიის სხვადასხვა სამხედრო სამსახურის ოფიცრებით დაკომპლექტების შესახებ.

1807 წლის აპრილშივე (რიცხვი არაა მითითებული – ი.ნ.) საფრანგეთის მთავრობამ ვარშავაში საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულების პროექტი შეიმუშავა. პრეამბულისა და თექვსმეტი მუხლისაგან შემდგარი ეს დოკუმენტი რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული. თავის მხრივ, ფაქტობრივად მთელი თავისი გავლენა უნდა გამოეყენებინა, რათა ფრანგთათვის ხელი შეეწყო ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პროექტის მე-3 და მე-4 მუხლები უშუალოდ საქართველოს ეხებოდა და ასე იყო ფორმულირებული: "მუხლი 3. იმ შემთხვევაში, თუ სპარსელთა ჯარი რუსებს წართმევს საქართველოს და ტიფლისს დაეპატრონება, მისი უდიდებულესობა საფრანგეთის იმპერატორი იტალიის მეფე ვალდებული იქნება, გაუწიოს დახმარება, რათა ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ამ პროვინციაზე სრული და მთლიანი სუვერენიტეტი, გარანტირებული მისი უდიდებულესობა სპარსეთის იმპერატორისათვის. მუხლი 4. ამავე შემთხვევაში მისი უდიდებულესობა სპარსეთის იმპერატორი დათანხმდება გაგზავნოს წლიურად მის უდიდებულესობა საფრანგეთის იმპერატორთან ქართველ მამულეთა საჭირო რაოდენობა იმისათვის, რომ მას სრულ შემადგენლობაში ჰყავდეს თავის გვარდიაზე მიმაგრებულ მამულეთა ნაწილი".

სავარაუდოა, რომ აღნიშნული პროექტის მე-3 მუხლში თბილისის შეტანისას ალბათ გათვალისწინებული იყო ზემოთ მოყვანილი ცნობები ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების შესახებ. ამდენად, ეს ქალაქი ფრანგთათვის ასოცირდებოდა იმ სრულიად განადგურებულ ქალაქთან, რომლის დაპყრობა ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, რომ უკვე საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულების შედგენის პროცესში ნაპოლეონმა გაითვალისწინა ამედე ჟობერის ცნობა იმის თაობაზე, რომ რუსეთ-სპარსეთის (1804-1813) ომის დროს სწორედ თბილისში იყო განლაგებული რუსეთის ჯარის გამოსაზამთრებელი ყაზარმები და შესაბამისად, ქალაქიც სათანადოდ იქნებოდა დაცული.

ხელშეკრულების პროექტის მე-4 მუხლში გამოვლინდა ნაპოლეონის სურვილი ჰყოლოდა თავის პირად გვარდიაში ქართველი მებრძოლები, რომელნიც მამლუქებად იხსენიებიან. ჩანს, ბონაპარტი ეგვიპტეში ყოფნისას დარწმუნდა მამლუქთა, რომელთაც თავის ცნობილ მანიფესტში კავკასიასა და საქართველოში ნაყიდ მონებად მოიხსენიებს, საბრძოლო ღირსებებში. აღსანიშნავია, რომ ამედე ჟობერიც, რომელიც ეგვიპტის ექსპედიციაში ახლდა ნაპოლეონს, მამლუქებს ვაჟკაცთა სახელით ცნობილ მებრძოლებს უწოდებს. ზემოთ აღნიშნული თხზულების მესამე თავში ჟოზეფ რუსოც წერდა, რომ სპარსელები ქართველებში ვაჟკაცობასა და ერთგულებას აფასებდნენ. არაა გამორიცხული, რომ ნაპოლეონის ვარაუდით ქართველი მებრძოლები ინდოეთში გაცილებით უკეთ იბრძოლებდნენ, ვიდრე ევროპელი ჯარისკაცები.

საქართველოს საკითხი საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულებაში. ფათჰ-ალი შაჰის ელჩი 1807 წლის 26 მაისს ჩავიდა აღმოსავლეთ პრუსიაში, ფინკენშტეინის სასახლეში, სადაც იმჟამად იმყოფებოდა ნაპოლეონი. 1807 წლის 4 მაისს საფრანგეთის მხარესა და მირზა მოჰამედ-რიზა ხანს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, საფრანგეთ-სპარსეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება დაიდო. მას ხელს აწერდნენ სახელმწიფო მდივანი ჰუგო-ბერნარ მარე და მირზა მოჰამედ რიზა ხანი. ეს ხელშეკრულება კვლავ რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული და ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში იყო შედგენილი. ამ ხელშეკრულების გამო ნაპოლეონმა ფათჰ-ალი შაჰს კმაყოფილებით აღსავსე წერილი მისწერა.

ხელშეკრულება პრეამბულისა და თექვსმეტი მუხლისაგან შედგებოდა. ეს იყო საფრანგეთსა და სპარსეთს შორის "თანასწორი ვალდებულება მშვიდობის, მეგობრობისა და კავშირის შესახებ" (მუხლი 1). ნაპოლეონი სპარსეთის შაჰს "მისი იმჟამინდელი ტერიტორიის მთლიანობის გარანტიას" აძლევდა (მუხლი 2). ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლები კი უშუალოდ საქართველოს ეხებოდა: "მუხლი 3. მისი უდიდებულესობა საფრანგეთის იმპერატორი იტალიის მეფე საქართველოს მისი უდიდებულესობა სპარსეთის იმპერატორის კანონიერ კუთვნილებად სცნობს. მუხლი 4. იგი (ნაპოლეონი – ი.წ.) იღებს ვალდებულებას, ყოველი ღონე იხმაროს, რათა აიძულოს რუსები დატოვონ საქართველოსა და სპარსეთის ტერიტორიები და იშუამდგომლოს სამშვიდობო ხელშეკრულების მისაღწევად. ეს ევაკუაცია მისი პოლიტიკისა და ყურადღების მუდმივი საგანი იქნება".

ხელშეკრულების 2-3 მუხლების მიხედვით, ნაპოლეონი სპარსეთის მიმართ მეტად ბუნდოვან მოვალეობებს იღებდა: ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად ნაპოლეონი სპარსეთის შაჰს მისი იმჟამინდელი ტერიტორიის მთლიანობის გარანტიას აძლევდა, რაც ლოგიკურად, სპარსეთის სახელმწიფოს ფარგლებში იმჟამად შემავალ ტერიტორიას გულისხმობდა და არა შემდგომში მოპოვებულს. ხელშეკრულებაში დაზუსტებული არ იყო, რა ტერიტორიას გულისხმობდა საქართველოში საფრანგეთის მხარე, რადგან ამ ხელშეკრულებას არც რუკა ახლდა. დავაზუსტებთ, რომ სპარსელებისათვის საქართველოში იგულისხმებოდა ქართლ-კახეთის სამეფო ანუ აღმოსავლეთ საქართველო, რომელიც იმ დროს უკვე რუსეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული. საფრანგეთის მხრივ აღნიშნული მუხლები მეტად შორისმჭვრეტელურად იყო შედგენილი, რადგან საქართველოს საკითხის ამგვარი ფორმულირება საფრანგეთს იმთავითვე აძლევდა თავისუფალი მანევრირების საშუალებას მსოფლიოში პოლიტიკური მოვლენების განვითარების მიხედვით. შემდეგ ეს ასეც მოხდა.

ხელშეკრულების შემდეგი მე-5 და მე-7-ე მუხლების მიხედვით ნაპოლეონს თეირანის კარზე ეყოლებოდა საფრანგეთის სრულუფლებიანი მინისტრი და მდივნები; საფრანგეთის იმპერატორი შაჰს ევროპული ფასის მიხედვით ჰპირდებოდა ზარბაზნებით და იარაღით მომარაგებას, შაჰის სურვილის შესაბამისი რაოდენობის ოფიცრისა და ინჟინრის გაგზავნას ციხეების გასამაგრებლად და არტილერიის და ინჟანტერიის ევროპულ ყაიდაზე მოსაწყობად. ხელშეკრულების 8-15 მუხლები ინგლისის და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნებოდა და სპარსელების მიერ ნაპოლეონის კონტინენტალური პოლიტიკის გატარებას ითვალისწინებდა. რუსეთის და ინგლისის მხრიდან სპარსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოებულ ყველა ომში, ოფიციალური შეტყობინების შემდეგ სპარსეთს და საფრანგეთს დაუყოვნებლივ ერთობლივად უნდა ემოქმედათ; ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ საბრძოლველად შაჰს ევალებოდა მთელი თავისი გავლენის გამოყენება "ავღანეთის და ყანდაჰარის ხალხის" დასაყოლიებლად, მათი ლაშქრის თავის ლაშქართან შესაერთებლად და მათ ტერიტორიებზე გავლის უფლების მოპოვება; ხელშეკრულება-

ში არ იყო აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები და მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე.

ფინკენშტეინის ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლების შედგენისას ნაპოლეონმა უყურადღებოდ დატოვა ფრანგ რეზიდენტთა ანგარიშებში დაცული ცნობები ამიერკავკასიასა და კასპიისპირეთში რუსთა გეგმების შესახებ. ჩანს, იმჟამად, ნაპოლეონი ისე ჩქარობდა ინდოეთში ლაშქრობას, რომ უპირატესობა ამ საკითხზე ამედე ჟოზერის მიერ მისთვის გადაცემულ ფათჰ-ალი შაჰის დანაბარებს მიანიჭა, რომლის თანახმად "თუკი რუსების მათსავე უდაბნოში გაყრის შემდეგ" ნაპოლეონი თავისი არმიის "მის სამფლობელოზე" გატარებას განიზრახავდა, შაჰი მას "ჭეშმარიტ მეგობრობას დაუმტკიცებდა", ინგლისელებს მრავალ მტერს გაუჩენდა ინდოეთში და თავადაც მიიღებდა ინდოეთზე ლაშქრობაში მონაწილეობას. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჟოზერის, სპარსეთიდან ევროპაში ამბის ჩამტანი ნაპოლეონის პირველი თვითმხილველი ემისრის ერთადერთი ოპონენტი, ალექსანდრე რომიე, ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ კვლავ აქტუალური იყო ინდოეთზე ლაშქრობის ჟან-ფრანსუა რუსოსეული გეგმა. ამასთან, ჟოზერი რამდენჯერმე ესაუბრა რუსების წინააღმდეგ მებრძოლ, პროფრანგულად განწყობილ სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბას მირზას და ფათჰ-ალი შაჰის პირველ ვეზირს, მირზა შაფის. მათი საუბრების მთავარი თემა კი რუსეთ-სპარსეთის ომი იყო. აზერბაიჯანის ბეგლარბეგის ნაიბის, ფათჰ-ალი ხანის მიერ 1805 წლის მაისში ამედე ჟოზერთან საუბრისას გამოთქმული წუხილიც კი მიუთითებს საქართველოსადმი სპარსელ დიდმოხელეთა სტერეოტიპულ დამოკიდებულებას: "ჩვენმა ახლანდელმა მბრძანებელმა (ფათჰ-ალი შაჰმა – ი.ნ.), რაკი ძალაუფლების სადავეები ხელთ იგდო, თავისი შემძლე მარჯვენით ყველაფერი გააერთიანა, მთელი სპარსეთი მას ემორჩილება, გარდა საქართველოსი, პროვინციისა, რომელიც სინამდვილეში უკვე დიდი ხანია იმპერიის ნაწილი აღარ არის". გასათვალისწინებელია, რომ იმპერატორი მეტად ენდობოდა ჟოზერს, რომელმაც ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ რამდენჯერმე შეასრულა ნაპოლეონის დიპლომატიური დავალებები ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეებში. ნიშანდობლივია ისიც, რომ საფრანგეთ-სპარსეთს შორის დადებული ხელშეკრულების ასლი შევალიე ჟოზერს ჰქონდა ჩაბარებული.

ვფიქრობთ, რომ უკვე ფინკენშტეინის ხელშეკრულებაში საქართველოს საკითხის საბოლოო ფორმულირება ფათჰ-ალი შაჰის ელჩის წინადადებების ამედე ჟოზერის ცნობებთან შეჯერების საფუძველზე დაზუსტდა და დაიხვეწა. ხოლო ამ ხელშეკრულებაში საქართველოს საკითხის პირველ ადგილზე წამოწევით ნაპოლეონმა სპარსეთისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრის, ანუ მისთვის საქართველოს გამოხსნის პერსპექტივა დასახა და თავისი ურთიერთობა სპარსეთთან ამ დაპირებაზე ააგო.

საქართველოს საკითხი შესაბამისად აისახა ნაპოლეონის მიერ 1807 წლის 10 მაისს ანუ ფინკენშტეინის ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ გარდანიასთვის მიცემულ ინსტრუქციაში. მასში ხაზგასმული იყო, რომ სპარსეთს რუსეთის საზღვრებთან ძლიერი დივერსია უნდა ეწარმოებინა; სპარსელებს კავკასიაში მყოფი რუსების საჯარო ნაწილების შემცირებით უნდა ესარგებლათ და დაეკავებინათ „რუსების მიერ ინტრიგებითა და ჯარით წართმეული პროვინციები“.

ოსმალეთის ელჩი ვაჰიდ ეფენდი, რომელსაც სულთან სელიმ III-ისაგან საფრანგეთთან ხელშეკრულების დადების რწმუნება ჰქონდა, ნაპოლეონმა მხოლოდ 1807 წლის მაისის ბოლოს მიიღო. საფრანგეთის იმპერატორი თურქეთს სრული დამოუკიდებლობის გარანტიას აძლევდა, და ყირიმის გარდა, საქართველოს (იგულისხმება დასავლეთ საქართველო – ი.ნ.) დაბრუნებასაც ჰპირდებოდა. საფრანგეთის მხარე ვაჰიდ ეფენდის რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ კავშირის დადებას სთავაზობდა, მაგრამ ვინაიდან ოსმალეთის ელჩი მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ კავშირის დადების რწმუნება ჰქონდა, ამიტომ ეს მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

ტილზიტის ზავი. რუსეთის მიმართ გარდატეხა საფრანგეთის პოლიტიკაში ფრიდლანდის ბრძოლის შემდეგ მოხდა, როდესაც 1807 წლის 2 (14) ივნისს მდ. ალლეს ნაპირებთან ნაპოლეონის არმიამ რუსეთ-პრუსიის გაერთიანებული ჯარი დაამარცხა. იმ დღეს რუსებმა 25 ათასი კაცი და 80 ზარბაზანი დაკარგეს. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საფრანგეთთან ომის შეწყვეტა და მოლაპარაკებების დაწყება გადაწყვიტა. თავის მხრივ, ნაპოლეონსაც სურდა ინგლისის წინააღმდეგ კავშირის ისეთ ძლიერ კონტინენტურ სახელმწიფოსთან დამყარება, როგორიც რუსეთი იყო.

რუსეთსა და საფრანგეთს შორის უკვე 6 (18) ივნისიდან დაწყებული მოლაპარაკებების შედეგად, 1807 წლის 7 ივლისს ნაპოლეონსა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო ტილზიტში. ეს დოკუმენტი რუსეთსა და საფრანგეთს შორის ევროპის გადანაწილებას, ოსმალეთის საკითხებს და რუსეთისათვის აზიაში დაპყრობების მისი სურვილისამებრ გავრცობას ითვალისწინებდა, ის რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ იყო შედგენილი და მასში საერთოდ არ იყო ნახსენები სპარსეთი: მისი მე-13-ე მუხლის თანახმად ნაპოლეონი თანახმა იყო, რომ რუსეთის იმპერატორს შუამავლობა გაეწია საფრანგეთსა და ინგლისს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების საწარმოებლად. ტილზიტის ხელშეკრულებაზე დართული ცხრა საიდუმლო მუხლიდან პირველის თანახმად რუსეთი უფ-

ლებამოსილი იყო დაეკავებინა თურქეთის ევროპული ნაწილი და "აზიაში დაპყრობები თავისი სურვილი-სამებრ განეგრძო". საიდუმლო შეთანხმების მეორე მუხლი უშუალოდ ნაპოლეონის ოჯახის კეთილდღეობას ეხებოდა. ტილზიტის ხელშეკრულებით აღექვსანდრე I სცნობდა რეინის კონფედერაციას და მის შემადგენლობაში შემავალი ყველა სუვერენის ტიტულს, ისევე როგორც ნაპოლეონის ძმებს – ჟოზეფს ნეაპოლის, ლუის – კოლანდიის და ჟერომ-ნაპოლეონს – ვესტფალიის მეფეებად; ბურბონების დინასტია ესპანეთში, ბრაგანსებისა კი პორტუგალიაში ნაპოლეონის ოჯახის პრინციბით უნდა შეცვლილიყვნენ. ნაპოლეონის ძმების გამეფება რომის პაპსაც უნდა ეცნო. ფრანგი ავტორი ა.ვ. არნო წერდა, რომ ტილზიტის ხელშეკრულების დადებისას ნაპოლეონმა იმპერიის ინტერესები თავისი ოჯახის აღზევებას შესწირა. ამგვარად, ფინკენშტეინში ხელშეკრულების დადებიდან 65 დღის შემდეგ ტილზიტში ზავის დადებით ნაპოლეონმა ფაქტობრივად გააუქმა საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულება. ამგვარად, ნაპოლეონმა აღარ გაითვალისწინა ფათჰ-ალი შაჰის შემდეგი სურვილი: "მე მას [ნაპოლეონს] ვთხოვ ჩვენს ინტერესებზე დაფუძნებული კავშირის შექმნას, რომლის თანახმად სპარსეთის მეფის მიერ არავითარი მშვიდობა არ დამყარდება რუსებთან ფრანგების იმპერატორის მონაწილეობის გარეშე. მეორე მხრივ, ის არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებს ამ სახელმწიფოსთან სპარსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად".

ტილზიტის ზავი დადება იმდენად მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის, რომ მის სამახსოვროდ მედლი მოჭრეს. ტალეირანი კი, რომელიც მეტად უკმაყოფილო იყო ამ კავშირის დამყარებით და მასში ნაპოლეონის მმართველობის დასასრულის დასაწყისს ხედავდა, ტილზიტის ხელშეკრულების რატიფიკაციიდან (9.07.1807) ერთი თვის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა.

საქართველოს საკითხი გენერალ გარდანის დიპლომატიურ მოლაპარაკებებში (1807-1809). ნაპოლეონის მიერ ორი ურთიერთგამომრიცხავი ხელშეკრულების დადების მიუხედავად, 1807 წლის სექტემბერში გენერალი გარდანი სპარსეთში რთული სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის დავალების შესასრულებლად გაემგზავრა. ნაპოლეონის მიერ მისთვის ინდოეთის ლაშქრობასთან დაკავშირებული ინსტრუქციები იგივე ღარჩა, მაგრამ შეიცვალა თავდაპირველი მითითებები რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით. ამჯერად საფრანგეთის ელჩს მათ შორის მშვიდობის დამყარება დაევალა. საფრანგეთის მისია თეირანში 1807 წლის 4 დეკემბერს ჩავიდა.

1808 წლის 20 თებერვალს თეირანში საფრანგეთის ელჩსა და ფათჰ-ალი შაჰის პირველ ვეზირს, მირზა შაფის შორის გამართული მოლაპარაკებებისას, სხვა საკითხებთან ერთად საქართველოსაც შეეხნენ. ფრანგთა შეკითხვაზე: "რა არის ცნობილი მისი უმაღლესობისათვის მის მიმართ ქართველების კეთილგანწყობის შესახებ?" – ვეზირმა შემდეგი პასუხი გასცა: "რადგან ჰერაკლიუს ხანის (ერეკლე მეორის – ი.წ.) მრავალი შვილი, ისევე, როგორც წარჩინებულ ქართველ სენიორთა უმრავლესობა, მისი სამეფო უმაღლესობის აბას მირზას კარზეა, მრავალი ოჯახი ჩვენდამი კეთილგანწყობილია. მაგრამ მერყევი ხალხის დიდი ნაწილი რუსების მხარეს გადავიდა, შეუერთდა რა მათ მხოლოდ რელიგიის გამო, რომელიც მათ რუსებთან აახლოვებს". მირზა შაფიმ გააზვიადა აბას მირზას კარზე მყოფ ერეკლეს შვილთა რაოდენობა: სპარსეთის ტახტის მემკვიდრის კარზე მხოლოდ ერეკლე II-ს ვაჟი აღექვსანდრე ბატონიშვილი და გიორგი XII-ის ვაჟი თეიმურაზ ბატონიშვილი იმყოფებოდნენ, რომელთაც ირანელი ისტორიკოსი ემინე ფაქრავანი ფათჰ-ალი შაჰის ტახტზე ასვლის შემდეგ სპარსეთში ჩასულ "პირველ ქართველ ემიგრანტებს" უწოდებს. ამასთან ვეზირმა არ დაფარა რუსების მხარეს სხვა ქართველთა გადასვლის მთავარი მიზეზი – რელიგია. ფრანგთა კითხვაზე: "რას ისახავდა მიზნად მისი უმაღლესობა, როდესაც თავისი ინტერესები მისი საიმპერატორო უდიდებულესობისა და მეფეს მიანდო?" – მირზა შაფიმ უპასუხა: "ჩააბარა რა მისმა უმაღლესობამ თავისი ბედი თავის ძმას, იმპერატორ ნაპოლეონს, ჩვენი უდიდესი სურვილი სპარსეთისათვის ყველაზე უფრო ღირსეული გზით საქართველოს, დაღესტნისა და ერევანის დაბრუნებაა, რასაც ვიმედოვნებთ; აგრეთვე ის, რომ რუსებმა არ დაგვაკისრონ მათ წინააღმდეგ წარმოებული ომის ხარჯები; ისინი ამას ვერასოდეს მიაღწევენ. დაბოლოს, ჩვენ ჩვენი ძმის სიმაართლის, გულწრფელობისა და ყურადღების გვწამს". შაჰის პირველი ვეზირის ეს პასუხი მოწმობს, რომ საფრანგეთთან სპარსეთის ურთიერთობის უმთავრესი მიზანი რუსეთის მიერ ომის მსვლელობაში დაპყრობილი ტერიტორიებისა და რუსეთის შემადგენლობაში შესული საქართველოს დაბრუნება იყო და არა ინდოეთის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება.

ტილზიტის ხელშეკრულების შემდეგ რუსები თავისუფალნი იყვნენ სპარსეთის მიმართ თავიანთ მოქმედებებში. 1808 წლის მაისში გენერალმა გულოვიჩმა თეირანის კარისაგან რუსეთის მიერ უკვე დაპყრობილი ტერიტორიების ცნობა მოითხოვა და სანაცვლოდ ერთწლიანი ზავის დადება შესთავაზა. გენერალ გარდანის რჩევით, შაჰმა ეს წინადადება კატეგორიულად უარყო და ნაპოლეონთან 1807 წლის შემოდგომაზე წარგზავნილ მის მეორე ელჩს, ასქარ ხანსა და პარიზში მყოფ რუსეთის ელჩს, გრაფ ტოლსტოის შორის ნაპოლეონის შუამავლობით სპარსეთისათვის სასარგებლო სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოება მოითხოვა, რაზეც საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობებმა უარი განაცხადეს. ხოლო 1808

წლის ივნისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შამპანი გენერალ გარდანს მიუთითებდა, რომ ფინკენშტეინის ხელშეკრულება სპარსეთის მხოლოდ "იმჟამინდელ ტერიტორიულ მთლიანობას ადასტურებდა", ხოლო იმის გამო კი, რომ "მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ საქართველო, ტილზიტის ხელშეკრულების შემდეგ საფრანგეთი ვეღარ ჩაერეოდა რუსების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნების საკითხში". თავის მხრივ გენერალი გარდანი შამპანის აფრთხილებდა, რომ სპარსეთი არაფერს მოიმოქმედებდა ინდოეთის წინააღმდეგ, ვიდრე რუსეთთან არ მოაგვარებდა ურთიერთობას.

1808 წლის 20 აგვისტოს გამართულ აუდიენციაზე შამპა საფრანგეთის ელჩს ნაპოლეონთან "საქართველოს საკითხის" გარკვევა მოსთხოვა. 1808 წლის 14 სექტემბერს კი მარშალი გუდოვიჩი აბას მირზას ადრე შეთავაზებული ხელშეკრულების სასწრაფო რატიფიკაციას ურჩევდა და თან ემუქრებოდა, რომ რუსეთი სწორედ ისეთი სახელმწიფო იყო, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგებოდა. სპარსეთმა რუსეთის წინააღმდეგ უარყო. შედეგად, 25 ოქტომბერს გენერალი გუდოვიჩი ერევანთან დაბანაკდა და სამხედრო მოქმედებები დაიწყო. საფრანგეთის ელჩი მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან სპარსეთის მხარე მისგან ფინკენშტეინში დადებული ხელშეკრულების შესრულებას მოითხოვდა, მას კი სრულიად საწინააღმდეგო ტილზიტის ხელშეკრულების მიხედვით უნდა ემოქმედა.

ამ მოვლენათა პარალელურად 1808 წლის სექტემბრის ბოლოს ნაპოლეონი ერფურტში ინგლისის წინააღმდეგ ევროპულ მონარქებს ეთათბირებოდა. 1808 წლის ოქტომბერში *Journal de l'Empire*-ში ფართოდ აშუქებდნენ ერფურტის შეხვედრას და საგანგებოდ აღნიშნავდნენ საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორთა შორის არსებულ კეთილ ურთიერთობებს. 1808 წლის 28 ოქტომბერს კი *Journal de l'Empire*-ში კვლავ კონრად მალტ-ბრუნის რეცენზია გამოქვეყნდა ანუ დე გარდანის ნაშრომზე – *Journal d'un voyage dans la Turquie d'Asie et la Perse, fait en 1807 et 1808, par M. Ange de Gardane, premier secretaire de legation; suivi d'un Vocabulario Italiano, Persico et Turco par le prince Timurat-Mirza*. აქ საინტერესო ისაა, რომ ბატონიშვილ თეიმურაზის სახელი ევროპულ პრესაში პირველად სპარსულ ყაიდაზე Timurat-Mirza-ად წარმოდგენილი გამოჩნდა, რადგან ის იმჟამად მისი პაპის, ერეკლე II-ის დაუძინებელი მტრის, ალა-მაჰმად ხანის მიერ სპარსეთის ტახტის მემკვიდრედ დანიშნული აბას-მირზას კარზე იმყოფებოდა. ჩვენი გამოკვლევის თანახმად თეიმურაზ ბატონიშვილი ანუ თიმურათ-მირზა ამ *Vocabulario*-ს ავტორი არ უნდა ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ *Vocabulario*-ს ავტორად "მისი უმაღლესობისა და უგანათლებულობის, საქართველოს მთავრის Timurat-Mirza"-ს ხსენება ანუ დე გარდანის წიგნის რეკლამირებას ემსახურებოდა და მიზნად ფრანგი შევალიეს წიგნისათვის მეტი ღირებულების მინიჭებას ისახავდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ქართველ მეფეთა შორის ევროპაში ყველაზე ცნობილი მაინც ერეკლე II იყო. დე გარდანის წიგნის გამო კი განათლებული ევროპელისათვის საქართველო თეიმურაზის სახელთან ერთად წარმოჩნდება იმ კულტურულ ქვეყნად, რომლის მეფისწულიც ფრანგ შევალიეს სპარსეთში მეტად ფასეულ საჩუქარს – სამეწოვან *Vocabulario*-ს გადასცემს, რაც ნაპოლეონის თუნდაც განუხორციელებელი "დიდი აღმოსავლური პროექტის" ერთ-ერთ დეტალად და იმ ეპოქის საფრანგეთ-სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთ საინტერესო ეპიზოდად შეიძლება მივიჩნიოთ.

Journal de l'Empire-ის ოქტომბერ-დეკემბრის ნომრებში არც ერთი სიტყვით არაა ნახსენები 1808 წლის შემოდგომაზე ერევნის მიდამოებში რუსეთ-საფრანგეთს შორის მიმდინარე საომარი მოქმედებები, თუმცა გენერალი გარდანი მასში ირიბად მონაწილეობდა: ამ ბრძოლებში მონაწილე აბას მირზას მებრძოლების ნაწილი სწორედ გენერალ გარდანის მისიის ოფიცრების მიერ იყო გაწვრთნილი. დიდწილად სწორედ საფრანგეთის მისიის წევრ ოფიცერთა დამსახურება იყო ის ფაქტი, რომ 1808 წლის რუსებმა ერევნის ციხე ვერ აიღეს.

1808 წლის ოქტომბერში საფრანგეთის ელჩის მიერ გენერალ გუდოვიჩთან საბრძოლო მოქმედებების დროებით შეჩერებაზე დასათანხმებლად გაგზავნილი მისიის მესამე მდივნის, ფელიქს ლაჟარის მისიაც ჩავარდა. 1808 წლის ნოემბრიდან კი ინგლისელები ფაშა-ალი შაჰს ტახტზე ზენდების აყვანითა და ომის დაწყებით ემუქრებოდნენ, თუ იგი საფრანგეთ-ინგლისის დაპირისპირებაში მათ მხარეს არ დაიჭერდა. თანხმობის შემთხვევაში ინგლისელები შაჰს მრავალმხრივ დახმარებას და რუსეთის მიერ სპარსეთის ოკუპირებული ტერიტორიებისა და საქართველოს დაბრუნებას ჰპირდებოდნენ. ყოველივე ამის შესახებ გენერალი გარდანი შამპანის აფრთხილებდა: "(...) აშკარაა, რომ ინგლისელებმა ამ კარის მინისტრთა უმრავლესობა საჩუქრებითა და მეფისათვის საქართველოს დაბრუნების დაპირებით მოისყიდეს და სპარსეთში მათ მიერ გავრცელებული [ზენდების გამეფების] მუქარით დააშინეს".

მეტად რთულ ვითარებაში მყოფი გენერალი გარდანი 1809 წლის 12 და 17 იანვრით დათარიღებულ წერილებში შამპანისაგან კვლავ სპარსეთში სამოქმედო ინსტრუქციებს ითხოვდა. ის რეალურად აფასებდა შექმნილ ვითარებას და წერდა, რომ სპარსეთი მუდამ უახლოესი ძლიერი მეზობლის გავლენის ქვეშ მოექცეოდა და საფრანგეთი ვერასოდეს ვერ შესძლებდა იქ თავისი ძალაუფლების განმტკიცებას,

მითუმეტეს, რომ მისი ჯარი სპარსეთიდან მეტად შორს იმყოფებოდა. გენერალი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ, მისი დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შესძლო მშვიდობის დამყარება რუსეთსა და სპარსეთს შორის და კვლავ იმ ფაქტზე მიუთითებდა, რომ სპარსეთი ვერ შესძლებდა ექსპედიციის მოწყობას აღმოსავლეთში ან სამხრეთში, ვიდრე ჩრდილოეთის მხარეს არ გაამაგრებდა.

საფრანგეთის მთავრობის დუმილის გამო ფათჰ-ალი შაჰი ინგლისის ელჩის, სერ ჰარფორდ ჯონსის მიღებას დათანხმდა. ამ გადაწყვეტილებით შეურაცხყოფილი საფრანგეთის ელჩი 1809 წლის 13 თებერვალს თეირანიდან თავრიზს გაემგზავრა.

სპარსეთისადმი საფრანგეთის მთავრობის სრული უყურადღებობის, თეირანის კარის მიერ საგარეო პოლიტიკის ინგლისის სასარგებლოდ შეცვლის და ოსმალეთსა და ინგლისს შორის 1809 წლის 5 იანვარს შედგარი ალიანსის (გენერალმა გარდანმა სწორედ ეს ფაქტი მიიჩნია გადამწყვეტ მოვლენად საფრანგეთ-სპარსეთის ურთიერთობებში, რადგან ოსმალეთის ტერიტორია საფრანგეთის ჯარს აღარ გაატარებდა ინდოეთისაკენ – ი.წ.) გამო, გენერალმა გარდანმა უსარგებლოდ მიიჩნია სპარსეთში საფრანგეთის მისიის დარჩენა და თავრიზის დატოვებაც გადაწყვიტა. სპარსელთა თხოვნის მიუხედავად, გენერალმა კატეგორიულად უარყო გამგზავრების ყოველი გადავადება.

თავრიზიდან წასვლისას აბას მირზამ გენერალი საჩუქრებით აავსო, ნაპოლეონისათვის გაგზავნილ წერილში კი მეფისწული საფრანგეთის იმპერატორს "თავის მეტად დიდ და პატივცემულ ბიძას" უწოდებდა. შაჰის მიერ ინგლისის მიმართ წარმოებული პოლიტიკით უკმაყოფილების მიუხედავად, ტახტის მემკვიდრე ამ წერილში მაინც თეირანის კარის პოზიციას გამოხატავდა, მიაწერდა რა სპარსეთის მიმართ ნაპოლეონის "მცირე ყურადღებას" ევროპაში წარმოებულ ომებს და აღნიშნავდა, რომ სწორედ "ამ მცირე ყურადღებით" იყო განპირობებული სპარსეთის დაახლოება ინგლისთან, ვინაიდან იძულებული იყო ებრძოლა რუსების წინააღმდეგ და უარს ვერ იტყოდა ინგლისელთა დახმარებაზე.

საფრანგეთის მისია თავრიზიდან 1809 წლის 17 აპრილს, 2²⁵ სთ-ზე გავიდა და გზა ერევნისაკენ განაგრძო. 2 მაისს იქ მისია დიდი პატივით მიიღო ერევნის სარდლის ძმამ, ჰუსეინ ხანმა. გენერლის სანახავად ერევანში ქართველი ბატონიშვილები, ალექსანდრე და ლეონი, მივიდნენ. 6 მაისს ფრანგები ერზინში ჩავიდნენ; სომხეთის პატრიარქმა, დავითმა, ალექსანდრე ბატონიშვილის მსგავსად, გენერალს ნაპოლეონთან გაატანა წერილი, რომელშიც ის იმპერატორისაგან ქრისტიანული სარწმუნოების დაცვას და მხარდაჭერას ითხოვდა.

15 მაისს საფრანგეთის მისია თბილისში ჩავიდა. ალექსანდრე I-ის ბრძანების თანახმად, ფელდ-მარშალი გუდოვიჩის ადგილზე ახლად დანიშნულმა გენერალმა ტორმასოვმა ფრანგები დიდი პატივით მიიღო. ფრანგები იმდენად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ყოფილან, რომ თბილისში პირადი ნივთები გაუყიდიან, გენერალ გარდანს კი ოფიციალურად უსესხია 2000 ჩერვონეცი ტორმასოვისაგან, რომელსაც მაშინვე დაუკმაყოფილებელია "მოკავშირე სახელმწიფოს" წარმომადგენლის ეს თხოვნა. გარდანს რუსეთის იმპერატორის სახელით ისიც გადასცა, რომ იმპერატორს მეტად ესიამოვნებოდა თუკი ის სანკტ-პეტერბურგში გაჩერებას მოისურვებდა. 1809 წლის მაისის ბოლოს ფრანგები თბილისიდან ევროპისაკენ გაემგზავრნენ. აქ გამოიკვეთა თბილისის, როგორც სპარსეთსა და ევროპას შორის სატრანზიტო ფუნქციის მქონე ქალაქის მნიშვნელობა, რაც საფრანგეთ-რუსეთს შორის დადებული ტილზიტის ზავის შედეგი იყო.

ქართვლი ბატონიშვილები და "გვირგვინთა გამანაწილებელი". სპარსეთში გადახვეწილმა მეფისწულ აბას მირზას კარზე მყოფმა ბატონიშვილებმა ალექსანდრემ და თეიმურაზმა აგრეთვე ისარგებლეს გენერალ გარდანის სამშობლოში დაბრუნებით და მას ნაპოლეონთან თავიანთი წერილები გაატანეს. ჩანს, საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულებამ სპარსეთში გადახვეწილ ბაგრატიონებს ნაპოლეონის მათდამი მხარდაჭერის გარკვეული იმედები აღუძრა. ქართველ ბატონიშვილთა წერილების სპარსული ვარიანტებისა და მათი ფრანგული თარგმანების შედარებიდან გამოჩნდა, რომ ამედე ყოებრმა ეს წერილები საკმაოდ თავისუფლად თარგმნა. ფრანგულ თარგმანში რუსთა დევნის გამო სპარსეთს გადახვეწილი ორივე ბატონიშვილი ლტოლვილად მოიხსენიება, მათი წერილების მთავარი თემა კი რუსების მიერ "უსამართლოდ დაპატრონებული" სამეფოს დასაბრუნებლად ნაპოლეონისათვის დახმარების თხოვნა იყო. თეიმურაზ ბატონიშვილი ნაპოლეონს "გვირგვინთა გამანაწილებელს" უწოდებს, თავს საქართველოს პოტენციურ მეფედ წარუდგენს და "უწინდელ სამფლობელოში" მისი დაბრუნების შემთხვევაში ერთგულ სამსახურს ჰპირდება. ევროპაში პოლიტიკური მოვლენები იმაზე სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ინფორმაცია სპარსეთამდე ჩაღწევდა, სპარსეთში ბატონიშვილების ყოფა კი იმდენად მძიმე იყო, რომ მათ აღარც სპარსეთში გენერალ გარდანის პოლიტიკური მისიის წარუმატებლობა გაითვალისწინეს. ამგვარად, ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილთა იმედი, რომ ნაპოლეონი (საზოგადოდ, ქრისტიანული

ევროპა) ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს თავისი სამეფოს დაბრუნებაში გაუწევდა დახმარებას, ამო გამოდგა.

სპარსეთიდან გენერალ გარდანის მისიის წასვლის შემდეგ ბატონიშვილების ალექსანდრესა და თეიმურაზის გზებიც გაიყარა. ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი იდეების ერთგული დარჩა და 1844 წელს თეირანში უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა. თეიმურაზ ბატონიშვილი ჩანს, მიხვდა, რომ სპარსეთში მისი გადახვეწის მიზანი – საქართველოდან რუსების განდევნა იქ კვლავ ბაგრატიონთა ტახტის აღსადგენად და ამ საქმეში ნაპოლეონის დახმარების იმედი – უიმედო იყო. 1810 წლის 16 ოქტომბერს თეიმურაზ ბატონიშვილი რუსეთში გადასახლდა, 1811 წლის 12 იანვარს საცხოვრებლად პეტერბურგში დამკვიდრდა. საინტერესოა, რომ ყაჯართა ტახტის მემკვიდრის, აბას მირზას ჯარში "არტილერიის მეთაურმა ქართველმა სენიორმა Timurat-Khan-მა, საქართველოს უკანასკნელი მეფის ოჯახის წევრმა" – თეიმურაზ ბატონიშვილმა სპარსეთიდან რუსეთში ემიგრაციის შემდეგ ევროპაში სახელი უკვე სამეცნიერო ასპარეზზე მოიპოვა: 1831 წელს ის პარიზის Société asiatique-ის წევრი, 1837 წელს კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი გახდა.

საქართველოს საპიტიხი სერ ჰარფორდ ჯონსის დიპლომატიურ მოღვაწეობაში (1809). ინგლისის ელჩი სერ ჰარფორდ ჯონსი თეირანში გენერალ გარდანის წასვლის მეორე დღესვე, 1809 წლის 14 თებერვალს, შევიდა. მან თეირანის კარს ჩასვლისთანავე წარუდგინა თავისი მოთხოვნები, ხოლო 1809 წლის 12 მარტს სპარსეთსა და ინგლისს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც უარყოფდა სხვა ქვეყანასთან მანამდე დადებულ ყველა შეთანხმებას. ამ დოკუმენტის თანახმად ფაქტობრივად შაჰს არავითარი მოლაპარაკებები არ უნდა ეწარმოებინა ბრიტანეთის მეფის ან ინდოეთში ბრიტანული სამფლობელოების წინააღმდეგ. ამ ხელშეკრულების დადებით ფაქტობრივად შაჰმა გაწყვიტა ფინკენშტეინის ხელშეკრულება. სპარსეთიდან გენერალ გარდანის მისიის წასვლის შემდეგ ფრანგმა აგენტებმა იქ შელწევა დიდხანს ვეღარ შესძლეს.

სპარსეთთან ხელშეკრულების დადებით ჯონსმა საბოლოოდ განამტკიცა თავისი გავლენა თეირანის კარზე და გამუდმებით ცდილობდა პროფრანგული ორიენტაციის მქონე აბას მირზას დისკრედიტირებას და მასა, და დედით ქართველი შაჰის პირველშობილ ვაჟს, მოჰმედ-ალი მირზას შორის უკვე არსებული დაპირისპირების გაღვივებას. ჯონსი სპარსეთს რუსეთთან ომის მთელი ძალით განახლებისაკენ მოუწოდებდა, რადგან სპარსეთის მხრიდან რუსეთზე შეტევის გზით დაეცვა ინდოეთი ფრანგთა სავარაუდო შეჭრისაგან. ამიტომ იგი შაჰს საქართველოს დაბრუნებას ჰპირდებოდა და თან არწმუნებდა, "ინდოეთის ულვეი განძის წყალობით სპარსეთის ჯარი საქართველოს ადვილად დაიპყრობს"-ო. ინგლისის მთავრობა დიდ თანხებს აბანდებდა იმ გეგმების ჩასაშლელად, "რომლითაც ნაპოლეონი შევიდა სპარსეთში". ინგლისელთა მიერ შაჰის მოსყიდვა იმდენად აშკარა იყო, რომ 1809-10 წლებში სპარსეთში ინგლისის საელჩოს მდივანი ჯეიმს მორიერი თავის ერთ-ერთ ნაშრომში თავად დასცინის ფაქტობრივად შაჰისა და ჰარფორდ ჯონსის შეთანხმებას: "მაგრამ, – განაგრძობდა ინგლისელი, – ჩვენ თქვენ მტკიცე ხელს გიწვდით და ფულს გაძლევთ. – შაჰი: – ოჰ, ეს სხვა საქმეა. მითხარით, რამდენს მომცემთ და რასაც მოისურვებთ, ყველაფერზე დაგთანხმდებით". ინგლისის ელჩი საფრანგეთის მიერ სპარსეთის დასაინტერესებლად აღებულ თავდაპირველ პოლიტიკურ კურსს – გამოეხსნათ საქართველო რუსეთისაგან – თავისი პოლიტიკის სასარგებლოდ იყენებდა.

უთუოდ ანგარიშგასაწევი არგუმენტია ჯონსის მიერ სპარსეთში ფრანგთა გავლენის მოსასპობად გაწეული უზარმაზარი ხარჯები (70 ათას თუმანი ანუ 1 400 000 ფრანკი), მაგრამ თეირანის კარის გადასაბირებლად ინგლისელთა მთავარი იარაღი შაჰისა და მისი კარისათვის მირთმეული ძვირფასი საჩუქრები კი არა, არამედ სპარსეთის ყურეში სამხედრო ძალის მობილიზება და სახელმწიფო გადატრიალების მუქარა იყო. ამგვარ ვითარებაში, თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად შაჰში იძულებული იყო კავშირი დაემყარებინა ინგლისთან და აღარ მინდობოდა თავისი მთავრობის მიერ მიტოვებული გენერალ გარდანის დაპირებებს, რომელიც საფრანგეთიდან წერილებს უდიდესი დავვიანებით იღებდა.

ამგვარად, ისტორიის იმ მოკლე მონაკვეთში მსოფლიოს სამი უძლიერესი იმპერიის დაპირისპირებაში ინდოეთის – "ინგლისის მეფის გვირგვინის საუკეთესო მარგალიტის" – დაცვა სპარსეთზე გავლით ფრანგთა შესაძლო ლაშქრობისაგან, თავისდაუნებურად, გარკვეულწილად რუსეთის სამხრეთ განაპირა გუბერნიად ქცეულმა ქართლ-კახეთის ყოფილმა სამეფომ იტვირთა, რომელსაც აბას მირზას აღმზრდელი და პირველი ვეზირი, მირზა ბოზორგი, ხაზგასმით "სპარსეთის სამკაულს" უწოდებდა.

თბილისის საპიტიხი მირზა აბოლ-ჰასან ხანის დიპლომატიურ მოღვაწეობაში (1809-1810). საქართველოს საპიტიხი ინგლისში 1809 წლის დეკემბერსა და 1810 წლის იანვარში ფაქტობრივად შაჰის მიერ ინგლისში წარგზავნილმა ელჩმა, მირზა აბოლ-ჰასან ხანმა დააყენა. ინგლისის მეფესთან გეორგ III-თან, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრთან მარკიზ უელსლისთან

და სპარსეთში ელჩად დანიშნულ სერ გორ აუსლისთან ლონდონში წარმოებული მოლაპარაკებებისას სპარსელი ელჩი ინგლისელთაგან გამუდმებით მოითხოვდა "რუსეთის კლანჭებიდან თბილისის დახსნას", რაც "მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰისათვის უპირველესი მნიშვნელობის საკითხი იყო". მარკიზ უელსლის შენიშვნაზე, ინგლისელები სპარსელებს კიდევაც რომ დახმარებოდნენ რუსების განდევნაში თბილისიდან, მისი მოსახლეობა არ დაშოშმინდებოდა და მომზადებული იქნებოდა რუსების ხელმეორედ შესვლისათვის, სპარსეთის ელჩმა შემდეგი პასუხი გასცა: "თუ სპარსელები მოახერხებენ ქალაქის განთავისუფლებას, მოსახლეობა აყრილი და ჩანაცვლებული იქნებოდა თბილისის დასაცავად მზად მყოფი მამაცი და ერთგული მოქალაქეებით". ინგლისის მთავრობა სპარსეთისათვის "რუსეთის კლანჭებიდან თბილისის დახსნის" გამო რუსეთთან ომში ჩაბმას არ აპირებდა, სპარსეთის მიმართ კი კვლავ თავის ნაცად და უცვლელ ტაქტიკას – დაპირებებისა და მოსყიდვის პოლიტიკას აგრძელებდა: გეორგ III თანახმა იყო "სპარსეთის შაჰის მთავრობისათვის ყოველწლიურად 200 000 თუმანი ნაღდი ფული გადაეხადა და 30 000 თოფი და სხვა საბრძოლო იარაღი მიეცა". მაგრამ თეიარანის კარს მხოლოდ ამგვარი დახმარება აღარ აკმაყოფილებდა და სურდა, რომ რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკებებში სპარსეთის სასარგებლოდ ქრისტიანული სახელმწიფო ინგლისის მიერ დანიშნულ უმაღლესი სტატუსის მქონე ელჩს წარმოედგინა, რადგან შაჰის მირზა შაფის ვარაუდით "გამოცდილი დიპლომატი უეჭველად შესძლებდა თბილისისა და მისი შემოგარენის დაბრუნებას".

ამგვარად, ლონდონში ინგლის-სპარსეთს შორის წარმოებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში თბილისის მიენიჭა სტრატეგიული მნიშვნელობა: სპარსელებს სწორედ ამ ქალაქის "დაბრუნების" შემთხვევაში მიეცემოდათ თავიანთი მარადიული მიზნის მიღწევის – აღმოსავლეთ საქართველოს ხელახლა "შემომტკიცების" – იმედი თუ შესაძლებლობა. სპარსელთა იმედი, რომ გამოცდილი ინგლისელი დიპლომატის ჩარევით უეჭველად დაებრუნებინათ თბილისი და მისი შემოგარენი, გაცრუვდა.

მაგრამ აღვნიშნავთ, რომ სწორედ სპარსეთში ინგლისის ელჩის, სერ გორ აუსლის შუამავლობით დაიდო 1813 წლის 24 ოქტომბერს გულისთანაში (ყარაბაღი) რუსეთსა და სპარსეთს შორის საზავო ხელშეკრულება და ამით დასრულდა რუსეთ-სპარსეთის პირველი (1804-1813) ომი. სპარსეთმა აღიარა აღმოსავლეთ საქართველოს, დაღესტნისა და ჩრდილო აზერბაიჯანის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა.

დასკვნა. ამგვარად, საფრანგეთ-სპარსეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებამ, რომელიც არსებითად, სპარსეთსა და ევროპულ სახელმწიფოს შორის დადებული პირველი სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება იყო, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა შესძინა. სპარსეთისათვის საქართველოს მნიშვნელობას მოწმობს სერ ჰარფორდ ჯონსის მისიის ერთ-ერთი წევრის, შერიდანის 1810 წლის 28 თებერვლით დათარიღებული შემდეგი ჩანაწერიც: "როდესაც სპარსეთში რუსეთის წარგზავნილმა ბარონმა ვრედემ მირზა ბოზორგს საფრანგეთთან კავშირის დარღვევა შეახსენა, ვეზირმა უპასუხა: ის სპარსეთმა კი არა, საფრანგეთმა დაარღვია. ამ ხელშეკრულების აზრი საქართველოს დაბრუნება იყო. საფრანგეთს არ უნდა ან არ შეუძლია თავისი დანაპირების შესრულება. ჩვენ გადავწყვიტეთ, დრო უქმად არ დაგვარგოთ და კავშირი ინგლისთან დავამყაროთ".

ფრანგი ისტორიკოსის, ლეფევერ დე ბეკურის შეფასებით (1839), ფინკენშტეინის ხელშეკრულებაში "სპარსეთისათვის უმნიშვნელოვანესს, ლამის ერთადერთსა და აუცილებელს, წარმოადგენდა მუხლები საქართველოს შესახებ, დანარჩენი კი მხოლოდ ზედმეტი ტვირთი იყო". გენერალ გარდანის მისია კი სპარსეთში უკვე ტილზიტის ხელშეკრულების დადებისთანავე იქნა განწირული თავად ნაპოლეონის ორმაგი პოლიტიკის გამო. ტილზიტის ზავის დადების შემდეგ რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკურ სივრცეში უკვე ჩართულმა საქართველომ საფრანგეთისათვის დაკარგა ხელშეკრულებაში მისთვის მინიჭებული ფუნქცია. მას ეს მნიშვნელობა მხოლოდ სპარსეთისათვის ჰქონდა. ამას მოწმობს ირანელი ისტორიკოსების მიერ გამოთქმული აზრიც: "აშკარა იყო, რომ ტილზიტის ზავის დადების შემდეგ საფრანგეთი აღარაფერს გააკეთებდა სპარსეთისათვის საქართველოს დასაბრუნებლად". ფინკენშტეინში სპარსეთთან ხელშეკრულების დადებისას, ნაპოლეონმა არ გაითვალისწინა, რომ რუსეთი კავკასიასა და კასპიისპირეთში, ხოლო ინგლისი ინდოეთში არ დათმობდნენ თავიანთ პოზიციებს, ტილზიტში კი მისი გეგმები რუსების მიმართ ფაქტ-ალი შაჰის ინტერესებს აღარ დაემთხვა.



ნინო ლამაზიძე

„მზე შინა და მზე გარეთა,
მზე შინ შემოდის“

ანუ ზოგი რამ ქართული კალენდრის შესახებ

ალბათ ორიგინალურები არ ვიქნებით, თუ გავისხენებთ, რომ დროის კალენდარული აღრიცხვა კაცობრიობის ფრიად საჭირო და საინტერესო მონაპოვარი გახლავთ. მას მერე, რაც „ქრისტე ღმერთმა გააჩინა ცა რგვალი და მი წა ხმელი, გარშემო ზღვა შემოჰხვია, შუა დარგო ალვის ხენი“, ადამიანი დროსა და სივრცეში აღმოჩნდა, როგორც ძველი ეგვიპტელი, შუამდინარეთის მკვიდრი თუ ქალაქ ურიდან გამოსული აბრაამი, რომელსაც ტრადიცია დროის ზოდიაქალური აღრიცხვის შექმნას უკავშირებს. ქართველისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა სამეურნეო საქმიანობის სწორად და მომგებიანად წარმართვამ; მზის, მთვარის, ვარსკვლავების მოძრაობამ, სეზონურმა ცვალებადობებმა თუ ზოგადად ბუნებაზე დაკვირვებებმა. ამ დაკვირვებების მრავალსაუკუნოვანმა მონაპოვარმა კი შექმნა ქართული სამეურნეო სისტემა.

ვინაიდან ჩვენი სამშობლო – საქართველო – ყოველთვის მდებარეობდა აღმოსავლური და დასავლური სამყაროს გადაკვეთაზე, იგი მუდამ ხდებოდა მსოფლიო პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების თანაზიარი. მთვარის ბაბილონურმა, ეგვიპტის მზისა და იულიუსის რომაულმა კალენდრებმა გარკვეული ასახვა ჰპოვეს ქართული კალენდრის წარმოშობა-განვითარებაზე.

მეცნიერთა აზრით, ძველ ქართულ წარმართულ კალენდარს თავდაპირველად მთვარის ბაბილონურ-სემური სისტემა უნდა დადებოდა საფუძვლად. ხოლო შემდეგ კი, მთელი წინა აზიის ქვეყნების დარად, მზის მოძრავე წელიწადი. რომელთა პოლიტიკურ-კულტურულ გავლენათა დამყარების შემდეგ, მზის მოძრავე წელიწადი იცვლება უძრავით. გაზაფხულის და შემოდგომის ნაბუნობა, თვეების დასაწყისი ზოდიაქოთა რკალთან იყო დაკავშირებული. თვეთა რომაულ სახელწოდებებს, რომლებიც შემდგომ ზოგადქრისტიანულად იქცა, წინ უსწრებდა ძველქართული ტერმინები. ისინი ქართველ მეცნიერს კორნელი კეკელიძეს ირანულ-სომხურ-კაპადოკიური წარმომავლობის მიაჩნდა. ამ მოსაზრებასთან ერთად არსებობს შეხედულება, რომ საქართველოში პირდაპირ მზის უძრავი წელიწადი შემოვიდა და ამავე დროს გაცილებით ადრე, ვიდრე ეს რომში მოხდა; რომ ქართული მზის კალენდარული სისტემა ეგვიპტური მზის კალენდრის საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო. სხვადასხვაგვარ მეცნიერულ შეხედულებათა სისწორე-მცდარობას ალბათ მომავალი კვლევა განსაზღვრავს. ამჯერად კი შემოგთავაზებთ იმ „ბურჯს“, ანუ „ცხოველთა სახილველს“ (ზოდიაქოს ქართული ტერმინი), რომლის აღდგენა ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით სცადეს მეცნიერებმა. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ერთ-ერთს (კ. კეკელიძისეულს), ვინაიდან წყაროებში თვეებზე ერთიანი სისტემური სახის მონაცემები არ არსებობს.

წარმართულ საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლამდე აღმოსავლური ტიპის უძრავი წელიწადი არსებობდა, წლის ათვლა კი 6 აგვისტოს იწყებოდა. თვე შედგებოდა 30 დღისაგან, ხოლო წლის ბოლოს ემატებოდა ხუთდღიანი (ნაკიან წელიწადს ექვსდღიანი) ეპაგომენები. აი ისინიც, და-ნაპირები „ცხოველთა სახილველი“.

ახალწლისა (6 აგვისტო – 4 სექტემბერი);
სთულისა (5 სექტემბერი – 4 ოქტომბერი);
ტირისკანი (5 ოქტომბერი – 3 ნოემბერი);
ტირისდინი (4 ნოემბერი – 3 დეკემბერი);
ანისი (4 დეკემბერი – 2 იანვარი);
სურწყნისი (3 იანვარი – 1 თებერვალი);
მიჰრაკანი (2 თებერვალი – 3 მარტი);
იგრიკა (4 მარტი – 2 აპრილი);
ვარდობისა (3 აპრილი – 2 მაისი);
მარიალი (3 მაისი – 1 ივნისი);
თიბისა (2 ივნისი – 1 ივლისი);
ქუელთობისა (2 ივლისი – 21 ივლისი);
ეპაგომენები (1 აგვისტო – 5 აგვისტო);

აგვისტოს წელიწადს ხმარობდნენ VII საუკუნემდე.

ქრისტიანობამ საქართველოში შემოიტანა ბიზანტიური სექტემბრის (ინდიქტური) წელიწადი, რომელშიც რომაულსა და ქართულ თვეებს სრული თანხვედრა აქვთ. IX საუკუნეში ინდიქტურ წელთან ერთად თანაარსებობდა მარტის წელიწადი, რომელიც ქორონიკული წელთაღრიცხვის შემოსვლასთან იყო დაკავშირებული. X საუკუნეში შემოდის იანვრის წელიწადი. ქრისტიანულ საქართველოში სამოქალაქოს (1 იანვარი) გვერდით არსებობდა საეკლესიო (1 სექტემბერი) წელიწადი.

კალენდარული დრო, რომელიც ერთი წრიული ციკლისაგან შესდგება, იყოფა სეზონებად, თვეებად, კვირებად, დღეებად, ადამიანის ფიზიური არსებობის თანამდევია. მოქცეულია და არსე-

ბოძს სიკვდილ-სიცოცხლის ჩარჩოებში. იგი პროფანული დროა და ასევე პროფანულ ანუ მატერიალურ სივრცეში მოქმედებს, ვინაიდან დრო სივრცის გარეშე უმოქმედო სიმბოლოა. დრო მხოლოდ სიცრვეში იძენს მნიშვნელობას. მაგრამ მატერიალური, პროფანული დროისა და სივრცის მიღმა არსებობს ღვთაებრივი, სულიერი, საკრალური დრო და სივრცე. პროფანულის მუდმივი სწრაფვა საკრალურისკენ და საკრალურის პროფანულთან მიახლოების მუდმივი წადილი და მცდელობაა ადამიანის რელიგიური განცდა. ადამიანისთვის მისი ცხოვრება საკრალური მოდელის მიხედვით არის მოწყობილი. გამშვენიერებული, ათვისებული სივრცე „ქრისტე ღმერთის“ ხელით არის აღბეჭდილი. დანარჩენი ათვისებული, ველური მიწა ქაოტური და ბნელია, „ქრისტე ღმერთის“ მიერ „ცა რგვალისა და მიწა ხმელის“ გაჩენამდელი ქაოსივით. ადამიანისთვის სივრცე ქაოტური „გარესა“ და მოწესრიგებული „შინასაგან“ შედგება. ქაოტური „გარე“ გამუდმებით შეიძლება „შინად“ იქცეს. სახლის აგება, სალოცავის დაარსება, მიწის მოხვნა შესაქმნა, „გარეს“ „შინად“ ქცევაა. ეს ერთიანი კაცობრიული ადამიანური გააზრება ქართველისთვისაც მისაღები და ორგანული იყო. მისთვისაც მუდმივი შრომისა და დასვენების მონაცვლეობისაგან შესდგებოდა ცხოვრება. იყო ჩვეული, მუხლმოუხრელი შრომის დღე და მისგან განსხვავებული, არაჩვეულებრივი. ამ დღეს ქართველმა დღესასწაული დაარქვა. რა სასწაული უნდა მომხდარიყო ამ დღეს და რატომ დაერქვა მას „სასწაულის დღე“ ეს ის დღე იყო, როდესაც ხიდი უნდა გადებულიყო დედამიწასა და ზეცას შორის, პროფანული საკრალურთან მიახლოებულიყო და ადამიანი ღვთაებრივს დაკავშირებოდა. ყოველ ასეთ დღეს შესაქმნის აქტი, „გარეს“ „შინად“ ქცევა უნდა განხორციელებულიყო. ამ სასწაულის დღეს უნდა მომხდარიყო ყველა ხილული და უხილავი, კეთილი და ბოროტი არსებების შეხვედრა. გახსნილიყო ზესკნელის შუასკნელის და ქვესკნელის კარები, რომ ამ სკნელების მკვიდრნი: ადამიანი (შუასკნელი), კეთილი (ზესკნელი) და ბოროტი (ქვესკნელი) ღვთაებრივი არსებები დაკავშირებოდნენ ერთმანეთს და დამდგარიყო ქაოსის მითოსური დრო, რომელსაც უცილობლად უნდა მოჰყოლოდა შესაქმნე. შესაქმნე კი კვლავ „შინ“ დააბრუნებდა ავსულებსაც, ადამიანებსაც და ღვთაებებსაც. შესაქმნე დღესასწაულზე რიტუალის მეშვეობით სრულდებოდა, რომლის დროსაც სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა სახის შესაწირავების შეწირვა ხდებოდა.

საქართველოში კუთხეთა სიმრავლემ მრავალფეროვნება შესძინა წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს, მრავალ და მრავალგვარ დღეობა-დღესასწაულებს მისცა დასაბამი. მათგან მრავალი დღესაც არის შემორჩენილი, ფურცელზე მრავალი აგრძელებს თავის არსებობას, მრავალიც ისტორიის კუთვნილებაა. საოჯახო, საგვარეულო, სათემო, სასოფლო თუ ზოგად ქართული დღეობებით არის დახუნძლული ერთი თორმეტთვიანი წელიწადი. თითოეული ეს დღეობა დღესასწაულია. ჩვენამდე მათ მრავალი ისტორიულ-რელიგიური დანაშრევებით მოაღწიეს. ის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, რომელთა ერთიანობა ქმნის ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარს, პირობითად შეიძლება ორი სახისა იყოს: ქრისტიანული და წინაქრისტიანული. იგი ღვთაებისადმი მიმართული ლოცვების, მაგიური ქმედებებისა თუ სხვა სახის რიტუალების ერთობლიობაა, რომლებიც ცდილობენ ადამიანს მოუპოვონ: ჯანმრთელობა, მოსავლის სიუხვე, საქონლის სიმრთელე; დაიცვან იგი სტიქიისაგან თუ ავი და ბოროტი სულების მავნე ზემოქმედებისაგან; მუდამ ჰქონდეთ უხილავი კავშირი წინაპრების სულებთან, მოიპოვონ მათი კეთილგანწყობილება, რაც ასევე ოჯახის სიუხვისა და სიმრთელის საწინდარია. არც ხალხური სანახაობები, მასკარადები თუ კარნავალები აკლია ქართულ ხალხურ კალენდარს, რომელთა თავშეუკავებელ მხიარულებას მძიმე მარხვის აკრძალვები მოჰყვება. ანდა, დღეობათა შორის ყველაზე ჯადოსნური, საახალწლო დღეების მრავალგვარი და მისტიური წეს-ჩვეულებები, რომელთა გახსენებაზე თვალწინ მეკვლე, ქართველი სანტა კლაუსი წარმოვიდგებოთ, ქართული საშობაო ხით – ჩიჩილაკით – ხელში. პატარძალივით მორთულ-მოკაზმული თხილის ჯოხისგან გამოთლილი ხე, მზის სიმბოლოა. მეკვლეს მზე-ჩიჩილაკი გარედან შინ შემოაქვს, სითბოთი და იმედებით ავსებს ოჯახს. შინ შემოსული მზე წვედიადის, ზამთრის, სიცივის გამფანტველი და სიცოცხლის ხელახლად დამბადებელია. „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ შინ შემოდიო“ – ოცნებობდა ქართველი. რა თქმა უნდა ოცნება უსრულდებოდა და ხვნა-თესვის, მკათების დროც დგებოდა. თითოეულ მათგანს გარკვეული რელიგიური რიტუალები უძღვოდა, რაც საქმიანობის კეთილად და უდანაკარგოდ დასრულების საწინდარი უნდა გამხდარიყო.

გადიოდა ზაფხული პეტრე-პავლობის, ფერიცვალების, ივანობის და სხვა დღეობების აღნიშვნაში. დგებოდა შემოდგომა, რომლის უკანასკნელი დღესასწაული წლის ბოლო დღეობა იყო, ეს გახლდათ გიორგობა, წმ. გიორგის, საქართველოში ყველაზე თავყვანცემული წმინდანისადმი მიძღვნილი დღე.

ქართული სიმღერა კი ყველა დღეობის, ღვთის თუ ჭირის თანამდევნი იყო. შობას „აღილო“ ამშვენებდა, თიბვას „მთიბლური“ თუ „გვრინი“, ბატონების გულის მოღობა კი მხოლოდ „ნანას“ შეეძლო.

გადმოთქმულია ჟურნალიდან «ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი» VI, 2004 წ.

სიყვარულის ისტორია: ფოტო გაზო დადიანის არქივიდან

1966 წელს პალესტინის ქალთა ერთ-ერთ მონასტერში ჩვენი საყვარელი რეჟისორი გურამ პატარაია და მწერალი ილია რურუა შეხვდნენ არისტოკრატიული გარეგნობის ღრმად მოხუცებულ ილუმენიას, ტატიანა რომანოვას, კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელის ქვრივს.



კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი
და ტატიანა რომანოვა

კონსტანტინე და საკმაოდ მედიდურად უთხრა: „До меня дошли слухи, якобы вы дурзнули ухаживать за моей дочерью. Вы знаете, что брак рода Романовых может состояться только с родом, равного Романовым“...

ასეთ მკაცრ მიმართვაზე ქართველმა თავადმა საკმაოდ გაბეღულად უპასუხა: „Ваше величество, род Багратион-Мухранских отнюдь не хуже рода Романовых“, და უმაღლვე იქაურობას გაეცალა. განრისხებულმა დიდმა თავადმა ბრძანა დაესაჯათ ქართველი თავადი და გაეგზავნათ შორეულ ციხეში, თავისი ქალიშვილი ტატიანა კი გაგზავნა ყირიმში, საკუთარ სასახლეში, სადაც იმჟამად ბრძანდებოდა დედოფალი მარიამ თეოდორეს-ასული.


კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელის გავლენიანმა მშობლებმა იხსნეს თავიანთი ვაჟი ციხიდან. ერთ დღეს დიდმა თავადმა რომანოვმა გადაწყვიტა ყირიმში მოენახულებინა თავისი ქალიშვილი ტატიანა, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა. დიდმა თავადმა გადაწყვიტა გაუხმაურებლად ჩასულიყო ყირიმში. ყველანი გაოცებულნი დარჩნენ მისი ასეთი მოულოდნელი მობრძანებით. დიდმა თავადმა მოიკითხა თავისი ასული; მოახსენეს, რომ იგი ბალშია. დიდი თავადი შედის ბალში და ხედავს, რომ მისი ასული ტატიანა წამოწოლილია სარწვეველა სავარძელში და იქვე მის გვერდით ზის ქართველი თავადი კონსტანტინე ბაგრატიონი. ასეთმა მოულოდნელობამ დიდი ძლევარება გამოიწვია, ტატიანა იმწამსვე წამოვარდა, დაუჩოქა მამას და სთხოვა – დაგვლოცეო. ეტყობა, მისი უდიდებულესობა დიდი თავადი ვერ დარჩა გულგრილი ქართველი თავადის მომხიბლავი და ვაჟკაცური გარეგნობისადმი და დალოცა ისინი – ასე გადაწყდა ახალგაზრდების შეუღლების ბედი. მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც თეიმურაზი დაარქვეს. თეიმურაზი იმდენად მომხიბლავი გარეგნობისა იყო, რომ მისი სურათებით იბეჭდებოდა ღია ბარათები.

პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი, იგი ჩამოასვენეს თბილისში და შემდეგ დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში; მათი შვილი თეიმურაზი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.

რომანოვთა ასულმა ტატიანამ გადაწყვიტა თავისი დარჩენილი ცხოვრება მონასტერში ილუმენიად გაეტარებინა.

თათული ღვინიაშვილი

სურათები საოჯახო არქივიდან



გიორგი ნიკოლაძის ეს სურათები იროდიონ ევდოშვილის უმცროსი ქალიშვილის – თინათინის – ალბომიდანაა.

გიორგი ნიკოლაძე (1888-1930) – ცნობილი მწერლის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ვაჟი – ანდრია რაზმაძესთან, ნიკო მუსხელიშვილთან და არჩილ ხარაძესთან ერთად ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებელია; იგი საქართველოში მეტალურგიული მრეწველობისა და საბადოთა საფუძველზე ძვირფას ფეროშენადნობთა წარმოების ინიციატორია – ჭიათურის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნოლოგიური პროცესი მისი შემუშავებულია.

გიორგი ნიკოლაძემ 1918 წელს თბილისის ახალდაარსებულ უნივერსიტეტში დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა და ამავე წელს დააარსა სპორტულ-პატრიოტული საზოგადოება «შევარდენი». თინა ხოსიტაშვილი ამ საზოგადოების წევრი და გიორგი ნიკოლაძის ერთ-ერთი უსაყვარლესი მოწაფე იყო, გატაცებული სპორტით. თინა მარიამ (ცუცა) სულხანიშვილთან ერთად პირველი ქართველი ალპინისტი და მოთხილამურე ქალები არიან.

ეს იშვიათი სურათი, რომელზეც გიორგი ნიკოლაძე ჩოხა-ახალუხითაა გადაღებული, გიორგი ნიკოლაძეს თინა ხოსიტაშვილისთვის უჩუქებია; სურათის მეორე მხარეს თინას ხელით ფანქრით აწერია თარიღი « 1926 ».



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ირმა, გიორგი ნიკოლაძე, თინა ხოსიტაშვილი. სურათს მეორე მხარეს ფანქრით თინას ხელით აწერია: «გიორგი, მე და ირმა», იქვეა თარიღიც: « 8/VI – 26 ». სამწუხაროდ, ირმას გვარი არ ვიცით.

მარიამ კარბელაშვილი

მეა მაია ნაჭყვია

**საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ:
ხავერდოვანი რევოლუცია, ჩეხოსლოვაკია 1989**

პრეისტორია

ევროპის ცენტრში მდებარე ორი ქვეყანა – ჩეხეთი და სლოვაკეთი ერთმანეთთან ისტორიულად ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული, როგორც კულტურულად, ისე პოლიტიკურად. ძალზე სქემატურად მათი უახლესი ისტორია ასე გამოიყურება: პირველი მსოფლიო ომის შედეგად ავსტრია-უნგრეთის მონარქია დაიშლა და 1918 წელს ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შეადგინა ორმა ერმა: ჩეხეთმა და სლოვაკეთმა. მანამდე ჩეხეთის მიწები ავსტრიის მონარქიის ნაწილს წარმოადგენდნენ, სლოვაკეთისა კი – უნგრეთის. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა 1918 წლის 28 ოქტომბერს შეიქმნა და მან 1938 წლამდე იარსება. ნაცისტების მომძლავრების ხანაში პრეზიდენტმა ბენეშმა მიუნხენის მოთხოვნები მიიღო და უკვე 1938 წლის პირველი ოქტიმბრიდან ნაცისტებმა ჩეხეთის მიწების დაკავება დაიწყეს. მიუნხენის დიქტატის შემდგომი ანუ მეორე რესპუბლიკა ნაცისტური გერმანიის დანაშაუდ იქცა. 1939 წლის 6 ოქტომბერს კი ჟილინაში (სლოვაკეთი) მოთხოვნებს სლოვაკეთის ავტონომიის გამოცხადება და 1939 წლის 4 მარტს ავტონომიურმა საბჭომ სლოვაკეთი კლეროფამისტულ სახელმწიფოდ გამოაცხადა, 15 მარტს კი გერმანულმა ჯარებმა მოახდინეს ჩეხეთის ოკუპაცია და შექმნეს ჩეხეთისა და მორავიის პროტექტორატი.

1945 წელს გაათავისუფლეს პრაღა, ამ დროსათვის უკვე აქტიურად მუშაობდნენ ჩეხეთისა და სლოვაკეთის კომუნისტური პარტიები, რამაც განაპირობა ის, რომ 1948 წლის თებერვალში გენერალური გაფიცვის შედეგად გამოცხადდა ახალი მთავრობა და ჩეხოსლოვაკიაში დამყარდა სოციალისტური რეჟიმი.

1968 წელი ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია, ხოლო ჩეხებისა და სლოვაკებისთვის იგი მორალური ორიენტირის ფუნქციის მატარებელია. დემოკრატიული გარდაქმნებისაკენ სწრაფვა, სიტყვის თავისუფლება, პოლიტიკური პლიურალიზმი, ეს ის მისწრაფებები იყო, რითაც მაშინ საზრდოობდა ხალხის მოლოდინი, რომელიც საბჭოთა ტანკების შეჭრამ ჩაახშო და რომლის შემდგომ პერიოდსაც “ნორმალიზაცია” უწოდეს.

* * *

გარდაქმნა საბჭოთა კავშირში 1986 წელს დაიწყო, ნელ-ნელა სიტყვის თავისუფლების პირვე-

ლი ნიშნებიც გამოჩნდა, ეკონომიკაშიც რაღაც ძვრები შეინიშნებოდა “ზოზრასჩოტის” და პირველი კერძო მაღაზიებისა თუ კაფე-რესტორნების სახით, პოლონეთში უკვე დიდი ხნის დაწყებული მღელვარება და ხალხის უკმაყოფილება სოციალისტური რეჟიმით პიკს აღწევდა, ჩეხოსლოვაკიაში კი არაფერი ხდებოდა, ჩვეული რიტმით მიედინებოდა ქვეყნის ცხოვრება.

აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: როგორ, რა მიზეზით გაძლო ცენტრალური ევროპის ამ ქვეყანაში დიქტატორულმა რეჟიმმა ასე ამდენხანს? პირველი მიზეზი, რა თქმა უნდა საერთაშორისო პოლიტიკაა: მეორე მსოფლიო ომის დროს ეს ტერიტორია სსრკ-ს გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, მას კი თავისი უსაფრთხოება საბჭოთა და ადგილობრივი რეჟიმების ურთიერთპარმონიულ არსებობაში ესახებოდა. მაგრამ ეს განმარტება, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, უნდა აიხსნას, რატომ და როგორ ფუნქციონირებდა ასეთი სისტემა ორმოცი წლის გამძაფრობაში. ის კი მთელი თავისი მაჩინჯი ასპექტებით საკმაოდ კარგად მუშაობდა. მას არ შეეძლო მხოლოდ ძალადობის იმედით ყოფნა. ახლა კი ჩნდება კითხვა: საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ისტორიული თვალსაზრისით რამ აქცია ეს მხარე ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკილად. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერთ ნაწილში ეს სამეურნეო ჩამორჩენილობამ გამოიწვია, თუმცა ეს არ ეხება ჩეხეთს, სადაც ადგილობრივი ბურჟუაზიის ძლიერი ფენა არსებობდა.

ჩეხეთში უკვე არსებობდა მომწიფებული სამრეწველო საზოგადოება, აქ იყო ცენტრალური ევროპისთვის დამახასიათებელი დემოკრატია. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ კომუნისტური ტოტალიტარიზმის მიმართ იგი შედარებით უფრო მიდრეკილი აღმოჩნდა. პოლონეთსა და უნგრეთში კომუნიზმი არასოდეს არ მიუღიათ როგორც შინაური მოვლენა, იგი ყოველთვის “იმპორტირებულ” მოვლენად ითვლებოდა, რომელიც რუსულმა ტანკებმა და ერთმა მუჭა კომუნისტებმა შემოიტანეს, ჩეხეთში კი ხმების ორმოცი პროცენტი მიიღეს. მაშ, რა აქცევს თანამედროვე დემოკრატიული ტრადიციის მქონე სამრეწველო საზოგადოებას საბჭოთა ტიპის ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკილად? ამ თვალსაზრისით ორი პერიოდია საგულისხმო: 1948 და 1968 წლის შემდეგ ყველაზე ხანგრძლივი და მკაცრი რეპრესიები სწორედ ჩეხოსლოვაკიაში იყო. სხვაგან კომუნისტური რეპრესიები 1956 წელს ან

შეწყდა, ან შესუსტდა. ჩეხოსლოვაკიას კი სამოცი-
ანი წლების დასაწყისამდე მოუწია ლოდინი, მა-
გრამ არ შეიძლება ყველაფრის შინა ფაქტორისთვის
გადაბრალება. 1956 წელს გარე ფაქტორი ხრუმ-
ჩოვი იყო. დაიწყო ცვლილებები, რომლისგანაც ჩე-
ხოსლოვაკიის კომუნისტები ყველანაირად იცავდნენ
თავს, შემდეგ იგივე გორბაჩოვის დროს მოხდა –
სსრკ-ში დაწყებულ “გარდაქმნას” თითქოს ვერ ამ-
ჩნევდნენ ჩეხოსლოვაკიაში და ეს ჩემთვის ძალზედ
თვალსაჩინო იყო: როდესაც არადადებებზე თბილის-
ში ვბრუნდებოდი, უამრავი მოულოდნელი სიახლე
მხვდებოდა – საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური
თვალსაზრისით: ეროვნული მოძრაობის მომძლავ-
რება, ეროვნული გრძნობების დუდილი, მეორე
მხარეს კი “გარდაქმნის” ეკონომიკის სიმბოლო –
კერძო მეურნეო კავებები. ჩეხოსლოვაკიაში კი ყვე-
ლაფერი ისევ ძველებურად იყო. რა იყო ამის მი-
ზეზი? როგორც შემდგომ არაერთხელ წამიკით-
ხავს, სწორედ აქ ვაწყდებით ჩეხოსლოვაკიის სა-
ზოგადოებაში ფესვგადგმულ შინაური სტალინიზ-
მის ფენომენს და როგორც პოლიტოლოგები აღ-
ნიშნავენ, ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ ტრადიცია-
ში მას თავისი დასაწყისი ჰქონდა. ჩეხური დემოკ-
რატია “გამთანაბრებელი” იყო, ეს დაკავშირებული
იყო ევროპული ტრადიციის მქონე I რესპუბლიკის
კრახთან, იმასთან, თუ როგორც მოხდა ომის
დროს ბენეშის მეთაურობით ორიენტაციის აღება
საბჭოთა კავშირზე. სწორედ ამაზე იწერებოდა
ხშირად, რომ ეს კაპიტულანტობის სინდრომი იყო,
გინდ 1938, 1948 თუ 1968 წლების შემდეგ, რო-
დესაც ქადაგებდნენ, რომ პატარა ერი ჯერ უნდა
როგორმე გადარჩეს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან
ეფექტურია და იგი მართლაც აძლევს ერს გადარ-
ჩენის საშუალებას, მაგრამ რის ფასად? შემდეგი
ფაქტორი ეს არის ინტელიგენციის როლი მეორე
მსოფლიო ომის შემდეგ. მისმა დიდმა ნაწილმა კო-
მუნისტური იდეოლოგია მიიღო. მეორე მსოფლიო
ომის შემდეგ ეს ნულიდან დაწყების ცდა იყო. რაც
შეეხება სტალინიზმს, მას ფესვები 20-იანი წლები
ბოლოს დაწყებულ მუშათა მოძრაობაში ჰქონდა,
რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო
გაძლიერდა. პირველი სტალინური პერიოდის სტა-
ტისტიკას თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ,
რომ აქ ძალზე დიდია სოციალური მობილურობა,
მუშათა კლასის წინსვლა, რომელიც ზევით, სა-
ხელმწიფო აპარატისკენ, პოლიციისკენ და ჯარის-
კენ მიიწევს, ხოლო ბურჟუაზიული ელემენტები
პირიქით, ქვემოთ ეშვებოდნენ, ფაბრიკებში მიდი-
ოდნენ. მოხდა საზოგადოების ატომიზაცია.

პოლონეთისგან განსხვავებით აქ არ არსებობ-
და ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა ეკლესია, რო-

მელიც საზოგადოების დამოუკიდებლობის სიმბო-
ლო იქნებოდა.

გარკვეული როლი შეასრულა შესუსტებულ-
მა ჩეხურმა ეროვნულმა იგივეობამ. სხვათა შორის
ამით თაობაზე ძალიან საინტერესო დისკუსია გაი-
მართა 1968 წელს. ცნობილმა ჩეხმა პროზაიკოსმა
და ესეისტმა მილოშ კუნდერამ დაწერა წერილი
„ჩეხების ხვედრი“ (Český úděl), ამ წერილზე პა-
სუხი გასცა ვაცლავ ჰაველმა თავის წერილში „ჩე-
ხების ხვედრი?“ (Český úděl?).

ჩეხოსლოვაკიის ბოლო პერიოდი შესანიშნა-
ვად აქვთ აღწერილი ვაცლავ ჰაველს თავის პუბ-
ლიცისტიკაში, საიდანაც ერთ-ერთი და უმნიშვნე-
ლოვანესი ნაშრომი – „წერილი დოქტორ ჰუ-
საკს“ ამ ჟურნალში იბეჭდება და მილან შიმეჩკას
„წესრიგის განახლებაში“. აქ კარგად ჩანს, როგორ
იყენებდა სისტემა ძალადობრივ მექანიზმებს, როდე-
საც ადამიანს ჰქონდა ის, რისი დაკარგვაც შეიძ-
ლებოდა – სამსახური, შვილებისთვის განათლების
მიღების შესაძლებლობა და სხვა.

90-იან წლებში ჩეხების მიმართ ჰიმლერის
გამონათქვამის ციტირებას ახდენდნენ: “ჩეხები
ლერწამს ჰგვანან, გადასარჩენად თქვენს წინაშე
მიწამდე მოიდრიკებიან, მაგრამ ერთ მშვენიერ
დღეს თავს წამოწევენ და მხრებში გასწორდებიან”
(სხვათა შორის, ამგვარი ანდაზა იაპონელებსაც
აქვთ, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: “როდე-
საც ძლიერი ქარი უბერავს, ლერწამი მიწამდე იხ-
რება, კარგ ამინდში რომ წამოიმართოსო” – ე.წ.).
როგორც ცნობილი ჩეხი წარმოშობის ფრანგი პო-
ლიტოლოგი ჟაკ რუპნიკი წერდა, 90-იან წლებში
ჩეხეთში არ არსებობდა შეუპოვრობის ტრადიცია,
აქ გაბატონებულმა გულგრილმა ჩეხურმა სოციალ-
დემოკრატია საზოგადოება კომუნისტური სისტე-
მის მიმართ უძლური გახდა. პოლონური საზოგა-
დოება თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ამას უფრო
ძლიერად, ვიდრე ჩეხები ფაშიზმს, ისინი კომუნიზ-
მსაც უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ.
მაგრამ სულ სხვა საკითხია, არსებობს თუ არა
თვისებები, რომლებიც ეხმარებიან გარკვეულ სა-
ზოგადოებას წინააღმდეგობის გაწევაში ისეთივე
სასარგებლო დემოკრატიის შექმნისთვის. როგორც
რუპნიკი წერს, პოლონური კათოლიკობა და ნაცი-
ონალიზმი ძალიან ეფექტური წყარო იყო კომუნის-
ტური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.
მაგრამ სწორედ პოლონეთში გამოჩნდა, რომ ეს
თვისებები სულაც არ იყო საჭირო პლურალისტუ-
რი დემოკრატიული საზოგადოების აშენებისთვის.

ის დიდი ინტერესი, რომელიც ჩეხოსლოვაკი-
ის რევოლუციამ დასავლეთში გამოიწვია, ერთი
მხრივ დაკავშირებული იყო ჩეხურ დემოკრატიულ
ტრადიციასთან, ხოლო მეორე მხრივ კი ვაცლავ ჰა-

ველის პიროვნებასთან, რომლის ესეები და პიესები იქ ცნობილი იყო. რეალობამ, რომ ხელისუფლებაში მოდიან ინტელექტუალები და არა პროფესიონალი პოლიტიკოსები, წარმოშვა იმედი, რომ სწორედ ისინი შეეფერებიან ყველაზე მეტად ახალ სიტუაციას. რასაკვირველია, თვალსაჩინოა როგორც მისი ყველა სუსტი, ისე დადებითი მხარეც, მაგალითად ის, რომ ისინი არ არიან პროფესიონალი პოლიტიკოსები და არ აქვთ გახვეწილი პოლიტიკური ენა, ყველა შეკითხვაზე არ აქვთ მზა რუტინული პასუხი. დემოკრატიის მშენებლობა პრაქტიკულად ნოლიდან უნდა დაიწყოს, ყოველი ნაბიჯი თავიდან უნდა იქნას გადადგმული: რა არის საბაზრო ეკონომიკა, რა არის სამოქალაქო საზოგადოება, რას წარმოადგენს დემოკრატიული ინსტიტუტები, რა არის სამართლებრივი სახელმწიფო. . . ყოველივე ეს, რაც დასავლეთში ჩვეულებრივად ითვლება. ეს 90 წლების ჩეხოსლოვაკიის პრობლემები იყო, ახლაც შეიძლება ყველაფერი ისე არ არის, როგორც უკვე ორი დამოუკიდებელი ქვეყნის – ჩეხეთისა და სლოვაკეთის მოსახლეობას სურს, მაგრამ ის პრობლემები, რის წინაშეც ჩვენ დღეს ვდგავართ, უკვე გადალახული აქვთ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან და პრაქტიკაში უმუშევრობის დონე, როგორც ეს ცოტა ხნის წინ შევიტყვე, მხოლოდ 2% აღწევს.

1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი ამბები ქვეყნის ყველა მოქალაქეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, განსაკუთრებით კარგად კი ეს უფროსი თაობის წარმომადგენლებს ჰქონდათ ჩაბეჭდილი მეხსიერებაში, რადგან ამ მოვლენების მოწმეები და მათი უშუალო მონაწილეები იყვნენ. ხშირად აღუწერიათ ჩემთვის ის ტრაგიკული ამბები, რაც მაშინ დატრიალდა, ზოგჯერ კი ეს მწარე იუმორშიც გადაუტანიათ. ერთ მაგალითს მოვიყვან: პრაღაში, ერთ-ერთ მოედანზე საბჭოთა ტანკი იდგა, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა არმია შევიდა ქვეყნის გასათავისუფლებლად. ამ ტანკს ზედ ნომერი ეწერა – “23”. როდესაც 1968 წელს საბჭოთა არმია ისევ შევიდა ჩეხოსლოვაკიაში, ამ ტანკს ხალხმა შეარქვა – “23 წლის შემდეგ დაებრუნდებით”. 1945-დან 1968 წლამდე ხომ მართლაც 23 წელი გავიდა. . . იმ დროიდან ბევრი სიმწარენარევი ანეგდოტიც შემორჩა, მაგალითად “რა არის ხელბორკილი? – “ძმური კავშირი!” “რა არის ტანკი?” – “ძმური სასწრაფო დახმარება!”. 1968 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირმა განსაკუთრებით მკაცრად დაიწყო საკუთარი რეჟიმის დამკვიდრება ამ ქვეყანაში. შესაბამისად, მომრავლდა ასეთი ტიპის ლოზუნგები: “გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!”, “სამუდამოდ საბ-

ჭოთა კავშირთან ერთად!”. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ როგორც ეს ერთმა ჩემმა მეგობარმა მიაბო, მის ბავშვობაში საათების მაღაზიაში ასეთი წარწერაც კი ყოფილა: “საბჭოთა საათი ყველაზე სწრაფი საათია მთელს მსოფლიოში!”.

1984-1989 წლებში ბრატისლავის იან ამოს კომენსკის სახელობის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. სლოვაკეთში გატარებულმა წლებმა ძალიან ბევრი რამ მომცა, როგორც განათლების, ისე ცხოვრებისეული გამოცდილების მხრივ. შევიძინე უამრავი მეგობარი და უდიდესი მადლიერების გრძნობა მაქვს ჩემი უნივერსიტეტის, ჩემი შესანიშნავი ლექტორების მიმართ.

1989 წლის სექტემბერში, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისში დაებრუნდი და სულ ველოდი, რომ ჩეხოსლოვაკიაშიც რაღაც დაიწყებოდა, განსაკუთრებით მაშინ, ტელევიზიით ბერლინის კედლის დანგრევის ამბებს რომ გადმოსცემდნენ და მართლაც სულ მალე, ნოემბერში, როდესაც უკვე საბუთებს ვამზადებდი ბრატისლავაში უკვე მიწვევით წასასვლელად, შევიტყვე, რომ ჩეხოსლოვაკიაშიც დაიწყო ის, რამაც მთელი აღმოსავლეთ ევროპა მოიცვა, ანუ გამოსვლები დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც იქ თითქმის 40 წლის მანძილზე უფევდა.

1988 წლის 21 აგვისტოს 1968 წლის სისხლიანი ამბების ოცი წლისთავი შესრულდა და, რადგანაც მთავრობას მოსალოდნელი ძელგვარებებისა ემინოდა, განსაკუთრებით კი სტუდენტების მხრიდან, ამიტომ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც სწავლა ჩვეულებრივ სექტემბრის შუა რიცხვებიდან იწყებოდა, სასწავლო წლის დასაწყისი თვის ბოლოსათვის გადაიტანა. 1988 წელს ბრატისლავაში ეს თარიღი, მართალია, ძალიან მოკრძალებით, მაგრამ მაინც აღინიშნა, ვიღაცამ პროტესტი საბჭოთა კავშირის აეროფლოტის წარმომადგენლობის მინების ჩამტვრევით გამოხატა.

ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი აქცია 1988 წლის 25 მარტს გაიმართა. ეს იყო “მსვლელობა სანთლებით”. მიუხედავად იმისა, რომ მისმა ორგანიზატორებმა, ჩარნოგურსკიმ და მიკლოშკომ ჩეხოსლოვაკიის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად წინასწარ მიმართეს ქალაქის საბჭოს, რათა აქციის ჩატარების უფლება მოეპოვებინათ, მთავრობამ მათ მაინც უარი განუცხადა. დემონსტრაციის წინა დღეებში ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გააფრთხილეს, რათა არ მიეღოთ მონაწილეობა ამ მსვლელობაში და არც კი გამოჩენილიყვნენ ბრატისლავის ერთ-ერთ მთავარ – ჰვიეზდოსლავის (მე-19 საუკუნის სლო-

ვაკი პოეტი, მისი სახელი ეროვნულ-განმანათლებლურ ფუნქციასთან არის დაკავშირებული) – მოედანზე, მსვლელობის ჩატარების ადგილას. ჩვენი ჯგუფიც დაიბარეს კათედრაზე და გაგვფართოხილეს, რომ ამ აქციაზე საგანგებოდ იქნებოდა ხალხი, რომელსაც დაგვალეული ჰქონდა ეთვალთვალა სტუდენტებისათვის, მოედანზე კი დამონტაჟებული იყო ფარული კამერები; ვინც ამ გაფართოხილებას არ დაემორჩილებოდა, მას უნივერსიტეტიდან გარიცხვა ემუქრებოდა. სტუდენტებს, რომლებიც სლოვაკეთის სხვადასხვა ქალაქებიდან იყვნენ ჩამოსული ბრატისლავაში სასწავლებლად, უბრძანეს, რომ იმ დღეებში შინ დაბრუნებულიყვნენ. უმაღლეს სასწავლებლებში გამოცხადდა ე.წ. “Rektorské voľno”, ანუ ხანმოკლე არდადეგები, საერთო საცხოვრებლებში კი, სადაც ძირითადად უცხოელი სტუდენტები დავრჩით, კონტროლი დააწესეს. ტელევიზიამ იმ დღეებში საინტერესო გადაცემები და ხალხის საყვარელი ფილმები გაუშვა, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა და მიუხედავად იმისა, რომ გზები გადაკეტეს და ბრატისლავის მიმართულებით ყველა მსუბუქ მანქანას აჩერებდნენ, ჩხრეკდნენ და არ ატარებდნენ სლოვაკეთის დედაქალაქისაკენ, ჰვივოდოსლავის მოედანზე მაინც უამრავი ხალხი შეიკრიბა. მსვლელობა დაახლოებით ოთხ საათზე დაიწყო, მონაწილეები მოდიოდნენ ანთებული სანთლებით ხელში. მათ ცამეტი მოთხოვნა წამოაყენეს. ეს ზნეობრივი ხასიათის მოთხოვნები იყო, მთავარი მოთხოვნა საეპისკოპოსოების აღდგენა იყო. მაშინ სლოვაკეთში რამდენიმე საეპისკოპოსო იყო, აქედან მხოლოდ ორი ფუნქციონირებდა. ერთი მოთხოვნა კი ძველი ტრადიციის აღდგენას ეხებოდა: ხალხი მოითხოვდა მედლების ნაცვლად საავადმყოფოებში მძიმე ავადმყოფებისათვის მოწყალების დებს (მოლოზნებს) მოველოთ, რადგან ამ მოვალეობას ისინი უკეთ გაართმევდნენ თავს. ეს მსვლელობა უსაფრთხოების სამსახურებმა წყლით დაარბიეს, აქციის ორგანიზატორები – ჩერნოგურსკი და მიკლოშკო კი დააპატიმრეს. შემდგომში ჩერნოგურსკი სლოვაკეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გახდა, ხოლო მიკლოშკო – სლოვაკეთის პარლამენტის თავმჯდომარე.

ხავერდოვანი რევოლუციის დღიურიდან

1989 წლის ნოემბერში, “ხავერდოვანი რევოლუციის” დროსაც ბრატისლავაში ვიყავი. ბრატისლავაში ნოემბრის ბოლოს ჩავედი, პირველი, რაც ბრატისლავის აეროპორტში თვალში მეცა, იყო პლაკატი წარწერით “68-89 – კარტი შეტრიალდა”. თითქმის ყველას, დიდსა თუ პატარას, სა-

ხალხო მოძრაობის ნიშანი ეკეთა, ეგრეთწოდებული “ტრიკოლორა” – სამფეროვანი სიმბოლო, შემდგარი ჩეხოსლოვაკიის დროშის ფერებისგან: გადაჯვარედინებული ლურჯი და წითელი ზოლებით თეთრ ფონზე, წარწერითურთ “საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ”. ამ ნიშანს მაშინ მეც ვატარებდი და იგი დღემდე შენახული მაქვს.



გენერალური გაფიცვის წინა დღეებსა და საათებს ასე აღწერს თავის წიგნში – “ვაცლავ ჰაველის ბიოგრაფია” – მწერალი ედა კრისეოვა: „...[მოძრაობის ორგანიზატორები – ე.წ.] წერდნენ მიმართვებს ათასნაირ რაიონულ რადიომაუწყებლობათათვის, რათა სისხლისღვრა და პროვოკაციის მცდელობა თავიდან აეცილებინათ. ჯარი და მილიცია ხომ ჯერ კიდევ კომუნისტების ხელში იყო, ისინი კი იმუქრებოდნენ, რომ თავს დაიცავდნენ. არაპროფესიონალებმა უეცრად უზარმაზარი პოლიტიკური ცოდნა და მზადყოფნა გამოამჟღავნეს. იცოდნენ, რომ სისხლიანი შეჯახებები არ უნდა მომხდარიყო, იცოდნენ, რომ ეს რევოლუცია სისხლით არ უნდა შებღალულიყო. გენერალური გაფიცვის დღეს მღელვარებამ მწვერვალს მიაღწია. ამავე დროს კი ირგვლივ სულ სიცილი, სიხარული, სიყვარული და სიმღერა იყო. ყოველთვის მოიძებნება ისეთი ვინმე, ვინც დაღლილობისა და უძილობის ატმოსფეროში მხიარულებას შემოიტანს. ვინც დაღლილობის ნაცრიდან სიცილის ნაპერწკალს აავიზგიზებს. დრამატურგმაც სიცილით იცის მუშაობა. მთავრობის საბჭოში ერთ-ერთ ყველაზე რთულ მოლაპარაკებაზე, სადაც სიტუაცია უიმედოდ გამოიყურებოდა და პრემიერ-მინისტრ ადამეცს ალმური ედებოდა, ვაცლავმა დუმილის წუთი სიცილის წუთად გამოაცხადა. დიდი წარმატების გამო ამ ხერხს სხვა მოლაპარაკებებზეც მიმართავდნენ. მაგიდის მეორე მხარესაც იცინოდნენ”.

პრადის ამბებს სლოვაკეთი გამოეხმაურა თავის ძალზედ აქტიური პოზიციით. 1989 წლის 21 ნოემბერს სლოვაკეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მიმართვა დაიბეჭდა, მათ პროტესტი გამოაცხადეს 1989 წლის 17 ნოემბერს პრავაში სტუდენტთა მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბე-

ვის გამო და წამოაყენეს ხუთი მოთხოვნა. მთავრობის მიერ ამ მოთხოვნების უგულებელყოფის შემთხვევაში სტიუდენტებმა საზოგადოებას მიმართეს, თავისი ნება 1989 წლის 27 ნოემბერს დღის 12 საათიდან 14 საათამდე გენერალური გაფიცვით გამოეხატათ. მთელს სლოვაკეთში გავრცელდა მათი მოწოდება, რომლის ტექსტიც დღემდე შენახული მაქვს და აქ გთავაზობთ:

სლოვაკეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა განცხადება

ჩვენ, სლოვაკეთის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები პროტესტს ვაცხადებთ 1989 წლის 17 ნოემბერს მშვიდობიან სტუდენტურ მანიფესტაციაში უსაფრთხოებისა და ჯარის მხეცურ ჩარევასთან დაკავშირებით. წესრიგის დამცველთა ამგვარი ჩარევა მკვეთრად ეწინააღმდეგება ჩეხოსლოვაკიის მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო კონვენციებს. ჩვენს უთანხმოებას გაფიცვით გამოვხატავთ.

ჩვენი გაფიცვა არ წარმოადგენს უპასუხისმგებლო ან გულგრილ დამოკიდებულებას სასწავლო მოვალეობათა მიმართ. ჩვენი პრობლემების მოგვარება შეუძლებელია დაგროვილი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემების მოგვარების გარეშე. ამიტომაც, **“საზოგადოებრივი ფორუმის”** და **“საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ”** ინიციატივასთან შეთანხმებით მოვითხოვთ:

1. დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის შექმნას პრალის მოვლენების გამოსაძიებლად და საზოგადოებისათვის ობიექტური და მართალი ინფორმაციის მიწოდებას მისი შედეგების შესახებ და დამნაშავეთა დასჯას.
2. იმ პოლიტიკური და სამთავრობო წარმომადგენლების გადადგომას, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობაზე. მათი თანამდებობებზე დარჩენა ამძიებებს ამჟამინდელ დაძაბულ მდგომარეობას.
3. ჩეხოსლოვაკიაში პოლიტიკური ცხოვრების პლურალიზაციას, თავისუფალ არჩევნებს, რომელშიც წამყვანმა ძალამ ხალხის ნდობა უნდა მოიპოვოს და არ უნდა ჰქონდეს იგი კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი.
4. დაიწყოს სერიოზული საზოგადოებრივი დიალოგი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, იმათი გამოკლებით, ვინც მასში ძალადობის შეტანას მოისურვებს.
5. მასობრივ საკომუნიკაციო საშუალებათა ხელმისაწვდომობას ყველა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკურ საქმიანობაში.

მოგიწოდებთ თქვენ, მუშებო, გლეხებო და ინტელიგენცია, რომლებიც თქვენი შრომით ქმნით დოვლათს და ჩვენ განათლების მიღების საშუალებას გვაძლევთ, რათა მხარი დაუჭიროთ ჩვენს მოთხოვნებს. მოგუწოდებთ ჩეხოსლოვაკიის ჯარს, სახელმწიფო უშიშროებასა და სახალხო მილიციას, რათა არ მოახერხონ მათი გამოყენება საკუთარი ერის წინააღმდეგ. მოგუწოდებთ ყველა მოქალაქეს, რომელნიც არ არიან გულგრილი ჩვენი საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობის მიმართ, რათა თავისი ნება გამოხატონ გენერალური გაფიცვით 1989 წლის 27 ნოემბერს 12:00-დან 14:00 საათამდე.

ბრატისლავა, 21. 11. 1989

სლოვაკეთის უმაღლეს სასწავლებელთა საკოორდინაციო საბჭო.

VYHLASENIE SLOVENSKEJ VYSOKOSKOLSKYCH ŠTUDENTOV

MY, ŠTUDENTI SLOVENSKEJ VYSOKYCH ŠKOL, PROTESTUJEME PROTI BRUTALNEMU ZASAHU BEZPEČNOSTI A ARMADY PROTI POKOJNEJ ŠTUDENTSKÉJ MANIFESTACII DŇA 17.11.1989. POSTUP TYCHTO PORIADKOVYCH ŠIL JE V PRIKROPI ROZPORE S PLATNYMI ČESKOSLOVENSKEJMI ZAKONMI A PRIJATYMI MEDZINÁRODNÝMI KONVENCIAMI. SVOJ NEUHĽAS VYJADRUJEME STRÁJKOM. V NASOM STRÁJKU NEJDE O NEZODPOVEDNÝ A LAHOSTAJNÝ PRÍSTUP K ŠTUDIJNÝM POVINNOSTIAM. NÁŠE PROBLEMY NEMOŽNO RIEŠIť BEZ ROZUZLENIA NAHRMADENÝCH ŠPOLOČENSKÝCH A POLITICKÝCH PROBLÉMOV. PRETO V SÚHLASE S INICIATÍVOU OBČANSKEHO FORA A S INICIATÍVOU VEREJNOSTI PROTI NÁSILIU ZIADAME:

1. VYTVORENIE NEZÁVISLEJ VYŠETROVACEJ KOMISIE NA PREŠETRENIE PRAZSKÝCH UDALOSTI A OBJEKTIVNE A PRAVDIVE INFORMOVANIE VEREJNOSTI O JEHO VÝSLEDKOV A POTRESTANÍ VINNÍKOV.

2. ODŠTUPENIE TYCH POLITICKÝCH A VLÁDNYCH PREDŠTAVITEĽOV, KTORI SU ZODPOVEDNÍ ZA TERAJŠI STAV ŠPOLOČNOSTI. ICH ZOTRVANIE VO FUNKCII VYHROUJE TERAJŠIU NÁPATU SITUACIU.

3. PLURALIZACIU POLITICKEHO ŽIVOTA V ČESKOSLOVENSKEJ, SVOBODNE VOLBY. V KTORÝCH SI VEDUCA ŠILA MUŠI DOVERU ĽUDI VYBOJOVAť A NIE JU MAť UŠTAVNE ZABEZPEČENU.

4. OTVORENIE SERIOZNEHO ŠPOLOČENSKÉHO DIALOGU, KTORÝ MUŠI BYť PRÍSTUPNÝ KAŽDEMU S VÝNIMKOM TYCH, KTORI BY DO NEHO CHCELI VNÁSAť NÁSILIE.

5. ŠPRÍSTUPNENIE MASOVOKOMUNIKACNYCH PROSTRIEDKOV VŠETKÝM ŠPOLOČENSKÝM A POLITICKÝM HŇUTIAM, KTORE SA ZUČASTŇUJU POLITICKEHO ŽIVOTA.

VYZYVAME VÁS, ROBOTNÍCI, ROĽNÍCI A INTELIGENCIA, KTORI VYTVÁRATE SVOJOU PRÁCOU HODNOTY A UMOŽŇUJETE NAM VZDELÁVAť SA, ABY ŠTE PODPORILI NÁŠE POŽIADAVKY. VYZYVAME VŠETKYCH PRÍSLUŠNÍKOV ČSLA, ŽNE A ĽM, ABY SA NEDALI ZNEUŽIť PROTI VLASTNEMU NÁRODU. VYZYVAME VŠETKYCH OBČANOV, KTORÝM NIE JE LAHOSTAJNÝ SÚČASNÝ STAV NÁŠEJ ŠPOLOČNOSTI, ABY VYJADRLI SVOJU VOLU GENERALNYM STRÁJKOM DŇA 27.11.1989 OD 12.00 DO 14.00 HOD.

BRATISLAVA 21.11.1989

KOORDINÁČNY VÝBOR SLOVENSKEJ VYSOKYCH ŠKOL

სტუდენტთა მიმართვის ტექსტი

1989 წლის 27 ნოემბერს სრულ 12 საათზე მუშაობა შეწყვეტა ყველა ორგანიზაციამ, ქუჩაში შეჩერდა ტრანსპორტის მოძრაობა და ხუთი წუთის განმავლობაში ისმოდა მანქანების საყვირების ხმა, გასაღებების ჟღარუნის, ეკლესიების ზარების რეკვა. ვინაიდან სტუდენტთა მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა — გაუქმდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის წამყვანი როლი და დადგენილ იქნა მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება — ხალხმა თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი სიმბოლური

ხუთწუთიანი გაფიცვით გამოხატა. გადამწყვეტი ბრძოლა მოგებული იყო, მთავრობა დათმობაზე წავიდა. ხუთი წუთის შემდეგ კი ყველა თავის სამუშაოსა და ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდა.

1989 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბრატისლავაში ყოფნისას გაოცებული დავრჩი ტელევიზიის გადაცემებით. იმ დროს, როდესაც მე იქ ვსწავლობდი, ტელევიზია ძალზე მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა, ახლა კი უეცრად აქამდე მიუწვდომელი ინფორმაციის მთელი ნაკადი წამოვიდა. ტელევიზიით გადმოსცემდნენ წლობით აკრძალული ყველა რეჟისორის, მსახიობის, კომპოზიტორისა და მომღერლის შემოქმედებას. ტელევიზიით გვიან ღამემდე შეიძლებოდა თვალი გედევნებინათ მთავრობაში მიმდინარე ამბების ტრანსლიაციისათვის: სიტყვით გამოდიოდნენ უკვე ყოფილი პარტიული ფუნქციონერები, რომელთა ნაწილიც თავის გამართლებას ცდილობდა, ნაწილი კი თავის პოზიციებს იცავდა. გადმოიცა აგრეთვე 17 ნოემბერს პრალაში სტუდენტთა დემონსტრაციის დარბევის განხილვაც, რომლის დროსაც ე.წ. “წითელი ბერეტები” – საგანგებო რაზმები მოქმედებდნენ. კომისიამ დაადგინა, რომ დასჯილიყო ამ მხეცური აქციის ყველა ორგანიზატორი, ხოლო ყოველ მოქალაქეს, რომელსაც ფიზიკური ზიანი მიაყენეს, სამედიცინო დახმარების გარდა გადასცემოდა ფულადი კომპენსაცია, რაგინდ მცირეც უნდა ყოფილიყო მიყენებული ზიანი.

ნოემბრის ბოლოს ერთ-ერთი მიტინგი მახსენდება, რომელიც ბრატისლავის მთავარ მოედანზე ჩატარდა. ამ მიტინგზე გამოვიდნენ მოძრაობის – **“საზოგადოება კალადობის წინააღმდეგ”** ლიდერები – კნიაჟკო (მსახიობი) და ბუდაი (მას უმაღლესი განათლება ჰქონდა, მაგრამ როგორც მთავრობისათვის არაკეთილსამიერო, საქვების მუშად მუშაობდა, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, ასე ექცეოდნენ ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში დისიდენტებს – ე.წ.). პირველად დიდი ხნის განშორების შემდეგ სამშობლოს მიწაზე დადგეს ფეხი და თავის ერს მიმართეს ემიგრანტებმა, რომლებიც მრავალი წლის წინ – ზოგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი გადატრიალების გამო, ზოგიც კი 1968 მოვლენების შემდეგ – იძულებულნი გახდნენ სამშობლო დაეტოვებინათ და ემიგრაციაში ეცხოვრათ. მათ შორის იყვნენ სპორტსმენები, მომღერლები, მსახიობები, ბიზნესმენები. როგორც ხალხი ამბობდა, მაშინ იქ ცნობილი სავაჭრო სახლის “Bata”-ს დამაარსებლის შთამომავლებიც იყვნენ. ბევრ მათგანს ცრემლი აღრჩობდა და ლაპარაკი უჭირდა... როდესაც მიტინგი დასასრულს უახლოვდებოდა, ხალხმა სიმღერა წამოიწყო. ეს სიმღერა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ეროვნული

გრძნობების გამოვლიდების სიმბოლო იყო, ერთიანობისა და ურთიერთმხარდაჭერის ამ საოცარმა მელოდიამ გასაოცარი ემოციური მუხტი წარმოშვა.

ნოემბრის ამ დღეებში მიტინგზე გამოდიოდნენ ავსტრიის სახვადასხვა ქალაქების მერიების წარმომადგენლები და ერს, რომელთანაც ხანგრძლივი კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა აკავშირებდათ, სტუმრად ეპატიჟებოდნენ თავის ქვეყანაში, რომელიც ტერიტორიულად ძალზე ახლოს კი იყო, მაგრამ აქამდე საზღვრები ძალიან მყარად იყო ჩაკეტილი (ბრატისლავიდან ავსტრიის საზღვარი სულ რაღაც 25 კილომეტრით არის დაშორებული) განსაკუთრებით კი 1968 მოვლენებიდან მოყოლებული. ნოემბერში ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე პროცესების ერთ-ერთი პირველი შედეგი საზღვრების გახსნა იყო, ხოლო ერთ-ერთი პირველი საზღვარი, რომელიც გაიხსნა, ავსტრიის საზღვარი გახლავთ. სულ მალე ჩეხოსლოვაკიის ასი ათასობით მკვიდრი დაიძრა ავსტრიისაკენ, სადაც მათ დიდი სიბოთი და სიყვარულით შეხვდნენ. ავსტრიაში საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის ყველა მოქალაქისათვის უფასოდ იყო გაღებული ყველა მუზეუმის კარი, უფასო იყო აგრეთვე საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობა, ყავა და წვენები, ხოლო გარკვეული დროის მანძილზე ბრატისლავიდან ვენამდე მატარებლით მგზავრობაც კი. ერთ დღეს მოეწყო სიმბოლური ფეხით მსვლელობა ავსტრიაში და მავთულხლართები, რომლებიც ამ ორ ქვეყანას ყოფდა, სულ მოკლე დროში სუვენირებად იქცა. ძველი ქალაქის ქუჩებში ახალგაზრდები ამ მავთულხლართების ნაჭრებს სუვენირებად არიგებდნენ სიტყვებით: “ინებეთ ჩეხოსლოვაკია-ავსტრიის ყოფილი საზღვრის უკანასკნელი ნაჭრები!”. ერთი ასეთი ნაჭერი მეც მერგო, მაგრამ ჩემს სლოვაკ მეგობრებს ვაჩუქე, რომელთათვისაც ეს მართლაც ძალიან ძვირფასი საჩუქარი იყო.

1989 წლის 11 დეკემბერს ტელევიზიით გადაიცა სლოვაკი ერის ლიდერების მიმართვა ხალხისადმი, რათა ადამიანთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავად საღამოს შვიდ საათზე ყველა კეთილი ნების ადამიანს ფანჯარაში თითო სანთელი აენთო იმათ პატივსაცემად, ვინც თავისი სიცოცხლე თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა.

12 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ბრატისლავაში თითქმის ყველგან ერთდროულად ჩაქრა ელექტრონათურები და ყველა ფანჯარაში სანთლები აციმციმდა. გასაოცარი სანახავი იყო სანთლის შუქით განათებული მთელი ქალაქი... ერთი სანთელი ჩემს ფანჯარაშიც ენთო. სანთლები დიდ ხანს იწვოდა.

ზოგი რამ ვაცლავ ჰაველის ბიოგრაფიიდან



ვაცლავ ჰაველი, მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, არაორდინალური პიროვნებაა, ბუნებრივია, რომ ასეთ პიროვნებას ბიოგრაფიაც არაორდინალური აქვს. ქართველი მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება გაეცნოს მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ ფაქტს.

მისი ბიოგრაფია საინტერესოდ, ცოცხლად, ერთგვარი იუმორითაც კი აღწერილი აქვს მის მეგობარს, ჩემ მწერალ ქალს – ედა კრისეოვას წიგნში „ვაცლავ ჰაველის ბიოგრაფია“. იგი 1991 წელს გამოვიდა პრაჰაში და მის მიხედვით ვცადე შემომეხაზა წინამდებარე ბიოგრაფიული ესკიზი.

ვაცლავ ჰაველი 1936 წლის 5 ოქტომბერს დაიბადა პრაჰაში, მძლავრ ბურჟუაზიულ ოჯახში, რომელიც განთქმული იყო თავისი მეცენატური საქმიანობით სამშობლოს საკეთილდღეოდ. მისმა პაპამ, ასევე ვაცლავ ჰაველმა, რომელსაც ძლიერ უყვარდა პრაჰა და სურდა იგი ნებისმიერი ევროპული დედაქალაქის დონეზე დაეყენებინა, ააშენა კულტურის სასახლე – „ლუცერნა“. მასში განხორციელდა გასართობი, კულინარული და საგანმანათლებლო დაწესებულების კონცეფცია: პირველი რესპუბლიკის (1918-1938) დროს იქ იმართებოდა შესანიშნავი კონცერტები, ტარდებოდა კრებები, სახალხო სეირნობები, შეჯიბრებები კლასიკურ ჭიდაობაში, პინგპონის ტურნირები. ჰაველის მამა საინჟინროზე სწავლობდა, ოცი წლის ასაკში იგი

სტუდენტური საზოგადოების გამგეობის წევრი გახდა. საზოგადოებამ ფულის შოვნა მოახერხა და ურთიერთდახმარებათა და ნებაყოფლობითი შეწირულებათა წყალობით ორ წელიწადში ააშენა სტუდენტური საერთო საცხოვრებელი „კოლონკა“, რომელმაც თავდაპირველად დაგეგმილი ხუთი-ათი წლის ნაცვლად, მთელი ორმოცდაათი წელიწადი გასწია სამსახური. ვაცლავ ჰაველის ბიძა – მილოშ ჰაველი ბარანდოვის კინოსახელოსნოების შექმნის ინიციატორი იყო. ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური დიქტატურის დამაყვრების შემდეგ მისი სახელი ამოშალეს ჩეხური კინოს ისტორიიდან. ვაცლავ ჰაველის პაპა დედის მხრიდან, ჰუგო ვავერეკა, ელჩად იყო ბუდაპეშტსა და ვენაში.

მას შემდეგ, რაც 1947 წელს ვაცლავ ჰაველმა დაწყებითი სკოლა დაამთავრა, დედამ იგი შეიყვანა მეფე ირჟის სახელობის ვაჟთა ინტერნატული ტიპის სკოლაში, რათა იგი დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჩვეულიყო. სწორედ იქ გაიცნეს ერთმანეთი და დამეგობრდნენ ვაცლავ ჰაველი და მილოშ ფორმანი. ფორმანი ერთ ასეთ ეპიზოდს იგონებს: „მანსოვს, ვიშოვით ველოსიპედი და დავიწყეთ ტარების სწავლა. სახელოსნოს უფროსს ჭიშკართან მივყავდით და ველოსიპირებზე გვსვავდა. გავდიოდით ჭიშკრიდან, ირყი პოდერბრადის ძეგ-

ლთან წრეს ვარტყავდით და უკან ვბრუნდებოდით, ყველა ასე მოიქცა, ვაშეკის გარდა. შევსვით იგი ველოსიპედზე, ხელი ვკარით და ვაშეკიც წავიდა. ჩვენ კი ველოდებით და უცბად ვხედავთ, რომ ირ-ჟის ძეგლთან წრე კი არ დაარტყა, არამედ პირდა-პირ წავიდა, ნიშბორისაკენ. ბრიყვებით ვუყურებ-დით, მერე კი ღრიალი მოვრთეთ:

– ბატონო პროფესორი, ბატონო პროფესო-რო, ჰაველი გარბის!

პროფესორიც მოვიდა: „ხო, – თქვა – გარ-ბის, მაგ მე მოტოციკლეტით დავედევნები! მაგრამ ეს მაშინვე არ მომხდარა. ბატონმა პროფესორმა ჯერ გამაშები ჩაიცვა, მერე ტყავის ჩაფხუტი ჩა-მოიცვა, აილო ხელთათმანები, მოირგო მოტოციკ-ლეტისტის სათვალეები, ე. ი. ყველაფერი ისე გაა-კეთა, როგორც ჯერ არს და მხოლოდ ამის შემ-დეგ გაეკიდა. ჰაველს სადღაც ნიშბორში ჩაავლო ხელი. გაირკვა, რომ ჰაველი კი არ გარბოდა, არა-მედ მოხვევისა ემინოდა, გაჩერება კი არ იცოდა. რადგანაც შედარებით დაბალი ტანისა იყო, ფეხე-ბით მიწას ვერ სწვდებოდა და ამიტომაც ვერ და-უშუხრუჭებია. არ იცოდა რა ექნა და ამიტომ მი-დიოდა და მიდიოდა. ბატონი პროფესორი რომ არ დასწვოდა, ალბათ საბჭოთა კავშირამდე ივლიდა“.

ჰაველებს შესანიშნავი საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქონდათ და ვაცლავიც გატაცებით კითხულობდა. მასზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მე-19 საუკუნის ჩეხი ისტორიკოსის – პალაცკის ბი-ოგრაფიის იმ ადგილს, სადაც ეწერა: „...ათი წლი-სას უკვე მთელი „ბიბლია“ წაკითხული ჰქონდა“. მართალია, „ბიბლიის“ კითხვა არ დაუწყია, მაგრამ იგი ათასგვერდიანი რომანის კითხვას შეუდგა ჩე-ხეთის ისტორიიდან. მერე ამბობდნენ, დადიოდა და თავისთვის ბურტყუნებდა: „ათი წლისას უკვე მთე-ლი „ეუკი“ წაკითხული ჰქონდა“.

თხუთმეტი წლის ვაცლავ ჰაველმა ლექსების წერა დაიწყო. თავის თანატოლებთან, ათასცხრაას ოცდათექვსმეტ წელს დაბადებულებთან ერთად ჩა-მოაყალიბა ლიტერატურული ჯგუფი „ოცდათექ-ვსმეტიანელები“, – ისინი გიმნაზიის ასაკში იყვნენ, მაგრამ საკადრო შეუთავსებლობის გამო უკვე მუ-შაობდნენ და მხოლოდ სადამოს სკოლაში ჰქონდათ სწავლების უფლება. მართავდნენ სიმპოზიუმებსა და იწვევდნენ ყრილობებს, საკუთარ ჟურნალსაც კი გამოსცემდნენ. ის, რასაც აკეთებდნენ, საზიფა-თო იყო, მაგრამ ამის შესახებ მათ არ იცოდნენ. თვრამეტი წლისანი რომ ყოფილიყვნენ, ადვილად მოხვდებოდნენ სტალინურ ბანაკებში.

მამამ ახალგაზრდა პოეტს შეხვედრა მოუწყო ჩეხური ლირიკის მეფესთან – იაროსლავ სეიფერ-

ტთან, ვაცლავი მასთან სტუმრად მილოშ ფორმან-თან ერთად დადიოდა. ფორმანი მუსიკალური ხე-ლოვნების აკადემიის კინოფაკულტეტზე სწავლობ-და. მას ამის უფლება ჰქონდა, ვინაიდან მშობლები ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკში დაეღუპნენ და კომუნისტებმა მას ვედარაფერი გაუბედეს. ვაც-ლავი ილტვოდა კინოს, თეატრისა და პოეზიისაკენ და ბედნიერი იყო, რომ მასთან მასზე ოთხი წლით უფროსი ფორმანი მეგობრობდა და მისი მეშვეობით მაინც ჰქონდა კავშირი იმასთან, რაზეც თვითონ ოცნებობდა. ფორმანი მას ყავახანა „სლავიაში“ უყ-ვებოდა იმ ფილმების შესახებ, რომლებსაც უმაღ-ლესში ნახულობდა. შესაძლოა, სწორედ „სლავია-ში“ მოუვიდან აზრად დაეწერეთ კინოსცენარი, რომლის მიხედვითაც შემდეგ ფორმანი ფილმს გა-დაიცვებდა. იმ დროს კაფკა აკრძალული მწერალი იყო. მათ მის შესახებ მაქს ბროდის გერმანული წიგნიდან შეიტყვეს, რომელიც ვაცლავს ბიბლიო-თეკაში ჰქონდა. იქ ეწერა, რომ კაფკა ზაფხულს შირემში – ციურაუში ატარებდა, სადაც თავის და – ოტლესთან ჩადიოდა, რომელსაც იქ სახლი ჰქონდა დაქირავებული. იმავე წიგნში ამოიკითხეს, რომ კ აფკამ იქ დაწერა „კოშკი“ და რომ „კოშკი“ სინამდვილეში გორაკზე მდგარი ბელელია, ხოლო თუ ადამიანი თან წაიღებდა „კოშკს“, შეეძლო ში-რემი დაევიო და ზუსტად აღედგინა რომანის ტო-პოგრაფია. ამო კვლევის შემდეგ ერთმა მოხუცმა ურჩია მათ ეროვნულ კომიტეტში მისულიყვნენ, – იქ ყველაფერი ეცოდინებათო. იქ მომხდარი კომი-კური შემთხვევის შესახებ მილოშ ფორმანი ყვება:

„როდესაც ეროვნული კომიტეტის თავმჯდო-მარეს ვუთხარი, რომ იმ სახლს ვეძებდით და იმის დადგენა გვესაჭიროებოდა, თუ სად ცხოვრობ-და კაფკა, მოგვისმინა და გვითხრა:

– მე არ ვიცი, მაგრამ პარტიის თავმჯდომა-რეს ვკითხავ. – დაუძახა:

– ლოიზო, მოდი აქ.

ლოიზო მოვიდა და იკითხა:

– რა იყო?

– პრაჰიდან ამხანაგები ჩამოვიდნენ, ჰოდა, ვიდაცა კაფკას კითხულობენ, იცნობ კაფკას?

– არა. მოიცა, კაფკა, ... სად ცხოვრობს?

– არა, კაცო, მწერალი იყო, ომამდე, აქ დასთან ცხოვრობდა.

– აბა მე რა ვიცი, კაცო.

პარტიის შეფის დასკვნა ის იყო, რომ იქ არავითარი კაფკა არასოდეს არ ყოფილა. მე ამო-ვიღე წიგნი და ვუთხარი:

– როგორ არ იყო, შეხედეთ, ბატონო მდივა-ნო, ეს იყო კაფკა, აი, მისი ფოტოსურათი.

– ღმერთო, ეს ხომ შირემია, – ყვიროდა პარტიის თავმჯდომარე, რომელიც იმით იყო აღ-

ფრთოვანებული, რომ მათი სოფელი გერმანიაში გამოცემულ წიგნში მოხვდა.

– ვინ იყო ის კაფკა, რას აკეთებდა? – იკითხა თავიდან.

ახლა ვაშეკმა დაიწყო კაფკაზე მოყოლა და უჩვენა მისი ფოტოსურათი. იგი გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე იყო გადაღებული და მწერალი მშვენივრად გამოიყურებოდა. პარტიის თავმჯდომარემ დაათვალიერა და თქვა:

– კაცო, ლამაზი ბიჭია, ეშმაკმაც დალაზეროს, რა კაი ბიჭი ყოფილა, სად ცხოვრობს?!

ჩვენ ავუხსენით, რომ იგი ჭლექით გარდაიცვალა და რომ ეს ავადმყოფობა ადამიანს ალამაზებს. კანი რაღაც უცნაურად ღიავდება და მომავლავს გასაოცრად სხვიმოსილ გამომეტყველებას სძენს. ვაშეკი ამას აღელვებით ყვებოდა, ისინი კი უსმენდნენ, თუ როგორ ამშვენიერებს ადამიანს ჭლექი სიკვდილის წინ და მაშინ კი პარტიის თავმჯდომარემ წარმოთქვა:

– კაცო, იმიტომ ვყოფილვარ ასეთი მახინჯი ჯანმრთელი რომ ვარ!

ამსას უკვე ვეღარ გაუძეულით. ვაშეკს სიცილი აუტყდა და იძულებული ვიყავით წამოვსულიყავით. მერე სცენარის საქმეც გაჯანჯლდა და არაფერი აღარ დაგვიწერია, რადგან უკვე ნათელი იყო, რომ კაფკას სახელის უშიშრად გამოთქმაც კი არ შეიძლებოდა“.

ბურჟუაზიული წარმოშობის გამო ჰაველი-სათვის დაკეტილი იყო იმ უმაღლესის კარები, რომელზეც ოცნებობდა. ოფიციალური ლიტერატურული სამყარო მას არც აინტერესებდა, მას არ ეკარგებოდა დრო ფსევდოისტორიისა და დამახინჯებული მეცნიერებების შესწავლაზე, არ აბარებდა გამოცდებს. მან თვითგანათლებას მიჰყო ხელი, თუმცა პარალელურად მუშაობდა და ისეთ სპეციალობას ეუფლებოდა, რომელიც სრულებით არ იტაცებდა. მას იზიდავდა ის, რაც ინარჩუნებდა კავშირს პირველ რესპუბლიკასთან და დაფუძნებული იყო ევროპული განათლების სოლიდურ ბაზაზე. ეს კი პირველ რიგში იყო „ჯგუფი 42“. აქ თავი მოეყარა მილოშ ფორმანს, ვერა ლინჰარტვას, იოზეფ ტოპოლს და ირჟი კუბენას. „ჯგუფი 42“-ში მან ისეთი მაღალი მწერლური მორალის სკოლა გაიარა, რომელსაც ვერანაირ უმაღლესში ვერ მიიღებდა.

1956 წელს იგი ერთ-ერთ რედაქციისადმი მიწერილი კრიტიკული წერილის გამო მიიწვიეს ახალგარდა მწერლების კონფერენციაზე დობრიჟოში. ვაცლავ ჰაველმა, მაშინ ტრანსპროტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტმა წარმოთქვა სიტ-

ყვა, რომლის შემდეგაც სხვა არაფერზე აღარ იყო ლაპარაკი.

ორმოცდაათიანი წლების დამლევს თეატრი აღარ იყო ისე მკაცრად იდეოლოგიზირებული, როგორც მთელი ორმოცდაათიანი წლების განმავლობაში. არ იყო შემთხვევითი, რომ საზოგადოების თვითგანთავისუფლების პროცესი სწორედ პატარა თეატრებში დაიწყო. ხალხმა უეცრად გაიგო ის, რისი თქმაც დიდხანს ჩურჩულითაც კი არ შეიძლებოდა. საზოგადოება ლეთარგიიდან ფხიზლდებოდა. ამ შედარებით ბედნიერ დროს დაიწყო ჰაველმა პიესების წერა.

„რა განსაზღვრებას მისცემთ აბსურდის თეატრს?!“ – კითხულობს კარელ ჰვიჟდილა „დაუსწრებელ დაკითხვაში“.

„პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა მე-20 საუკუნის თეატრალურ კულტურაში, რადგანაც იგი თანამედროვე კაცობრიობას ასახავს მის „კრიზისულ მდგომარეობაში“, ანუ უჩვენებს კაცობრიობას ადამიანს, რომელმაც დაკარგა ძირითადი მეტაფიზიკური რწმენა, აბსოლუტის გრძნობა, დამოკიდებულება მარადიულობისადმი, აზრის შეგრძნება, ანუ – მტკიცე საფუძველი ფეხქვეშ. ეს არის ადამიანი, რომელსაც ყველაფერი ხელიდან ეცლება, მისი სამყარო ინგრევა, იგი გრძნობს, რომ რაღაც საძულადოდ დაკარგა, მაგრამ არ ძალუძს აღიაროს თავისი მდგომარეობა და ემალება მას. აბსურდის პიესების თამაში არ შეიძლება სიტყვასიტყვით, ისინი არაფრის ილუსტრირებას არ ახდენენ. ისინი არც პათეტიკურნი არიან და არც დიდაქტიკურნი, პირიქით – დეკადენტურად სახუმაროები. მათთვის ნაცნობია ფენომენი უსასრულო სიმძიმისა. ამ პიესებში ხშირად სუფევს დუმილი და ბრეივეული ლაყბობა. ვისაც სურს, შეუძლია დაესწროს მათ, როგორც ცარიელ კომედიებს. ეს პიესები არ არის ნიჰილისტური და ეს მნიშვნელოვანია. ისინი გამაფრთხილებელია. ისინი არ გვაშშვიდებენ და არ გვისახვენ იმედს. ისინი მხოლოდ იმას გვახსენებენ თუ როგორ ცვხოვრობთ. იმედის გარეშე. ამაშია მათი გამაფრთხილებელი მისია“.

ჰაველის პირველი აბსურდის პიესა იყო იონესკუს ტიპის ერთმოქმედებიანი პიესა „ოჯახური სადამო“. შემდეგ „შეტყობინების“ პირველ ვერსიებს წერდა და აქვეყნებდა თეორიულ სტატიებს რეჟიუ „დიავლო“-ში. იმ დროს იგი თეატრ „ABC“-ში სცენის მუშად მუშაობდა.

ჟურნალმა „კულტურა 60“ ვაცლავ ჰაველს პრადის პატარა თეატრებზე წერილის დაწერა დაავალა. იმ დროს უკვე არსებობდა „დიავლო ნა

ზაბრადლი“, „როკოკო“, „სემაფორი“, „რედუტა“. ჰაველის წერილმა დისკუსია გამოიწვია და ამიტომ რედაქციაში მოიწვიეს პატარა თეატრების წარმომადგენლები, მოვიდა „დივადლო ნა ზაბრადლის“ ერთ-ერთი დამაარსებელი ივან ვისკოჩილი და ვაცლავი გაიცნო. სამოციან წლებში ჰაველს მიეცა ბრწყინვალე შესაძლებლობა ეწერა კონკრეტული თეატრისთვის და მონაწილეობა მიეღო სპექტაკლის შექმნის პროცესში. იმ დროს ახალგაზრდა ჰაველი წერდა პიესებს, სტატიებს და სალამოს განყოფილებაზე სწავლობდა მუსიკალური ხელოვნების აკადემიაში, რაც მას უკვე აღარ აინტერესებდა. სალამოობით კი თავის მომავალ მეუღლესთან – ოლლასთან – ერთად ამზადებდა რეკვიზიტს. ჰაველი ივან ვისკოჩილთან ერთად მუშაობდა „ავტოსტოპზე“, რომელიც ხუთი ამბისაგან შედგებოდა, აქედან „ელა, ჰელა და სტოპი“ და „მოტომორფოზა“ ჰაველისა იყო.

1963 წლის 3 დეკემბერს „დივადლო ნა ზაბრადლის“ სცენაზე პირველად იყო წარმოდგენილი ვაცლავ ჰაველის პიესა „ზეიმი ბალში“.

1965 წელს ჰაველი გახდა მწერალთა კავშირის ყოველთვიური ახალგაზრდული ლიტერატურული ჟურნალის „ტვარჟ“-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი. აქ, პოლიტიკურ ბრძოლაში იმათთან, ვისაც არ სურდა სხვებისათვის მიეცათ საკუთარი აზროვნების გამომჟღავნების საშუალება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მათგან განსხვავდებოდა, მან ბევრი რამ გაიგო. ახალი თაობა სხვანაირი აღმოჩნდა – იგი პოლიტიკურად ნაკლებად იყო პროფილირებული და მაშინვე არ ჩანდს ვინ ვინ არის, ამიტომაც უფროსი თაობა მათ თავიდანვე არ ენდობოდა. მათი დევიზი იყო: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია. ჩეხოსლოვაკიის მწერლების შეკრებაზე, რომელიც რესპუბლიკის განთავისუფლების მე-20 წლისთავს ეძღვნებოდა, ვაცლავ ჰაველი სიტყვით გამოვიდა:

„აქ წარმოთქმული მთავარი სიტყვის სათაური იყო „ლიტერატურის მიზნები და ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის მუშაობა“, რამაც შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს მწერალთა კავშირის მისიას წარმოადგენს ლიტერატურას დაუხსნოს რაიმე მიზნები: ვიფქრობ, რომ სინამდვილეში ეს პირიქით უნდა იყოს: ლიტერატურამ უნდა დაუხსნოს ამოცანები მწერალთა კავშირს. ყოველმა კარგმა მწერალმა უკეთ იცის, თუ რა არის მისი ამოღანა. მწერალთა კავშირი კი მხოლოდ იმას უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მწერლები და ჟურნალისტები რაც შეიძლება უკეთ ასრულებდნენ ამოცანებს, რომლებსაც თვითონ ისახავენ (...). ვთქვით, რომ მწერალთა კავშირის არსებობას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ იგი ლიტერატურ-

რასა და პოლიტიკას შორის შემთანხმებლის როლზე უარს იტყვის და ზედმიწევნით დაიცავს ლიტერატურის უფლებას იყოს ლიტერატურა... მხოლოდ ასე შეიძლება გახდეს ლიტერატურა პოლიტიკის საგანი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით“.

ამ გამოსვლას დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს უკვე მწერალთა მეორე კონფერენცია იყო, რომელიც ჰაველმა გაანადგურა. ამის შემდეგ საკმაოდ მალე ჟურნალმა „ტვარჟმა“ არსებობა შეწყვიტა. 1968 წელს იგი ისევ განახლდა, 1969 წლის ივლისში კი იგი საბოლოოდ გააუქმეს.

1968 წლის აპრილში „ლიტერარნი ლისტი“-ში დაიბეჭდა ვაცლავ ჰაველის სტატია „ოპოზიციის თემაზე“. ეს ერთადერთი გამოქვეყნებული წერილი იყო, რომელიც პოლიტიკურ პლურალიზმს სთავაზობდა საზოგადოებას, მოგვიანებით ეს წერილი გამოყენებული იქნა იმის მთავარ საბუთად თუ როაოდენ კონტრევილუციური იყო პრესა. საბედისწერო 1968 წლის აგვისტოში ჰაველი მეუღლეთურთ თავის მეგობართან იყო სტუმრად ლიბერცეში. იქ მათ ადგილობრივ ამბოხში მიიღეს მონაწილეობა. იგი ყოველდღიურ კომენტარებს წერდა რადიოსათვის, გამოდიოდა ტელევიზიით. ადგენდა მიმართვებს ხალხისადმი, რომელსაც შემდეგ ქუჩაში რეპროდუქტორით გადმოსცემდნენ. როდესაც ღუბეჩკი მოსკოვიდან ჩამოვიდა და რადიოში ატირდა, უკვე ყველასათვის ნათელი იყო, რომ საქმე წასულია. ქვეყანა დაადგა ტყუილით, კომპრომისით და ნახევარსიმართლეებით სავსე მძიმე გზას.

1969 წლის 21 აგვისტოს გამოვიდა „ათი პუნქტი“. მას ათი ხელმძღვრეი აწერდა ხელს. იგი მიმართული იყო ფედერალური მთავრობის, ფედერალური კრების, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, ჩეხეთის სახალხო მთავრობისა და ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური კომიტეტისადმი. მასში უარყოფილი იყო ნორმალიზაციის პოლიტიკა. ხელმძღვრეები გაასამართლეს რესპუბლიკის მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო. 1969 წლის ბოლოს „ჩესკოსლოვენსკი სპისოვატელში“ გამოვიდა ლიტერატურული კრებული, რომელიც ჰაველმა დააარსა და მასში თვრამეტი მწერლის ნაწარმოები იყო შეტანილი. ყველა ავტორი სასწრაფოდ აკრძალეს. ჰაველიც. 1971-1972 წლებში მისი სახელი შეტანილი იყო საიდუმლო დირექტივებში იმ ავტორთა შორის, რომელთა წიგნებიც ბიბლიოთეკებში აღკვეცეს. პატიმრები მას ქრესტომათიებიდან ჭრიდნენ. ჰაველის მეგობარი, მსახიობი პეტერ ლანდოვსკი იხსენებს: „ერთხელ ბართან ვაცლავს ვიღაც კაცმა გაუბა საბურაი. მე მივუახლოვდი და ვკითხე, საიდან იცნობ-მეთქი. უცნობმა მიპასუხა ორი წელი ციხეში ვიჯექი და ჩემი სა-

მუშაო იმაში მდგომარეობდა, რომ ორი წლის განმავლობაში მას ჩეხეთის ლიტერატურის ისტორიიდან ვჭრიდით.

მაშინ როდესაც ჩეხოსლოვაკიაში ჰაველი აკრძალული იყო, საზღვარგარეთ მას ხოტბას ასხამდნენ. მან ორჯერ ზედიზედ მოიპოვა ამერიკული პრიზი „ობია“ „შეტყობინების“ და „გონების მოკრების გართულებული შესაძლებლობისათვის“. სამშობლოში მისი პიესები არ იდგმებოდა, თეატრში კი, სადაც მუშაობდა, მისვლა აუკრძალეს. ამ პერიოდში იგი მეუღლესთან ერთად ჰრადეცკეზე გადასახლდა, სადაც წლის უმეტეს ნაწილს ატარებდა და ტრუტნოვში, ლუდის ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

1972 წელს ჰაველმა დაწერა „სამგროშიანი ოპერა“, „სასტუმრო მთაში“ და „ვერნისაჟი“. ეს ყველაფერი იოზეფ შკვორეცკიმ ტორონტოში გამოსცა 1977 წელს. 1975 წლი ფაზუზლში ჰაველმა დაწერა ერთმოქმედებიანი პიესა „აუდიენცია“.

„სამგროშიანი ოპერა“ „ჩინოპერნი კლუბისთვის“ იყო დაწერილი, მაგრამ იქ მისი დადგმის განხორციელება შეუძლებელი იყო. ანდრეი კრობა იგი მოამზადა არაპროფესიონალ მსახიობებთან ერთად. მისი წარმოდგენა კი დოლნი პოჩერნიცებში, რესტორნის დარბაზში გაიმართა, სადაც დარბაზი იქირავეს და ბილეთების შეზღუდული რაოდენობა გასცეს. იქ სამას შესანიშნავ, ნიჭიერ ადამიანს მოეყარა თავი, რომლებსაც ხელისუფლებამ დარაჯებად და მუშებად მიუჩინეს ადგილი. ამ წარმოდგენას ბევრი უსიამოვნება მოჰყვა, მაგრამ ახლა ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში პროცესები საჯაროდ არ მიმდინარეობდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საზოგადოება პარალიზებული და ყველაფრით კმაყოფილი იყო. მაშინ ჰაველმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პირველ მდივანს – დოქტორ გუსტავ ჰუსაკს მისწერა წერილი. ამას მისი ბევრი მეგობარი „კამიკაძობად“ თვლიდა. ჰაველმა დაწერა წერილი და რეაქციას ელოდა. მისმა მეგობარმა ლანდოვსკიმ კი იგი ქსეროქსზე გადაამრავლა და სლოვაკიაში წაიღო. ამ წერილით დაიწყო ჩეხოსლოვაკიის ისტორიის ახალი ეპოქა. მოჩვენებით თითქოს ყველაფერი ისევ ისე იყო, მაგრამ წერილი ხელნაწერის სახით გადადიოდა ხელიდან ხელში, ხალხი მას კითხულობდა და აცნობიერებდა იმას, რაც შესაძლოა ყველამ იცოდა, მაგრამ – ფრაგმენტულად. ამით კი ვიღაცამ ცალკეულს შორის ურთიერთკავშირი დაამყარა. მოხდა ზუსტად ის, რისიც ძალაუფლებას ყველაზე მეტად ეშინოდა. სანამ ყველას საკუთარი გა-

საჭირი აქვს და ყველას თავისებური, არავის არ მოსდის აზრად, რომ ყოველივე ამას აქვს ერთი საერთო მნიშვნელი და ჰყავს ერთი საერთო დამნაშავე და რომ საერთოდ ყოველივე ეს შეგნებულადაა ორგანიზებული.

1976 წელს ჩატარდა სასამართლო პროცესი, რომლის მთავარი მოქმედი პირები მუსიკოსები იყვნენ. ეს იყო ანსამბლი „The Plastic People of the Universe“. ჰაველი, რომელიც მათ შემოქმედებას გაეცნო, მიხვდა, რომ ეს არ იყო ღრიალზე და სულელურ სიტყვებზე აგებული სიმღერები, როგორც ამის წარმოდგენას ოფიციალური ცდილობდა. მათ მუსიკაში იყო პოეზია, ხსენიკენ მისწრაფება, ლტოლვა სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ. მთავრობას მიაჩნდა, რომ გაასამართლებდა რამდენიმე გრძელთმიან ბიჭს, ნარკომანს და ალკოჰოლიკს და ამით ყველაფერი მორჩებოდა – ერთხელ და სამუდამოდ მოიშორებდნენ როკ-მუსიკას. სწორედ მაშინ, სრულიად განსხვავებული ასაკისა და პროფესიის ხალხი მიხვდა, რომ ერთი თავისუფლების ხელყოფა, ყოველი მათგანის თავისუფლების ხელყოფას ნიშნავდა. სასამართლო პროცესის შემდეგ დერეფანში ერთად იდგნენ გრძელთმიანი ბიჭები და კომპარტიის ყოფილი ფუნქციონერები, ინტელექტუალები და ხალხი, რომელთაც უწინ ჰქონდათ ძალაუფლება. უეცრად აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანს ერთიდაიგივე შეგრძნება ჰქონდა – ის, რომ ყველა საფრთხეშია. ამ ერთობის შესახებ ჰაველი წერდა, რომ ხალხი, რომელიც მაშინ სასამართლოს დერეფანში ერთ მუშატდ შეკრული იდგა „ქარტია 77“-ის შექმნის წინამორბედი იყო. იქ სუფევდა თანასწორობის, სოლიდარობის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ატმოსფერო.

1977 წელს მომზადდა სიტუაცია საიმისოდ, რომ შექმნილიყო „ქარტია 77“-ის ტექსტი. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გამოქვეყნდა ჰელსინკის მოპარაკების შესწორება. „ქარტიას“ შეეძლო დაყრდნობოდა ადამიანთა უფლებების აქტს, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ხელი მოაწერა. ჯგუფი ტექსტის შედგენაზე მუშაობდა. თუმცა ერთი შეხედვით იქ პროფესორ პატოჩკასა და ვაცლავ ჰაველის ფორმულირებანი სჭარბობს, „ქარტიას“ ავტორი არ გააჩნია, ყველა, ვინც მას ხელი მოაწერა – მისი ავტორია. 1977 წლის 5 იანვარს ტექსტი მზად იყო გასაგზავნად თავისი 242 ადრესატისათვის. მეორე დღეს, როდესაც ვაცლავ ჰაველი, ვაცულიკი და ლანდოვსკი მანქანაში ჩასხდნენ, რათა კონვერტები სხვადასხვა საფოსტო ყუთებში ჩაეშვათ, აღმოჩნდა, რომ მათ სახელმწიფო უსაფრთხოების თანამშრომლები უთვალთვალებდნენ, მე-

რეკი დაიწყო ნამდვილი დევნა – გაქცევა ავტომობილებით. კონკრეტების ნაწილის გაგზავნა მინც მოახერხეს. „ქარტიის“ ტექსტი უკვე არსებობდა საზღვარგარეთ და როგორც გაირკვა, იმავე დღეს ყველა რადიოსადგურმა გადასცა იგი. ჰაველი, ვაცულიკი და ლანდოვსკი დააკავეს. 1977 წ. 1 ოქტომბერს ვაცლავ ჰაველს მიესაჯა 14 თვით თავისუფლების აღკვეთა და სამი წლით პირობითი პატიმრობა. მიზეზი: რესპუბლიკის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება საზღვარგარეთ.

აი, რა წერდა გაზეთი „რუდე პრავო“ „ქარტიის“ შესახებ: „...უახლესი პამფლეტი, ე. წ. „ქარტია 77“, ადამიანთა ერთმა ჯგუფმა – ჩეხოსლოვაკიის კრახანციდელი რეაქციული ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა და ასევე 1968 წლის კონტრრევოლუციის ოგანიზატორებმა ანტიკომუნისტური და სიონისტური ძალების შეკვეთით გადასცეს გარკვეულ დასავლურ სააგენტოებს“.

1978 წლის აგვისტოდან ჰაველი პოლიციის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. მისი სახლის წინ განუწყვეტლივ იდგა პოლიციის მანქანა, რომელიც მას დაჰყვებოდა საყიდლებზე და ძაღლის გასეირნებისას. ნაცნობებს, რომლებიც მას ქუჩაში ხვდებოდნენ და მასთან სალაპარაკოდ ჩერდებოდნენ, ამოწმებდნენ. ამიტომ ჰაველი მათ ანიშნებდა, არ მისაღმებოდნენ. ხოლო იმათ, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, ხვდებოდა ყავახანებსა და რესტორნებში. გვერდზე მაგიდასთან ყოველთვის იჯდა დაცვა. ასეთივე მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა იგი პრადიეჩეში, სადაც მეუღლესთან ერთად გადასახლდა. ერთხელ, როდესაც როგორც ჩვეულებრივ პოლიციის მანქანა მას უკან მიჰყვებოდა, იგი თხრილში ჩავარდა და ჰაველმა მანქანა ტროსით ამოათრია.

1978 წლის ოქტომბერში ჰაველმა პრადიეჩეში დაწერა ვრცელი ესე – „უძღურთა ძლიერება“. იგი სწრაფად გავრცელდა ხელნაწერების სახით. აქაც, ისევე როგორც „წერილში გუსტავ ჰუსაკს“, ჰაველი აანალიზებდა თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობასა და მისი დაცემის და მოახლოებული აღორძინების მიზეზებს.

1979 წელს ვაცლავ ჰაველი ისევ დააპატიმრეს. 22-23 ოქტომბერს შედგა სასამართლო პროცესი, რომელსაც მთავრობა გულდასმით ამზადებდა, ორმოცდაათიანი წლების შემდეგ ეს უდიდესი პოლიტიკური პროცესი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გარჩევა საჯარო იყო, უამრავი ხალხი, რომელიც იქ შეგროვდა, დარბაზში არ შეუშვეს. ჰაველთან ერთად ასამართლებდნენ რამდენიმე მის თანამოაზრესაც. დარბაზში მხოლოდ

თორმეტმა ადამიანმა შეაღწია. ერთ-ერთი დამსწრე, რომელიც ჩანაწერებს აკეთებდა, დარბაზიდან გააძევეს და იგი ორმოცდარვა საათის განმავლობაში იქნა დაკავებული. სახელმწიფოს მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის ჰაველს ოთხნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ეს პროცესი ძალიან გახმაურდა საზღვარგარეთ. ეს იყო ჰელსინკის აქტის ამკარა დარღვევა. პროტესქტი განაცხადეს ცალკეულმა პიროვნებებმა და მთელმა ორგანიზაციებმა, ეკლესიამ, პროფკავშირებმა, პარლამენტის წევრებმა, ზოგიერთმა მთავრობებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა, მათ შორის კომპარტიებმაც კი. არც თეატრებს დაავიწყდათ ჰაველი. 17 ნოემბერს ვენის ბურგთეატრში დაიდგა ჰაველის „პროტესტი“ და კოპოუტის „ატესტი“. ვარშავაში წარმოდგინეს მისი სამი პიესა: „აუდიენცია“, „ვერნისაჟი“ და „პროტესტი“.

1986 წლის 22 დეკემბერს „ერაზმის სახელობის ფონდმა“ გამოაცხადა, რომ ერაზმ როტერდამელის სახელობის პრემია 1986 წელს მიენიჭა ვაცლავ ჰაველს. იანვარში ჰაველმა დაწერა სამადლობელი სიტყვა, მაგრამ პოლანდიაში, რა თქმა უნდა, ვერ წავიდა.

ამ სიტყვის ლეიტმოტივი ის იყო, რომ ყოველ ჩვენგანს, რაგინდ უმნიშვნელო და უძლურიც არ უნდა იყოს იგი, შეუძლია შეიცვალოს სამყარო. მართალია, დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ ყოველ ჩვენგანს შეუძლია გადააბრუნოს დედამიწა. ყველამ საკუთარი თავით უნდა დაიწყოს, – მოუხმოს სიამაცეს და იყოს ერაზმ როტერდამელივით ახირებული, რადგანაც მხოლოდ ახირებულნი უპირისპირებენ თავის საბეჭდ მანქანას სახელმწიფო ბიუროკრატას. არსებობს ერთიანი ევროპა და დასავლეთი სულ უფროდაუფრო ღრმად აცნობიერებს ამას და თავის დამოკიდებულებას იმით ამჟღავნებს, რომ აღმოსავლელ ახირებულებს იცავს. ასე ნელ-ნელა ისხამს ხორცს დიდი ერაზმ როტერდამელის ანრდერძი, რაც ევროპის ინტეგრაციის განსხეულებას წარმოადგენს. 1987 წ. 7 თებერვალს პოლანდიის ელჩმა საზეიმო ვახშმის დროს ვაცლავ ჰაველს გადასცა „ერაზმის სახელობის პრემიის“ დიპლომი.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ჰაველი სულ უფროდაუფრო ემბებოდა პოლიტიკაში. პრაქაში ჩამოდიოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები დასავლეთიდან და ხვდებოდნენ როგორც ოფიციალურ ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციასაც. პოლიცია ასეთი შეხვედრების თავიდან აცილებას ცდილობდა და ჰაველს ან შინაპატიმრობას უსჯიდნენ ან ორმოცდარვა სა-

ათით აკავებდნენ. მაგრამ ყოველთვის მაინც ვერ ახერხებდნენ ამის გაკეთებას. დასავლეთის წარმომადგენლებს ესმოდათ, რომ მათი ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნების ოპოზიციასთან მნიშვნელოვანი იყო მთელი ევროპის დემოკრატიული განვითარებისათვის.

1988 წლის ოქტომბერში მზადდებოდა მანიფესტი – „დემოკრატია ყველასათვის“. მის გარშემო დიდი დისკუსია გაიმართა. ბევრ დისიდენტს მიაჩნდა, რომ აზრი აღარ ჰქონდა დოკუმენტისათვის იმავე ხალხს მოეწერა ხელი, რომლებიც წლების განმავლობაში იყვნენ მანიფესტების ხელმძღვანელი. იგრძნობოდა, რომ დაძაბულობა მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის სულ უფრო იზრდებოდა და რომ სახალხო მოძრაობა, რომელიც იბადებოდა, როგორმე უნდა დაკავშირებოდა ოპოზიციას. მაგრამ როგორ? მანიფესტი „დემოკრატია ყველასათვის“ გაცილებით უფრო კატეგორიული იყო, ვიდრე „ქართის“ ტექსტი. მასში მრავალი წლის შემდეგ პირველად იყო ნათქვამი, რომ კომუნისტურ პარტიას არა აქვს უფლება ჰქონდეს წამყვანი როლი სახელმწიფოში. მანიფესტის სიმძაფრე თავიდანვე გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ მას ხალხი მასობრივად დაუჭერდა მხარს. მას ორასსამოცმა ადამიანმა მოაწერა ხელი. 1988 წლის 28 ოქტომბერს მოსალოდნელი იყო დემონსტრაცია და ის, რომ მასში პოლიცია გაცილებით უფრო მკაცრად ჩაერეოდა, ვიდრე სხვა დროს. ხალხი სახლებში გამოიკეტა. მთავრობა განუწყვეტლივ იმუქრებოდა, რომ დაისჯებოდა ყველა, ვინც კი ქუჩაში გამოვიდოდა. 26 ოქტომბერს კი ყველა ხელისმომწერი აიყვანეს, გაანაწილეს სხვადასხვა ადგილებსა და ქალაქშიც კი, სადაც ისინი ორმოცდარვა საათის განმავლობაში იქნენ დაკავებული. სწორედ ამ დროს უნგრეთში გამოცხადდა, რომ ახალ კონსტიტუციაში აღარ იქნებოდა შეტანილი მუხლი კომპარტიის წამყვანი როლის შესახებ. ჩეხოსლოვაკიაში კი საქმე აღძრეს იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელი მოაწერა მანიფესტს „დემოკრატია ყველასათვის“. ამის შესახებ ჰაველმა მისწერა საფრანგეთის პრეზიდენტს მისი ფოციალური ვიზიტის წინ ჩეხოს-

ლოვაკიაში, რომელსაც შემდეგ სხვა დამოუკიდებელი მოძრაობების წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა.

1988 წლის 10 დეკემბერს პრატაში პირველად ჩატარდა პირველი ნებადართული პოლიტიკური დემონსტრაცია. შემდეგ იყო იან პლახის კვირეული და ვაცლავ ჰაველის კიდევ ერთი პროვოკაციული დაპატიმრება. ხელისუფლებას არ აწყობდა მისი გარეთ ყოფნა.

1989 წლის ნოემბერში „დრამატულ კლუბში“ ჩამოყალიბდა „სახალხო ფორუმი“. ჰაველი სცენაზე ავიდა და ნათლად ჩამოაყალიბა თავისი პროგრამა. მან თქვა ის, რასაც ყველა გრძნობდა და ფიქრობდა, ოღონდ ვერ ახერხებდა მის ფორმულირებას და არ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა თავდაპირველად და რა მოგვიანებით. ჰაველმა განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანები გააერთიანა და მათ ერთი გეგმა დაუსახა. რევოლუციას, რომელიც მაშინ დაიწყო თეატრში დრამატურგის მეთაურობით, ჰქონდა ეპიგრაფი, რომელსაც ჰაველის მეგობრები ხშირად იმეორებდნენ ხოლმე: „ნუთუ ეს შესაძლებელია?“ ჰაველმა ეს ასე ახსნა: „პოლიტიკა შეუძლებელის ხელოვნებაა“.

აქ შევწყვეტ თხრობას ჩვენი დროის ამ ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტის შესახებ, წერილი კი მისივე სიტყვებით მინდა დავამთავრო: ერთ-ერთი ადრეული ინტერვიუს დროს, როდესაც ჟურნალისტმა მას ჰკითხა, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები, ჰაველმა უპასუხა: „თუ გარეთ ვიქნები, სიმონებით დავუბრუნდებოდი ჩემს ლიტერატურულ მოღვაწეობას, მაგრამ ამით იმის თქმა არ მიწინააღმდეგავს, რომ მოქალაქეობრივ საქმიანობას თავს დავანებებ – ადამიანი წინასწარ არ გეგმავს, რომ ერთი წელი მოქალაქე იქნება, მომდევნო კი – მწერალი“.

და მართლაც, დისიდენტი იქნება, მწერალი თუ პრეზიდენტი, ვაცლავ ჰაველი უპირველეს ყოვლისა დიდ მოქალაქედ და მოაზროვნედ დარჩება.



ტაღეირანი

ხუთწევრიანი ღირეჭტორატის სამი წარმომადგენელი მას მექრთამედ მიიჩნევდა, მეოთხე ამას გარდა — ყაჩაღადაც, მეხუთემ კი მის მოღალატეობაზე გაამახვილა ყურადღება.

ტაღეირანი საიდუმლოდ სხვადასხვა ქვეყნის მონარქებსაც ემსახურებოდა. ქვეყნად არ არსებულა მასზე ყფრო გაქნილი და გარყვნილი ქმნილება! ეს სრული სიმართლე ნაპოლეონმაც იცოდა, უკვე სიცოცხლის ბოლოს, წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებულმა, ტაღეირანის შესახებ თქვა:

„ინტრიგანია, არასოდეს იცავს მორალის პრინციპებს, მაგრამ დიდი ტვინის პარტონია და ეჭვგარეშეა, რომ ჩემს მინისტრებს შორის იგი ყველაზე ნიჭიერი იყო!..“

ისტორიას თავად ტაღეირანის ზოგიერთი მოსწრებული გამოთქმაც შემორჩა: როდესაც ერთხელ განრისხებული ნაპოლეონი უყვიროდა მას, ტაღეირანი თავჩაქინდრული მოწიწებით უსმენდა, ზოლო როდესაც ბონაპარტმა გული იჯერა, ტაღეირანმა მოკრძალებით შენიშნა: „რა საწყენია, რომ ასეთი დიდი პიროვნება ასე ცუდად არის აღზრდილი!“ და ოთახი დატოვა. გაითვალისწინა თუ არა ნაპოლეონმა ეს შენიშვნა, ამის შესახებ ისტორია ღუმს.

შარლ-მორის დე ტაღეირან-პერიგორი 1754 წლის 2 თებერვალს პარიზში დაიბადა. მისი მშობლები დიდგვაროვანი, მაგრამ გაღატაკებული არისტოკრატები იყვნენ. მას უსიხარულო ბავშვობა ჰქონდა, იგი არავის უყვარდა, მშობლებსაც მიგდებული ჰყავდათ და ავადმყოფობის დროსაც კი არ ზრუნავდნენ მასზე.

ტაღეირანმა გადაწყვიტა მღვდელი გამხდარიყო, სამხდერო კარიერაზე ოცნებაც კი ზედმეტი ეჩვენებოდა, რადგან ბავშვობაში დაშავდა და დაკოჭლდა, ყავარჯნის გარეშე სიარული კი ტკივილს ჰგვრიდა.



ტაღეირანი

1788 წლის ოქტომბერში, ფაქტიურად რევოლუციის წინაღულს — მეფე ლუდოვიკო XVI-მ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის თანახმადაც იგი, როგორც ეპისკოპოსი, გენერალურ ვიკარიუსად დაინიშნა.

ეს მისი უჩვეულო კარიერის დასაწყისი იყო. როგორც ეროვნული კრების წევრმა, ზოლო 1790 წლიდან კი მისმა თავმჯდომარემ, ბევრი რეფორმა განახორციელა. მისი პოპულარობა და ავტორიტეტი სულ უფროდაუფრო იზრდებოდა...

1792 წელს შარლ დე ტაღეირან-პერიგორი ლონდონში საფრანგეთის ელჩად დაინიშნა. ამ დროს იგი საიდუმლოდ თანამშრომლობდა დამზობილ მეფესთან. თამაშის გამოაშკარავების შემდეგ ამერიკაში გაიქცა, სადაც მიწასთან დაკავშირებულ მაქინაციებს მიჰყო ხელი.

ორი წლის შემდეგ ტაღეირანმა კვლავ შეძლო პარიზში დაბრუნება და თავისი ერთ-ერთი საყვარლის — სახელგანთქმული მადამ დე სტალის მეშვეობით ერთ-ერთ მინისტრად დაინიშნა. მოგვიანებით იგი ნაპოლეონს მიემხრო, დაეხმარა მას სახელმწიფო გადარტყალებაში, რის გამოც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიც კი მიიღო. ამასთანავე, ნაპოლეონმა ტაღეირანს გაწეული სამსახურისათვის მადლობა საჩუქრითაც გადაუხადა (ეს იყო ბენვენტა დაკავებული იტალიის ტერიტორიაზე).

1814 წელს ტაღეირან დიდი მონდობით უკვე ბურბონებს ეხმარებოდა მონარქიის რესტავრაციაში. მან სენატში ნაპოლეონის გადადგომისა და ლუდოვიკ XVIII-ის მეფედ გამოცხადების საკითხი გაიტანა, რისთვისაც მეფემ მადლობა გრაფის ტიტულისა და პერობის ბოძებით გადაუხადა. იგი მთავარ კამერდინერად და საგარეო საქმეთა მინისტრად ითვლებოდა.

როდესაც ნაპოლეონი ელბიდან დაბრუნდა, ტაღეირანი შერისხული აღმოჩნდა, რადგანაც უარი თქვა მასთან ხელახალ თანამშრომლობაზე. წინადაცული დიპლომატი ზვდებოდა, რომ ნაპოლეონის ხელისუფლებას ხანგრძლივი პერსპექტივა არ ჰქონდა.

მართლაც, ნაპოლეონის ხანმოკლე — ასდღიანი — მმართველობის შემდეგ ტაღეირანი ისევ ჩაუდგა სათავეში საგარეო საქმეთა წარმართვას. ამჯერად მას მეფემ მექვიდრეობითი პერობა და პერცოგობა უბოძა. 1830 წლიდან იგი საფრანგეთის ელჩად იყო ლონდონში, ოთხი წლის შემდეგ კი უარი თქვა სამსახურზე და თავის მამულში — ვალენცაში — დაქვიდრდა, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1838 წელს.

უშნო და კოჭლ ტაღეირანს მრავალ ლამაზმანსა და გავლენიან მანდილოსანთან ჰქონდა ურთიერთობა, რომელთაც თავისი გონებასახვილობით, იუმორით, და უპირველეს ყოვლისა, მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობით იპყრობდა. იგი არცერთ მათგანს არ მიუტოვებია, ტაღეირანი თავად არ იყო ერთგული და მათი შემკვობით მიიწევდა წინ თავის თავბრუდამხვევ კარიერაში და სულ უფროდაუფრო მდიდრდებოდა.

ტაღეირანი მხოლოდ ერთხელ დაქორწინდა, ისიც ნაპოლეონის დაყინებით, — ლამაზ, მაგრამ შტერ დაქვრევებულ მადამ გრანდიეზე, სინამდვილეში კი ერთადერთი ქალი უყვარდა — თავისი დისშვილის მეუღლე — ჰერცოგინია დინო, რომელიც უკვე სიბერის ჟამს გაიცნო.



მშვიდობა ბარიკადებზე

გარდაცვალების შემდეგ მას შთამომავლობა არ დარჩენია, თუ მხედველობაში უკანონო შვილებს არ მივიღებთ. ერთ-ერთი მათგანი იყო გენიალური ფრანგი მხატვარი ეჟენ დელაკრუა (1798-1863), ავტორი ცნობილი ტილოსი – „მშვიდობა ბარიკადებზე“, მის ფუნჯს ეკუთვნის საბერძნეთის თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილი ნახატები, მისი მრავალი ნამუშევარი აღმოსავლეთის თემაზეა შექმნილი. ეჟენ დელაკრუა მამას იშვიათად ხვდებოდა და სრულებით არ ამაყოფა სახელგანთქმული მამით.

სიკვდილის წინ ტალეირანი ჰერცოგინია ღინოს დაჟინებული მოთხოვნით შეურიგდა კათოლიკურ ეკლესიას. ცოდვები მას თავად პაპმა შეუნდო. იმ დროს მთელი ევროპა უცნობი ავტორის გამონათქვამს იმეორებდა: „ჰერცოგი ტალეირანი მთელი ცხოვრება ღმერთს ატყუებდა, სიკვდილის წინ კი თავად სატანა გააცურაო“.



დელაკრუა. ავტოპორტრეტი

შარლ მორის დე ტალეირანი უპრინციპო და უპატიოსნო ადამიანი იყო, მის სიზარბეს, რომლის გამოც სამშობლოსაც კი აუღელვებლად დალატობდა, - საზღვარი არ ჰქონდა. ფულისათვის იგი მზად იყო ყველაფერი ჩაედინა.

1817 წელს ტალეირანმა ავსტრიის კანცლერს – გრაფ მეტერნიხს სახელმწიფო არქივიდან მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტების მიყიდვა შესთავაზა, რომლებიც მან 1814-1815 წლებში მოიპარა, როდესაც ორჯერ, ხანმოკლე ვადით, მთავრობას მეთაურობდა. მას არ დაეწეებია ღირსეულად შეექო მოპარული დოკუმენტები და გაეფრთხილებინა კანცლერი, რომ ზოგიერთი საბუთი ავსტრიის იმპერატორის მაკომპრომეტირებელიც კი იყო და უმჯობესი იქნებოდა მათი ჩამარხვა ვენის არქივის სიღრმეებში ან საერთოდ განადგურებაც კი.

იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ავსტრიის ელჩი პარიზში მეტერნიხს დიპლომატიური ფოსტით დოკუმენტებს გაუგზავნიდა, ტალეირანი უკვე ტყებოდა ნახევარი მილიონი ოქროს ფრანკით.

ტალეირანი ქრთამად და გასამრჯელოდ ღალატში უზარმაზარ თანხებს იღებდა. პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა სამშობლოს მტრებს ყველაზე საიდუმლო ფაქტებიც კი გაუმხილა. იგი მეტერნიხს ფრანგული არმიის გადაადგილების შესახებ აწვდიდა ცნობებს 1809 წელს ავსტრიასთან ომის დროს. ნაპოლეონთან ერთად აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთის იმპერატორთან და, ამავე დროს, მას საიდუმლოდ აცნობებდა საფრანგეთის გეგმებს, ურჩევდა, რა გზით დაეცვა თავი ნაპოლეონისა და მისი მოთხოვნებისაგან.


ქრთამს ყველასგან იღებდა. საქსონიის მეფეს ხუთი მილიონი ოქროს ფრანკი გამოართვა, ბადენის ჰერცოგისაგან მილიონი მიიღო, ფერდინანდ VI-იგან, რომელსაც ნეაპოლის გვირგვინის მოპოვებაში დაეხმარა, ექვს მილიონს ითხოვდა.

ტალეირანის თანამედრობეებმა მწარედ შენიშნეს, რომ მან ყველაფერი და ყველა გაყიდა, ისინიც კი, ვინც იგი გაყიდა. ფულად მხოლოდ დედა და სული არ უქცევია, რადგანაც მათ მყიდველი არ გამოუჩნდათ...

საგავშვო გვერდი

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ორი შესანიშნავის სამაგვრო ქუთნალი — “ნაკადული” და “ჯეჯილი” გამოდიოდა. თჯასში სათუთად შენასულ ამ ქუთნალებზე რამდენიმე თაობა გაიზარდა, მათ შორის მეც. ამ ქუთნალებს ჯერ დედაჩემის დედა, დეიდა და ბიძა კითხულობდნენ მაგვრობაში, შემდეგ დედაჩემი და ბიძაჩემი, მერე უკვე მე და ჩემი და, ჩვენს შემდეგ კი — ჩემი დისშვილები. ამ ქუთნალებში დამოქდნილი ყოფილი ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი თუ პიესა სიკეთეს ქადაგებს, მასში გამოძველებული ამბებიდან მაგვრები მართალი ღირებულებებს ითვისებდნენ, ხოლო ბოლოში დაბრუნებული გამოცანები და რეზიუმე გონიერებაში აჯანჯიშებდა. იმდენი მაძვს, ეს ჩემი საყვარელი ზღაპარი, რომელიც ქუთნალ “ნაკადულის” 1916 წლის მე-6 ნომრიდანაა გადმოღებული, თქვენც მოგეწონებათ.

მაია ნაჭყებია



მწუხარების ტყე

(სერბიული ზღაპარი)



ყვლიადით იყო მოცული ყოველივე ეს წყვლიადი რაღაც მტრულის თვალთ შეპყრობდა ყოველ-სავე. ტყის განაპირას იდგა ერთი ქაბუკი. მის გარშემო მყოფი ხეები, ჯაგები თუ ბუჩქები, თი-თქო აწვდიდნენ თავიანთ გრძელ ხელებს და სკდილობდნენ ჩაებლუჯნათ ქაბუკი და არსად გაეშვათ. ამ დროს ქაბუკს თვალ-წინ წარმოუ-დგა ყოველ მხრივ მიმავალი ქვიშიანი ბილიკე-ბი. ყმაწვილი კაცი დაფიქრდა და გონების თვა-

ლით დააცქერდა ბილიკებს: არ იცოდა, საით წასულიყო, რო-მელი მიმართულების ბილიკი აერჩია. უეცრად რაღაც უხი-ლავმა ძალამ ჩასკიდა თავისი მძლავრი ხელი და დახუჭულის თვალებით, ღრმა ფიქრებში გართული წაიყვანა წინ. მანამ-დის ვერ შეამჩნია, რომ უფრო ხშირსა და გაუვალს ტყეში მიდიოდა, სანამ თეხი არ წამოჰკრა ხის ჯირკსა და ძირს არ დაეცა. მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ ასცდენია გზას და შე-სულა სადღაც დიდს ატეხილ ტყეში.

ქაბუკი უცბად წამოხტა და გაიქცა, გადაიბრუნა ერთი ბილიკიდან მეორეზე, მაგრამ სულ უნაყოფო, უშედეგო — იყო მისი სისწრაფე და სირბილი: ბევრი იტრიალა, მაგრამ

მაინც ერთსა და იმავე ადგილს ვერ გასცილდა. ჭაბუკი დაი-
ლალა კიდევ, თან შიმშილმაც შეაწუხა. სასოწარკვეთილე-
ბით თვალეზედ ხელი მიიფარა და ქვითინი დაიწყო.

როცა ჭაბუკმა თვალეზი გაახილა, მის წინ იდგა სამი
უცნობი კაცი. მათს დანახვაზედ ჭაბუკი შეშინებული აკან-
კალდა. პირველს ამ უცნობთაგანს ეცვა ძვირფასი ოქრო-მკე-
დით ნაქარგი სამოსელი და მისი ხმალი შემკული იყო სხვა
და სხვა ძვირფასის თვლებით, მეორეს ეცვა წითელ სარტყე-
ლიანი, შავი ტანისამოსი, მესამეს კი — უბრალო ლურჯი ხა-
ლათი, ტყავის უბრალო ქაბრით შემორტყმული და ხელში
ეჭირა გააღმასებული დიდი ნაჯახი.

— რას ეძებ აქ? — შეეკითხნენ ერთმანეთს სამივე უცნობი.

— ვკედები, — უპასუხა მოქანცულ-მოშვებულმა ჭაბუკ-
მა, — შემიბრალეთ.

— რას თხოულობ ჩვენგან, რა დახმარება გინდა, რო-
გორ უნდა შეგიბრალოთ?

— ამ ტყიდან გამიყვანეთ, მხოლოდ რაც შეიძლება მა-
ლე, სხვას არაფერსა გთხოვთ.

— მაშ, აირჩიე ჩვენ შორის რომელიც გინდა და ის გა-
გიყვანს.

— ჭაბუკს კარგად ჩაცმული კაცი მოეწონა, ის ირჩია
და დაიძახა:

— მაშ, შენ მიჩვენებია.

ძვირფასად ჩაცმულმა კაცმა სიამოვნებით გაუღიმა და გა-
უწოდა ხელი. დანარჩენი ორი უცნობი-კი გაჰქრნენ სადღაც,
ლამის წყვილიადმა ჩანთქა ორივე.

ჭაბუკი და მისი არჩეული თანამგზავრი გაუდგნენ გზას.
იარეს ფეხ-აჩქარებით, იარეს დიღხანს, მაგრამ გზას დასასრუ-
ლი მაინც არ მიეცა.

— საშინლად დავიღალე, — უთხრა ჭაბუკმა, — აღარ შე-
მიძლიან მეტი სიარული.

— მართალია, მართალი, მანძილი დიდია გასავლელი და შენ-კი სიარულში სუსტი ყოფილხარ; მეც აღარ შემიძლიან შენი წინამძღოლობა და არც შენი აქედან გაყვანა, ამიტომ, თუმცა გტოვებ, მაგრამ სამაგიეროდ გაძლევ აი ამ ხმალს; რამდენსამე წამს შემდეგ აქ გაივლის მგზავრი; წაართვი ცხენი, შეჯექ ზედ და მალე, სულ მალე, გახვალ ამ ტყიდან.

— შენ თითონ ვინა ხარ, რომ ამგვარ რჩევას მაძლევ?

— მე ვარ შეცოდება ამა ქვეყნისა.

— იქით დამეკარგე, გამშორდი! — შეჰყვირა ჭაბუკმა და პირქვე დაეცა დედამიწაზე. პასუხად მოესმა გულ-შემზარავი, სატანისებური ხარხარი; განქრა ყოველივე და ჭაბუკი დარჩა ისევ მარტო. როცა გაახილა თვალები, მის წინ გაჩნდნენ წინანდელნი უცნობნი.

— რას აკეთებ აქ? — ჰკითხეს იმათა.

— ვკვდები, ვკვდები, შემიბრალეთ!

— გვითხარ, რითი შეგვიძლია დაგეხმაროთ?

— გამიყვანეთ, გამიყვანეთ, თუ შეგიძლიანთ, საჩქაროდ ამ საშიშარ ტყიდან.

— ამოირჩიე ერთი ჩვენგანი და ის გიჩვენებს გზას და გაგიყვანს ამ ტყიდან.

ჭაბუკი დაფიქრდა, შემდეგ მიმართა შავტანისამოსიან უცნობს და უთხრა:

— შენ ამირჩევია.

შავტანისამოსიანმა უცნობმა ხმა ამოუღებლივ გაუწოდა ხელი და წაიყვანა.

დიდიხნის მგზავრობის შემდეგ, მიაღწენ ერთ უფსკრულს, საიდგანაც მოისმოდა დაუსრულებელი კვნესა და გმინვა.

— გეფიცებით, აღარ შემიძლიან, აღარ შემწევს ძალა, რომ კიდევ ვიარო! — ამოიკვნესა ჭაბუკმა.

— აი, სწორედ ამიტომ მოგიყვანე აქ, — უპასუხა უცნობმა, — მხოლოდ ამ გზით შეგიძლია გახვიდე ტყიდან. აქ არის,

ამ უფსკრულში სამთავრო სიკვდილისა, რომელიც გაგანთავისუფლებს ყოველ ტანჯვა-წამებისაგან.

— ვაი ჩემს თავს! — შეჰყვირა ჭაბუკმა; — შენ ვილა ხარ, რომ ამისთანა რჩევას მაძლევ?

— მე ვარ სასოწარკვეთილება.

— დაიკარგე აქედან! — შეჰყვირა ჭაბუკმა, საშინლად აღელვებულმა და ისევ პირქვე დაეცა დედამიწაზე.

როცა შესამედ აახილა თვალები, მის წინ იდგა მესამე უცნობი, ლურჯ-ხალათიანი, დიდის ნაჯახით ხელში. მან უთხრა ჭაბუკს.

— მე გამომყევ, შეიღო! მართალია, შენი სავალი გზა ძრიელ გრძელიც არის და ძნელიც, მაგრამ, ხომ გაგიგონია, ღმერთი მხოლოდ იმათ უწევს დახმარებას, ვისაც მოთმინება აქვს.

ჭაბუკმა, თანხმობის ნიშნად, ხელი გაუწოდა და უცნობიც გაუძღვა წინ; გაუდგნენ გზას; თავის დიდის ნაჯახით უცნობი უწალდავდა გზას, სჭრიდა ჯაგებს და დიდ ხეებს.

— აიღე და წამოიკიდე მხარზე ეს დიდი ხის კუნძი, — უბრძანა უცნობმა.

— ჭაბუკი დაემორჩილა ბრძანებას, თუმცა სიმშლილი და დაქანცულობა ძალზე სტანჯავდა. რაც უფრო წინ მიდიოდნენ, მით უფრო ახლოს ჰხედავდნენ ცხოველ-მყოფელ სინათლეს; აღარც ტყე იყო ახლა ისეთი ხშირი, როგორც აქამდის და მძიმე ტვირთიც უმსუბუქდებოდა, რადგანაც წინ მიაქროლებდა ფრთა-გაშლილი იმედი.

კარგა სიარულს შემდეგ, მიაღწიეს ბოლოს ტყის ნაპირს და აღტაცებულ ჭაბუკის თვალს წარმოუდგა დიდის მზის სხივებით გაბრწყინებულ-გაშუქებული და ნამით დაპყრებული დიდი მინდორი.

— მივალწიეთ ჩვენს საწადელს, — უთხრა ჭაბუკს უცნობმა. — ტყე, რომელიც შენ გამოიარე, „მწუხარების ტყე“


იყო... ეს არასოდეს არ დაივიწყო; ახლა-კი ჩამოიღე და ძირს დასდე ეგ შენი ტვირთი.

ჭაბუკმაც დააგორა ძირს ხის კუნძი და ჰკითხა:


— ვინა ხარ შენ, კეთილო მეგობარო, რომ ასეთ ჭეშმარიტ გზაზე დამაყენე და გამომიყვანე იმ მწუხარების ტყიდან.

— მე ვარ შრომა, დაუშრეტელი მხნეობა! — უპასუხა უცნობმა და გაჰქრა კიდეც.

ელ. ჭიჭინაძე.



ადამიანი და ცხოველები



ძველთაგანვე, ადამიანი დედამიწაზე სხვადასხვა ცხოველის გვერდით ცხოვრობს. ჯერ კიდევ ორი მილიონი წლის წინ ჩვენი წინაპრების ცხოვრება თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ცხოველების ყოფისაგან. ადამიანი ზოგიერთ მათგანზე ნადირობდა, ზოგისა ეშინოდა. ბუნებას მისთვის ხომ არ უბოძებია ისეთი თავდასაცავი იარაღი, როგორიცაა მაგარი ნისკარტი, ბრჭყალები, ანდა რქები. ადამიანის გარშემო მყოფი მრავალი ცხოველი მასზე გაცილებით ძლიერი იყო.

იმ სამყაროში, რომელშიც პირველყოფილი ადამიანი ცხოვრობდა, უსასტიკესი წესი ბატონობდა: ფიზიკურად ძლიერი ჯაბნიდა სუსტს. ასეთ უთანასწორო ბრძოლაში პირველყოფილი ადამიანი განწირული იყო და, აბა, რას გაუმკლავდებოდა ღონიერ და მოქნილ მტაცებლებს. მაგრამ ადამიანმა გაიმარჯვა, ნელ-ნელა გამოეყო ცხოველთა სამყაროს და უმაღლეს საფეხურზე დადგა, რათა შემდეგში მთელი გარემო თავისი ნება-სურვილისათვის დაემორჩილებინა.

როგორ მოხდა, რომ სუსტი ადამიანი ყოვლისშემძლედ იქცა? ამის მიზეზი ის იყო, რომ ბუნებამ ადამიანი ნისკარტზე და ბრჭყალებზე უფრო ძლიერი იარაღით დააჯილდოვა – ეს იარაღი ადამიანის გონებაა, ცხოველის გონებასთან შეუდარებლად სრულყოფილი. თავისი ჭკუისა და მოქნილი ხელების შემწეობით ადამიანმა სამყაროზე ბატონობა დაიმ-

კვიდრა. სხარტი და ცოცხალი გონება ადამიანს საშუალებას აძლევდა დაკვირვებოდა სამყაროს და ბუნების მამოძრავებელი ახალ-ახალი კანონები ამოეცნო. ამ კანონების ცოდნას ადამიანი თავისი პრაქტიკული მიზნებისათვის იყენებდა.

მას შემდეგ, რაც მრავალი ათასი წლის წინ ადამიანმა თავისი მკლავის ძალა შეიცნო, საგანგებოდ გამოჩოროვნა იარაღი, პირველყოფილი შიში დაძლია და ცეცხლზეც გაბატონდა – ამით საბოლოოდ გადააბიჯა ცხოველთა სამყაროს მიჯნას. იგი იმ განვითარების გზაზე დადგა, რომელსაც ტექნიკური ცივილიზაციისკენ მიჰყავდა, ხოლო უფსკრული კი ადამიანსა და ცხოველს შორის სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა.

თუმცა ადამიანი ცხოველთა სამყაროს გამოეყო, მისი შემდგომი არსებობა მაინც გარემომცველ ცხოველებზე იყო დამოკიდებული: იგი მათი ხორციტ იკვებებოდა და მათი ტყავით იმოსებოდა. დროთა განმავლობაში ადამიანმა ცხოველთა მოშინაურება და გამოყენებაც ისწავლა და მათი დახმარებით ბევრს მიაღწია – ეს წიგნიც სწორედ ამაზე მოგვითხრობს.

მხოლოდ ბოლო საუკუნეებში ისწავლა ადამიანმა ხორცის შეცვლა სხვა საკვებით, ხოლო ტყავისა და მატყლისა – ხელოვნური ქსოვილებით, მას მომავალშიც აუცილებლად დასჭირდება შინაური ცხოველები და წარმო-

უდგენელია, ადამიანმა ოდესმა მათ გარეშე არსებობა შეძლოს. მრავალი ათასწლეულია, რაც ცხოველი ადამიანის წარმოდგენაში გაბატონდა, ამას მოწმობს პირველყოფილ წინაპართა მიერ გამოქვაბულების კედლებზე დახატული ცხოველები. ზოგიერთი მათგანი, რომელიც, ალბათ, იმ მაგიური მიზნით იყო დახატული, რომ ადამიანისთვის ნადირობაში წარმატება მოეტანა, ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს წარმოადგენს. ამ ცხოველებზე – მართლაც არსებულსა თუ გამოგონილზე, მრავალი მითი, ლეგენდა და იგავ-არაკია შეთხზული. ალბათ, გაგონილი გექნებათ იმ ბატების

ამბავი, რომლებიც გალელმა მეომრებმა შეაშინეს: ბატებმა თავისი ყურისნამღები ყიყინით ჩაძინებული რომელიმე მცველები გააღვიძეს და ამით რომი გადაარჩინეს; ალბათ, გსმენია იმ ვეშაპზეც, რომლის მუცელშიც ბიბლიურმა წინასწარმეტყველმა იონამ ზღვაზე იმოგზაურა.

უთუოდ შესანიშნავად ესმოდა ცხოველების მნიშვნელობა წარღვნის ძველისძველი მითის გმირს – სიმპათიურ მოხუც ნოეს, რომელმაც თავის კიდობანში ყველანაირი ცხოველის წყვილი შეიფარა და ამით ისინი დაღუპვას გადაარჩინა.



ძველ დროში ცხოველებს უჩვეულო ზე-ბუნებრივ ძალასაც მიაწერდნენ. მაგალითად, ცდილობდნენ, ემკითხავათ ფრინველის ფრენის გეზის მიხედვით, ანდა ღმერთისთვის მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა შიგნულზე. მითებსა და იგავ-არაკებში ცხოველები ადამიანის ენით ლაპარაკობენ და გასაჭირში ჩავარდნილ გმირებს ეხმარებიან.

ძველ დროში თითქმის ყველა ქვეყანაში რომელიმე ცხოველს ან ფრინველს აღმერთებდნენ. ეგვიპტელები, მაგალითად, ნიანგის, კატისა და ხოჭო სკარაბეუსის დღესასწაულებს აღნიშნავდნენ, ხოლო განსაკუთრებულ პა-

ტივს კი ხარ აპისის სცემდნენ, რომელსაც მისთვის საგანგებოდ აშენებულ ტატრებში ქურუმები ემსახურებოდნენ.

ზოგიერთ ხალხს თავისი ადათ-წესი უკრძალავდა რომელიმე ცხოველის ხორცის ჭამას. ასეთ ძველ ადათ-წესებს დღესაც შეხვდებით ზოგიერთი რელიგიის მქონე ხალხებში. ამის საუკეთესო მაგალითია წმინდა ძროხის კულტი ინდოეთში. ინდოელი დღესაც კი არავითარ შემთხვევაში არ მიეკარებე ძროხის ხორცს, მიუხედავად შიმშილისა, იმ შიმშილისა, რომელიც ამ უზარმაზარ ქვეყანაში მძვინვარებს.

პოლონურიდან თარგმნა ირინე ნაჭყებიამ

რეზო მირიანაშვილი წერტილის აპოლოგია

გრაფიკის პლასტიკა ხაზის მოძრაობით დანახულ საგანს გულისხმობს და მისი ესთეტიკაც ხაზის სრულყოფილებას მოიცავს და არა ფერისას...

რაკი ხაზი წერტილთა ჯამია, ხაზით გამოსახული საგანიც მრავალი წერტილის ერთიანობაა, ამდენად, პუნტილისტური პრინციპით საგანთა გამოსახვა უფრო ბუნებრივი და „პირველადია“, ვიდრე ხაზით მათი წარმოჩენა...

პუნტილისტური გრაფიკა შეყოვნებული, დაფიქრებული, განმსჯელობითი, დიალოგური, ანალიტიკურია. იგი საგნის არსში ჩაწვდომის, მისი შემადგენელი ნაწილების გააზრების, განუწყვეტელი მიზეზ-შედეგობრიობის დადგენის, დასკვნის საშუალებას იძლევა. ხაზის მოძრაობა კი, თავისი მიმსწრაფი ბუნებით, კატეგორიული, უაპელაციოა (ეს დაახლოებით იმას ჰგავს, როდესაც დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი, მათი ექსპანსიური ხასიათის შესაბამისად, აღმოსავლულებისგან განსხვავებით, როგორც წესი, ჯერ ზმნას – მოძრაობას, მისწრაფებას გამოხატავენ და შემდეგ ზრუნავენ წინადადების სხვა წევრებზე, ანუ „ერთ ხაზს მეორეთი ჰკვეთენ“). ამ თვალსაზრისით პუნტილისტური გრაფიკა სცილდება ჩვეულებრივი გრაფიკის ჩარჩოებს და ფერწერის პრინციპებს უახლოვდება, რაც ერთი ფერის მეორესთან მიმართებაში, ძიებით მონაცვლეობაში მდგომარეობს. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ფერწერული გრაფიკა“...

მრავალი წერტილის გარკვეული სიმრავლე ხშირად იმ ზუსტ კონტურსა თუ მოძრაობას წარმოშობს, რომელიც მოსაძებნი იყო ნახატში. ამ დროს ხდება ალბათ ის, რასაც მუხასთან მიახლებას ან ზიარებას უწოდებენ – თვითონ ნახატი იწყებს „კარნახს“, თუ სად უნდა დაისვას შემდეგი წერტილი და საით უნდა წარიმართოს კომპოზიცია. ამ თვალსაზრისით წერტილის მარტო დატოვება არ შეიძლება – ნახატზე ყოველთვის წერტილთა სიმრავლე უნდა იყოს. მარტო დატოვებული წერტილი არაბუნებრივია, რადგანაც წერტილთა წესრიგი განსაკუთრებული მოვლენაა და იგი მათ ლოგიკურ ურთიერთმიმართებას გულისხმობს...

მოვლენები და ცნებები თავისი ანტიმოვლენებით, ანტიცნებებით, ან – ანტითეზებით არიან „განპიროვნებული“...

მოვლენა ნაირგვარადაა „განსხვავებული“, რაც, ფაქტიურად, „ხელშესახებ“ ცნებათა მიღმა დგას...

რადგან მოვლენებს აქვთ საწყისი, ისინი სასრულნიც არიან. რაკილა „საწყისი“ თავად მოვლენის კატეგორიაში ჯდება, მისი ანტითეზა „სასრული“ იქნება. საწყისის სასრულობა დიალექტიკას – განვითარებას გულისხმობს...

თუ ჩვენ საწყისად წერტილს ავიღებთ, მისი ანტითეზა („განვითარების“ შემდეგ) წერტილებსავე ზღვრული რაოდენობა ან სიხშირე (და არა სიცარიელე) იქნება. „ზღვრული“ იმიტომ, რომ მასში კიდევ ერთის ჩამატება შეუძლებელია...

თუ ჩვენ წერტილების ზღვრულ სიხშირეში კიდევ ერთის ჩამატებას დაეუშვებთ, მივიღებთ უკვე ახალ, თვისობრივად სხვა – განსხვავებულ „რადაცას“. ეს „სხვა“, „ახალი“, პირობითად, იგივე „ერთია“, რომელიც თავის მსგავსთა შეჯერებით, ზღვრულ სიხშირემდე მისული, თავის მხრივ „სხვას“ შექმნის... მოვლენები, თავისი ბუნებით, დროებითია. ისინი შემეცნებაში ნაირგვარად აისახებიან და მეხსიერებაში მეტ-ნაკლები სიმკვეთრით აღიბეჭდებიან. მოვლენების რაობა ცნებების განსაზღვრული რაოდენობით და გარკვეული ემოციების დამახსოვრებით აღიქმება. მოვლენების მახასიათებლები – მოძრაობა, მოცულობა, ფერი, სუნი, განათება, ხმა და ა.შ. მეხსიერებაში აღბეჭდვის პროცესში იმისდა მიხედვით იძენენ სიმკვეთრეს, თუ რა ძალის ემოციურ ზეგავლენას წარმოშობენ ისინი – სიხარულს, სიმშვიდეს, შიშს, სხვადასხვა ასოციაციებს... ცხადია ამ პროცესში უაღრესად დიდ როლს თამაშობს ყველაზე ძლიერი ემოციური წყება – ბავშვობისდროინდელი განცდები. შემოქმედებითი პროცესის – ხატვის დროს ამ ყოველივეს გონების პრიზმაში გადაკვეთა და იმწუთიერი მომენტით განპირობებული ერთგვარი „დწარმოება“ ხდება, რაც იწვევს მრავალ და ხშირად შეუთავსებელ ცნებათა ამოტივტივებას და ერთმანეთის გვერდზე განლაგებას საგანთა მახასიათებლების მონაცვლეობით. ასე, მაგალითად, კატის ცნობისმოყვარე და მოუსვენარი ბუნება მისი მზის ათინათთან დამოკიდებულების წარმოდგენას ბადებს, როდესაც ბავშვობისდროინდელ მზის სხივში მტკრის ნამცეცების ჭყეშალობას ჰაუფის ციყვების ნახევრსა და სარკეში შენი ანარეკლის აღმოჩენას უკავშირებს; სარკე – აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯადოსნურ ატრიბუტიკას, გნომებისა და ფრინველების ასოციაციას იწვევს; გნომები – ბავშვობისდროინდელი „ზინგერის საწყაროს“ ნაწილია ისევე, როგორც უცხო ფრინველი – აღმოსავლელი ქალისა, ჭრელი კაბით რომ შემოვიდა შენს მეხსიერებაში. იგი შენს მიერ აღქმული პირველი ქალიცაა – მრავალ საიდუმლოებათა მმარხველი – სარკის, ზინგერის მანქანისა და კატის მფლობელი... ეს ყოველივე კი იმ მონახაზის წინათქმა, წინაპირობაა, რომელიც წერტილის დასმას უძღვის წინ...

ამგვარი პირობა სხვადასხვაა: უკვე გააზრებული, შემოწმებული და შემეცნებული, ერთგვარად „მზა ჩანაფიქრი“, რომელსაც გზადგაზნა ასოციაციური ატრიბუტიკა და გაუაზრებელი – „ხელს მოყლილი“ – შეუმეცნებელი, გაუაზრებელი კომპოზიცია მოსდევს, რაც, ხშირად, ხასიათის იმწუთიერ მდგომარეობაზეა დამოკიდებული ან რაღაც შთაბეჭდილებებიდან მომდინარეობს. ხოლო მრავალი წერტილისაგან მოქსოვილი ბადე ხშირად თვითონ კარნახობს კომპოზიციას და საგანთა მოძრაობას...

პუნტილისტური გრაფიკის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი „უსაშლელი პრინციპია“, როდესაც არასასურველი ფორმა თუ მოძრაობა არა მისი სრული უარყოფით, არამედ უფრო მეტ წერტილთა მეშვეობით იცვლება, რასაც, საბოლოოდ, ანტითეზასთან მიყვავართ...

მოვლენა იმთავითვე შეიცავს საპირისპიროს, მის უარყოფელს და მისკენ მიისწრაფის, ამდენად მათი ერთად არსებობა უეჭველია. პირველი მეორეში უნდა გადავიდეს და ეს აუცილებლად მოხდება...

ზღვრულ სასრულობამდე მისული ამგვარი „მონაცვლეობა“ შესაძლოა ოდესღაც განმეორებულიყო და მომავალშიც განმეორდეს, რასაც „ორმხრივი განვითარება“ გააჩნია, თუ ამჟამინდელი მდგომარეობის მივიჩნივთ განსაზღვრის საწყისად. წერტილის დასმა დაბადებაა, არაა – ფურცლის აბსოლუტურად შავი ზედაპირი...

მშენიერება კი საზრისის ძიების პროცესშია...

სარჩევი

აკაკი შანიძე. ქართული ეროვნული ჰიმნი	3
იროდიონ ევლოშვილის სიტყვა ილიას მკვლელობის აღზიდვას	4
რუსუდან კუსრაშვილი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი პორტრეტი	5
ადამიანთა უფლებების სამართაშორისო დეკლარაცია	9
ვაცლავ ჰაველი. წერილი დოქტორ ჰუსაკს (ევა მაია ნაჭყებიას თარგმანი)	14
ჯ.ბ. პრისტლი. “პირველი თოვლი” (ქეთევან ავალიანის თარგმანი)	30
იანოშ არანი. ლექსები. (დალილა ბედიანიძის თარგმანი)	32
იულიუს ბარ-ივანი. დიქტატორი (ევა მაია ნაჭყებიას თარგმანი)	34
მარიამ კარბელაშვილი. “... ყოვლი დამალული, საქმე ცხადად გამოცხადდეს...” ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან	67
სოსო ჩახვაშვილი. საქართველოს ზღვისპირა მდებარეობა: რეგიონული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი	82
ლოლა რობაქიძე. საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი პრობლემები და მათი დაძლევის გზები	91
დავით ამირაშვილი “გამოცდა ბალით” – კულტურული დისკურსის შეტანა სკოლაში	94
ირინე ნაჭყებია. საქართველოს მნიშვნელობა ინდოეთზე ლაშქრობის კონტექსტში (XIX საუკუნის დასაწყისი)	106
ნინო ღამბაშიძე. „მზე შიგა და მზე გარეთა, მზეც შინ შემოდის“ ანუ ზოგიერთი რამ ქართული კალენდარის შესახებ	117
თათული ღვინიაშვილი. სიყვარულის ისტორია: ფოტო ბაბო დადიანის არქივიდან	120
მარიამ კარბელაშვილი. სურათები საოჯახო ალბომიდან	121
მვა მაია ნაჭყებია. საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ: ზავერდოვანი რევოლუცია, 1989	122
მვა მაია ნაჭყებია. ზოგი რამ ვაცლავ ჰაველის ბიოგრაფიიდან	128
ტალმირანი	135
საბავშვო გვერდი. მწუხარების ტყე	137
ბოლმელავ ორლოვსკი. ადამიანი და ცხოველები. ნაწყვეტი. (პოლონურიდან თარგმნა ირინე ნაჭყებიაძე)	142
რეზო მირიანაშვილი. წერტილის აპილოგია	144